


რევაზ კიკნაძე



საქართველოს  
ისტორიის  
წყაროთმცოდნეობის  
საკითხები  
II



თბილისი  
„მეცნიერება“  
1992

902.3 (c 41)  
63.2 (2 r)  
902 (47.922)  
კ 499

ნაშრომში თანამედროვე ისტორიული მეცნიერების უნიშვნელოვანესი დარგის — წყაროთმცოდნეობის აქტუალური პრობლემებია განხილული. აქ შესწავლილია, კერძოდ, ზოგიერთი ქართული ისტორიული თხზულების აღმოსავლური წყაროები, განხილულია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროებია, წარმოჩენილია ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის საკითხების შესასწავლად. ს. — თანადო ყურადღება აქვს დამოხილი წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიას. ნაწევებია რამდენიმე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის წვლილი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განვითარებაში.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და ფილოლოგების, აგრეთვე საქართველოს ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულთა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორები: გ. ალასანია  
მ. კიკნაძე

რეცენზენტები: ქ. ჩხატარაიშვილი  
ვ. ბერაძე

0502000000 123—91  
M 607(06)—92

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992

ISBN 5—520—01067—6

## წინათქმა

ნაშრომების გამოქვეყნება აღნიშნული სათაურით რ. კიკნაძის სიკოცხლეში დაიწყო. სერიის პირველი წიგნი (1982 წ.) სპეციალისტებმა ინტერესით მიიღეს. წინამდებარე ტომიც ავტორის სიკოცხლეშივე დაიჯეგმა. სააწუხაროდ, მეცნიერის უდროოდ გარდაცვალების გამო წიგნი მის გარეშე ქვეყნდება, რაც ბუნებრივად ზრდის გამომკვემელთა პასუხისმგებლობას.

კრებულში შესული ნაშრომები ფართო ქრონოლოგიურ მონაკვეთს განეკუთვნება. ზოგიერთი მათგანის გამოქვეყნებიდან საკმაო დროა გასული, ხოლო ნაწილი შექმნილია ავტორის სიკოცხლის უკანასკნელ წლებში. არსებითად ისინი რ. კიკნაძის მთელი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე იქმნებოდა და ამდენად, ძირითადად, თუმცა არასრულად, მაინც ასახავს ავტორის სამეცნიერო ინტერესების სფეროს—საქართველოს და ამიერკავკასიის შუა საუკუნეების ისტორია, შუა აზიისა და ირანის წარსული, საქართველოს, ამიერკავკასიის, შუა აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის სხვადასხვა მხარე, საქართველოს ისტორიის ქართული და აღმოსავლური წყაროება.

ის ფაქტი, რომ ნაშრომები დღემდე სხვადასხვა კრებულებში იყო გაბნეული, ართულებდა მათი გამოყენების საქმეს. ერთ კრებულში მოთავსებულნი კი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ავტორის შემოქმედებით ევოლუციანულ განათლებით აღმოსავლეთმცოდნე რ. კიკნაძე უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა წყაროთმცოდნეობის განყოფილებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ამ ხნის განმავლობაში დიდ დროს უთმობდა აღნიშნული დარგის თეორიული და კონკრეტული პრობლემების დამუშავებას. ის, რაც ადრე მისი კვლევის საშუალება იყო, ე. ი. საქართველოს ისტორიის ქართული და აღმოსავლური წყაროები, თანდათან წინა პლანზე წამოიწევს და ძირითად მიზნად იქცევა. მეცნიერის სპეციალური კვლევის ობიექტი ხდება წერილობით წყაროთა გამოცემის პრინციპები, წყაროთმცოდნეობის სტრუქტურა და ამოცანები, ქართული წყაროთმცოდნეობის წარსული გამოცდილების კრიტიკული ათვისება, ე. ი. ისტორიოგრაფია და მისი განვითარების გზები. ასეთი გარდატეხა ბუნებრივია ისტორიულ

მეცნიერებაში მიმდინარე ობიექტური პროცესების ფონზე და უკაც-შირდება, კერძოდ, წყაროთმცოდნეობის გადაქცევას დამხმარე დისციპლინიდან სპეციალურ საისტორიო დარგად. საქართველოში ამ პროცესების დაჩქარებაში რ. კიკნაძეს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის.

კრებული სამ განყოფილებას შეიცავს: ზოგადი წყაროთმცოდნეობა, კონკრეტული წყაროთმცოდნეობა და ქართული წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია. ყოველ განყოფილებაში ნაწრომები დალაგებულია მათი პირველად გამოქვეყნების დროის მიხედვით.

წყაროთმცოდნეობას ფართო შინაარსი აქვს. სწორედ ამ ცნების ტევადობამ გახადა შესაძლებელი თემატურად მრავალფეროვანი გამოკვლევების ერთ წიგნად გაერთიანება. სხვადასხვა დროს ნაფიქრი და ნაკლევები კიდევ სხვა საერთო ნიშნებით ერთიანდება—მალაღი აკადემიურობით, წყაროთა საფუძვლიანი ცოდნით, ნაცნობი წყაროების ახლებურად წაკითხვის, კონკრეტული საკითხების კომპლექსურად შესწავლის უნარით, საბუთიანობით, რაც შეეხება წყაროთმცოდნეობის ზოგადთეორიულ ნაშრომებს—ავტორის საკუთარი გამოცდილების განზოგადებით.

კრებულში მოთავსებული თითქმის ყველა ნაშრომი ადრე გამოქვეყნებულია და ამდენად, სათანადოდ დაფასებული. მიუხედავად ამისა, მათ, ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ასე ერთად თავმოყრილნი ოპინი უთუოდ უფრო მეტი წარმატებით გაუწევენ საქსახურს მედიევისტ ისტორიკოსებს საქართველოსა და ამიერკავკასიის, შუა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების წარსულსა და წყაროთმცოდნეობის საკითხების კვლევის საქმეში.

გ. ალასანია



## ზოგადი წყაროთმცოდნეობა

### წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის ზოგიერთი საკითხი\*

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა კვლევის ხერხებისა და მეთოდების სრულყოფას. თავისთავად ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვლევის მეთოდის საისტორიო მეცნიერებაში. ძირითად მასალას ადამიანთა საზოგადოების განვითარების სურათის აღსადგენად წერილობითი წყაროები შეიცავენ. ამიტომ არის, რომ წერილობითი წყაროების გამოვლენა, შესწავლა და გამოქვეყნება საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემატიკის კვლევას ემსახურება საისტორიო მეცნიერების დარგი — წყაროთმცოდნეობა, რომელსაც (განსაკუთრებით, შუა საუკუნეთა ისტორიის წყაროების შესწავლის დროს) კომპლექსური ხასიათი აქვს. ის ითავებს სპეციალურ საისტორიო დისციპლინებს (არქეოგრაფიას, დიპლომატიკას, ეპიგრაფიკას, ეპისტოლოგრაფიას, კოდიკოლოგიას, პალეოგრაფიას, ტექსტოლოგიას...)<sup>1</sup>, განაზოგადებს მათს მონაცემებს და ახდენს მათ ინტეგრაციას<sup>2</sup>. ამდენად, წყაროთმცოდნეობა საისტორიო მეცნიერებას აუცილებელი დარგია, მასთან ერთად ვითარდება და წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემით, მათი შესწავლა-გამოყენების თეორიისა და მეთოდის დამუშავებით განაპირობებს მთლიანად ისტორიოგრაფიის განვითარების დონეს. რაც უფრო მაღალია წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების ხარისხი, წერილობითი წყაროების შესწავლისა და გამოცემის დონე, რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად

\* პირველად დაიბეჭდა 1985 წელს („ქართული წყაროთმცოდნეობა“, VI, თბ., 1985, გვ. 39—62).

1 ხშირად მათ დამხმარე საისტორიო დისციპლინებსაც უწოდებენ.

2 Янин В. Л. Очерки комплексного источникововедения. Средневековый Новгород. М., 1977, с. 3—21; Пашуто В. Т., Преображенский А. А. Исследования по социально-экономической и внутриаполитической истории СССР периода феодализма. — В кн.: Изучение отечественной истории в СССР. М., 1982, с. 375.

არის დამუშავებული და კვლევადიებით პრაქტიკაში დამკვიდრებულ ისტორიული წყაროების მეცნიერული ინტერპრეტაციის მეთოდოლოგია, მიუხედავად მალაია კონკრეტული ისტორიული გამოკვლევების ხარისხი და, ბუნებრივია, უფრო მალაია მთლიანად საისტორიო მეცნიერებას განვითარების დონეც. სწორედ ამიტომ არის, რომ წყაროთმცოდნეობის დარგში კვლევა-ძიების გაფართოება და გაღრმავება საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა<sup>3</sup>. უკანასკნელ წლებში ჩვენში მრავალფეროვანი გახდა წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების თემატიკა როგორც ქრონოლოგიურად, ისე პრობლემების მიხედვითაც<sup>4</sup>. ეს თავის მხრივ უთუოდ სასიკეთო გავლენას მოახდენს ისტორიოგრაფიის შემდგომ ზრდაზე.

საისტორიო მეცნიერების პროგრესული განვითარება გამუდმებით მოითხოვს წყაროთმცოდნეობითი ბაზის შემდგომ გაფართოებას და განმტკიცებას. ამის უმთავრესი გზაა უკვე ცნობილი წყაროების ხელახლა, „ახალი თვლით“ წაკითხვა, უფრო ღრმად და უფრო სრულად შესწავლა, წყაროდან ამომწურავი ინფორმაციის მიღების ხერხების სრულყოფა. ეს უზრუნველყოფს წერილობით წყაროში ისეთი მონაცემების გამოვლენას, რომლებიც შეუმჩნეველი რჩებოდათ წინა თაობის მკვლევართ.

შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის ცნობები მოიპოვება როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. ჩვენს ქვეყანას ძველთაგანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ახლო თუ შორეულ ქვეყნებთან. ამის წყალობით უცხოელ ავტორთა თხზულებებში მდიდარი მასალაა დაცული საქართველოს ისტორიისათვის, ზოგჯერ ისეთ საკითხებზეც, რომელთა შესახებ ქართულ წყაროებს არ შემოუნახავთ ცნობები. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება არაერთი კონკრეტული საკითხის გარკვევა, დაზუსტება ან დადასტურება, მეტადრე საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროდან. ამდენად, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები მეტად სასარგებლოდ ავსებენ ერთმანეთს. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი და უმთავრესი წყარო შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა საკუთრივ ქართული წერილობითი ძეგლებია. ისინი შეიცავენ ყველაზე

<sup>3</sup> Буганов В. И., Трукан Г. А. Актуальные проблемы источниковедения истории СССР. — «Вопросы истории», 1977, № 3, с. 3; Хромов С. С., Буганов В. И., Шерстобитов В. П. Некоторые итоги и актуальные проблемы изучения отечественной истории. — В кн.: Изучение отечественной истории в СССР.

<sup>4</sup> Буганов В. И., Трукан Г. А. Источниковедение отечественной истории на современном этапе. — «Вопросы истории», 1983, № 3, с. 15.

მრავალმხრივ და შედარებით უფრო სრულ ინფორმაციას, ხოლო მეტ-ნაკლებად გაბმული ისტორია ქვეყნისა მხოლოდ ქართულ თხრობით წყაროებშია გადმოცემული. ამგვარად, საქართველოს ისტორიის მკვლევართა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ადგილობრივი ქართული წერილობითი წყაროების ყოველმხრივ შესწავლა და გამოსაცემად მომზადება, მათი ანალიზის მეთოდების შემდგომი დახვეწა, წყაროდან მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიღების ხერხების დამუშავებაა.

ქართული ისტორიული წერილობითი ძეგლები საუკუნეთა განმავლობაში ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა. ჩვენი სასიქადულო წინაპრები შეძლებისდაგვარად ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდნენ ამ დიდ ეროვნულ საქმეს. ადგილობრივ და უცხოეთში მდებარე კულტურის კერებში, უპირატესად ეკლესია-მონასტრებში, გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლის, გადანუსხვის, განახლებისა თუ დაკანკმვის ხაზით<sup>5</sup>.

ქართველმა ხალხმა ფეოდალურ ხანაში შექმნა მდიდარი და მრავალფეროვანი მწერლობა, რომელსაც უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. როგორც ითქვა, სწორედ ქართული წერილობითი წყაროები შეადგენენ ძირითად წყაროს შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის. მრავალსაუკუნოვან ქართულ საეკლესიო და საერო საისტორიო მწერლობაში (V—XVIII სს.) არსებობდა ისტორიულ ნაწარმოებთა ყველა ძირითადი სახეობა, დაწყებული უმარტივესი ჩანაწერებით, სადაც მხოლოდ ამბავია მოთხრობილი, ისეთ რთულ თხზულებებამდე, როგორც არის გიორგი მერჩულეს, ბასილი ზარზმელის, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების და ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომები<sup>6</sup>. ქართული ისტორიული აზროვნების შესანიშნავი ძეგლია ძველ ქართულ მათიანეთა უნიკალური კრებული „ქართლას ცხოვრება“ გაგრძელებებითურთ, რომელშიც გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორიული თავგადასავალი უძველესი ხანიდან XVIII საუკუნემდე. ჩვენამდე მოაღწია ათეული ათასობით ქართულმა ისტორიულმა საბუთმა, რამდენიმე ათასმა ეპიგრაფიკულმა ძეგლმა, დიდი რაოდენობით ეპისტოლურმა მასალამ და ა. შ. ერთობლიობა ამ მრავალფეროვანი წერილობითი ძეგლებისა მტკიცე წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მრავალი თაობის მოწინავე მოღვაწეთა მიერ საუკუნეთა მანძილ-

<sup>5</sup> დაწერილებით იხ. ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. 1, 2, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1980.

<sup>6</sup> იხ. ჭავჭავაძევილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 27.

ზე დაძაბული შრომით შექმნილ ამ დიდ მემკვიდრეობას სათანადო მოვლა-პატრონობა სჭირდება. კერძოდ, აუცილებელია ამ მასალას წინასწარი კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, შესწავლა და თანამედროვე ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების მოთხოვნათა მიხედვით გამოკემა.

ქართული წიგნის ბეჭდვას სამნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, პირველი ქართული ისტორიული დოკუმენტი კი ორასი წლის წინ გამოქვეყნდა სტამბურად. 1784 წელს პეტერბურგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულების, ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტები და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია<sup>7</sup>.

შომდევნო პერიოდში საქართველოს ისტორიის მასალების — თხრობითი, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ეპისტოლური წყაროების რამდენიმე საყურადღებო პუბლიკაცია განხორციელდა როგორც თბილისში, ისე პეტერბურგსა და პარიზში. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ამ მხრივ მ. ბროსეს მოღვაწეობა<sup>8</sup>. 1829 წელს, პარიზში, „ცხოვრება საქართველოსა“<sup>9</sup>-ს პირობითი სათაურით მან ლითოგრაფიულად გამოსცა XVIII საუკუნეში შედგენილი კომპილაციური თხზულება, რომელშიც გადმოცემულია 1373—1683 წლების საქართველოს ისტორიის მოვლენები<sup>9</sup>. ეს იყო ქართული საისტორიო თხზულების პირველი პუბლიკაცია ევროპაში<sup>10</sup>. ოთხი წლის შემდეგ მ. ბროსემ პარიზშივე გამოსცა საქართველოს ისტორიის წყაროების კრებული, რომელშიც სხვა მასალებთან ერთად შეიტანა თემურაზ ბაგრატიონის ნაწერები: დავით ბაგრატიონის ცხოვრება<sup>11</sup>

7 გამოცემას თავფურცელი არა აქვს. იხ. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I. თბ., 1941, გვ. 62, № 59; გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. პაიქაძემ. თბ., 1983, გვ. 10.

8 დაწერილებით იხ. შ. ხანთაძე. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი). 1966; Х а н т а ძ ე Ш. А. Мари Броссе и европейское и русское грузиноведение. Тбилиси, 1970; Хоштарна Э. В. Академик М. Броссе и первые публикации грузинских письменных исторических источников. — Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Тезисы докладов Всесоюзной научной сессии (Сухуми). Тбилиси, 1982, с. 91—92.

9 ცხოვრება საქართველოსა. პარიზი, 1829. ახალი გამოცემა: ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიძემ. თბ., 1980.

10 შ. ხანთაძე. მარი ბროსე, გვ. 20.

11 ახალი გამოცემა: თემურაზ ბაგრატიონი. დავით ბაგრატიონის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ, თბ., 1972.

(ფრანგული თარგმანითურთ), „გიორგი სააკაძის სიკვდილი“ და „ქეთევან დედოფლის წამება“<sup>12</sup>. შედარებით მოკლე ხანში მ. ბროსემ უკვე პეტერბურგში ფრანგულ თარგმანთან ერთად გამოცა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების გეოგრაფიული ნაწილი<sup>13</sup>, ხოლო შემდეგ საქტომად გამოაქვეყნა ცნობილი „რაპორტები“, რომლებშიც სხვა მასალებთან ერთად 400-მდე ქართული წარწერაც დაიბეჭდა<sup>14</sup>. ამას მოჰყვა „ქართლის ცხოვრებისა“ და XVII—XVIII საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების თხზულებათა გამოცემა შეიდ წიგნად ფრანგული თარგმანით, ვრცელი დამატებებითა და შენიშვნებით<sup>15</sup>.

ამ გამოცემებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის საქმეში, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს პირველი პუბლიკაციები არ იყო სრულყოფილი არც სამეცნიერო აპარატის და არც ტექსტის დადგენის თვალსაზრისით<sup>16</sup>.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში ძველი ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების გამოვლენის, შესწავლისა და გამოცემის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს დ. ბაქრაძემ, თ. ჟორდანიამ, ნ. მარმა, მ. ჭანაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ს. კაკაბაძემ, ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა და სხვებმა. თანდათან იხვეწებოდა ისტორიული ტექსტების შესწავლისა და გამოცემის ტექნიკა, მუშავდებოდა მეთოდოლოგია, გროვდებოდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლა-გამოცემის დარგში. მოსალოდნელი იყო, რომ ამას მოჰყვებოდა ზოგადთეორიული ნაშრომებიც. მაგრამ ქართული ისტორიოგრაფიის გამოჩენილ წარმომადგენლებს მიზნად არ დაუსახავთ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის შედეგების განზოგადება, არ უცდიათ თეორიული წყაროთმცოდნეობითი ნაშრომების შექმნა, რათა მომავალ-

<sup>12</sup> Mémoires inédits. relatifs à l'Histoire et à la Langue géorgienne, Paris, 1833.

<sup>13</sup> Description géographique de la Géorgie par le Tsarevich Wakhouchi. SPb., 1842.

<sup>14</sup> Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. I, II, III. SPb., 1849, 1850, 1851.

<sup>15</sup> Histoire de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle. SPb., 1849—1858. ამ უნარბაზარი შრომის ტვირთი გაიზიარა დ. ჩუბინაშვილმა, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა ქართული ტექსტის მეორე ტომი (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთაბრამეტე საუკუნემდის. ნაწ. მეორე. სპბ., 1854).

<sup>16</sup> იხ. მაგალითად, შ. ხანთაძის შენიშვნა მ. ბროსეს მიერ „ქართლის ცხოვრების“ ქართული ტექსტის დადგენის პრინციპების გამო (შ. ხანთაძე. მარი ბროსე, გვ. 92—93).

ლი თაობის მკვლევართათვის გაეზიარებინათ წერილობითი ძეგლებს პუბლიკაციის საქმეში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. რაგორც ჩანს, იმხანად ჯერ კიდევ არ იყო საამისო პირობები მომწოდებელი. რადგან მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე იქმნება ფართო თეორიულ განზოგადებათა აუცილებლობა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის პრინციპები და წესები დღემდე არ არის მეცნიერულად დამუშავებული (ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების შესწავლა-გამოცემის დარგშიც). ქართული წყაროების თანამედროვე გამომცემელი თავიანთი ცოდნა, გამოცდილებისა და პირადი შეხედულებების მიხედვით ასრულებენ ამ საქმეს. რის გამოც ისტორიული ტექსტების პუბლიკაციებიც სხვადასხვა მეცნიერულ დონეზე ხორციელდება. ზოგიერთს ძეგლის წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა არ ახლავს, ზოგან დახასიათებული არ არის გამოყენებული ხელნაწერები, დარღვეულია ტექსტის გამოცემის ელემენტარული წესები, ნაჩვენები არ არის კითხვასხვაობანი. გვხვდება საძიებლების გარეშე გამოცემული ტექსტებიც და ა. შ.

არსებობს შეხედულება, რომ მხოლოდ საკუთარი მუშაობის გამოცდილება იძლევა ტექსტოლოგიის დარგში თეორიული განზოგადების უფლებას<sup>17</sup>. გამოჩენილი საბჭოთა ტექსტოლოგის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების მიზართ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ ყველა მკვლევარი მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას დაემყარა და სხვათა ნამუშავევი არ მიიღო მხედველობაში. მეცნიერება ვერ განვითარდება. საკუთარ გამოცდილებასთან ერთად წინა თაობის მკვლევართა მიერ დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებაც არის აუცილებელი. სწორედ ამ მიმართულებით წარმოებს ამჟამად ჩვენში მეცნიერული მუშაობა წყაროთმცოდნეობის დარგში. ერთი მხრივ გრძელდება საქმიანობა კონკრეტული და ზოგადთეორიული წყაროთმცოდნეობის ხაზით — გროვდება საკუთარი გამოცდილება, — ხოლო მეორე მხრივ, ხდება წინარე ხანის მკვლევართა ნაშრომების (როგორც პუბლიკაციების, ისე გამოკვლევების) შესწავლა მათი გამოცდილების განზოგადების მიზნით. განსაკუთრებით ფასეულია ამ მხრივ ივ. ჭავჭავაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ დღე-

<sup>17</sup> Лихачев Д. С. К вопросу о реконструкции древнерусских текстов. — «Исторический архив», 1957, № 6, с. 154. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. მაგალითად, ვ. ბუგანოვის და ა. ზიმინს მიზანიათ, რომ ყოველგვარი მეცნიერება არსებული გამოცდილების საფუძველზე ვითარდება.

(Буганов В. И., Зимин А. А. О некоторых задачах специальных исторических дисциплин в изучении и издании письменных источников по истории русского средневековья. — «История СССР», 1980, № 1, с. 131).

საც რჩება სამაგიდო წიგნად ყველასათვის, ვინც საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პრობლემებზე სერიოზულ კვლევას ეწევა.

თანამედროვე ტექსტოლოგიის უპირველესი მოთხოვნაა, რომ წერილობითი ძეგლი ჯერ ზედმიწევნით იქნეს შესწავლილი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიციეს<sup>18</sup>. წერილობითი წყაროს კრიტიკული შესწავლა პირველ რიგში გულისხმობს მის ამოკითხვას და შინაარსის გაგებას. ძველი მწერლობის ძეგლებმა მეტწილად გვიანდელი ნუსხების სახით მოაღწიეს ჩვენამდე. მათ ტექსტებს მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდიათ რედაქტორებისა თუ გადამწერების ხელში. ამგვარად, წერილობითი ისტორიული წყაროების ტექსტებს თავიანთი ისტორია აქვთ<sup>19</sup>. ტექსტების ისტორიის შესწავლას და მათი გენეტიკური ერთობების დადგენას ემსახურება სამეცნიერო დისციპლინა — ტექსტოლოგია<sup>20</sup>. ტექსტოლოგიის ამოცანას შეადგენს წერილობითი ძეგლის გამოვლენა, მისი ტექსტის ისტორიის შესწავლა, ნუსხებს შორის გენეტიკური კავშირების დადგენა, ტექსტის ისტორიულად გააზრებული კრიტიკული წაკითხვა და მისი გამოსაცემად მომზადება<sup>21</sup>. ამგვარად, წერილობითი ძეგლების გამოცემა ტექსტოლოგიური კვლევის შედეგების ერთ-ერთი პრაქტიკული გამოყენებაა<sup>22</sup>. ამავე დროს, წერილობითი ძეგლების გამოცემა მხოლოდ ტექნიკის საკითხი კი არ

<sup>18</sup> Лихачев Д. С. Некоторые новые принципы в методике текстологических исследований древнерусских литературных памятников. — Известия АН СССР. Отделение литературы и языка, 1955, т. XIV, вып. 5, с. 406; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв. М.—Л., 1962, с. 475—476.

<sup>19</sup> Проиштейн А. П. Методика исторического источниковедения. Ростов-на-Дону, 1976, с. 77.

<sup>20</sup> მკვლევართა შორის დღესაც ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას იმის თაობაზე, დამხმარე დისციპლინაა ტექსტოლოგია თუ სპეციალური, საისტორიო დისციპლინაა თუ ფილოლოგიური. ასეთ ტერმინოლოგიურ კამათს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ტექსტოლოგიის როგორც მეცნიერების შინაარსის განსაზღვრისათვის. როგორც აღინიშნა, წყაროთმცოდნეობა კომპლექსური მეცნიერებაა. ტექსტოლოგია თავისი კვლევის საგნით შედის წყაროთმცოდნეობის შემადგენლობაში და მონაწილეობს მისი ძირითადი ამოცანის შესრულებაში. ისტორიკოსთათვის ტექსტოლოგია საისტორიო დისციპლინაა, მაგრამ რამდენადაც ლიტერატურათმცოდნეთათვისაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს და მეტწილად კვლევის ფილოლოგიურ ხერხებს იყენებს, მას შეიძლება სპეციალური ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინა ეწოდოს (შლრ. უ. სი და მონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები. თბ., 1972, გვ. 24—25).

<sup>21</sup> Буганов В. И. Текстология. — Советская историческая энциклопедия, т. XIV, 1973, с. 177—178.

<sup>22</sup> Лихачев Д. С. Некоторые новые принципы, с. 406; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 468.

არის, არამედ წყაროთმცოდნეობის თეორიაცაა<sup>23</sup>, დიდი კვლევითი მუშაობის დაგვირგვინებაა. რაც შეეხება ტექსტის ისტორიის შესწავლას, აქ მხოლოდ ნუსხებს შორის ურთიერთობის დადგენა და ტექსტში მომხდარი ცვლილებების მექანიკური აღნუსხვა კი არ იგულისხმება, არამედ გაცილებით უფრო რთული საკითხები. კერძოდ, ტექსტის ისტორია უნდა შეიძლებისდაგვარად შესწავლილ იქნეს მისი არსებობის მთელ მანძილზე. უნდა გათვალისწინებულ იქნეს ყველა ცვლილება, რასაც ტექსტი განიცდის ავტორის, გადამწერთა, რედაქტორების თუ კომპილატორების ხელში<sup>24</sup>. ამავე დროს, აუცილებელია არა მარტო აღნუსხვა ცვლილებებისა, არამედ მეცნიერულად ახსნა ძეგლის შინაარსსა და ისტორიულ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ისტორიული წყაროს ტექსტის სრულყოფილად შესწავლა, მისი მოძრაობის გათვალისწინება მთელ იმ პერიოდში, როცა ტექსტი ცვლილებებს განიცდიდა<sup>25</sup>. ამ ამოცანის შესრულება და, საერთოდ, შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების გამოსაცემად მომზადება დიდ ისტორიულ ცოდნას და პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს<sup>26</sup>.

მეცნიერება სპეციალობათა დიფერენციაციის გზით ვითარდება. მართალია, ერთი მხრივ ხდება სამეცნიერო დისციპლინების ინტეგრაცია, მაგრამ მეორე მხრივ ადგილი აქვს სულ ახალი და ახალი სპეციალობების წარმოქმნას, განსხვავებათა, სამეცნიერო გამოკვლევადობის მეთოდის სპეციფიკურ თავისებურებათა გაღრმავებას<sup>27</sup>. ეს კი მოითხოვს საგანგებო ცოდნას ყოველ სპეციალობაში. იგივე უნდა ითქვას, კერძოდ წყაროთმცოდნეობის შესახებაც, რომელიც კომპლექსური მეცნიერებაა და რამდენიმე სპეციალურ დისციპლინას ითავსებს. საგანგებო მომზადება აუცილებელია განსაკუთრებით წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემისათვის, რასაც, როგორც ითქვა, დიდი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სჭირდება.

შუა საუკუნეთა ისტორიის წერილობითი წყაროების გამოსაცემად მომზადების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსაცემი ძეგლისა და

<sup>23</sup> Черепнин Л. В. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья. — Юбилейный сборник, посвященный 100-летию со дня рождения И. А. Джавахишвили. Тбилиси, 1976, с. 172.

<sup>24</sup> Лихачев Д. С. Некоторые новые принципы, с. 406.

<sup>25</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 475.

<sup>26</sup> Черепнин Л. В. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 172.

<sup>27</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 469.



გამოცემის ტიპის შერჩევას, ისევე როგორც ტექსტის მომზადების პრინციპების დადგენას.

დიდი დაკვირვებულობა და სიღინჯე მართებს მკვლევარს გამო-საცემი ტექსტის შერჩევის დროს. აქ პირველ რიგში გათვალისწინე-ბულ უნდა იქნეს წერილობითი ძეგლის როგორც წყაროს ღირებულე-ბა და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, მისი გამოცემის აუცი-ლებლობა. მხოლოდ ამ ნიშნით შეიძლება გადაწყდეს ისტორიული წყაროს გამოცემის საკითხი და არა ამა თუ იმ მკვლევარის სუბიექ-ტური შეხედულებების მიხედვით. ამავე დროს მკვლევარმა ანგარიში უნდა გაუწიოს თავის საკუთარ ცოდნას და შესაძლებლობებს, არ აპყვეს ცდუნებას, დასძლიოს „სიხარბე“ და ხელი არ მოჰკიდოს მის-თვის შემთხვევით ძეგლს (თუნდაც მისგანვე მოპოვებულს), რომელიც მისი სამეცნიერო ინტერესების მიღმა დგას. ამით მკვლევარის ძვირ-ფასი დროც დაიზოგება და ძეგლიც გადარჩება უვარგის გამოცემას<sup>28</sup>. უთუოდ მეტ ყურადღებასა და სიფრთხილეს საჭიროებს უცხოური წყაროების ქართულად თარგმნა და გამოცემა. კერძოდ, გარდა შესა-ბამისი ეპოქის ისტორიისა, აუცილებელია, რომ მკვლევარმა ქართულ-თან ურთოდ ზედმიწევნით იცოდეს გამოსაცემად შერჩეული ტექსტის ენა. ეს ზოთხოვნა ერთი შეხედვით უცნაურად ჭერს. მაგრამ ამ ბო-ლო ხანებში მომრავლდა შემთხვევები, როცა ერთი მეცნიერი (მეტ-წილად, კომპეტენტური სპეციალისტი) ამოიკითხავს, შეისწავლის და თარგმნის უცხოურ ტექსტს, ხოლო მეორე კი (ძეგლის მომპოვებელი) „გამოსცემს“ მას.

როგორც უკვე ითქვა, საერთოდ წყაროთმცოდნეობაში და გან-საკუთრებით წერილობითი ძეგლების გამოცემის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო დასპეციალებას. კერძოდ, სანამ ამა თუ იმ ხანის წერილობითი ძეგლის გამოსაცემად მომზადებას შეუდ-გებოდეს, მკვლევარმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს შესაბამისი ეპოქის ისტორია, გაეცნოს ამ ხანის ხელნაწერ შემკვიდრობას, არსე-ბულ პუბლიკაციებს, გამოცემის წესებსა და პრინციპებს. სწორედ ამ მაღალი მოთხოვნებით იყო გაპირობებული ივ. ჯავახიშვილის შე-ხედულება „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა აღდგენილი ტექს-ტების ცალკეული გამოცემის შესახებ<sup>29</sup>. ეს ძეგლები სხვადასხვა ჯროს, სხვადასხვა პირთა მიერ, სხვადასხვა პირობებშია შექმნილი. მართალია, კრებულის შედგენის და თანდათანობით შევსების დროს კლასობრი-ვად მიზანმიმართული შერჩევა ხდებოდა თხზულებებისა და ზოგი-

<sup>28</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 534.

<sup>29</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ტექსტების ახალი გამოცემის შესახებ. — „მრავალთაი“, V. თბ., 1975, გვ. 266.

ერთმა მათგანმა გარკვეული ცვლილებები განიცადა „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის დროს, მაგრამ კრებულის ყოველი ნაწარმოები მაინც ინარჩუნებს თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათი გათვალისწინება აუცილებელია გამოსაცემად მომზადების დროს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიული ტექსტების გამოცემის ტიპის საკითხი.

პუბლიკაცია მისი მიზნობრივი დანიშნულებით შეიძლება იყოს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო<sup>30</sup>. ზოგიერთ მკვლევარს საპიროდ მიაჩნია სამეცნიერო გამოცემებში გამოჰყოს ისტორიკოსების, ლიტერატურათმცოდნეებისა და ლინგვისტებისათვის განკუთვნილი პუბლიკაციები ტექსტისა<sup>31</sup>. ასეთი ვიწრო სპეციალური დანიშნულება და ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისათვის გამიზნული გამოცემების დაპირისპირება ყოველთვის არ არის გამართლებული<sup>32</sup>. თუ წერილობითი ძეგლი (ამ შემთხვევაში ადგილობრივი ქართული წყაროები გვაქვს, მხედველობაში) მტკიცედ დადგენილი მეცნიერული პრინციპების მიხედვით გამოიცემა, ის ისტორიკოსებსაც ვერაძღვებთ და ფილოლოგებსაც.

წერილობითი ისტორიული ძეგლების გამოცემებში, ჩვეულებრივ, განასხვავებენ ტექსტის წინასწარ პუბლიკაციას, კრიტიკულ გამოცემას და რეკონსტრუქციას<sup>33</sup>. წინასწარი პუბლიკაცია თავის მხრივ ორი სახის არის — ფაქსიმილური და დიპლომატიკური. ფაქსიმილური ანუ ფოტოტიპიური პუბლიკაცია დამოუკიდებელი კვლევისათვის არის განკუთვნილი და მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად სრული შთაბეჭდილება შეუქმნას მკვლევარს ძეგლის ხელნაწერზე. რა თქმა უნდა, ფაქსიმილური პუბლიკაცია მთლიანად ვერ შეცვლის ხელნაწერს. კერძოდ, ის ვერ იძლევა წარმოდგენას საწერ მასალაზე, კვირნიშნებზე, მელნის ფერზე, კარგავს სინგურით ნაწერს და ა. შ. ამავე დროს, ასეთ პუბლიკაციაში ტექსტი გამომცემლის მიერ არ არის წაკითხული. ხელნაწერთა გადაღების ახალი ინდივიდუალური მეთოდ-

<sup>30</sup> Правила издания исторических документов в СССР. М., 1969, с. 6—7.

<sup>31</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 468—472; он же. Текстология. Краткий очерк, М.—Л., 1964, с. 69; он же. Некоторые новые принципы, с. 415—416.

<sup>32</sup> Черепнин Л. В. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 176; რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, 1, თბ., 1982, გვ. 6.

<sup>33</sup> Лихачев Д. С. По поводу статьи В. А. Черныха о развитии методов передачи текста исторических источников. — «Исторический архив», 1956, № 3, с. 191—192; გ. ალასანი. საისტორიო წყაროების გამოცემის ზოგიერთი პრინციპი. — «ქართული წყაროთმცოდნეობა», V, თბ., 1978, გვ. 100.

ბის ფართოდ გავრცელებასთან ერთად (ფოტო, მიკრო, როტო, ქსე-როპირების გადაღება) ფაქსიმილური პუბლიკაცია ტექსტისა თანდათან უფრო იშვიათი ხდება, თუმცა კი ზოგიერთი განსაკუთრებით იშვიათი ძველი ხელნაწერის დღევანდელი სახის შესანარჩუნებლად, მის „შეკვდავსაყოფად“, ურიგო არ იქნებოდა მისი კვლავაც გამოყენება.

დიპლომატიკურ გამოცემაში ტექსტი სტამბურად იბეჭდება მიაი ყველა თავისებურების შენარჩუნებით. აქ ტექსტი მეცნიერულად წაკითხულია, დაყოფილია სიტყვებად, დასმულია სასვენი ნიშნები, სწორდება მხოლოდ აშკარა კალმის შეცდომები. დიპლომატიკური წესით შეიძლება გამოიყენოს წერილობითი ძეგლის უძველესი ნუსხა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტექსტის შესასწავლად.

კრიტიკული გამოცემა წერილობითი ძეგლის მეცნიერული პუბლიკაციის ყველაზე გავრცელებული ტიპია, განსაკუთრებით თუ ტექსტმა ბევრი ნუსხით მოაღწია ჩვენამდე. ასეთ გამოცემაში ტექსტი იბეჭდება ერთი ძირითადი ნუსხის მიხედვით, დანარჩენი ნუსხების წაკითხვები კი შენიშვნებშია ნაჩვენები. თუ კითხვასხვაობები ზუსტად და სრულად არის მოტანილი, შესაძლებელი ხდება ყოველი ნუსხის მთლიანი ტექსტის წარმოდგენა.

ტექსტის გამოცემის მეოთხე ტიპია მეცნიერული რეკონსტრუქცია, რაც გულისხმობს ნაწარმოების არქეტიპის აღდგენას. გამოცემას ასეთი ტიპის აუცილებლობა იმით არის გაპირობებული, რომ შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების დიდი ნაწილი დამახინჯებით არას შემონახული გვიანდელ ნუსხებში და საჭიროებს ტექსტის აღდგენას<sup>34</sup>.

წერილობითი ძეგლის სამეცნიერო გამოცემის ტიპის შერჩევა დამოკიდებულია თვითონ ძეგლის ხასიათზე და ტექსტის მდგომარეობაზე და, აგრეთვე, გამოცემლის მიზანსა და შესაძლებლობებზე. ჩა. თქმა უნდა, არ არსებობს ისტორიული წყაროების ერთი რომელიმე სახისათვის მკაცრად განსაზღვრული ტიპი გამოცემისა. ერთი და იგივე ტექსტი შეიძლება სხვადასხვაგვარად, ანდა შერეულადაც გამოიყენოს. მაგალითად, ძეგლის კრიტიკულ გამოცემას ზოგჯერ ხელნაწერის ფოტოები დაერთვის და ა. შ.

<sup>34</sup> წერილობითი წყაროების მეცნიერული გამოცემის ტიპების შესახებ. იხ. Лихачев Д. С. По поводу статьи В. А. Черныха, с. 191; он же. Некоторые новые принципы, с. 415; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 472—487; он же. Текстология. Краткий очерк, с. 69—71; Азбелев С. Н. Текстология как вспомогательная историческая дисциплина. — «История СССР», 1966, № 4, с. 103—106; Пронштейн А. П. Методика исторического источникововедения, с. 141—146; Кикнадзе Р. К. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба», Тбилиси, 1980, с. 107—110.

მკვლევარნი განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ ტექსტის მეცნიერული გამოცემის სხვადასხვა ტიპის მიმართ. მაგალითად, ი. ჭივახიშვილი მომხრე არ იყო წერილობითი ძეგლის ერთი ხელნაწერის პუბლიკაციისა (ე. წ. დიპლომატიკური გამოცემა), როცა ტექსტი იბეჭდება მისი ყველა თავისებურების, მათ შორის შერყვნილი და გაუგებარი ადგილების შენარჩუნებით. მისი აზრით, „ასეთ შემთხვევებში გამომცემლის მოვალეობა მექანიკურ მუშაობას არ სცილდება და როგორც გამომცემლისა, ისევე, და უფრო მეტად წამკითხველას შრომა მომქანცველი, უმადური და მომაბეზრებელი ხდება“<sup>35</sup>. დ. ლიხაჩოვი, პირიქით, ფიქრობს, რომ დიპლომატიკური გამოცემა ტექსტის პუბლიკაციის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ზიციცხლისუნარიან ფორმაა<sup>36</sup>. მართლაც, ქართული ისტორიოგრაფიიდან რომ მოვიტანოთ მაგალითი, შეიძლება აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მარიაშვილი (1906 წ.) და ანასეული ნუსხების (1942 წ.) დიპლომატიკური გამოცემები ძალზე დღევარძელი გამოდგა. მათ დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა.

წყაროთმცოდნე მკვლევართა დიდ ნაწილს ტექსტის გამოცემის ერთ-ერთ აუცილებელ და მისაღებ ტიპად მიაჩნიათ რეკონსტრუქცია. ამასთან, მათი აზრით, კრიტიკულ გამოცემაში დასაშვებია და ზოგჯერ აუცილებელიც არის რეკონსტრუქციის ელემენტების შეტანა, ზოგიერთი შერყვნილი და გაუგებარი ადგილის აღდგენა. მართალია, ამგვარი ოპერაციის შედეგად ტექსტი დასცილდება გამოსაცემად შერჩეულ ნუსხაში წარმოდგენილ ტექსტს, მაგრამ სამაგიეროდ ის დაუახლოვდება არქეტიპს<sup>37</sup>. ივ. ჭავჭავიძე, „ქართლის ცხოვრების“ მკითხველთა ცალ-ცალკე გამოქვეყნების საკითხს რომ აყენებდა, წერდა: „თითოეული ისტორიკოსის თბულეების გამოცემის დროს მიზნად უნდა იყოს დასახული ავტორის ტექსტის იმ სახით აღდგენა, როგორც თვით მას ჰქონდა დაწერილი. მაშასადამე, ტექსტი ყველა ხელნაწე-

<sup>35</sup> ივ. ჭავჭავიძე. ქართული ისტორიოგრაფიის ახალი გამოცემის შესახებ. გვ. 264.

<sup>36</sup> Лихачев Д. С. К вопросу о реконструкциях древнерусских текстов, с. 155.

<sup>37</sup> Зимин А. А. О приемах научной реконструкции исторических источников. — «Исторический архив», 1956, № 6; Азбелев С. Н. Текстология как вспомогательная историческая дисциплина, с. 103—106; Шмидт С. О. Современные проблемы источниковедения. — В кн.: Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 44—45; Кикнадзе Р. К. Парсадан Горгиджანიძე и «Картლის ცხოვრება», с. 109—111.

რის მიხედვით აღდგენილიცა და ყველა მერმინდელი ჩანაწერისა და გადამწერთა შეცდომებისაგან გაწმენდილიც უნდა იყოს<sup>38</sup>.

თავისი განსაკუთრებული შეხედულება აქვს ტექსტის რეკონსტრუქციაზე დ. ლიხაჩოვს. მისი აზრით, რეკონსტრუქცია მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის გამოცემად და საინტერესოა მხოლოდ წერილობითი ძეგლის ხანგრძლივი კვლევის შედეგების თვალსაზრისით, რადგან უფრო მეტად ჰიპოთეზებს შეიცავს<sup>39</sup>.

შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ტექსტების რეკონსტრუქციის საკითხი თანამედროვე ტექსტოლოგიის ერთ-ერთი რთული პრობლემაა. პირველ რიგში გასარკვევია, თუ რა იგულისხმება ტექსტის რეკონსტრუქციაში. დ. ლიხაჩოვი საგანგებოდ აღნიშნავს, კამათი რომ ნაყოფიერი იყოს, აუცილებელია ტერმინებზე შეთანხმება<sup>40</sup>. მართლაც, რეკონსტრუქციის საკითხებზე კამათის დროს მკვლევარნი სხვადასხვა წინაარსს დებენ ამ ცნებაში. კერძოდ, დ. ლიხაჩოვის აზრით, რეკონსტრუქცია სავარაუდოდ აღდგენაა ტექსტის განვითარების რომელიმე კონკრეტული ეტაპისა. იგი მიზნად ისახავს წერილობითი ძეგლის არსებობის გარკვეული ეტაპის მთელი იდეურა და სტილისტური არსის, აგრეთვე ნაწარმოების ენის აღდგენას. მკვლევარი ფიქრობს, რომ რეკონსტრუქცია მკვეთრად განსხვავდება კრიტიკული გამოცემისაგან, რადგან კრიტიკული გამოცემის ტექსტი რეალობაა, რეკონსტრუქციისა კი ჰიპოთეზა. ტექსტი, რომელსაც საფუძვლად ვუდებთ რეკონსტრუქციას, შეიძლება სავსებით გამართული და გასაგებიც იყოს<sup>41</sup>. რაც შეეხება ნაწილობრივ რეკონსტრუქციას, დ. ლიხაჩოვი არ არის მისი მომხრე, რადგან შედეგად მიიღება ტექსტი, რომელიც არასოდეს რეალურად არ არსებობდა<sup>42</sup>.

ასეთი იდეალური გაგება თუ მივიღებთ რეკონსტრუქციის ცნებასა, ამოცანა მართლაც ბეტისმეტად რთული და ფაქტობრივად განუ-

<sup>38</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. გვ. 266.

<sup>39</sup> Лихачев Д. С. Некоторые новые принципы, с. 415; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 467; он же. Текстология. Краткий очерк, с. 48.

<sup>40</sup> Лихачев Д. С. К вопросу о реконструкциях древнерусских текстов, с. 159.

<sup>41</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале древнерусской литературы X—XVII вв., с. 449—467; он же. Текстология. Краткий очерк, с. 48—49.

<sup>42</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 451; он же. Текстология. Краткий очерк, с. 49; он же. По поводу статьи С. Н. Азбелова «Текстология как вспомогательная историческая дисциплина». — «История СССР», 1967, № 2, с. 234.

ხორციელებელი იქნება (მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში ქართული წერილობითი ისტორიული ძეგლები). ვთქვათ, ტექსტოლოგმა მოინდომა ეპითაღლმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტის აღდგენა. გავიხსენოთ, რომ თ. უორდანიძის ვარაუდით, თხზულების პირველი ნაწილი, დაახლოებით 1285 წლამდე, დაწერა სარგის ჯაყელმა, ხოლო მეორე ნაწილი — მისმა ვაჟმა ბექამ. 1310—1320 წლებში ვიღაც „ვარძიელმა“ სასულიერო პირმა გააგრძელა თხზულება და რედაქცია გაუკეთა მას<sup>43</sup>. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანის წინ „ასწლოვანმა მატიანემ“ ისევ გაიარა გარკვეული რედაქცია<sup>44</sup>. პირობით რომ დავუშვათ ვთათ ტექსტის განვითარების ასეთი ეტაპების არსებობა, მაშინ რეკონსტრუქტორს შეიძლებოდა მიზნად დაესახა აღედგინა, ვთქვათ, სარგისის მიერ დაწერილი ტექსტი, სარგისისა და ბექას მიერ შექმნილი ტექსტი, ვარძიელი ბერის თუ წინამძღვრის რედაქცია, „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ტექსტი. უნდა ითქვას, რომ „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტის განვითარების ჩამოთვლილი ეტაპების აღდგენა სრულიად შეუძლებელია თხზულების ტექსტის დღევანდელი მდგომარეობის გამო (აქვე უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ეს ეტაპები მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდის ნაყოფია).

ი. ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი შეხედულება „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ტექსტების რეკონსტრუქციის თაობაზე ორ მომენტს გულისხმობს. პირველია ტექსტის აღდგენა იმ სახით, როგორც თვით ავტორმა დაწერა, მეორე კი — მისი გათავისუფლება გვიანდელი ჩანართებისა და გადამწერთა შეცდომებისაგან. ამასთან ერთად, ი. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს სამუშაო არსებული ხელნაწერების მიხედვით უნდა შესრულებულიყო. უნდა ითქვას, რომ არსებული ხელნაწერების საფუძველზე ტექსტის გამართვა არ არის მისი რეკონსტრუქცია. ეს პირველ რიგში კრიტიკული გამოცემის ამოცანაა. ავტორის მიერ შექმნილი ტექსტის პირვანდელი სახით აღდგენა კი, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა მაგალითზე, თითქმის განუხორციელებელი ამოცანაა, რადგან მეტწილად ჩვენ სრული წარმოდგენა არა გვაქვს ავტორისეულ ტექსტებზე. ჩვენამდე მოღწეული ტექსტები ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებისა მნიშვნელოვნად არის გადაკეთებული, შეცვლილი და დამახინჯებული. ტექსტის დამახინჯებანი, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა აღნიშნული ჩვენს

<sup>43</sup> თ. უორდანიძე. ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 557—584.

<sup>44</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით, თხზარის პირველი ისტორიკოსისა და ეპითაღლმწერლის თხზულებები ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანამდე იყო გაერთიანებული და ამ სახით არსებობდა დამოუკიდებლად (ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 309). ესეც კიდევ ერთი დამატებითი ეტაპი ტექსტის ისტორიისა.

ისტორიოგრაფიაში, ზოგჯერ ისეთ სახეს ღებულობს, რომ არსებული ნუსხების მონაცემების მიხედვით შეუძლებელი ხდება მათი გასწორება. ხოლო, რადგანაც ტექსტის არსებობა აუცილებლად გულსხმობს მის აზრიანობას, რამდენადაც ასონიშნებისა თუ სიტყვების უაზრო რიგი არ არის ტექსტი<sup>45</sup>, ამდენად აუცილებელია შერყვნილი და გაუგებარი ადგილების აღდგენა ანუ ნაწილობრივი რეკონსტრუქცია ტექსტისა. მართალია, ნაწილობრივ აღდგენილი ტექსტი ზუსტად არ დაემთხვევა მისი განვითარების ერთ რომელსავე ეტაპს. ვთქვათ, ეპიტაფიურის თხზულების ტექსტი, რომელშიც ყველა შეცდომა გასწორებულია და გაუგებარი ადგილები აღდგენილია, უკვე აღარ იქნება „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებში მოთავსებული შერყვნილი ტექსტი, მაგრამ ის ჯერ არ იქნება არც ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი<sup>46</sup>, თუნდაც იმიტომ, რომ „ასწლოვან მათიანეში“ არის ნაკლები ადგილები, რომელთა შეესება ამჟამად შეუძლებელია.

ამიტომ ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა განსაკუთრებული მდგომარეობის გამო რეკონსტრუქციის მიზნად ჩვენ შედარებით მოკრძალებული ამოცანა გვესახება. არა არასებული არქეტიპის აღდგენა, არამედ რეალურად არსებული ტექსტის გვიანდელი ჩანართებისაგან გათავისუფლება, გაუგებარი ადგილების გასწორება, შერყვნილი და უაზრო ადგილების აღდგენა და მთლიანად ტექსტის გააზრანება. ეს ამოცანა ნაწილობრივ ემთხვევა კრიტიკული ტექსტის დადგენის ამოცანას იმ განსხვავებით, რომ კრიტიკული გამოცემისათვის ტექსტი არსებული ნუსხების (თანაც უსათუოდ ერთი რომელიმე რედაქციის ნუსხების) მიხედვით მზადდება, რეკონსტრუქცია კი მეტწილად დამხმარე წყაროების საფუძველზე ანდა აზრობრივ-ლოგიკური მეთოდით ხორციელდება. რა თქმა უნდა, ასეთი აღდგენა საკმაოდ რთული საქმეა და დიდ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად ზუსტად დამუშავებული მეთოდის მომარჯვებასაც მოითხოვს.

არსებობს საერთო ამოცანები ისტორიული წყაროების გამოცემისა და ამის შესაბამისად შემუშავებულია საერთო პრინციპებიც ტექსტების გამოსაცემად მომზადებისა. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია თვითონ წერილობითი ძეგლების თავისებურებათა გათვალისწინება და აქედან გამომდინარე შერჩევა გამოცემის პრინციპების და მეთოდებისა. არ არსებობს ზოგადად ტექსტოლოგიური მეცნიერება

45 Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 450, 496, 500.

46 ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ არქეტიპის აღდგენაზე, რადგან, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ მცხეთური ციკლის ნუსხების ტექსტი უკვე არქეტიპში იყო იმ სახით შერყვნილი, როგორი სახითაც მოაღწია ჩვენამდე.

და ზოგადად ტექსტოლოგი. მკვლევარი ერთ რომელსაძე ეხაზე არსებული წერილობითი ძეგლების ერთ გარკვეულ სახეს სწავლობს და განაზოგადებს თავისი კვლევის შედეგებს. ის ამ კონკრეტულ დარგში კომპეტენტური და თავისი ცოდნისა და შესაძლებლობების მიხედვით შეარჩევს გამოსაკვეყნებელ წყაროს. მისი გამოცემის მეთოდოლოგია კი უკვე ტექსტის მდგომარეობაზე და გამოცემის მიზანზე იქნება დამოკიდებული. არ შეიძლება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დადგენილი წესები იქნეს გამოყენებული ყველა ტექსტის გამოცემის დროს. გამოცემის წესების დადგენა შემოქმედებითი სამუშაოა და ტექსტის ყოველმხრივ შესწავლის შედეგებს უნდა ემყარებოდეს.

წყაროთმცოდნეობით ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციის ტექსტები ცალ-ცალკე უნდა გამოიცეს<sup>47</sup>. არ შეიძლება რედაქციების ერთმანეთში შერევა, რადგან ამ დროს წარმოიქმნება ახალი, შერეული რედაქცია ტექსტისა. მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ერთი რედაქციის ნუსხები ვერ იძლევა საკმარის მასალას ტექსტის ამა თუ იმ წახდენილი ადგილის აღსადგენად. მაგალითად, ამჟამად დადგენილია, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებების, კერძოდ, თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიათა და აზმათა“ და ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატრიანის“ ტექსტებს დასადგენად საფუძვლად უნდა იქნეს აღებული მცხეთური „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარე ნუსხათა შორის უძველესი — მარიამისეული ნუსხა. მაგრამ რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი უკვე ამ ნუსხების არქეტაპში იყო დაზიანებული, მცხეთური ციკლის დღეს ცნობილი ყველა ნუსხა ზემოთ დასახელებული თხზულებების ერთნაირად ნაკლულ და დამახინჯებულ ტექსტს შეიცავს. ზოგიერთი ადგილი ტექსტისა იმდენად არის შერყვნილი, რომ საერთოდ შეუძლებელია აზრის გამოტანა. ამიტომ, თუმცა ურყევია ის დებულება, რომ სხვადასხვა რედაქციის წაკითხვათა ერთმანეთში შერევა დაუშვებელია, მაინც ხშირ შემთხვევაში ტექსტოლოგი იძულებულია მიმართოს ვახტანგისეული რედაქციის ჩვენებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ტექსტის სრულად და სწორად აღდგენას. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ, როგორც ირკვევა, ყველა განსხვავება, რაც „ქართლის ცხოვრების“ ძველი და ვახტანგისეული რედაქციების ტექსტებს შორის გვხვდება, მთლიანად სწავლულ კაცებს არ ეკუთვნის. განსხვავებათა ერთი ნაწილი ძველი რედაქციის ჩვენამდე მოუღწეველ ნუ-

<sup>47</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 521; რ. კ. კ. ა. ძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 118, 123, 202.



სხათა ჩვენებას ემყარება. ამგვარად, ვახტანგისეული რედაქციის ნუსხათა მეშვეობით მოსახერხებელი ხდება ტექსტის ძველი რედაქციის ნამდვილი წაკითხვების აღდგენა. სწორედ ეს არის რეკონსტრუქციის ელემენტების შეტანა კრიტიკულ გამოცემაში, ან ნაწილობრივი რეკონსტრუქცია ტექსტისა<sup>48</sup>.

ცნობილია, რომ თამარის ე. წ. მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტმა სრული სახით არ მოაღწია ჩვენამდე. „ქართლის ცხოვრების“ ჰალაშვილისეული ნუსხის ძველ ნაწილში „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ბასიანის ბრძოლის წინა მოვლენებზე წყდება. თხზულების დასასრული შემონახული არ არის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. რამდენადაც შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის მეფობის ხანის ისტორია ძირითადად პირველი და მეორე ისტორიკოსებას თხზულებათა შერწყმით არის შედგენილი, ივ. ჯავახიშვილმა შესაძლებლად მიიჩნია გამოკლების მეთოდით პირობითად აღედგინა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. ეს არის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია ტექსტისა (ზოგჯერ თხზულების დაკარგული ნაწილის აღდგენას რესტავრაციას უწოდებენ ტექსტოლოგიაში). ასეთი ხასიათის სამუშაოს ჩატარება აუცილებელი იყო. მართალია, როგორც თვითონ ივ. ჯავახიშვილი აღიარებდა, ამ გზით მიღებული თხრობა არ იქნება თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ნამდვილი ტექსტი<sup>49</sup>, მაგრამ მეთოდი ტექსტის აღდგენისა ძირითადად სწორია. ივ. ჯავახიშვილის შრამის შედეგად ამჟამად ჩვენ გვაქვს, მართალია, მეორე ნაწილში საუბარაუდო, მაგრამ მაინც სრული ტექსტი თამარის ეპოქისადმი მიძღვნილი საისტორიო ნაწარმოებისა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. კერძოდ, ჯერაც სათანადოდ დამუშავებული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არა თხზულების ატრიბუცია, ტექსტის მოცულობა, დაწერისა და „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის თარიღები, მისი როგორც ისტორიული წყაროს ღირებულება და ა. შ.

ეპითალმწერლის „ასწლოვან მათიანეში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ანაქრონიზმები, დარღვეულია ისტორიულ მოვლენათა თხრობის თანმიმდევრობა. სამწუხაროდ, „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწე-

<sup>48</sup> რა თქმა უნდა, ვახტანგისეული რედაქციის წაკითხვების გამოყენების დროს დიდი სფრთხილე და ზომიერების დაცვაა საჭირო. უნდა შესწორდეს აშკარად დამახინჯებული ადგილები ტექსტისა. სწორი წაკითხვების „უკეთესი“ წაკითხვებით შეცვლა, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს ხოლმე, დაუშვებელია.

<sup>49</sup> ივ. ჯავახიშვილი ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. — თხზულებანი, ტ. VIII; თბ., 1977, გვ. 387.

რების დღევანდელი მდგომარეობის გამო შეუძლებელია გარკვევა, ავტორისეულია ეს ანაქრონიზმები თუ რედაქტორის ან გადამწერთა საქმიანობის შედეგია. ამდენად, ტექსტოლოგი მიზნად ვერ დაისახავს თხზულების ზუსტი ქრონოლოგიური რიგის აღდგენას. მას ისლა დარჩენია, რომ გამოკვლევასა და კომენტარებში აღნიშნოს არსებული ანაქრონიზმები. ამავე დროს, არაიშვიათია „ასწლოვან მატთანეში“ ლაკუნები. დღეს ცნობილ ყველა ნუსხაში ტექსტს აკლია მოზრდილი ნაკვეთები, რომელთა გარეშე ირღვევა თხრობის მიმდინარეობა და არაერთი გაუგებრობა წარმოიქმნება<sup>50</sup>. ზოგიერთი ასეთი ნაკლული ადგილი აღდგენილია ვახტანგის კომისიის მიერ (ან, უკეთ რომ ითქვას, ვახტანგის კომისიას ხელთ ჰქონია ისეთი ნუსხა თუ ნუსხები, სადაც ზოგიერთი ადგილი უფრო სრულად იყო წარმოდგენილი, ვიდრე დღეს ჩვენთვის ცნობილ ნუსხებში)<sup>51</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსგავს შემთხვევებში დიდი სიფრთხილით შეიძლება აგრეთვე ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ე. წ. მეორე ნაწილის გამოყენება.

„ქართლის ცხოვრებისა“ და ფ. გორგიჯანიძის თხზულების გენეტიკური ურთიერთობის საკითხებს ამ ბოლო დროს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. კერძოდ, გარკვეულია, რომ გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილი „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მატთანის“ თავისებურ, შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიოგრაფიისათვის იმის დადგენას, რომ გორგიჯანიძის მიერ გამოყენებული ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“ უფრო სრული და უკეთ შენახული ყოფილა, ვიდრე დღეს ცნობილი ნუსხებია. ამის წყალობით გორგიჯანიძემ შემოგვინახა მასალა, რომლის საფუძველზე შეიძლება გავეცნოთ „ასწლოვანი მატთანის“ ნაკლული ადგილების დედააზრს. რასაკვირველია, ფარსადან გორგიჯანიძის მასალებით ვერ მოხერხდება ეამთაღმწერლის თხზულების ხარვეზების რეკონსტრუქცია (რადგან, როგორც ითქვა, გორგიჯანიძის თხრობა მხოლოდ შემოკლებული ვერსიაა „ქართლის ცხოვრებისა“), მაგრამ სამაგიეროდ შეგვიძლია საკმაოდ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მათ შინაარსზე<sup>52</sup>.

რაკი გორგიჯანიძეზე ჩამოვარდა სიტყვა, აუცილებლად უნდა შევხვით მისი ისტორიული თხზულების გამოცემის მეთოდის საკუ-

50 იხ. მაგალითად, ი. ვ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1965, გვ. 223.

51 იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ტფ., 1906, გვ. 772—777, 780—782; ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 315—318, 321—322.

52 რ. კ ი კ ნ ა ძ ე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 141—152, 182—200.

თხსაც. ამჟამად უკვე შეიცვალა ისტორიკოსთა დამოკიდებულება გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილის მიმართ. კერძოდ, ექვს აღარ იწვევს მისი მნიშვნელობა „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მათიანის“ კრიტიკული ტექსტების დასადგენად. ამდენად, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა გამოსაცემად მზადებასთან ერთად დღის წესრიგში დგება „საქართველოს ცხოვრების“ სრული ტექსტის გამოქვეყნების საკითხიც. ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1936 წელს გულისტყვივით შენიშნავდა, რომ გორგიჯანიძის თხზულების მხოლოდ ბოლო ნაწილი იყო გამოქვეყნებული, ხოლო ტექსტი „მთლიანად დღევანდლამდე წინანდებურად გამოუცემელია“-რ. მანვე შეიტანა გორგიჯანიძის თხზულება გამოსაცემი ქართული ისტორიული ძეგლების სიაში<sup>53</sup>.

ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“ რთული შედგენალობის ძეგლია, რაც თავისთავად განაპირობებს მისი ტექსტის გამოცემის სირთულესაც. ივ. ჯავახიშვილმა გამოყენებული წყაროების მიხედვით გორგიჯანიძის თხზულება პირობითად ოთხ ნაწილად დაჰყო და თითოეული ნაწილის დახასიათებაც მოგვცა. გამოყენებული წყაროების თავისებურებანი განაპირობებენ „საქართველოს ცხოვრების“ სხვადასხვა ნაწილების თავისებურებებსაც, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს. თითქოს პარადოქსული ვითარება იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ გორგიჯანიძის თხზულებამ ავტოგრაფით მოაღწია ჩვენამდე, მაინც გვიხდება საუბარო მისი ტექსტის დადგენის მეთოდის თავისებურებებზე. კერძოდ, ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ განსხვავებული მეთოდით მომზადდეს მეორე ნაწილისა და მესამე-მეოთხე ნაწილები ტექსტი.

გორგიჯანიძის თხზულების მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს თამარის გამეფებიდან XIV საუკუნის დამდეგამდე, როგორც უკვე ითქვა, „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მათიანის“ მიხედვით არის შედგენილი. ფარსადანი შორეულ ისფაჰანში, თანაშემწეებისა და დამხმარეთა გარეშე წერდა თავის თხზულებას. როგორც ირკვევა, მას ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ისეთი ხელნაწერი, რომელშიც რიგ შემთხვევებში ტექსტი უფრო სრულად და უკეთ იყო შემონახული, ვიდრე დღეს ცნობილ ნუსხებშია. მაგრამ ამჟამად დროს ფარსადანის ხელნაწერში ბევრი ადგილი დამახინჯებული ყოფილა და ჩვენს ისტორიკოსს ყოველთვის ვერ მოუხერხებია „ქართლის ცხოვ-

<sup>53</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 263, 266.

რების“ შერყვნილ ტექსტში გარკვევა და ბევრი შეცდომაც დაუშვია თავისი თხზულების ე. წ. მეორე ნაწილში. ზოგიერთი დამახინჯებული და უაზრო წინადადება ფარსადანს უცვლელად გადაუწერია თავისი წყაროდან, ზოგიც სხვაგვარად გაუაზრებია. ნაწარმოების ტექსტის არსებობა აუცილებლად გულისხმობს მის აზრიანობას. ეს თანაბრად ეხება როგორც ნაწარმოების ავტორს და გადაწერებს, ისე რედაქტორებსა და გამომცემლებსაც<sup>54</sup>. ამდენად, თუმცა ფარსადანმა თავისი ხელით დაწერა ზოგიერთი ის უაზრო და გაუგებარი წინადადება, მისი თხზულების მეორე ნაწილში რომ გვხვდება, ტექსტოლოგს უფლება არა აქვს იმავე სახით მიაწოდოს ისინი მკითხველს კრიტიკულად გამომცემულ ტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ გორგიჯანიძის თხზულება ავტოგრაფით არის შემორჩენილი, აქ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და გამომცემის მეთოდიკაც განსაკუთრებული უნდა იყოს. კერძოდ, ტექსტოლოგს უფლება აქვს „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მატიახის“ ტექსტები გამოიყენოს გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილის გაუგებარი ადგილების აღსადგენად. ამ შემთხვევაში ტექსტოლოგმა პროგნოზირებას უნდა მიმართოს. მან უნდა აღადგინოს ის სავარაუდო ტექსტი, რომელსაც შექმნიდა გორგიჯანიძე, მას რომ „ქართლის ცხოვრების“ უკეთესად დატული ხელნაწერით ესარგებლა<sup>55</sup>. რა თქმა უნდა, ასეთი აღდგენა ძალიან რთული და პასუხსაგები საქმეა და პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად დიდ მეცნიერულ სიფრთხილეს, ზომიერებასა და ტაქტსაც მოითხოვს.

„ისტორიათა და აზმათა“ და გორგიჯანიძის თხზულების ტექსტების შედარებითი შესწავლის შედეგად „საქართველოს ცხოვრებაში“ გამოვლენილი ზოგიერთი დამახინჯებული ადგილის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სხვა ნაშრომში<sup>56</sup>. აქ დამახინჯებათა და აღდგენის მხოლოდ რამდენიმე დამატებით მაგალითს მოვიტანთ.

1. გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ თამარმა „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე და უბოძა გურია უკლებლივ ათინამდისინ, და უბოძა სარქა-

<sup>54</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 500.

<sup>55</sup> ტექსტის რეკონსტრუქციის დროს მეცნიერული პროგნოზირების ელემენტების გამოყენება დასაშვებად მიაჩნია ს. შმიდტს (Шmidt С. О. Современные проблемы источниковедения, с. 44—45).

<sup>56</sup> რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღი“, თბ., 1975, გვ. 45—49.

სის ძესა ივანეს ქურდვაპრით განჯამდისინ, ქალაქითა და თემითა, სოფლებით, და საჯელოთა მსახურთ უხუცესობა“<sup>57</sup>.

აშკარაა, რომ ტექსტის ამ სახით მკითხველისათვის მიწოდება კრიტიკულ გამოცემაში არ შეიძლება. ამ წინადადებას აუცილებლად ესაჭიროება გააზრიანება. „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში, მარიამისეული ნუსხის მიხედვით, შესაბამის ადგილას იკითხება: „შეიწყალა ზაქარია ვარდანის ძე და უბოძა გარგი ქურდ ვაპრითა განჯამდეს მრავლითა საკუთრითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთ უხუცესობა“<sup>58</sup>. ამ ორი ტექსტის ურთიერთშედარების საფუძველზე შედარებით ადვილად ხერხდება გორგიჯანიძის თხზულების ზემოთ მოტანილი ადგილის გასწორება: „შეიწყალა ზაქარია ვარამის<sup>59</sup> ძე და უბოძა გაგი უკლებლივ ქურდვაპრით განჯამდესინ, ქალაქითა და თემითა, სოფლებით. და უბოძა სარქისის ძესა ივანეს საჯელოთა მსახურთუხუცესობა“.

2. ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალებისა და მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელის ათაბაგად დანიშვნის შემდეგ, გორგიჯანიძის სიტყვით, „მსახურთ უხუცობა უბოძეს ვარამ გურიელს და აქ გურიელი დასვეს ძესა კაცსა სანაპიროსა ლაშქრობათ შინა გამარჯვებულსა“<sup>60</sup>.

„ისტორიათა და აზმათა“ მიხედვით, თამარმა უბოძა „მსახურთ უხუცესობა ვარამს, ზაქარიას გაგელის ძესა, კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათა შინა გამარჯვებულსა“<sup>61</sup>. აქაც ძალიან ადვილად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხერხდება ფარსადანის გაუგებარი ტექსტის აღდგენა: „მსახურთუხუცობა უბოძეს ვარამ გაგელს, ზაქარია გაგელის ძესა, კაცსა საპატიოსა, ლაშქრობით შინა გამარჯვებულსა“.

გორგიჯანიძის თხზულების იმ ნაწილში, რომელიც „ასწლოვანი მატრიანის“ მიხედვით არის შედგენილი, შედარებით ნაკლებად გვხვდება გაუგებარი წინადადებები, რაც მისი წყაროს ტექსტის უკეთესი მდგომარეობით აიხსნება. აქ უფრო ხშირად ცალკეული სიტყვებია

<sup>57</sup> ფ. გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხელნაწ. H 2140. ფ. 19r. (ფ. გორგიჯანიძის თხზულების ორი ხელნაწერი—H 2492 და H 2140 ამჟამად გაერთიანებულია და ახლად არის გადნაშრობილი. ჩვენ ვსარგებლობთ ძველი პაგინაციით).

<sup>58</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 442.

<sup>59</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორგიჯანიძისთან სწორად არის შემონახული აკუთარი სახელი „ვარამი“ („ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაშია „ავრდანი“).

<sup>60</sup> ფ. გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება. ხელნაწ. H 2140, ფ. 31v.

<sup>61</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 527.

დამახინჩებული, რის გამოც ზოგჯერ იცვლება წინადადების აზრი<sup>52</sup>. გვხვდება აგრეთვე დამახინჩებული პირთა და გეოგრაფიული სახელები. მაგალითად, გორგიჯანიძის მიხედვით, „ვითაც აღარ იყო ღონე, წავიდა ნარინ დავით, თან წაატანა მეფემან რუსუდან მცირედით ნავითა თანშესდილნი ქართლის ერისთავი სურამელის გრიგოლის შვილი ბექა, გურიელი გარუველი მახუჯაგიძე, ამირ ეჯიბი ბეშქენა, და ორი თვალი ძვირის ფასისა, წავიდა შემოდგომად ქვაკლდეს ავაქისასა და ახლათის სულთანსა, რომე პირველ იგინი წავიდნენ თათართ თანა“<sup>53</sup>. როგორც ვხედავთ, ტექსტში აშკარად დამახინჩებულია რაჰდენიშე ადგილი. კერძოდ, „მცირედით ნავითა“, „გურიელი გარუველი მახუჯაგიძე“, „წავიდა შემოდგომად ქვაკლდეს“ არ იძლევიან ტექსტის აზრიანი წაკითხვის შესაძლებლობას.

ემათაღმწერლის თხზულების შესაბამისი ადგილის მიხედვით გორგიჯანიძის ტექსტი შეიძლება ასე გაიმართოს: „ვითაც აღარ იყო ღონე, წავიდა ნარინ დავით. თან წაატანა მეფემან რუსუდან მცირედით თანშესდილნი — ქართლის ერისთავის სურამელის გრიგოლას შვილი ბექა, გურკლელი მახუჯაგისძე, ამირეჯიბი ბეშქენა, და ორი თვალი ძვირის ფასისა. წავიდა შემდგომად კვალსა ავაქისასა და ახლათის სულთანსა, რომე პირველ იგინი წავიდნენ თათართა თანა“.

ვფიქრობთ, მსგავსი შესწორებების შეტანა დასაშვებია გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ავტოგრაფული ტექსტის გამოცემაში იმ მიზნით, რომ მკითხველს შესაძლებლობა მიეცეს გაერკვეს აღწერილი ამბების არსში, ხოლო ტექსტი მთლიანად აზრიანი და გასაგები გახდეს. რა თქმა უნდა, ტექსტში შეტანილი ყველა ცვლილება, როგორც ეს სხვა დროსაც არაერთგზის აღგვინიშნავს, უნდა ემყარებოდეს „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების ჩვენებებს და სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული გამოკვლევაში ან შენიშვნებში.

ძველ ხელნაწერებში ტექსტში გამოყოფილი არ არის წინადადებები და აბზაცები, დასმული არ არის სასვენი ნიშნები. ზოგჯერ ორი სიტყვა შეერთებულია ანდა, პირიქით, ერთი სიტყვა გაყოფილია და ა. შ. ამდენად, წერილობითი ძეგლის გამოსაცემად მომზადების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის სწორად წაკითხვას. არასწორად ამოკითხულმა ან აღდგენილმა სიტყვამ, მცდარად დაყოფილმა წინადა-

<sup>52</sup> მაგალითად გორგიჯანიძესთან გვხვდება „გააგლო მანდატური“. „ყაენებით ვენახებამდისინ“, „კარავი ერთი“, „კარავი ორი“ და ა. შ. (ხელნაწ. H 2140, ფ. 65r). უნდა იყოს: „განაგო მანდაურო“ (მარიამისეულ ნუსხაში — „განგომანდური“, გვ. 664), „ყაენებით ვენახებამდისინ“, „კარავი ერთი“, „კარავი ორი“ (შდრ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 235).

<sup>53</sup> ფ. გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება, ხელნაწ. H 2140, ფ. 53r.

დებებმა და, მით უმეტეს, უადგილო აზრებმა შეიძლება სრულიად შეცვალონ შესაბამისი კონტექსტის შინაარსი.

1. მაგალითად, თამარისათვის საქმროს შერჩევას რომ ეხება, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი, მარიამისეული ნუსხის მიხედვით, გვამცნობს: „გამოვინმე ჩუენდა მეტყუელნი მკვდრთა ტფილისისათ შინა თავადი და მეფეთ მეფისაგან წყალობა კელ დასმული და ამირა ქართლისა ტფილისის, სახელითა აბულოსან“<sup>64</sup>.

წინადადების დასაწყისი ნაწილი გაუგებარია. ივ. ჯავახიშვილმა ეს ადგილი ასე აღადგინა: „გამოვი[და ვი]ნმე ჩუენდა მეტყუელი“<sup>65</sup> და ა. შ. მისი აზრით, თამარის ისტორიკოსი პირადად ესწრებოდა. ამ ბჭობას, სადაც თამარის საქმროს საკითხი წყდებოდა, თითქოს სწორედ იქ „გამოვიდა ვინმე ჩუენდა მეტყუელი“ და თავისი აზრი გამოთქვა.

კ. კეკელიძემ „ისტორიათა და აზმათა“ მის მიერ აღდგენილ ტექსტში ნაკლები ჩარევით და ასოების ჩამატების გარეშე, ჩვენი აზრით, უფრო მართებულად გაიაზრა წინადადების დასაწყისი: „გამოვინმეჩნდა მეტყუელი მკვდრთაგან ტფილისისათა“<sup>66</sup>. როგორც ჩანს, ასევე ესმოდათ ამ ადგილის შინაარსი ვახტანგის კომისიის წევრებსაც („მამინ წარმოდგა კაცი ერთი ტფილისისა მკვიდრთაგანი თავადი...“)<sup>67</sup>.

2. უამთაღმწერლის ცნობით; ზაქარია ამირსპასალარი განუდვა ჰულაგუ-ხანს და დასავლეთ საქართველოში გადავიდა იმ მიზეზით, რომ „ბერქას ლაშქართ გამოსულა მასმია ჩემეს“<sup>68</sup>. ვახტანგის კომისიამ ტექსტი თავისებურად გაიაზრა: „ბერქას ლაშქართა გამოსვლა მასმია ჩემ ზედა“<sup>69</sup>, ე. ი. თითქოს ზაქარია ამბობდა, ბერქას ლაშქარის ჩემს წინააღმდეგ წამოსვლის ამბავი მესმა და ამიტომ მოვიქეციო ასე. ივ. ჯავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხის ჩვე-

64 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 415.

65 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 226.

66 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. კ. კეკელიძის რედაქციით. თბ., 1941, გვ. 81. ასეთივე წაკითხვა გაზიარებულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტში („გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი მკვდრთა ტფილისისათა შინა“. — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36). კ. გრიგოლია ივ. ჯავახიშვილის კონიექტურას ამჯობინებდა (კ. გრიგოლია. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ვინაობის საკითხისათვის. — კრებ.: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 246—247).

67 ქართლის ცხოვრება. რუმინაეცვისეული ნუსხა. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხელნაწ. H 2080, ფ. 272r.

68 ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. გვ. 688.

69 ქართლის ცხოვრება, რუმინაეცვისეული ნუსხა, ფ. 421r.

ნების საფუძველზე უფრო მარტივად და სწორად გადაწყვიტა ეს საკითხი. მისი სავსებით სწორი ვარაუდით, ზაქარია იმიტომ გადავიდა დასავლეთ საქართველოში, რომ „ბერქას ლაშქართ გამოსვლა მას მიაჩემეს“<sup>70</sup>, ე. ი. მას დააბრალეს. ტექსტის ასეთ წაკითხვას მხარს უჭერს ფ. გორგიჯანიძეც, რომელიც შესაბამის ადგილას გვამცნობს: „წაუვიდა ჰალაქუ-ხანს შიშისა და მოჩიდებისათვის შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლის სიკეთით სავსე, გარღვიდა ქუთაისსა და მეფეს ნარინ დავითს მიუვიდა და ემთხუია ამისთვის, რომე ბერქა ყაენის ლაშქრის გამოსვლას ჰალაქუ ყაენი ამას აბრალედა“<sup>71</sup>.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერილობითი ძეგლის ტექსტის გაგებისათვის სასვენი ნიშნების განლაგებას, წინადადებებზე დაყოფას, აბზაცების მონიშვნას.

მაგალითად, შამქორის ბრძოლის მსვლელობის აღწერისას თამარას პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ათაბაგ აბუ ბექრის ლაშქარი ბრძოლის ველზე დავით სოსლანის გამოჩენამდე უმკლავდებოდა ქართველებს, მეფისა და მისი რაზმის მოსვლის შემდეგ კი მათი საქმეც უდრად წავიდა<sup>72</sup>. კ. კეკელიძემ ამ ეპიზოდის შემცველი წინადადება ორად გაყო: „და მათ, პირველ-მოსრულთა, წახეთქნეს ნახევარნი. რაზმთანი, და ვიდრე მეფისა მოსლვამდე გამაგრდა რაზმი ათაბაგისაჲ. და<sup>73</sup> რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხუაჲ ღმრთისაჲ უხილავი და კრძლები და ჰოროლები მეფისაჲ, რაზმთა მისთა მომსრუელი“<sup>74</sup>.

ამ წინადადების ორად გაყოფა წერილობით და მით უმეტეს აბზაცით არაფრით არ არის გამართლებული, რადგან აზრი აშკარად მახინჯდება<sup>75</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ. ბროსეს, რომელმაც ვახუტანგის კომისიის მიერ ორი ისტორიკოსის თხზულებათა შერწყმის

70 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 167, ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტში გაზიარებულია ვახუტანგის კომისიის წაკითხვა („მასმინა ჩემ ზედა“, — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 250). გამოკვლევაში კი აღნიშნულია, რომ მართებულია ივ. ჯავახიშვილის კონიექტურა — „მას მიაჩემეს“ (იქვე, გვ. 051).

71 ფ. გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება, ხელნაწ. II 2140. ფ. 74v.

72 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 467.

73 ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ამ ადგილას აბზაციც არის გამოყოფილი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 71).

74 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 107.

75 კიდევ უფრო ნათლად ჩანს სასვენი ნიშნების ასეთი განლაგებით დამცებული შეცდომა რუსულ თარგმანში: «Июка царь подоспел, отряды атабага успели подкрепиться. Когда они увидели царя, на них обрушился гнев божий... (История и восхождение венесосцев. Перевод К. С. Кекелидзе. Тбилиси, 1954, с. 61). უნდა იყოს: «До прибытия царя отряд атабека держался, а как увидели царя, на них обрушился гнев божий».



შედევად მიღებული ტექსტი გამოსცა თამარის ცხოვრებისა, სასეხბიო სწორად ჰქონდა დასმული სასენი ნიშნები: „და ვიდრე მეფისა მოსკლამდე გამაგრდა რაზმი ათაბაგისა და სპარსთა, და რა-ჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხვა ღვთისა მათ-ზედა“<sup>76</sup>. ასევე სწორად, ერთ წინადადებად ჰქონდა გააზრებული ხსენებული ადგილი ივ. ჯავახიშვილსა<sup>77</sup>.

წერილობითი ისტორიული წყაროს სამეცნიერო გამოცემას წაემძღვარება შესავალი წერილი — წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, რომელშიც გადმოცემულია ტექსტის შესწავლის ისტორია, განსაზღვრულია ძეგლის შექმნის დრო და პირობები და ა. შ. აქვე მოცემულია ძირითადი ცნობები გამოყენებული ხელნაწერების შესახებ, დახასიათებულია ადრინდელი გამოცემები, თარგმანები და სხვ. გადმოცემული უნდა იქნეს აგრეთვე ტექსტის დადგენის მეთოდის ძირითადი საკითხები. გამოკვლევაში დახასიათებული უნდა იყოს გამოცემული ძეგლის როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა. დაუშვებელია შესავალ წერილში წყაროს შინაარსის გადმოცემა, რასაც მიმართავს ზოგიერთი გადომცემელი და რასაც ტექსტის „ანალიზს“ არქმევენ ხოლმე. ასევე საჭირო არ არის წყაროთმცოდნეობით გამოკვლევაში ისტორიის კონკრეტული პრობლემების შესწავლა, თუნდაც ეს გამოსაცემად შერჩეული ძეგლის მონაცემების საფუძველზე კეთდებოდეს. გამოცემულმა მხოლოდ უნდა განსაზღვროს ტექსტის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება და აჩვენოს მისი როგორც ისტორიული წყაროს გამოყენების ძირითადი შესაძლებლობანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკომენტარო მასალის სწორად და კეთილსინდისიერად შერჩევას. კომენტარი შეიძლება იყოს კვლევითი და საცნობარო ხასიათისა. კომენტარი უნდა დაეხმაროს მკითხველს გამოცემული ტექსტის შინაარსში ღრმად ჩაწვდომაში, მის სწორად ათვისებაში. საჭირო არ არის კომენტარში ისეთი მასალის შეტანა, რაც ადვილად ხელმისაწვდომ ცნობარებში, ენციკლოპედიებში და ლექსიკონებშიც მოიპოვება. მაგალითად, ზოგჯერ გამომცემლები განმარტავენ, ვთქვათ, დიოგენის, ქსენოფონტეს, ჰეროდოტეს, ზოროასტრის ვინაობას, აღნიშნავენ, რომ შაჰ აბას დიდი იგივე შაჰ აბას I-ია, ხოლო პეტრე დიდი პეტრე I-ია, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია, თავრიზი კი ირანის აზერბაიჯანის ქალაქია და ა. შ. ამავე დროს ხშირად კომენტარი არ ახლავს ტექსტის მართლაც რთულ და გაუგებარ ადგილებს, ძნელად ასახსნელ ტერმინებს, უცნობ პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს და ა. შ. გამომცემელმა გულახდილად უნდა უთხრას მკითხველს, რომელი ტოპონიმის ლოკალიზაცია ვერ შეძლო, რომელი

76 ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც., I, სპ., 1849, გვ. 307.

77 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 268.

ტერმინის მნიშვნელობა არ იცის, ტექსტის რომელი ადგილი დარჩა მისთვის გაუგებარი და ა. შ. გამომცემლის ასეთი კეთილსინდისიერების ორ მაგალითს მოვიტანთ ქამთაალმწერლის თხზულების უკანასკნელი გამოცემიდან. ერთ შემთხვევაში ს. ყაუხჩიშვილმა სქოლიოში მიუთითა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ტექსტის შემცველ ნუსხებში მოტანილი სიტყვები — „ყანსა მას არა გაუყო და მან განუყენა და ულოს მამასა“ — მეტად ბუნდოვანია<sup>78</sup>, მეორედ კი მისთვის გაუგებარი ფრაზა — „და თანა მოკლული იქმნა“ — ტუხილ ფრჩხილებში ჩასვა, ხოლო შენიშვნაში მიუთითა, ეს სიტყვები შემთხვევით უნდა იყოსო აქ მოხვედრილი<sup>79</sup>.

ზოგჯერ ტექსტის კომენტარების ცნებაში სრულიად განსაკუთრებული აზრის ჩადებას ცდილობენ. კერძოდ, არის ტენდენცია, მოსთხოვონ გამომცემელს, რომ ე. წ. ისტორიულ კომენტარში დეტალურად იქნეს განხილული ტექსტში დაცული ყოველი კონკრეტული ცნობა და შეფასდეს იქ გადმოცემული ისტორიული მოვლენები. ასეთი მოთხოვნა მთლიანად უსაფუძვლოა, რადგან ტექსტის გამოცემა და ამ ტექსტის საფუძველზე სამეცნიერო გამოკვლევების დაწერა სრულიად სხვადასხვა შემოქმედებითი პროცესია<sup>80</sup>. ისტორიული წყარო, როგორც წესი, მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს ადამიანთა საზოგადოების წარსულის შესასწავლად. ისტორიკოსები სხვადასხვა კუთხით უდგებიან ისტორიული წყაროს შესწავლას, განსხვავებული სამეცნიერო ინტერესები ამოძრავებთ, სხვადასხვა მიზნისთვის სურთ წყაროდან ისტორიული ფაქტების ამოკრება. ტექსტის გამომცემელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს მათი ყველა მოთხოვნის წინასწარ გათვალისწინებას და დაკმაყოფილებას. მან მთლიანად უნდა შეისწავლოს ისტორიული წყარო, გასაგები სახით გამოსცეს ტექსტი და აჩვენოს მისი გამოყენების შესაძლებლობანი ისტორიის კონკრეტული პრობლემების კვლევის საქმეში. წყარო გამოცემის შემდეგაც წყაროდ უნდა

78 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 226, შენ. 4. წინადადება შემდეგნაირად აღდგება: „ყანსა მას არა გაუყო და არც მანგუ ყანსა, ყუბილის და ულოს მამასა“ (იხ. რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 131).

79 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 271, შენ. 1. აქ იგულისხმება მონღოლი სარდალი თოდაუნი („თონდა“, „თანა“), რომელიც ეგვიპტის სულთანის ლაშქართან ბრძოლაში დარღუა 1277 წ. (იხ. ფ. გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება. ხელნაწ. N 2140. ფ. 87v; Рашид-ад-Дин. Джами ат-таварих, т. III. Баку, 1959. Перс. текст., с. 144, 158; русский перевод, с. 90, 96).

<sup>80</sup> Черепнин Л. В. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 166.

რჩებოდეს, ტექსტოლოგმა თავს არ უნდა მოახვიოს ისტორიკოსის ტექსტის ამა თუ იმ ადგილის თავისებური ინტერპრეტაცია<sup>81</sup>.

სასურველია, რომ ტექსტის გამოცემას დაერთოს იშვიათად ხმარებული და ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონი<sup>82</sup> (თუ სალექსიკონო სიტყვები ცოტაა ტექსტში, შეიძლება მათი განმარტება კომენტარებში). აქაც აღუცლებელია ზომიერების და, რაც მთავარია, სისრულას დაცვა. კერძოდ, საჭირო არ არის ისეთი სიტყვების ახსნა, რომლებიც, სხვა ლექსიკონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც არის შესული. ამავე დროს, თუ რომელიმე სიტყვა თვითონ გამომცემლისთვისაც გაუგებარი დარჩა, მან ის განმარტების გარეშე უნდა შეიტანოს ლექსიკონში შესაბამისი კონტექსტით (ასეთი შემთხვევები გვხვდება, მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის ლექსიკონში).

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო უცხო ენებიდან, მეტადრე აღმოსავლურიდან შემოსული სიტყვა-ტერმინების განმარტებისას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ერთ სიტყვას შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომ ლექსიკონში შეტანილი ყველა სიტყვა კონკრეტული კონტექსტების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს.

მაგალითად, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში რამდენიმეჯერ გვხვდება ტერმინი „ხოჯა“, რომელიც თხზულებისათვის დართულ ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „საჭურისი, მცველად დადგენილი მეფის სასახლეში“. ერთხელ იხსენიება სიტყვა „ხალუმი“, რომელიც ლექსიკონებში ასევე ახსნილია როგორც მსახური, საჭურისი<sup>83</sup>. გვხვდება თხზულებაში აგრეთვე „საჭურისიც“. ამგვარად, თუ ვენდობით „ისტორიათა და აზმათა“ ლექსიკონებს, თამარის ისტორიკოსი ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად სამ სინონიმურ სიტყვას ხმარობს.

უნდა ითქვას, რომ „ხოჯას“ და „ხალუმის“ ასეთი მნიშვნელობით გაშწინდება „ისტორიათა და აზმათა“ შესაბამისი ადგილების შინაარსის სწორად გაგება. მაგალითად, თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მუსლიმანი უფლისწული მუტაფრადინი (მუზაფარ ად-დინი) საქართველოში ჩამოვიდა თამარის ცოლად შერთვის განზრახვით „დი-

<sup>81</sup> Лихачев Д. С. К вопросу о реконструкциях древнерусских текстов, с. 166.

<sup>82</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 267.

<sup>83</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი. კ. კეკელიძის რედაქციით. ლექსიკონი, გვ. 154; ქართლის ცხოვრება, II, ლექსიკონი, გვ. 626, 627.

დითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ხოჯებითა და საჭურისითა, მონებითა და მკველებითა, ბარგითა და სიმდიდრითა<sup>84</sup>. „ხოჯა“ თუ საჭურისად გავიგეთ ამ წინადადებაში, გამოვა, რომ თამარის ხელის მძივებელს თან ახლდნენ საჭურისები და საჭურისები. ამიტომაც იყო, რომ კ. კეკელიძემ „ხოჯა“ საჭურისად თარგმნა რუსულად, ხოლო „საჭურისი“ — პირად მკველად<sup>85</sup>.

ქართველებმა რომ ირანში ილაშქრეს და თავრიზს მიადგენენ, „ძრწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკვდრნი თავრევისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი და მიმღვობნი თავრევისანი განიზრახვიდეს, რათა ხარკის მიცემითა, და ძლუნითა და შევრდომითა და ზენარის თხოვნითა დაამშვდნეს ქართველნი თავადნი და სპანი“. ძღვნის აღებაზე რომ დაითანხმეს ქართველები, „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი და ყოველნი თავადნი თავრევისანი“<sup>86</sup> და ა. შ. თავისთავად ცხადია, რომ განხილულ შემთხვევებში საჭურისები არ არიან საგულეებელი.

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის გამომცემლებს გაუთვალისწინებელი დარჩათ „ხოჯას“ ძირითადი მნიშვნელობანი: პატივცემული ადამიანი, ვინც გავლენით სარგებლობს საზოგადოებაში, ბატონი, მასწავლებელი, დიდვაჟარი, ბრძენი და სხვ<sup>87</sup>. ს. ს. ორბელიანის განმარტებითაც ხოჯა საჭურისის გარდა დიდვაჟარს ნიშნავს<sup>88</sup>, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ხოჯა არის „საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე)“<sup>89</sup>.

ამგვარად, გამოდის, რომ საქართველოში მოსულ მუზაფარ ადინს ახლდნენ დიდებულები და საპატიო პირნი (ხოჯანი) და, აგრეთვე, საჭურისები (რაკი ქალის წაყვანას აპირებდა) და მსახურნი. ხოლო გაქირვებაში ჩაცენილმა თავრიზელებმა საჭურისები კი არ გამოგზავნეს ქართველებთან შუამავლად, არამედ ქალაქის საპატიო პირნი და წარჩინებულნი.

<sup>84</sup> ქართლის ცხოვრება II, გვ. 43.

<sup>85</sup> История и восхваление венценосцев, с. 44; «Он явился из своего отчества предвысочайшей из царей, самодержавной Тамарой с большим войском, многочисленными князьями, евреями, телохранителями, рабами и рабынями».

<sup>86</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 105, 106.

<sup>87</sup> Гаффаров М. А., Персидско-русский словарь, т. I. М., 1974, с. 303; Будагов Л. З. Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I. СПб., 1869, с. 539.

<sup>88</sup> ს. ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. — თბულებანი, ტ. IV, 2. თბ., 1965, გვ. 426.

<sup>89</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8, თბ., 1964, სვ. 1502.

რაც შეეხება საჭურისის აღმნიშვნელ მესამე სიტყვას, უნდა ითქვას, რომ არაბულად „ხადიმ“ მსახურს ნიშნავს<sup>90</sup>. საფიქრებელია, რომ ხადუმის საჭურისად განმარტება ს.-ს. ორბელიანის გავლენით გაჩნდა „ისტორიათა და აზმათა“ ლექსიკონებში<sup>91</sup>. თამარის ისტორიკოსის ცნობით, ტახტის მემკვიდრის გიორგი ლაშას დაბადების აღსანიშნავად ქართველმა მეომრებმა რამდენიმე მარბიელი ლაშქრობა მოაწყვეს. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მათ არზრუმელები დაამარცხეს ისე სასტიკად, რომ ისინი „...საკიცხველ და სანერწყუაჲ იქმნეს ბიბთა ელიმთა და ხადუმთაგან“<sup>92</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხადუმი (ხადიმი) მსახურს, მოახლეს ნიშნავს<sup>93</sup>, გამოვა, რომ დამარცხებულ არზრუმელებს დასცინოდნენ არა საჭურისები, არამედ საპატიო ქალბატონები და მოახლეები.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილი მაგალითები თვალნათლვ მოწმობენ, რომ სიტყვები ლექსიკონში უსათუოდ ტექსტის შესაბამისი ადგილების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა.

როგორც ითქვა, ქართული ისტორიული წყაროების ადრინდელ გამოცემებში შედარებით ღარიბი იყო სამეცნიერო აპარატი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაშინდელ გამოცემებს არ ერთვოდა საძიებლები. ინფორმაციის უზარმაზარი მოზღვავების პერიოდში არათუ ისტორიული წყაროს პუბლიკაცია, არამედ საერთოდ სამეცნიერო წიგნი წარმოუდგენელია საძიებლების გარეშე. კერძოდ, დადგენილია, რომ ისტორიული წყაროს ყოველ გამოცემას აუცილებლად უნდა დაერთოს პირთა და გეოგრაფიული სახელებისა და ტერმინთა საძიებლები<sup>94</sup>.

90 Баранов Х. К. Арабско-русский словарь. М., 1958, с. 268.

91 ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, გვ. 411.

92 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 59. რუსული თარგმანით: «...оплеваные и осмеянные почтенными, благородными дамами и евнухами» (История и восхваление венценосцев, с. 54).

93 ასეთი მნიშვნელობა გვხვდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც (ტ. 8, სვ. 1310).

94 ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 267; Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 529; Правила издания исторических документов в СССР, с. 80—87; Черепнин Л. В. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 175; ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის წესები. შეადგინა რ. კიკნაძემ. თბ., 1977, გვ. 6.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საძიებლებს ისტორიული წყაროს პუბლიკაციისათვის, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ პირველი და მეორე ტომების საძიებლები ამ კრებულის მოგვიანებით გამოსულ მესამე ტომში გამოქვეყნდა<sup>95</sup>, ხოლო ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ „საქართველოს სიძველეთა“ სამი ტომის საძიებლები 1970 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად<sup>96</sup>. ასევე ცალკე წიგნად დაიბეჭდა ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალების სამი ტომის ლექსიკონი და საძიებლები<sup>97</sup>.

მით უფრო სამწუხაროა, რომ დღეს კიდევ გვხვდება საძიებლების გარეშე დაბეჭდილი ისტორიული ტექსტები. არის შერეული საძიებლის დართვის შემთხვევებიც. თვით საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემებშიც კი ვერ ხერხდება ერთიანი პრინციპის დაცვა, ხოლო ტერმინთა საძიებლები ჭერჭერობით მხოლოდ ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ თარგმანებს ეართვის. ამ საკითხზე საუბარი ივ. ჭავჭავიძის სიტყვებით გვინდა დავამთავროთ. დიდი მეცნიერი ისტორიული წყაროების გამოცემებისათვის საძიებლების შედგენის საკითხს რომ ეხებოდა, ჭერ კიდევ 1936 წელს საკმაოდ კატეგორიულად წერდა: „სასურველია, რომ უამისოდ არც ერთი ტექსტის გამოცემის ნება დართული არ იქნეს“-ო<sup>98</sup>.

სასურველია აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების ტექსტებისათვის სიტყვათა საძიებლის ანუ სიმფონიის შედგენა, რასაც სრული საგნობრივ-ტერმინოლოგიური საძიებლის მაგივრობაც შეუძლია გასწიოს. მაგრამ ეს მეტად შრომატევადი და რთული საქმეა და აქამდე დიდ ფუფუნებად ითვლებოდა ჩვენში. ივ. ჭავჭავიძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების ინიციატივით ამჟამად მზადდება „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, რომელიც მისი დიდი მოცულობის გამო ცალკე თხზულებების მიხედვით გამოიცემა. კერ-

<sup>95</sup> თ. ჟორდანიას. ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967. საძიებლები შეადგინეს ლ. დავლიანიძემ და შ. ხანთაძემ.

<sup>96</sup> ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. საძიებლები შეადგინა ლ. დავლიანიძემ. თბ., 1970.

<sup>97</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი. I, II და III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები. შეადგინა მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1957.

<sup>98</sup> ივ. ჭავჭავიძე. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის გამო, გვ. 267.

ძოდ, უკვე სტამბაშია სიმფონიის პირველი ტომი (ლეონტი მროველას ავტორობით ცნობილი თხზულებები), მზადდება მეორე და მესამე ტომები.

ისტორიული წყარო საისტორიო მეცნიერების საფუძველია, ხოლო წყაროდან ამოკრებილი ფაქტები ისტორიის ძირითადი საშენი მასალაა. ამდენად, წერილობითი ისტორიული წყაროების მალალ დონეზე გამოცემა საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. წყაროების ტექსტების გამოსაცემად მომზადების დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყაროთმცოდნე ისტორიკოსის პროფესიული ოსტატობის დონეს და გამოცემის სწორი მეთოდის მომარჯვებას. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ წერილობითი წყაროს მისაგნებად ხშირად შემთხვევა, ინტუიცია ან ენერჯიაკ კმარა, მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისად მის გამოსაცემად დიდი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება საჭირო.

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ МЕТОДИКИ ИЗДАНИЯ ПИСЬМЕННЫХ ИСТОРИЧЕСКИХ ИСТОЧНИКОВ

### Резюме

Издание письменных исторических источников является одной из основных задач исторической науки. В связи с этим первостепенное значение придается разработке методов и приемов научного издания исторических источников.

Изучение многолетней практики издания грузинских исторических источников показывает, что хотя в этом деле накоплен богатый опыт, тем не менее общие принципы публикации письменных памятников средневековья все еще не разработаны в грузинской историографии. Каждый издатель действует по своим личным соображениям, знаниям и опыту, в результате чего нередко нарушаются элементарные правила издания исторических текстов.

Вопросы научного издания текстов письменных источников в работе рассматриваются на материале грузинской средневековой исторической литературы.

Основным и наиболее распространенным типом публикации грузинских исторических источников следует признать критическое издание, хотя все еще сохраняют значение как дипломатическое издание текста, так и факсимильное (чаще всего в сочетании с критическим изданием). Одновременно, учитывая тяжелое состояние текстов большинства памятников древнегрузинской исторической литературы, дошедших до наших дней лишь в поздних списках в сильно искаженном виде, и не под-

дающихся исправлению на основе показаний списков, признано целесообразным, для того чтобы сделать текст осмысленным и понятным, включение в критическое издание элементов реконструкции.

Комментарий к изданию текста призван помочь читателю полнее и глубже понять содержание источника. В основном он должен иметь справочный характер, но не повторять сведений, которые можно найти в легкодоступных справочниках. Иногда от издателей требуют, чтобы к тексту был дан т. н. исторический комментарий. Эта задача выходит за рамки обязанностей издателя. Историком источник интересует с самых разных сторон, они предъявляют различные требования к источнику, который содержит разностороннюю информацию по истории человеческого общества. Само собой разумеется, что издатель текста не может предугадать все запросы историков и дать на них ответ. Он должен издать текст в доступном для историка виде и показать возможности его использования для исследования конкретных исторических проблем.



## АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЯ ИСТОРИИ ГРУЗИИ\*

Источниковедение — важнейшая отрасль исторической науки, разрабатывающая теорию и методику выявления, изучения, издания и использования письменных исторических источников. Источниковедческие разыскания способствуют глубокому изучению основных источников и тем самым обеспечивают формирование прочной источниковой основы для создания высококачественных исследований.

Изучение и публикация грузинских письменных источников начались еще в XIX веке. Это было время собирания фактов, период грузинской историографии, когда почти каждый видный историк, в силу требований времени, а также по призыванию, в первую очередь был источниковедом и основной своей обязанностью считал выявление, первичную обработку, систематизацию и публикацию письменных источников.

Длительный процесс становления источниковедения истории Грузии как самостоятельной науки, имеющей свой собственный предмет и метод исследования, завершился в первой четверти XX века трудами И. А. Джавахишвили<sup>1</sup>. Он же определил основные задачи разысканий в этом направлении и разработал главные методические вопросы грузинского источниковедения<sup>2</sup>.

Успешно развивалась источниковедческая деятельность в 20-х годах. Были изданы основополагающие труды И. А. Джавахишвили по дипломатике, палеографии, эпиграфике, нумиз-

---

\* *პირველად დაიბეჭდა* 1985 წელს («Источниковедческие разыскания 1982». Тбилиси, 1985, с. 7—16).

<sup>1</sup> Кикнадзе Р. К. И. А. Джавахишвили и источниковедение истории Грузии. Тбилиси, 1976, с. 11.

<sup>2</sup> Джавахишвили И. А. Задачи, источники и методы истории в прошлом и в настоящее время. Кн. I. Древнегрузинская историческая литература. Тбилиси, 1916 (на груз. яз.).

матике, метрологии<sup>3</sup>. Продолжалась публикация важных исторических источников, совершенствовалась методика и техника издания текстов, изучались отдельные письменные памятники. Однако работа в основном велась по линии конкретного источниковедения. На протяжении ряда лет источниковеды-практики с заметным недоверием относились к разработке общетеоретических проблем.

С середины 50-х годов, в условиях общего подъема исторической науки, активизировалась работа и в области источниковедения истории Грузии. После некоторого застоя, вызванного тем, что историки усиленно занимались исследованием проблем социально-экономической истории, наблюдается заметное оживление исследовательской деятельности в источниковедении. Историки начали более углубленно, всесторонне изучать источники с целью получения максимальной информации, стали преодолевать потребительское отношение к источникам. Большие успехи были достигнуты, в частности, в изучении и издании древневосточных источников по истории народов Закавказья. За работы, опубликованные по данной проблематике, Г. А. Меликишвили в 1957 году была присуждена Ленинская премия.

В этот же период был осуществлен ряд важных публикаций повествовательных и документальных источников. В частности, вышли в свет двухтомное издание свода древнегрузинских исторических сочинений «Картлис цховреба»<sup>4</sup>, объемистый сборник грузинско-персидских двуязычных документов<sup>5</sup>, было начато издание многотомных серий — «Памятники древнегрузинской агнографической литературы» и «Памятники грузинского права»<sup>6</sup>. Несколько тематических сборников посвящено публикации материалов по региональной истории<sup>7</sup>, а также

<sup>3</sup> Джавахишвили И. А. Задачи, источники и методы истории в прошлом и в настоящее время. Кн. III, вып. 1. Грузинская палеография. Тбилиси, 1926; кн. III, вып. 2. Грузинское документоведение или дипломатика. Тбилиси, 1926; кн. III, вып. 3. Грузинская нумизматика и метрология. Тбилиси, 1925 (все на груз. яз.).

<sup>4</sup> Картлис цховреба. Текст по всем основным рукописям установил Каухчишвили С. Г., т. I—II. Тбилиси, 1955, 1959 (за эту публикацию ученому была присуждена премия имени академика Джанаша С. Н.).

<sup>5</sup> Грузинско-персидские исторические документы. Текст подготовил, переводом и примечаниями снабдил Путауридзе В. С. Тбилиси, 1955.

<sup>6</sup> Памятники древнегрузинской агнографической литературы. Под ред. Абуладзе И. В., т. I—VI. Тбилиси, 1963—1981; Памятники грузинского права. Изд. Долидзе И. С., т. I—VII. Тбилиси, 1963—1981 (на груз. яз.).

<sup>7</sup> Бурджанадзе Ш. В. Исторические документы Имеретинского царства и княжеств Гурии и Одиши, кн. I (1466—1770). Тбилиси, 1958; Соселиа О. Н. Материалы по истории классовой борьбы в Западной Грузии

по новой истории Грузии<sup>8</sup>, по истории революционного движения и борьбы в Грузии<sup>9</sup>.

Значительный интерес для изучения ряда вопросов истории Грузии представляют иноязычные источники. И хотя основным источником по истории средневековой Грузии являются местные, грузинские письменные памятники, содержащие наиболее полную информацию и непрерывное повествование об историческом прошлом страны<sup>10</sup>, иностранные источники также сообщают немало ценных сведений, особенно по истории внешнеполитических отношений.

К сочинениям иностранных авторов нередко обращались еще средневековые грузинские историки. Систематизацией этих сведений первыми занялись Б. Дорн и М. Броссе. Особенно плодотворной была в этой области деятельность представителей старшего поколения грузинских ученых И. В. Абуладзе, С. С. Джикиа, С. Г. Каухчишвили, Л. М. Меликсет-бека, В. С. Путуридзе. Успешно продолжается научная и издательская работа в этом направлении и в настоящее время.

В 1958 году при Академии наук Грузии была основана Комиссия по публикации иностранных источников о Грузии, которая провела большую работу по выявлению, изучению и переводу на грузинский язык сведений иностранных источников и издала более сорока книг<sup>11</sup>.

В результате интенсивного изучения сочинений иностранных авторов появилась определенная диспропорция в издании письменных источников по истории Грузии, а у некоторых специалистов даже создавалось неправильное представление об якобы преимущественном значении иноязычных источников по сравнению с грузинскими. Интересы развития науки поставили

---

феодалного периода (с конца XVII в. до 40-х годов XIX в.). Тбилиси, 1960: Материалы по истории Южной Грузии (XI—XV вв.). Публикация текстов, исследования и указатели Шарашидзе Х. Г. Тбилиси, 1961; Документы по истории Тбилиси (XVI—XIX вв.), кн. I. Составили Бердзенишвили Н. А. и Бердзенишвили М. М. Тбилиси, 1962 (все на груз. яз.).

<sup>8</sup> Документы по истории Грузии (1862—1917), т. I, ч. 1, 2. Под ред. Чхетиа Ш. К. Тбилиси, 1954, 1960.

<sup>9</sup> Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов. Тбилиси, 1956.

<sup>10</sup> Кикнадзе Р. К. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба». Тбилиси, 1980, с. 4.

<sup>11</sup> Подробно о деятельности Комиссии см. Абашидзе М. Д. Публикация иностранных источников о Грузии. — «Известия (Мацне) АН Грузии, серия языка и литературы, 1978. № 4.

перед современным грузинским источниковедением задачу комплексного использования всех имеющихся исторических материалов, усиления работы по изучению и подготовке к изданию грузинских письменных источников, а также по разработке общетеоретических проблем источниковедения, поскольку именно сочетание конкретных и теоретических разысканий может обеспечить высокий профессиональный уровень научных исследований.

В 70-х годах начался новый этап в грузинском источниковедении, совпавший по времени с крупными успехами источниковедческих дисциплин в стране. Большой размах развернувшихся в стране источниковедческих разысканий, основательность и высокий теоретический уровень исследований в этой области свидетельствуют, что в исторической науке наступил период преимущественного развития источниковедения. Полностью осознавая важность стоящих перед исторической наукой актуальных задач, грузинские источниковеды стали значительно больше внимания уделять обобщению положительного опыта своих предшественников. В этот период заметно расширился круг изучаемых ими вопросов как в тематическом, так и в проблемном отношении. В частности, стали разрабатываться теоретические проблемы источниковедения.

Основное внимание было сосредоточено на изучении отдельных видов и разновидностей грузинских повествовательных, документальных, эпиграфических, исторических источников, на совершенствовании методов их исследования и использования. В условиях, когда вероятность выявления новых массивов письменных памятников все уменьшается<sup>12</sup>, особое значение приобретает более глубокое, всестороннее изучение уже известных источников, максимально полное раскрытие их информационных возможностей.

---

<sup>12</sup> В последнее время определенный размах получает «источниковскательство». Некоторые историки привозят из зарубежных архивов материалы по различным проблемам и периодам, на различных языках, и сами же «издают» их в переводе и интерпретации других лиц, владеющих этими языками. Введенные таким образом в научный оборот иноязычные источники по истории Грузии в лучшем случае содержат данные о конкретных исторических событиях, уточняют или подтверждают уже известные факты. Но на их основе, как правило, невозможно выдвинуть и обосновать новые положения, решить более или менее серьезные исследовательские задачи, получить сколько-нибудь важные научные выводы с широкими обобщениями. Полуптио отметим также, что теоретические проблемы разрабатываются только на местном грузинском материале, источниковедение иноязычных памятников пока что имеет лишь прикладной характер.

В центре внимания исследователей по-прежнему находится «Картлис цховреба», эта «святая» и «честная» книга, как ее почитательно называли древнегрузинские книжники<sup>13</sup>. До сих пор являются актуальными вопросы о времени составления, первоначальном составе и постепенном пополнении сборника, об объеме, названиях и авторах отдельных сочинений и т. д. Все эти и многие другие вопросы не могут быть однозначно решены из-за почти полного отсутствия прямых данных<sup>14</sup>. Однако неразработанность кардинальных вопросов, связанных с источниковедческой характеристикой «Картлис цховреба», объясняется не только недостатком материалов, но и несовершенными методами их исследования. Не всегда строго разграничиваются догадки от научных гипотез. Все еще встречаются случаи, когда историк на собственной догадке строит предположение, которым впоследствии подкрепляет гипотезу, возводимую затем в ранг аксиомы. К такой слабоаргументированной гипотезе со временем привыкают, и она иногда оказывается настолько жизнеспособной, что ее трудно бывает заменить более верным и лучше обоснованным выводом.

Несовершенством исследовательской методики следует объяснить тот факт, что составление сборника «Картлис цховреба» различными учеными датируется VII—VIII, VIII—IX, X вв., концом XI в., рубежом XI—XII вв., XII в., второй половиной XII в. Надо подчеркнуть также, что, называя новую дату, исследователи обычно не рассматривают аргументацию своих предшественников, не опровергают, на основании детальной критики их датировки, а нередко попросту игнорируют их. При этом во время датирования «Картлис цховреба» часто не учитывается природа исторического источника как исторического явления, как продукта определенных условий общественной жизни, не принимается во внимание конкретно-историческая обстановка в стране в предполагаемый период составления сборника.

Не менее актуальна все еще мало затронутая проблема языковой характеристики «Картлис цховреба». Как известно, свод «Картлис цховреба» постепенно пополнялся новыми произведениями, которые при включении в сборник проходили определенную редакторскую обработку. В начале XVIII века свод основательно был отредактирован комиссией, созданной Вахтангом VI. Поскольку проблема об объеме отдельных сочине-

<sup>13</sup> Такайшвили Е. С. Описание рукописей «Общества по распространению грамотности среди грузинского населения», т. I, вып. 1—4. Тифлис, 1906—1912, с. 31; Кикнадзе Р. К. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба», с. 30.

<sup>14</sup> С сожалением приходится констатировать, что значительная часть выводов, полученных в результате изучения сборника «Картлис цховреба», основана на предположениях, нередко, предвзятых.

ний (выделенных, кстати, условно) до сих пор является спорной, изучение языковых особенностей этих произведений может пролить свет на ряд неясных вопросов. Этой же цели служит составление симфонии или полного словоуказателя «Картлис цховреба». Уже находится в производстве Симфония-словарь начальной части сборника, традиционно приписываемой перу Леонтия Мровели. Ведется подготовка следующих томов.

Интенсивная работа ведется в области специальных исторических дисциплин источниковедческого цикла — археографии, дипломатики, кодикологии, палеографии, текстологии, эпиграфики, эпистолографии. Начались исследования по сравнительно новым направлениям: историографии источниковедения, источниковедения военной истории и т. д. Продолжается археографическая обработка и научное описание древних рукописей из фондов Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузии и ЦГИАГ.

Все большее место в грузинском источниковедении занимают теоретические проблемы. Правда, у нас еще мало специальных работ с широкими теоретическими обобщениями, но исследования в этом направлении уже ведутся. Решающее значение имеет обобщение результатов изучения многообразных грузинских письменных исторических источников, разработка общих методологических проблем на местном материале. Это направление, свидетельствующее о возросшей творческой активности грузинских источниковедов, будет развиваться и в будущем, что послужит дальнейшему росту профессионального уровня источниковедения истории Грузии и безусловно обогатит историческую науку новыми оригинальными выводами.

В настоящее время источниковеды Грузии работают над такими проблемами, как методика источниковедческого исследования, предметная область источниковедения и специальных исторических дисциплин, классификация и систематизация письменных источников, видовая характеристика исторических источников, источниковедческая терминология, типы научных изданий, различное отношение к источнику, в соответствии с поставленной научной задачей, историка и источниковеда, творческий метод древнегрузинских летописцев, методика количественного анализа исторических текстов<sup>15</sup>, вопросы теории научного перевода и т. д. Конечно, все это пока делается в сравнительно небольшом объеме по той причине, что у нас еще ма-

---

<sup>15</sup> Исследования в этом направлении ведутся пока в малых масштабах и основаны главным образом на личном энтузиазме отдельных ученых. Все еще не решен вопрос о создании общего центра по координации работ по использованию математических методов в истории. Не решена и проблема математического обслуживания исследований в области общественных наук..

ло квалифицированных специалистов, профессионально разрабатывающих общетеоретические проблемы источниковедения.

Поскольку речь зашла о квалифицированных научных кадрах, надо сказать, что работать в источниковедение преимущественно приходят выпускники исторического и, реже, филологического факультетов. А там эти две специальности нужны вместе, т. к. выясняется, что историкам явно не хватает филологической подготовки, а филологи недостаточно хорошо знают историю. Доучиваться как одним, так и другим приходится в научном учреждении, из-за чего процесс подготовки специалиста затягивается.

Поэтому еще раз надо поставить уже неоднократно поднимаемый и у нас и во всесоюзной прессе вопрос об улучшении подготовки кадров в университетах для работы в источниковедении, в частности, о подготовке молодых специалистов с широким историко-филологическим профилем.

Одной из основных задач источниковедения является научная публикация письменных исторических источников, требующая особой специализации. Издание исторических текстов очень трудоемкое и сложное дело. Трудность и важность его обуславливаются также той высокой ответственностью, которую издатель текста должен чувствовать перед широкой читательской общественностью. Большое значение имеет также, особенно при публикации иноязычных источников, строгий отбор издаваемого материала, точное определение, какие именно источники необходимо ввести в научный оборот на данном этапе развития исторической науки.

Грузинские источниковеды продолжают плодотворно трудиться в сфере публикации письменных источников. Разрабатываются принципы и методика издания грузинских исторических сочинений, составляются правила издания отдельных видов исторических источников, осуществляются публикации письменных источников по истории Грузии.

Готовятся к изданию важнейшие списки «Картлис цховреба», а также научно-критические тексты как отдельных произведений этого сборника, так и исторических сочинений, не вошедших в «Картлис цховреба»<sup>16</sup>. Вышли в свет два тома «Корпуса грузинских надписей», в которых опубликованы 234 латинских надписей V—X вв. из Восточной и Южной Грузии (т. I), а также 210 надписей IX—XIII вв. из Западной Грузии (т. II, вып. I).

---

<sup>16</sup> Особо следует отметить издание полного текста сочинения Вахушти Багратиони, удостоенное премии им. академика И. А. Джавахишвили (Вахушти. История Грузии. Подготовил к изданию по всем основным рукописям Каухчишвили С. Г. Тбилиси, 1973).

Уже несколько лет сотрудники Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили и Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузии работают над подготовкой «Корпуса грузинских исторических документов». Это многотомное издание, в которое войдут все грузинские документы феодальной эпохи, выполненные на мягком писчем материале. Первый том Корпуса, включающий 46 документов IX—XIII вв., в настоящее время находится в производстве. Готовится к печати второй том.

Широко развернулась деятельность по переводу на русский язык грузинских письменных памятников. За последние годы издано несколько ценных переводов грузинских исторических источников, получивших признание в научных кругах.

Продолжается изучение и издание сведений иностранных авторов о Грузии. Публикуется многотомный корпус — «Сведения древнегреческих писателей о Грузии», готовится к изданию «Корпус греческих надписей», изучаются сведения армянских, арабских, персидских, турецких, русских, западноевропейских источников.

С большой отдачей работают организуемые Комиссией по источникам истории Грузии две постоянно действующие эпиграфические экспедиции: одна по выявлению и изучению фресковых надписей Атенского Сиона (впоследствии работа будет продолжена на других памятниках), а вторая — по изучению греческих надписей Грузии. Полученный в результате деятельности этих экспедиций материал частично уже введен в научный оборот.

Огромное значение для развития науки, в том числе и источниковедения, имеют регулярные встречи ученых — конференции, сессии, симпозиумы и т. д. В частности, важную роль в развитии источниковедческих дисциплин в Грузии играют выездные научные сессии, посвященные актуальным проблемам изучения и издания письменных исторических источников. Эти сессии постепенно завоевывают популярность среди специалистов, работающих в различных крупных центрах.

Таким образом, в Грузии успешно развивается научная деятельность по основным направлениям источниковедения: разрабатываются общие методологические проблемы, ведутся разыскания по конкретно-источниковедческой тематике, издаются и переиздаются важные письменные исторические источники, работают научные экспедиции по изучению эпиграфических памятников, ежегодно проводятся источниковедческие научные сессии.

Источниковедение очень сложная комплексная наука, требующая от историка как высокого профессионального мастерства и специальных знаний, так и овладения методикой источ-



никоведческого исследования, творческого изучения ее специфических особенностей. Высокий авторитет источниковедения определяется его важным значением в системе общественных наук. Этот авторитет завоеван кропотливым трудом нескольких поколений ученых и он требует поддержания. В первую очередь это должно быть достигнуто увеличением требовательности, повышением профессионального уровня источниковедческих исследований и публикаций письменных источников.

Расширение источниковедческих исследований, повышение их эффективности является одной из актуальных задач современной грузинской исторической науки.

## თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა\*

ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში წყაროთმცოდნეობას, როგორც მის ტრადიციულ და აუცილებელ დარგს, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ჯერ კიდევ ძველ ხანაში, როცა გაჩნდა საჭიროება სხვადასხვა სახის ინფორმაციის ჩაწერის, დოკუმენტის შედგენის თუ მისი უტყუარობის დადგენის, სამშენებლო ან სხვა ხასიათის წარწერის ამოკვეთისა და ა.შ., თანდათანობით შეიქმნა აგრეთვე მათი შესრულების ხერხებისა და საშუალებათა ერთობლიობაც. ამდენად, წყაროთმცოდნეობა პრაქტიკული საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა<sup>1</sup>. ძველი მემკვიდრეები თუ გადამწერ-რედაქტორები უკვე პირველი პრაქტიკოსი წყაროთმცოდნეები იყვნენ და თავიანთ საქმიანობაში ტრადიციით განმტკიცებული გარკვეული ხერხებითა და მეთოდებით სარგებლობდნენ.

ამიტომ არის წყაროთმცოდნეობა ტრადიციული დარგი. ის ისტორიულ ცოდნასთან ერთად ისახება და მის მხარდამხარ ვითარდება. თუ ისტორიული ცოდნა მეცნიერებად იქცევა მაშინ, როცა შეიცნობს წყაროების კრიტიკული ანალიზის აუცილებლობას, წყაროთმცოდნეობა საბოლოოდ მაშინ ჩამოყალიბდა საკუთარი საგნისა და კვლევის სპეციფიკური მეთოდების მქონე დამოუკიდებელ მეცნიერებად, როცა დამუშავდა მისი ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ეს მოხდა XIX ს-ის პირველ მეოთხედში<sup>2</sup>.

როგორც ითქვა, წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერებას აუცილებელი დარგია. აუცილებელია იმიტომ, რომ ისტორიული

\* პირველად დაიბეჭდა 1987 წელს („ქართული წყაროთმცოდნეობა“, VII. თბ., 1987, გვ. 3—12).

<sup>1</sup> Шмидт С. О. Современные проблемы источниковедения. — В кн.: Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 11.

<sup>2</sup> Иванов Г. М. Основные принципы марксистско-ленинской теории исторического источника. — В кн.: Источниковедение отечественной истории, 1979. М., 1980, с. 6—7; რ. კიკნაძე. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა. — ქართული წყაროთმცოდნეობა, V. თბ., 1976, გვ. 95.

კვლევა-ძიების საფუძველს შეადგენს. წყაროთმცოდნეობითი ძიებანი ხელს უწყობენ უმთავრესი ისტორიული წყაროების უფრო ღრმად, ყოველმხრივ შესწავლას, ამდიდრებენ მათი ანალიზის მეთოდების არსენალს და უზრუნველყოფენ მტკიცე საფუძვლის შექმნას მაღალხარისხოვანი გამოკვლევების დასაწერად.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გამოცოცხლდა კვლევითი საქმიანობა წყაროთმცოდნეობის დარგში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია სულ უფრო მზარდი ყურადღება წყაროთმცოდნეობითი პრობლემების დამუშავების მიმართ<sup>3</sup>.

რატომ ხდება ასე?

ისტორიული მეცნიერების განვითარებასთან ერთად თანდათან ფართოვდება და რთულდება შესასწავლი პრობლემების წრე. ამავე დროს, რამდენადაც ახალი, უცნობი წერილობითი წყაროების რამდენადმე მნიშვნელოვანი მასივების გამოვლენის შესაძლებლობანი არსებითად ამოწურულია, თანდათან იზრდება შეუსაბამობა ისტორიკოსისათვის ამა თუ იმ მოვლენის დასახასიათებლად საჭირო ინფორმაციასა და წყაროში შემონახულ მასალას შორის. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკვე კარგად ცნობილი წყაროების ხელახლა შესწავლას მათი ინფორმაციული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ისტორიული წყაროების მხოლოდ ახალი ჯგუფების გამოვლენა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანით. ისტორიული მეცნიერების წინსვლა არანაკლებ არის დამოკიდებული იმაზე, რომ მკვლევართა ახალი თაობები ისეთ მონაცემებს პოულობენ ადრე ცნობილ წყაროებში, რომლებიც მანამდე შეუძინველი რჩებოდათ ისტორიკოსებს<sup>4</sup>. ეს არის თანამედროვე ისტორიული მეცნიერების უფრო რთული და შრომატევადი, ვიდრე ახალი წყაროების ძიების, მაგრამ ამავე დროს უფრო პერსპექტიული, უფრო მეცნიერული და, რაც მთავარია, უფრო ნაყოფიერი გზა.

В настоящее время уже стало возможно говорить о наступлении качественно нового этапа в развитии источниковедения истории Грузии<sup>10</sup>. Этот этап характеризуют общая активизация исследовательской работы в области источниковедения — важнейшей отрасли исторической науки, — значительное обновление тематики конкретно-историко-историко-исторических разысканий, расширение разработки теоретических проблем, повышение уровня публикаций исторических источников, создание прочной традиции проведения ежегодных специализированных источниковедческих научных сессий с приглашением видных специалистов из различных крупных научных центров страны, создание

<sup>8</sup> Лихачев Д. С. К вопросу о реконструкции древнерусских текстов. — Исторический архив, 1957, № 6, с. 154.

<sup>9</sup> Буганов В. И., Зимин А. А. О некоторых задачах специальных исторических дисциплин в изучении и издании письменных источников по истории русского средневековья. — История СССР, 1980, № 1, с. 131; Кликнадзе Р. К. Некоторые вопросы методики издания письменных исторических источников. — Грузинское источниковедение, VI. Тбилиси, 1985, с. 43 (на груз. яз.).

<sup>10</sup> Кликнадзе Р. К. Актуальные проблемы источниковедения истории Грузии. — Источниковедческие разыскания, 1982. Тбилиси, 1986.



и активная деятельность постоянно действующих научных экспедиций по выявлению и изучению грузинских и греческих эпиграфических памятников.

Все это имеет огромное значение для развития исторической науки в целом, так как высокий уровень источниковедческих изысканий обеспечивает создание прочной источниковой базы и методической основы для написания высококачественных конкретных исторических исследований<sup>11</sup>.

В настоящее время основная работа по источниковедению ведется в Грузии в Институте истории, археологии и этнографии, Институте рукописей, Институте востоковедения АН Грузии, в Тбилисском гос. университете, в государственных архивах республики.

В работах грузинских источниковедов, выполненных в первой половине 80-х годов, пока что преобладают исследования по конкретной проблематике. На основе всестороннего анализа оригинального грузинского материала получены ценные результаты, имеющие важное значение для отечественного источниковедения. В изданных в эти годы источниковедческих исследованиях изложены некоторые итоги разысканий, проводимых в области археографии, дипломатики, палеографии, сфрагистики, текстологии, эпиграфики, эпистолографии<sup>12</sup>. В центре внимания

<sup>11</sup> Буганов В. И., Трукан Г. А. Актуальные проблемы источниковедения истории СССР. — Вопросы истории, 1977, № 3, с. 3; Хромов С. С., Буганов В. И., Шерстобитов В. П. Некоторые итоги и актуальные проблемы изучения отечественной истории... — В кн.: Изучение отечественной истории в СССР... М., 1982, с. 48; Кикнадзе Р. К. Некоторые вопросы методики издания письменных исторических источников, с. 39.

<sup>12</sup> Антелава И. П. О датировке и авторе «Распорядка государева двора». — ИАНГ, серия истории, 1982, № 4; Гоголадзе Д. А. Еще раз о жалованной грамоте Симона I 1594 г. и некоторые вопросы грузинской дипломатики. — ИАНГ, серия истории, 1984, № 1 (обе на груз. яз.); Одншели Дж. Э. Грузинские грамоты выкупа крови. — Источниковедческие разыскания, 1979, Тбилиси, 1984; Какабадзе С. С. Строительная надпись Болнисского Сиона. — ИАНГ, серия истории, 1984 № 3; Ломоури Н. Ю. К вопросу о Болнисском Сионе. — ИАНГ, серия истории, 1984, № 3 (на груз. яз.); Мачавариани Е. М. Строительная надпись Болнисского Сиона. Тбилиси, 1985; Патаридзе Р. М. Строительные надписи Болнисского Сиона. — Журн. Мнатоби, 1984, № 1; Абрамишвили Г. В. Три граффити Атенского Сиона. — Журн. Мнатоби, 1984, № 9; Енукидзе Т. П. К вопросу о палеографическом изучении ратифицированного текста Георгиевского трактата. — ИАНГ, серия истории, 1983, № 3; Бакрадзе А. К. Некоторые сведения о грузинской сфрагистике. — Источниковедческие разыскания; 1982; Киквидзе Ц. В. К установлению текста «Истории и восхваления вешеносцев». — ИАНГ, серия языка и литературы, 1983, № 3; Гиунашвили Дж. Ш. Принцип историзма и текстологический анализ. —

исследователей по-прежнему находятся вопросы атрибуции грузинских средневековых исторических сочинений, их датировки, текстологического изучения<sup>13</sup>. Интенсивная работа ведется по линии источниковедческого анализа отдельных грузинских и иноязычных сочинений, выявления их источников, изучения творческого метода древних авторов, терминологических разысканий<sup>14</sup>. Успешно разрабатываются вопросы источниковедения военной истории Грузии<sup>15</sup>, а также историографии источниковедения. Издаются как обобщающие обзорные труды, так и исследования, посвященные характеристике источниковедческой деятельности отдельных видных грузинских историков<sup>16</sup>.

---

ИАНГ, серия истории, 1984, № 2; Бердзенишвили М. М. Вступительная часть царских грамот XV—XVIII вв. — Грузинское источниковедение, VI (все на груз. яз.); она же. Грузинский эпистолярный материал XVIII в. как исторический источник. — Источниковедческие разыскания, 1982.

<sup>13</sup> Кикнадзе Р. К. Вопросы источниковедения истории Грузии, I. Тбилиси, 1982 (на груз. яз.).

<sup>14</sup> Арахамия Г. М. Об одном источнике «Памятника эриставов». — ИАНГ, серия истории, 1982, № 1; он же. К вопросу об идентификации и хронологии исторических лиц «Памятника эриставов». — ИАНГ, серия истории, 1983, № 3; Чхартишвили М. С. Приемы ссылки на источники в сочинениях Леонтия Мровели. — ИАНГ, серия истории, 1982, № 2; Калагидзе М. А. Вопросы хронологии в сочинении второго историка царицы Тамар. — ИАНГ, серия истории, 1985, № 4; Марсагишвили М. В. К объяснению некоторых терминов древнегрузинской исторической литературы. — Грузинское источниковедение, VI; Вашакидзе В. В. К вопросу об источнике XI, 3, 6 «Географии» Страбона. — ИАНГ, серия истории, 1983, № 1 (все на груз. яз.); Марсагишвили М. В. Опыт текстологической характеристики памятников исторической литературы на основе анализа терминов. — «Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников». Всесоюзная научная сессия. Батуми, 1985 г. Тезисы докладов. Тбилиси, 1985; Кикнадзе М. Р. О связи терминологических разысканий с интерпретацией источников. — Там же.

<sup>15</sup> Анчабадзе Г. З. Вопросы источниковедения военной истории феодальной Грузии. — Источниковедческие разыскания, 1982; он же. «Дидмоуравиани» Иосифа Тбилели как военно-исторический источник. — Грузинское источниковедение, VI (на груз. яз.).

<sup>16</sup> Аласаниа Г. Г., Анчабадзе Г. З. Грузинское советское источниковедение. — ИАНГ, серия истории, 1981, № 1 (на груз. яз.); Аласаниа Г. Г. Некоторые тенденции развития источниковедения истории Грузии в 50—70-х гг. XX в. — Источниковедческие разыскания, 1979; Анчабадзе Г. З. Изучение и публикация грузинских нарративных исторических источников в Советской Грузии (1921—1950 гг.). — Источниковедческие разыскания, 1979; Хоштарла Э. В. Состояние и перспективы собирания, изучения и публикации грузинских исторических документов. — Источниковедческие разыскания, 1979; Кикнадзе Р. К. Источниковедческие разыскания

Все больше внимания уделяется разработке теоретических проблем. Это те же вечные проблемы источниковедения, которые находятся и в центре внимания ведущих специалистов нашей страны.

Определение предмета и задач источниковедения, его структуры; источниковедение и специальные исторические дисциплины; вопросы специфики источниковедческого исследования; определение исторического источника; основные принципы классификации и систематизации исторических источников, характеристика межвидовых отношений письменных исторических источников и т. д. — вот далеко неполный перечень общетеоретических вопросов источниковедения, разрабатываемых в современной грузинской историографии. По этим проблемам у нас уже имеются собственные выводы, полученные в результате анализа грузинского материала<sup>17</sup>. Работы грузинских источниковедов постепенно становятся доступными для всесоюзного читателя. Уже появились на них первые рецензии ведущих советских специалистов<sup>18</sup>.

в Институте истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили. — ИАНГ, серия истории, 1984, № 2; он же. Некоторые аспекты развития исторической науки в Грузии в годы Великой Отечественной войны. — ИАНГ, серия истории, 1985, № 2 (обе на груз. яз.); Анчабадзе Г. З. Дмитрий Бакрадзе как источниковед и археограф. Тбилиси, 1982 (на груз. яз.).

<sup>17</sup> Аласаниа Г. Г. Вопросы классификации грузинских исторических письменных источников. — Грузинское источниковедение, VI; она же. Число и мистика в древнегрузинской исторической литературе. — ИАНГ, серия истории, 1984, № 4; она же. К сравнительному изучению грузинской историографии и исторической письменности. — ИАНГ, серия языка и литературы, 1983, № 4; Сургуладзе М. К. К вопросу о соотношении грузинских дипломатических терминов с принципами классификации исторических актов. — ИАНГ, серия истории, 1984, № 2; она же. Формулы, обозначающие категории времени и пространства в грузинских исторических документах. — «Вопросы изучения письменных источников по истории Грузии». Республиканская научная сессия. Зугдиди, 1984 г. Тезисы докладов. Тбилиси, 1984; Алексидзе З. Н. Методические вопросы изучения грузинских источников. Тбилиси, 1985 (все на груз. яз.); Аласаниа Г. Г. Некоторые вопросы классификационной характеристики древнегрузинской исторической литературы. — Источниковедческие разыскания, 1982; Чхартшвили М. С. Об интерпретации источников по истории христианизации Грузии. — Источниковедческие разыскания, 1982; Ломоури Н. Ю. К вопросу о методике использования некоторых античных и грузинских источников по истории древней Грузии. — Источниковедческие разыскания, 1982.

<sup>18</sup> Пронштейн А. П., Патракова В. Ф., Р. К. Кикнадзе. Очерки по источниковедению истории Грузии. Тбилиси, 1980. — ИАНГ, серия истории, 1983, № 4; Пушкарев Л. Н. Нужное, полезное издание (К выходу в свет на русском языке «Источниковедческих разысканий» за 1979 г.). — ИАНГ, серия истории, 1984; № 3.

В настоящее время в грузинской историографии источниковедение определяется как важная комплексная отрасль исторической науки. Она объединяет специальные источниковедческие дисциплины, обобщает полученные ими данные и создает единую теорию и методiku выявления, изучения, издания и использования письменных исторических источников<sup>19</sup>.

Перед современным поколением грузинских источниковедов стоят особые задачи и в деле публикации письменных исторических памятников. Наступил этап осмысления пройденного пути, этап создания единой системы и разработки единых правил издания исторических источников.

Издание письменных исторических источников, или, как иногда называют, эдиционную практику, так же как и разработку приемов и методов подготовки исторических текстов к изданию, т. е. археографическую деятельность, порой склонны выносить за пределы источниковедения. Однако, поскольку издание исторических источников должно осуществляться после их тщательного и всестороннего изучения<sup>20</sup>, а эта работа, как правило, квалифицированно выполняется специалистом источниковедом (если говорить о профессиональном уровне исследования), то впоследствии именно он может лучше всех выполнить и последующую процедуру — издание исторического текста. Таким образом, разработку теории и методики издания и сам процесс подготовки исторических источников к публикации следует считать неотъемлемой частью источниковедения, а издательскую практику — его прикладной функцией.

Основное место в источниковой базе истории средневековой Грузии занимают оригинальные грузинские повествовательные и документальные источники и эпиграфические памятники. Их всестороннему изучению и подготовке к печати научно установленных текстов в грузинской историографии всегда обращалось должное внимание. В частности, в 1981—1985 годах осуществлены критические издания текстов сочинений историков XIII, XVIII и XIX веков<sup>21</sup>. Вышло два самостоятельных из-

---

<sup>19</sup> Кикнадзе Р. К. Некоторые вопросы методики издания письменных исторических источников, с. 39; он же. Некоторые аспекты развития исторической науки в Грузии в годы Великой Отечественной войны, с. 175—176.

<sup>20</sup> Лихачев Д. С. Текстология на базе русской литературы X—XVII вв. Л., 1983, с. 498.

<sup>21</sup> Абусеридзе Т. Жизнь каменщика Василия. Подготовил к изданию Ю. В. Сихарулидзе. Батуми, 1981; Орбелиани П. Амбасии Картлисаи. Подготовка текста, введение и словарь Е. В. Цагарейшвили. Тбилиси, 1981; Багратиони Т. Новая история. Текст подготовила и исследованием снабдила Л. В. Микнашвили. Тбилиси, 1983.

дания грузинского и русского текстов Георгиевского трактата 1783 года<sup>22</sup>.

Из публикаций документальных источников в первую очередь следует упомянуть первый том Корпуса грузинских исторических документов, подготовленный сотрудниками Института истории, археологии и этнографии и Института рукописей<sup>23</sup>. В книгу вошли 46 документов IX—XIII вв. Вышли также заключительные, VII—VIII тома серии — «Памятники грузинского права»<sup>24</sup>. В них опубликованы судебные прошения с приказами XVIII—XIX вв. и частно-правовые акты XV—XVIII вв. По тематическому принципу издавались также тексты отдельных грузинских исторических документов<sup>25</sup>. Подготовлен и выпущен сборник грузинско-персидских двуязычных исторических документов<sup>26</sup>.

Значительная работа проводилась по линии выявления, изучения и издания грузинских, греческих, армянских и русских эпиграфических памятников. Введенный в научный оборот эпиграфический материал имеет важное значение для решения многих вопросов истории древней и средневековой Грузии<sup>27</sup>.

<sup>22</sup> Георгиевский трактат. Договор 1783 г. о вступлении Восточной Грузии под покровительство России. Текст подготовил к изданию, введению и примечаниями снабдил Г. Г. Пайчадзе. Тбилиси, 1983; Георгиевский трактат. Исследование и документы В. Г. Мачарадзе. Тбилиси, 1983.

<sup>23</sup> Корпус грузинских исторических документов, т. I. Грузинские исторические документы IX—XIII вв. Составили и подготовили к печати Т. П. Енукидзе, В. И. Силогвава, Н. Ф. Шонинашвили. Тбилиси, 1984.

<sup>24</sup> Памятники грузинского права. Тексты издал, предисловием и примечаниями снабдил И. С. Долидзе, т. VII. Тбилиси, 1981; т. VIII. Тбилиси, 1985 (на груз. яз.).

<sup>25</sup> Вацридзе П. В. Два документа из политической истории Имеретинского царства. — ИАНГ, серия истории, 1981, № 2; Енукидзе Т. П. Материалы о денежном доходе писца Картлийского царства 80-х гг. XVIII в. — ИАНГ, серия истории, 1981, № 3; Силогвава В. И. Завещание Давида Строителя Шпомгвинской Лавре. — ИФР, IX. Тбилиси, 1981; Хоштарпа Э. В. Несколько документов, связанных с русско-грузинскими взаимоотношениями. — ИФР, X. Тбилиси, 1983 (все на груз. яз.).

<sup>26</sup> Грузинско-персидские (двуязычные) исторические документы. Персидский текст, грузинский перевод, комментарии, словарь Н. Ш. Дундуа. Тбилиси, 1984.

<sup>27</sup> Отхмезури Г. К. Грузинские lapидарные надписи рубежа XII—XIII вв. как исторический источник. Тбилиси, 1981; Алексидзе З. Н. Четыре надписи Атенского Сиона. Тбилиси, 1984; Схиртладзе З. Н. Фресковые надписи Сабереби. Тбилиси, 1985; Силогвава В. И. Материалы по истории грузинского поселения в Москве. — ИАНГ, серия истории, 1983, № 3; Каухчишвили Т. С. Греческая надпись Цикапского склепа. — ИАНГ, серия истории, 1982, № 2 (все на груз. яз.).

За последние годы особое внимание уделяется переводу грузинских исторических сочинений и документов на русский язык, что значительно расширяет ареал их научного использования. В первой половине 80-х гг. изданы, в частности, переводы «Летописи Картли» (XI в.), «Жизни царицы цариц Тамар» (XIII в.) и сборник исторических документов IX—XV вв.<sup>28</sup>

Наряду с местными письменными памятниками большое значение для истории Грузии имеют и иноязычные источники, содержащие значительный материал для изучения многих вопросов истории страны. В 1981—1985 гг. продолжалась деятельность по изучению переводу на грузинский язык и изданию полных текстов или пространных отрывков древнегреческих<sup>29</sup>, армянских<sup>30</sup>, восточных (арабских, персидских, турецких)<sup>31</sup>.

---

<sup>28</sup> Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982; Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследование и примечания М. М. Бердзенишвили. Тбилиси, 1985; Грузинские документы IX—XV вв. в собрании Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР. Перевод и комментарии С. С. Какабадзе. М., 1982.

<sup>29</sup> Сведения греческих писателей о Грузии, V. Перевод с древнегреческого, предисловие и указатели Т. С. Каухчишвили. Тбилиси, 1983.

<sup>30</sup> Хоренаци Мовсес. История Армении. Перевод с древнеармянского, введение и примечания А. П. Абдаладзе. Тбилиси, 1984; Каланикатуаци Мовсес. История страны Алуанк. Перевод с древнеармянского, предисловие и примечания Л. С. Давлианидзе. Тбилиси, 1985.

<sup>31</sup> Канчавели Н. Г. Письмо Теймураза II Магомеду Нуцал-хану. — ИФР, X. Тбилиси, 1983; Цкитишвили О. В. Ахмед ибн Асам ал-Куфи о первых походах арабов в Грузию. — ИАНГ, серия истории, 1984, № 1; Силагадзе В. Г. Сведения Яхьи Антиохийского о взаимоотношениях Грузии и Византии в последней четверти X и первой четверти XI вв. — Грузинское источниковедение, VI; Искандер Мушхи. Продолжение Мироукрашающей истории Аббаса (сведения о Грузии). Персидский текст, грузинский перевод, исследование и примечания Н. Г. Гелашвили. Тбилиси, 1981; Чейшвили А. С. Письма, присланные ереванскими ханами в Грузию. Тбилиси, 1982; Гелашвили Н. Г. Сведения Махмуда Натанзи о Грузии. — ИАНГ, серия истории, 1983, № 1; Табатадзе К. Г. Несколько персидских документов XIX в. из фондов Института рукописей им. К. С. Кекелидзе. — Труды ТГУ, т. 241. Тбилиси, 1983; он же. Несколько персоязычных документов Ираклия II и Георгия XII. — Грузинское источниковедение, VI; Османские документальные источники о крепостях Анаклия и Рухи (XVII—XVIII вв.). Турецкий текст, грузинский перевод, введение и терминологический словарь Н. Н. Шенгелиа. Тбилиси, 1982; Шенгелиа Н. Н. Османские финансовые документы первой четверти XVIII в. о Кутанской крепости. — ИАНГ, серия истории, 1983, № 1; Турецкие источники по

западноевропейских<sup>32</sup> повествовательных и документальных источников.

Таким образом, из вышеприведенного далеко не полного обзора видно, что грузинские источниковеды плодотворно трудились над разработкой общетеоретической и конкретной проблематики современного источниковедения, над изданием грузинских и иноязычных письменных исторических источников.

Активизации научной деятельности в области источниковедения, популяризации достижений грузинских источниковедов во многом содействуют ежегодные специализированные научные сессии, пользующиеся признанием среди специалистов.

Актуальными задачами современной грузинской историографии следует признать усиление координации работ в области источниковедения и публикации письменных исторических источников, усиление деятельности в области источниковедения новой и новейшей истории, подготовку к созданию коллективного труда по историографии источниковедения истории Грузии.

---

истории Самцхе-Саатабаго первой четверти XVI в. Турецкие документы с грузинским переводом, исследованием и примечаниями издала Ц. В. Абуладзе. Тбилиси, 1983.

<sup>32</sup> Сведения К. Коха и О. Спенсера о Грузии и Кавказе. Перевод с немецкого, введение и комментарии Л. Г. Мамацашвили. Тбилиси, 1981; Сведения итальянских путешественников XV в. о Грузии. Перевод с итальянского, предисловие и примечания Э. М. Манцетвалишвили. Тбилиси, 1981; Сведения де Грий де Фуа о Грузии. Перевод с французского, предисловие и комментарии Дж. Э. Одишели. Тбилиси, 1985.

# ქონკრეტული წყაროთმცოდნეობა

## XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან\*

ჩვენს ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ქართული ფეოდალური ქალაქების ისტორიის ყოველმხრივ შესწავლას ხელს უშლის წყაროების სიმცირე<sup>1</sup>. წერილობითი წყაროები უპირატესად ქალაქების პოლიტიკური ისტორიისათვის იძლევიან მასალას, საქალაქო ცხოვრების ამა თუ იმ მხარის შესასწავლად კი ისინი შედარებით ნაკლებ ცნობებს გვაწვდიან. უთუოდ საყურადღებო მასალის მოცემა შეუძლია არქეოლოგიურ გათხრებს, მაგრამ საქართველოს ფეოდალური ქალაქები ჯერ არ არის არქეოლოგიურად სათანადოდ შესწავლილი. ქართული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის გამოყენებასთან ერთად საქართველოს ქალაქების, პირველ რიგში, თბილისის ისტორიის დასამუშავებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოურ, კერძოდ, აღმოსავლურ თხზულებებში დაცული ცნობების გამოვლინებასა და შესწავლას.

აღმოსავლურ ისტორიულ და გეოგრაფიულ თხზულებებში, რომლებიც მეტწილად აღწერილი ამბებზე თანდაამხდურთა და თვითმხილველთა მიერ არის შედგენილი, საინტერესო ცნობები გვხვდება თბილისის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის. ამ ცნობათა ღირებულება მით უფრო იზრდება, რომ ზოგიერთი წყაროს ავტორი პირადად ყოფილა თბილისში და საკუთარი თვალით ნახი ამბები აქვს გადმოცემული. არაბულ და სპარსულ ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებათა ცნობების საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ ან დავადასტუროთ ზოგიერთი ფაქტი ქალაქის პოლიტიკური ის-

\* პირველად დაიბეჭდა 1960 წელს (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, 1952, გვ. 109—137).

<sup>1</sup> Месхиа Ш. А. Из истории грузинского феодального города IX—XIII вв. — საქართველოს მეც. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956, გვ. 131.



ტორიიდან, თვალი მივადევნოთ ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას, შევისწავლოთ საქალაქო წყობილების ზოგიერთი საკითხი, სავაჭრო გზები, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა და სხვ.

ფეოდალიზაციის პროცესმა დააჩქარა არაბთა სახალიფოს დაშლა, რისმა ნიშნებმაც ჯერ კიდევ VIII—IX სს. მიჯნაზე იჩინეს თავი<sup>2</sup>. ამან კი ფართო გზა გაუხსნა ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულების საწარმოო ძალთა განვითარებას. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „არაბთა ერთიანი სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა ეს იყო დაპყრობილ კულტურულ ხალხთა გამარჯვება, იმ დროინდელი საზოგადოებრივი ვითარებისათვის შეუფერებელი და ამდენადვე ქვეყნის წინსვლის შემათერხებელი ორგანიზაციის დაშლად და კულტურულ ხალხთა შემოქმედებითი ძალების განთავისუფლება“<sup>3</sup>.

არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში მრავალი დამოუკიდებელი ფეოდალური სამეფო-სამთავრო წარმოიქმნა. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად აქ იზრდება ქალაქები, ვითარდება ვაჭრობა და ხელოსნობა. საქალაქო ცხოვრების ამ საერთო აღმავლობა-განვითარების ფერხულში ჩაბმული იყო თბილისიც, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალეებზე მდებარეობდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან<sup>4</sup>.

„IX—XI სს. ამიერკავკასიაში დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდა. ფეოდალური ურთიერთობა მოწიფულობის ასაკში შედიოდა და ამის შესაბამისად მცირე პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილების ტენდენციები და-

---

2 ვ. გაბაშვილი. სახალიფოს ფეოდალური დაშლა-ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 107.

3 ნ. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, — „მომოხილელი“, II, თბილისი, 1951, გვ. 40.

4 IX—X სს. არაბ გეოგრაფებს ისთახრის, იბნ ჰალუკას, იბნ ალფაკიჰს, მუკადასის და სხვებს აღწერილი აქვთ ამიერკავკასიის სავაჭრო მარშრუტები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბარდაე — თბილისის გზას. ეს გზა შემდეგ პუნქტებზე გადიოდა: ბარდაე — განჯა — შამქორი — ხუნანი — კალა იბნ ქანდამანი (გარდაბანი) — თბილისი. ამ გზის საშუალებით თბილისს შეეძლო დაკავშირებოდა ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა მნიშვნელოვან ქალაქებსაც, ჩადგან ბარდაეში თავს იყრიდა დინ-ბარდავის, ბარდაე-არდებლის, ბარდაე-დარუბანდის გზები, ამას გარდა, თბილისიდან სხვა გზებაც გადიოდა, რომელთაგან ყველა არ ჰქონია საერთაშორისო მნიშვნელობა, მაგრამ ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ.

უინებით თავს იჩენდა<sup>5</sup>. XI საუკ. დამდეგისათვის საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა. დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ მხ.ილოდ კახეთი და თბილისის საამირო, რომლის ტერიტორია საკუთრივ თბილისითა და მისი ოლქით შემოიფარგლა. ამიერიდან ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა მთელი ყურადღებაც კახეთის შემოერთებისა და თბილისის დაბრუნებისაკენ იყო მიპყრობილი.

თბილისისათვის ბრძოლის ისტორია საკმაოდ დაწვრილებით არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ აღმოსავლურ წყაროთა ცნობები საინტერესო ფაქტებით ავსებენ აღებული ხანის თბილისის ისტორიას და საშუალებას იძლევიან ახლებურად იქნას დასმული ზოგიერთი საკითხი. ამ მხრივ აღსანიშნავია თურქი ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის<sup>6</sup> ცნობები, რომლებიც გამოყენებული არ ყოფილა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

5 ხ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. — „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 121.

6 თურქი ისტორიკოსი აკმედ იბნ ლუთფულაქი, რომელიც მუნეჯიმ-ბაშის სახელით არის ცნობილი, XVII საუკუნეში ცხოვრობდა; გარდაიცვალა მექაში 1702 წ. (EI, III, გვ. 780). მის კალამს ეკუთვნის არაბულ ენაზე დაწერილი საისტორიო თხზულება „ქაში აღ-დუვალ“ („დინასტიათა კვებულო“), რომელიც მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებია. ისტორიული ამბები აქ დინასტიების მიხედვით არის მოხარობილი. თხზულების მესამე ნაწილში, რომელშიც მუსლიმანური დინასტიების ისტორიაა გადმოცემული, ერთი თავი დათმობილი აქვს შედადიანთა დინასტიის არანის შტოს. შედადიანები 951—1075 წწ. მბრძანებლობდნენ ირანში. მათ ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან და თბილისის საამიროსთან, ამიტომ მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ამ ნაწილში საინტერესო ცნობები გვხვდება თბილისის შესახებაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მუნეჯიმ-ბაში XVII საუკ. მწერალაა, მის თხზულებას პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა აქვს XI საუკ. ამიერკავკასიის ისტორიის შესასწავლად, რადგან ავტორმა გამოიყენა წინავე ხანის ისტორიკოსთა შრომები (ჰამერს ჩამოთვლილი აქვს 72 წყარო, რომელთაც მუნეჯიმ-ბაში თავის თხზულებაში ასახელებს. Hammer. Geschichte des Osmanischen Reiches, VII, გვ. 545—550). ერთდო, მას გამოუყენებია ბაბ აღ-აბებაჰს (დარუბანდის), შარვანისა და არანის ისტორია — „თარის აღ-ბაბ ვა შარვან“, რომელიც ვინმე ფაქიხის მიერ ყოფილა შედგენილი და ამჟამად დაკარგულია. ვ. მინორსკის აზრით, ფაქიხს თავისი თხზულება 1075 წელს უნდა დაემთავრებინა, რადგან მუნეჯიმ-ბაშის ნაშრომში დარუბანდისა და შარვანის ამბები მხოლოდ ამ წლამდეა მოხარობილი (Minorisky V. Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 4); მხოლოდ კი თხზულება 1672 წლამდე მიყვანილი (Кр ачк о в с к и й И. Ю. Изв. соч., т. IV, М.—Л., 1957, с. 633) მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ტექსტს, რომელიც შედადიანთა ისტორიას ეხება, ინგლისური თარგმანითა და ვრცელ კომენტარებზე გათავსებულია ვ. მინორსკიმ 1953 წელს. 1957 წ. აზერბაიჯანის მეც. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა ამ ნაწილების რუსული თარგმანი. შესრულებულია ქ. მამედოვის მიერ, და მინორსკისეული ტექსტის ფრანგული (Труды Института истории АН Аз. ССР, XIII, 1957). მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ამ ნაწილს შეეხება იხ. აგრეთვე, Minorский В. Ф. Русь в Закавказье, Acta Orientalia, 1953, t. III, fasc. 3.

ცნობილია, რომ XI საუკუნეში, „ქალაქის ამირას გარდა ტფილისში, როგორც ეტყობა, საბჭოს მაგვარი დაწესებულება ყოფილა, რომლის წევრებს მაშინ ქალაქის ბერებს ეძახდნენ“<sup>7</sup> ამ საბჭოში შედიოდნენ ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლები. „ისინი ქალაქის ბედიღბლის მოურნე მზრუნველნი და გადაწყვეტნი ყოფილან“<sup>8</sup>. თბილისის მცხოვრებთა წარმომადგენლებს ანუ „ბერებს“ ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების მართვა-მოწესრიგებაზე მიუწვდებოდათ ხელი, თბილისის პოლიტიკური და სამხედრო გამგებელი კი არაბი ამირა იყო.

ქართული წყაროს ცნობით, 1046 წელს, როცა თბილისის ამირა ჭაფარი გარდაცვლილი იყო, ბაგრატ IV კი აფხაზეთს იდგა და ანაკოფიის ციხის აღებას ცდილობდა, მასთან მივიდნენ „ტფილელნი ბერნი“, „უქადეს ქალაქი და უხმეს სასწრაფოდ“<sup>9</sup>. ბაგრატმა ლაშქარი დატოვა ანაკოფიის ციხის ასაღებად, თავად კი დაიძრა და მივიდა ქართლს, სადაც მასთან კვლავ „მოვიდეს სხუანი მხმობელნი ბერნი ტფილელნი“<sup>10</sup>. ბაგრატ მეფე თბილისისაკენ გაემართა, დიდის პატივით იქნა მიღებული მოქალაქეთა მიერ და ჩაიბარა ქალაქისა და ციხეთა გასაღებები. მან მთელი თბილისი დაიკავა და ციხეებში თავისი რაზმები ჩააყენა. მხოლოდ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისანში გამაგრებული ფეოდალური არისტოკრატია უწყველად მეფეს მელგარ წინააღმდეგობას<sup>11</sup>. ბაგრატ IV-მ იარაღით სცადა ისნის აღება, მაგრამ მთელი ზაფხულის ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, მთელი დანარჩენი ქალაქი მაინც ბაგრატ IV-ის ხელთ იყო, მაგრამ კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა მალე დაატოვებინა მეფეს ქალაქი<sup>12</sup>. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, თბილისელებს მეორედაც გადაუციათ ბაგრატიანთის ქალაქი, მაგრამ 1051 წელს იმავე ლიპარიტმა დააკარგვინა მას თბილისი<sup>13</sup>.

ამის შემდეგ ქართულ წყაროებში ცნობები თბილისის შესახებ აღარ გვხვდება ვიდრე ალფ-არსლანის შემოსევაამდე და, ამდენად,

7 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, თბილისი, 1927, გვ. 24.

8 იქვე.

9 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაჯგინილი ყველა ძიებითადაი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 299.

10 იქვე.

11 ამგვარად, ირკვევა, რომ „ბერების“ ხელისუფლება მხოლოდ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქზე, ე. ი. თბილისის სავაჭრო-სახელოსნო უბნებზე ვრცელდებოდა.

12 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299—300.

13 იქვე, გვ. 302—303.

არც ქალაქის მმართველობის შესახებ იყო რაიმე დანამდვილებით ცნობილი.

მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში დაცული ცნობები ერთგვარ შუქს ჰყენს აღებული ხანის თბილისის ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

მუნეჯიმ-ბაში მოგვითხრობს, რომ 454 (1062) წელს განჯის მბრძანებელ აბულ-ასვართან<sup>14</sup> მივიდა თბილისის საპატიო მოქალაქეთა ჯგუფი და სთხოვეს, ვინმე გამოგვიგზავნე, რომ ქალაქის ციხე ჩავაბაროთო. ქალაქის პატრონი ჯაფარ იბნ ალი მოკვდა და ორი ვაჟიშვილი დარჩა — მამსური და აბულ-ჰეიჯა<sup>15</sup>, რომელთა შორის მტრობა ჩამოვარდა ციხეში ბატონობის თაობაზე. როგორც ჩანს, ამირობის მაძიებელთა ბრძოლას დიდი უწყესრიგობა გამოუწვევია ქალაქში, ამიტომ მცხოვრებლებმა ორივე განდევნეს ქალაქიდან და თბილისი მთლიანად მოქალაქეთა წარმომადგენლების ხელში გადავიდა<sup>16</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ ჯაფარის ნაშიერნი ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ მდიდარი ქალაქის დაკარგვას, რომელიც უკვე ას ორმოცდაათ წელზე მეტი იყო მათ საგვარეულოს ეკუთვნოდა, და ეცდებოდნენ მის დაბრუნებას. რაკი მოქალაქეებს ამირობის მაძიებელთაგან თავის დასაცავად ძალა არ შესწევდათ, ძლიერი მფარველი უნდა ეძებნათ. თბილისის მცხოვრებთა თავკაცებმა ჯერ საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს მიმართეს ორგზის და მას გადასცეს ქალაქი, მაგრამ როცა ნახეს, რომ ამ გზით არაფერი გამოდიოდა და ბაგრატი ვერ იზარჩუნებდა თბილისს, ჯაფარის ნაშიერნი კი სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ ქალაქს, იძულებული გამხდარან, ჰხეავან ეძებნათ დახმარება:

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ქალაქის ნამდვილი პატრონები „ქალაქის ბერები“ ყოფილან, ამირა კიდევ „ბატონი“ იყო“<sup>17</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, შექმნილ ვითარებაში თბილისის პატრონთან ერთად ბატონიც უსათუოდ ესაჭიროებოდა. ამიტომაც იყო, რომ ქალაქის ბერები ხან ერთ მბრძანებელს სთავაზობდნენ ქალაქს და ხან მეორეს. ამ გზით მათ სურდათ, ჯერ ერთი, თავი დაეცვათ ჯაფარიანთაგან და, მეორეც, ქალაქის ასეთი ნებაყოფლობითი თვითჩაბარების შემთხვე-

14 აბულ-ასვარ შავური იბნ ალ-ფადლი შედღიანთა დინასტიის წარმომადგენელია. 1022—1049 წწ. ის ღვინში მბრძანებლობდა, 1049 წელს კი განჯასა და მის ოლქშიც გაბატონდა. გარდაიცვალა 1067 წ. 19 სექტემბერს.

15 ამგვარად, ახლა შეიძლება ამ ორი სახელით შეეავსოთ თბილისის ჯაფარიან ამირათა სია, შედგენილი მ. ლორთქიფანიძის მიერ (მ. ლორთქიფანიძე. თბილისის საამიროს ისტორიიდან. — „მიმოხილველი“, 11).

16 მუნეჯიმ-ბაში, § 14.

17 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 25.

ვაწი იმედი ჰქონდათ შეენარჩუნებინათ თვითმმართველობა და სხვა პრივილეგიებიც. დამახასიათებელია, რომ, მიუხედავად ადგილობრივი საქალაქო თვითმმართველობის არსებობისა, რომელიც ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებას განაგებდა, ქალაქს აუცილებლად ესაჭიროებოდა სამხედრო და პოლიტიკური გამგებლობაც. ამიტომაც იყო, რომ ამ თვითმმართველობის მესვეურნი ძლიერ მფარველს ეძებდნენ, რომელსაც ძალა შესწევდა არა მარტო დაეჭირა ქალაქი, არამედ საჭიროების შემთხვევაში დაეცვა კიდეც იგი.

რაკი თბილისელთათვის ყველაზე მეტად მისაღებმა მფარველმა, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ ვერ შეძლო ქალაქის შენარჩუნება, ის ისევე მოქალაქეთა თავკაცების ხელში უნდა დაჩრჩენილიყო. ასე გაგრძელდა 1062 წლამდე. მაგრამ რაკი მანსური და აბულ-ჰეიჯა არ ისვენებდნენ, თბილისი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეკონომიკური ცხოვრება მოიწალა, სანოვაგე აღარ შემოდინოდა, რის გამოც ქალაქში სურსათის დიდი ნაკლებობა იყო. ამის გამო მოქალაქენი იძულებულნი გახდნენ შეედადიან აბულ-ასვარისათვის ეთხოვათ შეწყობა და მას შეაძლიეს ქალაქი. ეს მაინც უმცირესი ბოროტება უნდა ყოფილიყო იმ დიდ ზიანთან შედარებით, რასაც ჭაფარიანები აყენებდნენ ქალაქს.

თბილისის მოქალაქეთა თავკაცებმა ქალაქის საგანგებო გაჭირვებული მდგომარეობის გამო სთხოვეს აბულ-ასვარს, გაეგზავნა თბილისისათვის მცველი რაზმი, იარაღი და სანოვაგე. აბულ-ასვარი უკეთესს ვერც ინატრებდა რამეს და მზად იყო უყოყმანოდ მიეღოთ ეს წინადადება, მაგრამ მისი ვეზირი ბახთიარ იბნ სალმანი უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მან კარგად იცოდა თბილისისათვის ბრძოლის ამბები და ისიც ჰქონდა შეგნებული, რომ ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ IV ვერ შეურიგდებოდა თბილისის შედადიანთათვის გადაცემას. ამიტომ ვეზირმა შეაჩერა აბულ-ასვარი და უთხრა: ალაჰი თბილისის მთელს ოლქში გაგიხსნის გზას და ეს ციხეც მთელი და უვნებელი ჩაგივარდება ხელში. — შემდეგ დაუმატა: — მაგრამ ეს წინადადება გახდება მიზეზი შენი ხალხის დაქსაქსვისა და იმის უნაყოფოდ დაკარგვისა, რაც უკვე გაქვსო. იმისათვის, რომ ეს არ გამხდარიყო მიზეზი საქართველოს მეფესთან ბრძოლისა, როცა აბულ-ასვარს თბილისთან ერთად შეიძლებოდა თავისი საკუთარი სამფლობელოებიც დაეეარგა, ბახთიარ იბნ სალმანმა ურჩია შედადიან მბრძანებელს, უარი ეთქვა ქალაქის ჩაბარებაზე. ამის შემდეგ აბულ-ასვარმაც თავი შეიკავა თბილისელთა წინადადებაზე პასუხის გაცემისაგან და დააბრუნა ციხის გასაღები<sup>18</sup>.

როგორც ჩანს, თბილისი იმდენად მძიმე მდგომარეობაში ყოფილა ჩვენდღისი, რომ მოქალაქეთა წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ხელ-ცარიელი უკან დაბრუნება. აბულ-ასვარისაგან გამზილებულნი ისინი კახეთის მეფე აღსართან გაგიკის ძეს<sup>19</sup> მიადგნენ და შესთავაზეს ეახეცა და გასაღებიც. აღსართანმა დიდი პატივით მიიღო თბილისის მოქალაქეთა წარმომადგენლები, გასაღები ჩაიბარა, ელჩები დაასაჩუქრა და გაისტუმრა<sup>20</sup>.

აღსართანის მიერ თბილისის მფლობელობაზე ჩვენი წყარო არას ამბობს. არც ის ვიცით, როგორ შეხვდა ამ ამბავს ბაგრატ IV. მაგრამ, როგორც ჩანს, აღსართანი მოერიდა ბაგრატთან ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად გამწვავებას. საქართველოს მეფე ხომ უმისოდაც ცდილობდა კახეთის დაპყრობას. ამის გამო, მუნეჯიმ-ბაშის სიტყვით, მალე აღსართანმა საქართველოს მეფეს<sup>21</sup> მიჰყიდა ქალაქი და დიდი საფასი აიღო. ბაგრატ IV-მ დაუყოვნებლივ გამოგზავნა თბილისში ჯარი და იარაღითა და სანოვაგით მოამარაგა ქალაქი.

ამგვარად, ირკვევა, რომ ბაგრატ IV-ს 1062 წელს შესამედაც მიუღია ქალაქი თბილისი, ამგვარად უკვე შესყიდვის გზით.

აქამდე ამიერკავკასიის ისტორიიდან ჩვენთვის ცნობილი იყო ქალაქ ანისის მაგალითი, რომელიც, როგორც სომეხი ისტორიკოსი ვარდანი გეაცნობებს, 1072 წელს შეუქმნიათ შედადიანებს<sup>22</sup>. ცნობილია

---

<sup>19</sup> ტექსტშია „შაქის მფლობელი აღსართან იბნ გაგიკი“, მაგრამ მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში „შაქი“ კახეთის აღსანიშნავად იხმარება. ქართული წყაროებიც ხომ უწოდებენ კახეთის მეფეებს „კახთა და რანთა“ მეფეებს.

<sup>20</sup> მუნეჯიმ-ბაშის, § 14.

<sup>21</sup> ტექსტშია „არუმის პატრონი“ (صاحب الروم), მაგრამ, როგორც სამართლიანად შეინიშნავს ე. მინორსკი, აქ საქართველოს მეფე ბაგრატ IV იგულისხმება. მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში ბაგრატის სამეფოს აღსანიშნავად იხმარება „აფხაზ“ და „რუმ“, ხოლო კახეთისა — „შაქი“ და „კურზან“ (Minorisky V. Studies in Caucasian History, გვ. 65).

<sup>22</sup> ნ. მარი ვარდანის ცნობის საფუძველზე წერს, 1072 წელს შედადიანმა აბულ-სე-ვარმა შეჰყიდა ქალაქი ალუ-არსლანისაგან და თავის ძეს მანუჩეს გადასცაო (Н. Я. Марр, Ани, 1934, გვ. 32). მაგრამ მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, აბულ-ასვარი 1067 წელს გარდაიცვალა და 1072 წელს არ შეეძლო ქალაქის შესყიდვა. ვარდანის ცნობაში კი ნათქვამია, ფადლონმა (აბულ-ასვარის ძემ. რ. კ.) ანისი გამოხოხოვა ალუ-არსლანს და სამაგიეროდ ოქროქსოვილები მიახოხოვა (Всеобщая история Вардана великаго, перевод Н. Эмин, М., 1861, გვ. 129; ემინს ექვი ეპარხოლა „ოქროქსოვილას“ თარგმანის სისწორეში, ნ. მარი კი „ოქროქსოვილი ხატებად“ თარგმნიდა. Марр Н. Я. Ани. с. 32). მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, პირდაპირ ყიდვა-გაყიდვას არ ჰქონია ადგილი. ალუ-არსლანმა ქალაქი უბოძა ფადლონს, იმან კი თავის მხრივ საჩუქრები მიართვა. საინტერესო ცნობა მოპოვება ამის შესახებ „შედადიან ქართლისაში“. ქართველი ისტორიკოსი წერს,

აგრეთვე, რომ XIII საუკ. საქართველოში საღუნ მანკაბერდელი იძენდა ქალაქებს და დიდი სიმდიდრე დააგროვა ამ გზით<sup>23</sup>, ხოლო 1264 წელს ქალაქი ერევანი შეისყიდა საჰმადინმა. ახლა უკვე თბილისის შესახებაც მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა მისი გაყიდვის შესახებ.

საინტერესოა, რომ ამ ხანაში ქალაქების ყიდვასა და გაყიდვანი მდიდარ დიდვაჭრებთან ერთად მეფეებიც მონაწილეობენ.

ბაგრატ IV-მ რომ თბილისი შეისყიდა აღსართანისაგან, როგორც ჩანს, საკუთრად კი არ დაიჭირა, არამედ ჯაფარის შვილები შეირიგა და ისინი დასვა ქალაქის გამგებლად. ამასთან ერთად, მუნეჯიმ-ბაშას სიტყვით, მან ბრძანა გაეფართოვებინათ მთის გზები, რათა ქრისტიანებს გაადვილებოდათ ისლამის ქვეყნებში გადასვლა<sup>24</sup>. შეიძლება ვთქვათ, რომ ბაგრატ IV ზრუნავდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებაზე და ზომებს იღებდა გზების კეთილმოსაწყობად, რათა სავაჭრო ქარავნებს გაადვილებოდათ თბილისიდან მუსლიმანურ ქვეყნებში და პირუტყუ სიარული.

ამის შემდეგ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „საქართველოში ერთხანობით მყუდროება და მშვიდობიანობა დამკვიდრდა. მაგრამ ეს მყუდროებაც მალე დაირღვა“<sup>25</sup>. 1065 წელს საქართველოს თურქ-სელჩუკიანთა სულთანი ალფ-არსლანი შემოესია დიდი ლაშქრით. ამ ლაშქრობისას ალფ-არსლანმა ჯავახეთი მოაოხრა, ახალქალაქი აიღო, გაძარცვა და დიდძალი ხალხი გააყლტინა<sup>26</sup>.

მუნეჯიმ-ბაშისაც მოეპოვება ცნობა ალფ-არსლანის საქართველოში პირველ შემოსევაზე. ის მოგვითხრობს, რომ 457(1065) წელს ალფ-არსლანი სომხეთსა და საქართველოს<sup>27</sup> დაესხა თავს. მან ბევრი ციხესიმაგრე აიღო და არანის პატრონ აბულ-ასვარს გადასცა, რათა იმას

---

რომ საქართველოში პირველი ლაშქრობის შემდეგ „მოქცა სულტანი ანისად, შემუსრა და წაიღო ანისი, მოსრნა და ტყუე ყენა ურიცხუნი სულნი, და წარვიდა ქუეყანად თვისად სპარსეთად და ანისი წარუღო ბერძენთა და მისცა მანუჩას, ესა აბულასვარისსა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307).

<sup>23</sup> ეპითაღმწერელი. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1906, გვ. 717; აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 225; შ. მესხია. საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან—„მომომხილველი“, II, გვ. 92—95.

<sup>24</sup> მუნეჯიმ-ბაშის, § 14.

<sup>25</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 149.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 149—150.

<sup>27</sup> ტექსტშია „არმენია და რუმი“, მაგრამ, ჩვენი აზრით, „რუმი“ საქართველო უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სხვა წყაროებით ცნობილია, რომ ამ წელს თურქებს არ ჰქონიათ ბიზანტიელებთან ბრძოლა. ამის გარდა; თვითონ მუნეჯიმ-ბაშის შემდგომი თარიღაც აღსატყუებს ამ მოსაზრებას.

თავისი სამფლობელოებისათვის მიემატებინა, რაკი მის ქვეყანას ესაზღვრებოდნენ<sup>28</sup>.

აბულ-ასვარმა ლაშქარი შემოიკრიბა და 1065 წ. ივნისში ნაბოძები ქვეყნების შემოსამტკიცებლად დაიძრა. ის ჯერ ანისში მივიდა, წესრიგი დაამყარა იქ, თავისი გამგებელი დანიშნა, იარაღით, სანოვაგითა და ხალხით მოამარაგა ქალაქი. მერე საქართველოშიც შეიჭრა, მოითარეშა იქაურობა და უკანვე გაბრუნდა განჯაში<sup>29</sup>.

აბულ-ასვარს რომ ნამდვილად დაულაშქრავს საქართველო, ეს ჩანს მუნეჯიმ-ბაშის შემდეგი თხრობიდანაც. ის აღნიშნავს, რომ იმავე წლის ოქტომბერში ოსები გამოვიდნენ ბაბ-ალანიდან, გადაიარეს შაქისა და ჯურზანის (კახეთის) საზღვრები და კახელებთან ერთად არანს შეესივნენ. შამქორის მიდამოებში მათ ორასზე მეტი კაცი მოკლეს, განჯასაც მიადგნენ და ყველა დახოცეს, ვინც კი ახლო-მახლო სოფლებში მოიხელეს. აბულ-ასვარი თავისი სარდლებით განჯაში იმყოფებოდა, მაგრამ, რაკი ლაშქარი გაშვებული ჰყოლია, ვერ გაბედა გარეთ გამოსვლა და შებრძოლება. აქედან ოსები და კახელები ბარდავისკენ წავიდნენ და სამი დღე დაჰყვეს ქალაქის კართან. მათ მოაოხრეს ბარდავის ოლქი და ხანეკინამდე მივიდნენ. მოლაშქრებმა არანიდან დიდძალი დატყვევებული მუსლიმანი წამოიყვანეს და გამობრუნდნენ<sup>30</sup>.

სათქმურებელია, რომ ეს ლაშქრობა ბაგრატ IV-ის მიერ ყოფილყო მოწყობილი აბულ-ასვარის შემოსევის პაუხად. ოსთა შეფე დორლოელი ბაგრატის ცოლისძმა იყო და ოსთა სამხედრო ძალა საქართველოს მეფეს მომავალშიც გამოუყენებია განჯის მფლობელთა დასაჩქვლად<sup>31</sup>. ოსებთან ერთად კახელებს ნაცვლად ბაგრატის ლაშქარი უფრო მეტად არის მოსალოდნელი. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს მეფეს კახელებიც გამოეყენებინა აბულ-ასვარის წინააღმდეგ, მაგრამ, რაკი აღფ-არსლანის მეორე შემოსევის წინ ბაგრატი „ვალაშქრებული იყო აღებად კახეთისა“<sup>32</sup>, კახელების მონაწილეობა მის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში საეჭვოა.

აღსანიშნავია, რომ პირველი შემოსევის შემდეგ სულთანი აღფ-არსლანი დაეზავა ბაგრატ IV-ს და სომეხთა მეფესაც და ცოლად შეირთო ბაგრატის დისწული, რომელიც ამავე დროს სომეხთა მეფის

28 მუნეჯიმ-ბაში, § 16.

29 იქვე.

30 იქვე.

31 „მატიანე ქართლისას“ ცნობით, როცა „ფადლონმან გატეხნა ფიცნი და მოიბარა ქავანი“, ხოლო შემდეგ აგარანიც დაიკავა, ბაგრატმა დორლოელი ორმოცი ათასი მხედრით სამაგიეროს გადასახდელად გაგზავნა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 313).

32 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 308.



კვირიკეს ძმისწული იყო<sup>33</sup>. ამაზე ადრე ბაგრატიმა თავისი ასული მართა ბერძენთა მეფეს მიათხოვა<sup>34</sup>. აკად. ივ. ჭავჭავაძის აზრით, „სპარსეთის სულტნისა და ბიზანტიის კეისრის ბაგრატი მეფესთან დამოყვრებას საქართველოსათვის მშვიდობიანობა და მყუდროება უნდა მოეტანა და ძლიერ მეზობელ სახელმწიფოთა შემოსევისაგან უნდა უზრუნველყო.

მავრამ მომავალმა ეს იმედოვანი გააქარწყლა“<sup>35</sup>. 1067 წელს დაიწყო აღფ-არსლანის მეორე შემოსევა საქართველოში. ზემოთ აღნიშნული დაზავება-დანათისავეების შედეგად ეს შემოსევა რამდენადმე მოულოდნელი იყო და მისი მიზეზიც არ იყო ცნობილი ისტორიოგრაფიაში.

ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ აღმოსავლური წყაროს „ახბარ აღ-დავლათ ას-სელჯუკიას“ ცნობით, აღფ-არსლანის ეს ლაშქრობა გამოწვეული ყოფილა ბაგრატი მეფის თავდასხმით ბარდავზე<sup>36</sup>. შესაძლებელია, ამ შემთხვევაშიც იგივე ლაშქრობა იგულისხმებოდეს ქართველებისა, რომელსაც მუნეჯიმ-ბაშიც ახსენებს და რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. როგორც ჩანს, ქართველთა არანაშენი ლაშქრობით განრისხებული აღფ-არსლანი მათ დასასჯელად წამოსულა. ამავე დროს, ის ქართველ და სომეხ მეთევებთან ნათესაობისაგანაც თავისუფალი უნდა ყოფილიყო უკვე, რადგან, როგორც ჰამდალამ ყაზვინი ჰოგითხრობს, სულთანი კვირიკე მეფის ძმისწულს მალე გაეყარა და ნიზამ აღ-მულქს შეართვევინა<sup>37</sup>.

„ახბარ აღ-დავლათ ას-სელჯუკიას“ ცნობით, აღფ-არსლანი ჯერ კახეთს შეესია. ბევრი ძარცვა-არბევის შემდეგ ის კახთა მეფის დედაქალაქში მივიდა. აღსართანი სულთანს ეახლა და გამუსლიმანდა. აღფ-არსლანმა დიდი პატივით მიიღო კახთა მეფე და ერთი ფაკიჰიც მიუჩინა საგანგებოდ, რომ ისლამის წესები შეესწავლებინა<sup>38</sup>. აქედან სულ-

33 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306—308; ივ. ჭავჭავაძის ი. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 150—151.

34 იქვე, გვ. 307—308; ივ. ჭავჭავაძის ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

35 ივ. ჭავჭავაძის ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

36 Minorsky Y. Studies in Caucasian History, გვ. 64 (ეს სპარსული წყარო, რომელიც ირანელმა მეცნიერმა მოჰამედ ევბალმა გამოსცა, ჭერჯერობით მიუწოდებელი აღმოჩნდა ჩვენთვის, ამიტომ ვ. მინორსკის ამონაწერებით ვსარგებლობთ).

37 The Tarikh-Guzida of Hamdullah Mustawfi-Qazwini, Part I, containing the reproduction in facsimile of an old MS, with an introduction by Ed. G. Browne, GMS, XIV, London-Leyden, 1910, გვ. 442.

38 ქართული წყარო აღნიშნავს აღსართანის გამუსლიმანებას (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309).

თანსი ქართლში გადავიდა<sup>39</sup>, ბაგრატიის სამფლობელო მოაოხრა და აიღო თბილისი, სადაც მეჩეთი ააშენებინა. ამავე აღმოსავლური წყაროს ცნობით, ბაგრატ მეფემ სამხედრო ეშმაკობა იხმარა. მან ზავი ითხოვა და თან ლაშქრის შეგროვებას შეუდგა მტერთან შესაბრძოლებლად. მაგრამ მისი ლაშქარი დაღუპულა დიდი სიცივისაგან<sup>40</sup>. აღფ-არსლანი ხუთ თვეს დარჩენილა საქართველოში. თურქთა ხაკანის სიკვდილის ამბავი რომ შეიტყო, იგი განჯასა და ბარდავში დაბრუნდა. ისეთი ცივი ზამთარი იდგა, რომ მტკვარი გაყინული ყოფილა, სულთანსი უნავოდ გადავიდა მდინარეზე და ფარსში წავიდა<sup>41</sup>.

მუნჯიმი-ბაშისაჲ აქვს მოთხრობილი აღფ-არსლანის საქართველო-ში მეორე ლაშქრობის ამბავი. მისი სიტყვით, 459 წ. ზულ-ჰიჯას თვეს (1067 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) აღფ-არსლანი არანში მოვიდა და ფადლ იბნ შავურმა (ქართული წყაროების ფადლონი, აბულ-ასვარის ძე) მორჩილება გამოუცხადა და თავის საუნჯეთა გასაღებებიც გადასცა. აქვე მოვიდა შარვანის პატრონი ფარიბურზ იბნ სალარიც საჩუქრებითა და მორჩილებით<sup>42</sup>.

460 წ. მოპარამის თვეში (1067 წლის ნოემბერ-დეკემბერი) სულთანსი კახეთსკენ დაიძრა, იქიდან კი ქართლში გადავიდა, ბევრი ხალხი დახოცა, დაატყვევა და დიდი ნადავლი აიღო. მან მრავალი ციხე დაიპყრო საქართველოში<sup>43</sup>.

ქართული წყაროს ცნობით, აღფ-არსლანის ამ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ კახთა მეფე აღსართანი, სომეხთა მეფე კვირიკე და თბილისის ამირა<sup>44</sup>. „ახბარ აღ-დავლათ ას-სელჯუქიას“ მიხედვითაც სულთანს თბილისის ამირა ხლებია თან<sup>45</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამირა იქნებოდა ჯაფარის ერთ-ერთი ძეთაგანი, რომელიც ამ გზით

---

<sup>39</sup> „მატიანე ქართლისას“ ცნობით, აღფ-არსლანი სამ კვირას დარჩა კახეთში (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309).

<sup>40</sup> ქართული წყაროც მოგვითხრობს, ისეთი ცივი ზამთარი იდგა, რომ ქართველთაგან „რომელი გარდაეხუწა და მიმართა მათა, მონაწყდა იგიცა სიფიცხისაგან ზამთრისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309). ქართველი მემატიანე სულთანსა და ბაგრატს შორის დაწყებულ საზავო მოლაპარაკებასაც ახსენებს და აღნიშნავს, რომ აღფ-არსლანმა „სთხოვა ხარაჲ და უქადა მშვიდობა, ხოლო სიფიცხისაგან ზამთრისა ვერღარა მოილოდინა და წარვიდა ქართლით“ (იქვე, გვ. 309—310).

<sup>41</sup> Minor sky V. Studies in Caucasian History, გვ. 65—66.

<sup>42</sup> მუნჯიმი-ბაშის, § 17.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309.

<sup>45</sup> Minor sky V. Studies in Caucasian History, გვ. 57—58.

ცდილობდა სულთნის გულის მოგებას და თბილისის სრულუფლებიან პატრონად გახდომას (მანამდე ისიცა და მისი ძმაც ბაგრატის მიერ დასმული მოხელენი იყვნენ). მაგრამ ალფ-არსლანმა არ დაუფასა ჯაფარის წაშვიერთ ერთგულება. უკან დაბრუნებისას მან თბილისზე ჩამოიარა და შეიპყრო ორივე, ხოლო თბილისიცა და მისი ოლქიც განჯის პატრონ ფადლონს უბოძა<sup>46</sup>. „მატიანე ქართლისას“ ავტორიკ აღნიშნავს, რომ სულთანმა „ჩამავალმან წარულო ტფილისი და რუსთავი და მისცა ფადლონს, განძისა პატრონს“. ქართველი მემკვიდრის აზრით, „არა-თუ მეფეთა ჩუენთა მტერობისათვის ოდენ მოსწყვიდა ტფილისი და რუსთავი ამას სამეფოსა, არც ამისთვის ქმნა, თუმცა იგი ამირანი ორგულად დადგომილ იყვნენ კარსა მისსა ზედა, არამედ კეთილისა და მსახურებისა ნაცვლად ბოროტსა უყოფდიან ყოველსა კაცსა“<sup>47</sup>.

რაკი ფადლონს სულთნისაგან მიღებული ჰქონდა თბილისი და მისი ოლქი, მან შეიფერა ეს წყალობა და გადაწყვიტა ბოძებული სამფლობელოს შემომტკიცება. ამის გამო ბაგრატი გაზაფხულზე „გარდამოვიდა ქართლად და ჩადგა დიდგოროთა“<sup>48</sup>. ფადლონმა ყურადღება არ მიაქცია ამას, 460 წლის რამაზანის თვეში (1068 წლის ივლისი) თბილისის ოლქში შეიჭრა, იქიდან კი ბაგრატის სამფლობელოებსაც შეესია<sup>49</sup>, ქართული წყაროს ცნობით, ფადლონს ოცდაცამეტი ათასი კაცი ჰყოლია თან. ის თბილისში მოვიდა და ისინი ველზე დაიბანაკა, იქიდან კი მუხნარისაკენ დაიძრა და „არბივნა ქართლის ნაპირნი“<sup>50</sup>.

როცა მუსლიმანები ალაფითა და ნადავლით გაივსნენ, ქართველებმა გზა გადაუღობეს ხეობებში და შეებრძოლნენ. მუსლიმანები დამარცხდნენ და გაიქცნენ. ფადლონს მხლებელთა მცირე რაზმიღა შეჩა; როცა ყველა დაუხოცეს, ისიც გაიქცა მარტო დარჩენილი, მაგრამ გზა დაებნა და ერთ სოფელში აღმოჩნდა, რომელიც კახთა მეფის

46 მ უ ნ ე ჟ ი მ-ბ ა შ ი, § 17.

47 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310.

48 იქვე.

49 იქვე; მ უ ნ ე ჟ ი მ-ბ ა შ ი, § 17; ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში წერია, რომ სულთან ალფ-არსლანის საქართველოდან წასვლის შემდეგ „მონდომა ბაგრატ მეფემ ტფილისზე მისვლა. ესმა ფატლუნს და წამოვიდა მის წინა აღმდეგ“. (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 230).

50 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310.

ერთ-ერთ დიდებულს ეკუთვნოდა<sup>51</sup>. ფაღლონი ერთ საათს დარჩა იქ. შემდეგ კი ამ დიდებულმა აღსართან გაგიკის ძეს მიჰგვარა იგი. აღსართანმა შეიპყრო ფაღლონი და რამდენიმე დღის შემდეგ ბაგრატ IV-ს გადასცა<sup>52</sup>.

ფაღლონის ხელში ჩაგდების შემდეგ ბაგრატმა მაშინვე თბილისის დაბრუნება სცადა და წარმატებასაც მიაღწია, თუმცა კი ქართველებმა „ქირვეულად“ აიღეს ქალაქი, რადგან ფაღლონის მიერ იქ დასმული მოხელე თურმე თვითონ ლამობდა გაამირებას<sup>53</sup>. მაგრამ საქართველოს მეფემ არც ამჯერად დაიჭირა თბილისი საკუთრად, არამედ დმანისიდან ჩამოაყვანიან ვინმე სითილ-არაბი, მას მისცა ქალაქი საგამკეოდ და ყოველწლიურად 44 ათასი დრაჰმანის გადახდა დააკისრა<sup>54</sup>. ეს სითილ-არაბი თბილისის ჯაფარიან ამირათა ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელია.

ფაღლონი 461 წლის ჯუმადი აღ-ახირის თვემდე (1069 წ. მარტი—აპრილი) დარჩა ტყვეობაში<sup>55</sup>, სანამ ბაგრატ IV-მ სულთან აღფ-არსლანის შეამდგომლობით არ გაათავისუფლა იგი<sup>56</sup>.

ამგვარად, ბაგრატ IV-ის მიერ საქართველოს დედაქალაქის დასაბრუნებლად წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა, მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ფაქტიურად უშედეგოდ დამთავრდა. ქალაქი ჭერჭერობით მაინც მუსლიმან გამგებელთა ხელთ დარჩა, თუმცა კი თბილისის ამირა საქართველოს მეფის მიერ იყო დასმული და ხარკს უხდიდა მას, მაგრამ ეს მდგომარეობაც არ გაგრძელებულა დიდხანს. 1080 წლიდან საქართველოში თურქთა ახალი შემოსევები, ე. წ. „ღიღი თურქობა“ დაიწყო. ცხადია, რომ თურქთა რბევა-თარეში თბილისსაც შეეხებოდა. ამიტომ ასეთ პირობებში თბილისის ამირას მიერ

51 არაბულ ტექსტში ყოფილა — **وكان ابن كفتار** —, რაც ე. მინორსკის აღუდგენია „ივანე ლიპარიტის ძე“ (או ابن نفرت). ასეთი გასწორება ტექსტისა, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული, რადგან, როგორც ვიცით, ივანე ლიპარიტის ძე არ ყოფილა კახთა მეფის დიდებული და არც მამული ჰქონია კახეთში. ცნობილია, რომ საბერძნეთიდან დაბრუნებულ ივანეს ბაგრატ IV-მ „უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 305). ამას გარდა, ცნობილია ისიც, რომ ივანე ლიპარიტის ძე, ნიანია ქვაბულის ძესა და შურვან ჯაყელთან ერთად, ბაგრატ IV-ის მიერ ფაღლონის დასადევნებლად გაგზავნილ ლაშქარს მეთაურობდა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310) და კიდევ რომ ჰქონოდა კახეთში სოფელი, იქ ვერ დაუხვდებოდა გაქცეულ ფაღლონს.

52 მუ ნე ქ ი მ-ბ ა შ ი, § 17. ქართული წყაროც დაწვრილებით აღწერს ფაღლონის ლაშქრობასა და შეპყრობას (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310—312).

53 იქვე, გვ. 312.

54 იქვე.

55 მუ ნე ქ ი მ-ბ ა შ ი, § 18.

56 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 312.

საქართველოს მეფისათვის ხარკის მიცემაზე ლაპარაკი კი ზედმეტია, მით უმეტეს, რომ გიორგი II-მ თავად იყისრა თურქებისათვის ხარკია გადახდა.

ამგვარად, XI ს. 80-იანი წლებიდან თბილისი თურქების გავლენის ქვეშ მოექცა. ამავე ხანებში ჭაფარიან აპირათა დინასტია, რომელიც 200 წელს ბატონობდა ქალაქში, გადაშენდა და თბილისი ისევ მოქალაქეთა ხელში გადავიდა.

საინტერესო ცნობები მოიპოვება ამის შესახებ XII საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის<sup>57</sup> თხზულებაში. მისი სიტყვიერ, მთელი ორმოცი წლის განმავლობაში თბილისს თეიანონ მცხოვრებნი განაგებდნენ და ყოველი მათგანი თითო თვეს მართავდა ქალაქს. თა-

57 არაბი ისტორიკოსი აქმად იბნ იუსუფ იბნ ალი იბნ ალაზრაკ ალ-ფარიკის კალამს ეკუთვნის მისი მშობლიური ქალაქის შაიფარიკის ისტორია — „თარიხ ალ-მადაფარიკინ“. ალ-ფარიკის ბევრი უმოგზაურია; კერძოდ, ის ყოფილა სირიაში, ბაღდადში, სომხეთში. 1153 წ. ის საქართველოშიც ჩამოვიდა და რამდენიმე წელი დაჰყო დემეტრე მეფის სამსახურში. დიდგორის ომის დროს (1121 წ.) ალ-ფარიკი სულ 5 წლისა იყო, მაგრამ 1153 წ. მან პირადად დაათვალიერა ბრძოლის ადგილი მას ორმხრივი ზუსტი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა მიღებული ამ ხნის ამბების შესახებ, ამიტომ მის თხზულებას პირველხარისხიანი წყაროს მნიშვნელობა აქვს აღებული ხანის საქართველოსა და, კერძოდ, თბილისის ისტორიისათვის. ცნობილია ამ თხზულების რამდენიმე ხელნაწერი. რომლებიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. ეს ხელნაწერები პირველად აღწერა ჯ. ფ. ამერლოზმა, ამოქვეყნა ამავე დროს გამოაქვეყნა ბიოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ და მთელი რიგი ნაწილები ინგლისური თარგმანი (A medroz H. F. Three arabic Mss on the History of the city of Mayyafariqin.— JRAS, გვ. 783—812). 1930 წელს ირანელმა მეცნიერმა ქვარყეი თებრიზიმ სამ ტომად გამოსცა ნაშრომი — „დაიუყეებელი ხელმწიფენი“. ამ ნაშრომის მესამე ტომში, რომელშიც შეკრებულა მასალა შედადიანთა დინასტიის ისტორიისათვის, ქვარყეიმ დამატების სახით დაბეჭდა თბილისის შესახებ ალ-ფარიკის ცნობის სპარსული თარგმანი: شهریاران گمنام، بخش سومین، شادایان.

1943 წელს ამ ნაწილებს (გვ. 75). نگارش کسروی تریزی طهران، ۱۳۰۸. ქართული თარგმანი სპარსულ ტექსტსა და ამერლოზის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებთან ერთად დაბეჭდა ვ. ფურცხიძემ (ვ. ფუთურიძე. არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ. — „ენიკის მოამბე“, XIII, 1943, გვ. 139—143). 1949 წელს ვ. მინორსკიმ ინგლისურად გამოაქვეყნა ალ-ფარიკის ცნობები კავკასიის შესახებ (Minorisky V. Caucasia in the History of Mayyafariqin, BSOAS, XIII, p. ., 1949). თბილისისა და საქართველოს შესახებ ალ-ფარიკის ცნობების არაბული ტექსტი პირველად გამოაქვეყნა აკად. გ. შერეთელმა ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გადაღებული ფოტოპირების მიხედვით (გ. შერეთელი. არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 68—75). 1957 წ. აზერბაიჯანის მეც. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა გ. შერეთლის მიერ გამოქვეყნებული არაბული ტექსტის რუსული თარგმანი, შესრულებული ქ. მამელოვის მიერ, და ამავე ტექსტის ფოტოპირი (Труды Института истории АН Аз. ССР, XIII, 1957).

ვისთავად ცხადია, რომ აქ იგულისხმება არა თბილისის მთელი მოახლეობა, არამედ ისევ და ისევ ქალაქის „ბერები“.

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა დავით IV, შემდგომში აღმაშენებლად წოდებული. დავითმა მიზნად დაისახა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამოსწორება. მან ისარგებლა თურქ-სელჩუკიანთა ძლიერების შესუსტებით, ბოლო მოუღო საქართველოში მათ თარეშს, უარი უთხრა ხარკის გადახდაზე და ენერგიულად შეუდგა ამიერკავკასიიდან მტრის განდევნას. 1110—1115 წლებში დავითმა დაიბრუნა თბილისის გარშემო მდებარე ქალაქები და ციხეები და თანდათან მიუახლოვდა დედაქალაქს. ჯერი თბილისზე მიდგა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქს იმ დროს განაგებდნენ „თბილელი ბერები“, რომელთა შორის დიდი გავლენით სარგებლობდნენ მუსლიმანი დიდგვარები. ისინი ფართო საქარავნო ვაჭრობას აწარმოებდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან და დაინტერესებულ იყვნენ ქალაქის დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.

აღ-ფარევი მოგვითხრობს, რომ ქართველი მეფე დავითი ძლიერ ავიწროებდა თბილისს და ცდილობდა მის აღებას. ეს კი უბატონო ქალაქის თავისუფლების მოსპობასა და თვითმმართველობის გაუქმებას მოასწავებდა. ამიტომ მცხოვრებთ კაცი გაუგზავნიათ სულთან თორღულ მოჰამედის ძისათვის<sup>58</sup>, რომელიც განჯაში იმყოფებოდა. თორღულმა ერთი ციხისთავი (შენე) გამოუგზავნა ქალაქს. რა თქმა უნდა, ასეთი დახმარება ბევრს ვერაფერში გამოადგებოდა თბილისელებს და ვერც დავითს ააღებინებდა ხელს ბრძოლაზე. ამიტომ მოქალაქეთა თავკაცები იძულებული გამხდარან ისევ საქართველოს მეფეს მორიგე-

---

<sup>58</sup> თორღულ იზნ მოჰამედი ერყის სელჩუკიანთა დინასტიის წარმომადგენელია. როცა მისი ძმა მულის აღ-დინ მოჰამედი, ამ დინასტიის დაჰარსებელი (1118—1131), სულთანად დაჯდა, თორღული მცირეწლოვანი იყო (დაიბადა 564—1110/1111 წ.) და ათაბეგად ჰყავდა შირ-გირი, ზენჯანისა და აზპარის პატრონი, მაგრამ ქენ-თოღდი მიიტაცა მისი სამფლობელოცა და თანამდებობაც. შემდგომში თორღულმა საგამგეოდ მიიღო სავე, ყაზვინი, ზენჯანი, დილეში და გილანი. 514 (1120—1121) წელს თორღული (ან უკეთ, მისი ათაბეგი) განუდგა სულთან მოჰამედს. იგი აზერბაიჯანში მივიდა და განჯა აიღო. ათაბეგი ქენ-თოღდი 1121 წ. დეკემბერში გარდაიცვალა და თორღულის აჯანყებაც მალე ჩაქრობილ იქნა. ამგვარად, თორღული არანისა და განჯას გამგებლად მცირე ხანს იყო, 1121—1122 წწ., და სწორედ ამავე დროს ეხება ზემოთ მოტანილი ცნობაც. 1122 წ. მარტში თორღული მოჰამედს დამორჩილდა და შემდგომში სულთანდაც იყო ერთ ხანს (ამდღესაც ყაზვინის ცნობით, 3 წელი და 3 თვე, 1131—1134 წწ.). გარდაიცვალა თორღული შამდანში 529 წ. რამზანის თვეში (1134 წ. ოქტომბერ-ნოემბერი) 24 წლის ასაკში (თარიღე გოზიდე. ციტ. გამოც. გვ. 465; Minor sky V. Caucasia in the History of Musulmanic, გვ. 30; Лэн-Пуль, Мусульманские династии, с. 127).

ბოდნენ. მათ ყოველწლიურად ათი ათასი დინარის გადახდა იკისრეს და დათანხმდნენ ციხისთავი მიეღოთ, რომელსაც მხოლოდ ათი მხედარა ეყოლებოდა თან<sup>59</sup>. ასე გაგრძელდა ერთ ხანს. მაგრაჟ. როგორც ჩანს, თბილისის მოსახლეობის ზედაფენას ხელს არ აძლევდა საქართველოს მეფისათვის ასეთი დიდი ხარკის გადახდა. მათ ისიც კარგად ესმოდათ, რომ ადრე თუ გვიან დავითი დაიბრუნებდა თბილისს და მათ თვითმმართველობასაც ბოლო მოეღებოდა.

ამას გარდა, მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა დაიბრუნა თბილისის გარშემო მდებარე ქალაქები და თბილისიც შეაფრთხილა, სავაჭრო კავშირი სხვა ქალაქებთან გაძნელდა. ამან არა მარტო თბილისელი ვაჭრები შეაწუხა, არამედ დმანელი და განჯელი ვაჭრებიც დიდად აზარალა. ამიერკავკასიაში მყოფი თურქებიც ხედავდნენ, რომ მათ ბატონობას აქ ბოლო ეღებოდა. ამიტომ „შეიწრებულნი თურქმანნი და კულად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტნისა წინაშე“ და შემწეობა სთხოვეს<sup>60</sup>. ერაყის სელჩუკიანმა გამგებელმა მაჰმუდ მოჰამედის ძემ ლაშქრობის თადარიგი დაჰკირა. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, მან „მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზ სადაყას ძესა და მოსცა ქე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი“. ამასთან ერთად, სულთანმა „უბრძანა თურქმანობასა, სადაღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მხედრობად შემძლეებლსა, ამათგან ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველსა სომხითისა ამირათა“ სალაშქროდ გამზადება<sup>61</sup>.

მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქრის სპასალარად სულთანმა „აჩინა ელლაზი, ქე არდუხისი“<sup>62</sup>.

ალ-ფარისის ცნობით, 515 (1121—1122) წელს თბილისელებმა კაცი გაუგზავნეს ნეჰმ ად-დინ ილლაზის<sup>63</sup> და სთხოვეს, მოსულიყო და ქალაქი ჩაებარებინა. იმანაც ლაშქარი შემოიკრიბა და თბილისისაკენ დაიძრა<sup>64</sup>.

<sup>59</sup> Minor sky V. დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

<sup>60</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 340.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> ნეჰმ ად-დინ ილლაზი ორთუქიანთა დინასტიის წარმომადგენელია. 1101 წ. სელჩუკიანმა სულთანმა ილლაზი ბაღდადის გამგებლად დანიშნა. 1108 წელს მან მარდინიც მიიღო და საფუძველი ჩაუყარა ორთუქიანთა დინასტიის მარდინის შტოს. 1117 წ. ილლაზიმ ალექო აიღო, ხოლო 1121 წ. სულთანმა მაჰმუდმა იგი მთავარი-კინის გამგებლად დანიშნა. ილლაზიმ და მისმა ძმამ სულთანმა დიდად გაითქვეს სახელი ჯვაროსნებთან ბრძოლაში (Лен-Пуль, Мусульманские династии, с. 140—141). ალ-ფარისის სიტყვით, ილლაზი გარდაიცვალა 1122 წ. 29 ნოემბერს (Minor sky V. Caucasia in the History of Mayyafariqin, გვ. 35).

<sup>64</sup> Minor sky V. დასახ. ნაშრომი, გვ. 31, 32.

იბნ ალ-ასირის ცნობით, ქართველების შემოსევებით შეწყუხებულია მუსლიმანმა ამირებმა ერთმანეთს მიმართეს და შეერთდნენ ქართველთა წინააღმდეგ<sup>65</sup>.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქართულსა და არაბულ წყაროებს შორის ერთგვარი წინააღმდეგობაა კოალიციური ლაშქრობის მოწყობის ინიციატივის საკითხში.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უპირატესობა ქართული წყაროს ცნობას უნდა მიეცეს. გაცილებით უფრო დასაჯერებელია, რომ თბილისელებს (და მათთან ერთად განჯელ-დმანელებსაც) სულთან მაჰმუდისათვის მიემართათ შემწეობისათვის, ვიდრე მარღინისა და მიაფარიკინის პატრონისათვის შეეძლიათ ქალაქი. სულთან მაჰმუდის მიერ გაერთიანებული ლაშქრის სპასალარად ნეჯმ ად-დინ ილაზის დანიშვნა საეხსებო ბუნებრივი ჩანს, მით უმეტეს, რომ მას სწორედ მაჰმუდისაგან ჰქონდა მიღებული მიაფარიკინი საგამგეოდ.

საფიქრებელია, რომ სულთანმა დაავალა ნეჯმ ად-დინს ქართველთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მოწყობა და შემდგომში ილაზი მისი სახელით მოქმედებდა.

ალ-ფარიკის ცნობით, ილაზიმ თან წამოიყვანა თავისი სიძე დუბეის იბნ სადაკა<sup>66</sup>. ამავდროს მან ბითლისისა და არზანის პატრონს თუღან არსლან ალ-აჰმადს („ეუზიანს“), რომელსაც დეინიც ეკუთვნოდა<sup>67</sup>, უბრძანა აღმოსავლეთის მხრიდან მისდგომოდა ქალაქს. თვითონ ნეჯმ ად-დინი დიდი ლაშქრით დაიძრა, არზრუმი გაიარა, ყარსის ვილაიეთიც განელო და თრიალეთის გზას გაჰყვა. თორღული განჯის

---

<sup>65</sup> Ибн-А-Асир. Тарих-ал-камышь, отрывки в переводе П. Жузе, Баку, 1940, с. 123.

<sup>66</sup> დუბეის სადაკას ძე, მაზიდიანთა არაბული დინასტიის წარმომადგენელი, ქ. კილაში (მდ. ეფრატზე). ბატონობდა 1108—1135 წწ. მას ცოლად ჰყავდა ნეჯმ ად-დინ ილაზის ქალიშვილი გოუჰარ-ხათუნი. თორღული რომ თავის ძმას სულთან მაჰმუდს განუდგა, დუბეისმა თორღულის მხარე დაიჭირა. როცა მაჰმუდი პილასყენ დაიძრა ლაშქრით 514 წ. შავალის თვეში (1120 წ. დეკემბერი — 1121 წ. იანვარი), დუბეისი გაიქცა და სიმამრს შეაფარა თავი (Лэн-Пуль. Мусульманские династии, с. 97; Minor sky V. Caucasia in the History of Mayyafariqin, გვ. 32).

<sup>67</sup> დეინი 1105 წლამდე შედადიანთა ხელთ დარჩა. ამ წელს ამირა ყიზილ არსლანმა აიღო ლორე, დეინში შეიჭრა და მოკლა მანუჩეს ძმა ნასრი. რაკი მანუჩეს საკუთარი ძალით არ შეეძლო ყიზილ არსლანთან ბრძოლა, ის სელჩუკიან სულთან უიას ად-დინ მოჰამედს (1105—1118) ეახლა, დახმარება გამოსთხოვა და დაამარცხა მოწინააღმდეგე. მაგრამ, სამაგიეროდ, მანუჩეს სელჩუკიანთათვის განჯის მიცემა მოუხდა. მალე ქალაქი დეინი შედადიანებს ბითლისისა და არზანის პატრონმა, თურქმა ამირა შამს ედ-დოვლე თუღან არსლანმა წაართვა (Minor sky V. Study in Caucasian History, გვ. 82).



მხრიდან გაემზადა, თულან არსლანი კი დვინიდან წამოვიდა. მუსლიმანთა მთელი ლაშქარი თბილისის კართან უნდა შეხვედროდა ერთმანეთს<sup>68</sup>.

იბნ ალ-ასირის სიტყვით, მუსლიმანთა ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდნენ მარდინის პატრონი ილაზი, მისი სიძე დუბეისი, თორღრულ მოჰამედის ძე და მისი ათაბეგი ქენ-თოლდი<sup>69</sup>.

ნეჯმ ად-დინი ნახევარი დღის სავალზე მიუახლოვდა თბილისის და ერთი მთის ძირას დაიბანაკა. ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მუსლიმანთა ლაშქარი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორთა“<sup>70</sup>. დავით აღმაშენებელმა დაასწრო მტერს და სანამ თორღრულისა და თულან-არსლანის რაზმები მოვიდოდნენ, თავს დაესხა ნეჯმ ად-დინის ლაშქარს. მუსლიმანები სასტიკად დამარცხდნენ; ბევრი მათგანი მოიკლა ან ტყვედ ჩაეარდა. ქართველებმა დიდი ნადავლი იგდეს ხელთ<sup>71</sup>.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრობა ქართველების წინააღმდეგ ნაწილობრივ მაინც ჩაშლილა. ქართულ, სომხურ და არაბულ წყაროებში დასახელებული არიან ამ ლაშქრობის შემდეგი სავარაუდო მონაწილენი: ნეჯმ ად-დინ ილაზი, მისი სიძე დუბეისი, თორღრულ მოჰამედის ძე, განჯის ათაბეგი, თულან არსლანი, სულთან მელიქი (მათე ურჰაელი) ან სულთან მაჰმუდის ძე მალიქი (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი). ერთი შეხედვით მართლაც დიდი გაერთიანებული ლაშქარი ჩანს, მაგრამ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ლაშქრობის ყველა მონაწილე არ მოსულა დროზე, ზოგმა კი სხვადასხვა გარემოებათა გამო ვერ შეძლო მოსვლა. ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ თორღრულ მოჰამედის ძისა და თულან არსლანის მონაწილეობა არ ჩანს ლაშქრობაში<sup>72</sup> (სულთან მაჰმუდს ამ დროს რაზმები ჰყოლია გაგზავნილი თავის ძმისა და მისი ათაბეგის წინააღმდეგ, ამით უნდა აიხსნას, რომ ამ უკანასკნელთ ვერ შეძლეს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება).

რაც შეეხება სულთან მალიქ მაჰმუდის ძეს, უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმუდს მართლაც ჰყავდა ვაჟიშვილი სახელად მალიქშაჰი, რომელიც სულთანად იყო 1152—1153 წწ. მაგრამ დიდგორის ომის დროს ის ჯერ დაბადებულიც არ იყო (დაიბადა 1129 წ.)<sup>73</sup>. ასე რომ, ქართულ

<sup>68</sup> Minor sky V. Caucasia is the History of Mayyafariqin, გვ. 32.

<sup>69</sup> Ибн-ал-Асир. Тарих-ал-камиль. გვ. 123.

<sup>70</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 340.

<sup>71</sup> Minor sky V. დასახ. ნაშრომი, გვ. 33; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 341.

<sup>72</sup> Minor sky V. დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

<sup>73</sup> თარიხე გოზიდე, ციტ. გამოცემა, გვ. 468.

და სომხურ წყაროებში მოხსენიებული მალიქი იგივე არაბული წყაროების თოღრული უნდა იყოს, რომელიც თავის მხრით დიდგორას ომის დროს თერთმეტობედ წლისა იყო. ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღო მის ათაბეგს (ქართულ წყაროში რომ განძის ათაბაგად არის მოხსენიებული), მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმანაც ვერ შესძლო მოსვლა.

ამგვარად, ქართველთა პირისპირ დარჩა მხოლოდ ნეჟმ ად-დინი თავის სიძითურთ. სხვა გადამწყვეტ მიზეზთა შორის ამანაც განაპირობა მუსლიმანთა ასეთი სწრაფი და სასტიკი დამარცხება.

დამარცხებული ნეჟმ ად-დინი და ღუბეისი თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ მცირე რაზმის თანხლებით, დავით მეფე კი თბილისისკენ წამოვიდა. ამჯერად ქალაქის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო; მაგრამ თავისუფალი ქალაქის მოსახლეობა, რომელიც მთელი ორმოცი წლის განმავლობაში თვითონ განაგებდა თბილისს, არ ნებდებოდა საქართველოს მეფეს. დავითმა ალყა შემოარტყა ქალაქს, მერე კი დასავლეთის მხრიდან შეანგრია გალავანი, თბილისში შეიჭრა და იარაღით დაიპყრო იგი. ამგვარად, 1122 წელს დავით IV-მ დაიბრუნა საქართველოს დედაქალაქი „ოთხას წელ ქონებული სპარსთა“ და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, პირველ ხანებში გაჯივრებულ გულზე სასტიკად დასაჯა თბილისელები. მაგრამ სამი დღის შემდეგ მეფემ შეიწყალა მოქალაქენი და თბილისის აღდგენას შეუდგა.

დავითს კარგად ესმოდა თბილისის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრისა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ იმხანად თბილისის მუსლიმანური მოსახლეობა დიდ როლს თამაშობდა ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში. იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად გაზრდილიყო თბილისის ეკონომიკური მნიშვნელობა იმდროინდელ აღმოსავლეთში, საჭირო იყო მუსლიმანი ვაჭრების შერიკება. ამიტომ, როგორც აღ-ფარაბი მოგვითხრობს, დავითმა მთელი რიგი შეღავათები დააწესა თბილისის მუსლიმანური მოსახლეობისათვის. დავით აღმაშენებელმა რომ თბილისი დაიბრუნა, მან მოსპო მოქალაქეთა თვითმმართველობა. ამიერიდან ქალაქის ამირასაც მეფე ნიშნავდა ადგილობრივ დიდებულთაგან<sup>74</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქის მოსახლეობას თავისი ხელოსნურ-ვაჭარული გაერთიანებები შეუნარჩუნებია და მათ წარმომადგენლებს უშუალო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ საქართველოს მეფესთან. აღ-ფარაბი აღნიშნავს, რომ დავითს საგანგებო ხელშეკრულება დაუდვია მუსლიმანებთან, რომელიც დემეტრეს დრო-

<sup>74</sup> Месхиа Ш. А. Из истории грузинского феодального города IX—XIII вв., с. 147.

საც ძალაში იყო. ჩვენი აზრით, ეს ხელშეკრულება სწორედ მეფესა და ზემოხსენებულ გაეროაანებათა წარმომადგენლებს შორის უნდა დადებულიყო. ამ ხელშეკრულების თანახმად, დავითმა გაათავისუფლა ქალაქის მოსახლეობა იმ წლის ყოველგვარი გადასახადისაგან და ბევრი უპირატესობა მიანიჭა მუსლიმანებს ქრისტიანებთან შედარებით. მან ბრძანა, რომ ღორები არ მიეყვანათ მუსლიმანთა უბანში და არ დაეკლათ არც იქ და არც ბაზარში. ქართველს, სომეხს ან ებრაელს უფლება არ ჰქონდათ შესულიყვნენ ისმაილის აბანოში, რომელიც საგანგებოდ მუსლიმანთათვის ყოფილა განკუთვნილი. დავითმა ნება დართო მუსლიმანებს საჯაროდ წარმოეთქვათ აზანი და პარასკევობით ხუტბა წაეკითხათ მეჩეთში ხალიფასა და სულთნის სახელზე. ერთი სიტყვით, ალ-ფარაჟის თქმით, დავითი ისეთი პატივით ეპყრობოდა მუსლიმანებს და ისეთ ყურადღებას იჩენდა მათი სარწმუნოების, მეცნიერებისა და სუფიზმის მიმართ, როგორსაც მუსლიმანთა შორისაც კი ვერ ნახავდნენო<sup>75</sup>. ასეთი ბრძნული და წინდახედული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ „ერთი საუკუნის შემდეგ იმ მოქალაქეთა შვილები და შვილიშვილები საქართველოს ძლიერებისა და ბედნიერებისათვის იმნაირადვე ზრუნავდნენ, როგორც ჩვენი ერის ღვიძლი შვილები“<sup>76</sup>.

საგარეო და საშინაო ვაჭრობის გასაფართოებლად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დასაკავშირებლად აუცილებელი იყო არსებული გზების წესრიგში მოყვანა და ახალი გზების გაყვანა. დავით აღმაშენებელმა ბევრი ხიდი გააღებინა „მდინარეთა სასტიკთა ზედა“ და „გზანი, საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყვნა“<sup>77</sup>. მისი ბრძანებით სავაჭრო გზებზე ფუნდუკები აუგიათ მგზავრთათვის, ქალაქებში კი — ქარვასლები და სასტუმროები, სადაც უცხოეთიდან ჩამოსული ვაჭრები და მოგზაურები ჩამოხდებოდნენ თავიანთი საქონლით.

დავით აღმაშენებლის მეფობაში საქართველო ეკონომიკურად გაძლიერდა და ტერიტორიულადაც გაიზარდა. ახლა ის შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული და სერიოზულ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ძალას წარმოადგენდა მთელს წინა აზიაში. ამიერიდან საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას. სწორედ ამით იყო გამოწვეული დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმა სამონეტო სისტემისა. ალ-ფარაჟის ცნობით,

<sup>75</sup> Minorsky V. Caucasia in the History of Mayyafariqin, გვ. 34.

<sup>76</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 29—30.

<sup>77</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353.

მეფეს თბილისში მოუქრია დირჰემები, რომლებზეც ქართველი მეფის სახელთან ერთად, შუბლზე სულთნისა და ხალიფას სახელები ეწერა, ზურგზე კი ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველისა<sup>78</sup>.

ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, რომელიც აღნიშნავდა, რომ „ამ უკანასკნელ ცნობას დავითის მოქრილი ფულები უარყოფენ; იქ არც მუჰამედის, არც ხალიფის სახელები არ აწერია“<sup>79</sup>. მართლაც დავით აღმაშენებლის ამჟამად ცნობილ მონეტებში არ გვხვდება ისეთი, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდეს ალ-ფარაჰის მიერ აღწერილ მონეტას. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არაბმა ავტორმა, რომელიც დემეტრეს დროს იყო საქართველოში, ამ მეფის მიერ მოქრილი ფული მიაწერა დავითს. ეს რომ კიდევ ასე მომხდარიყო, ფაქტი მაინც ისაა, რომ რეფორმა სამონეტო სისტემისა გატარებული იყო დავით აღმაშენებლის მიერ. ამას მოწმობს ის არაბულწარწერიანი მონეტა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი დავით ულუს მიაწერს. მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ. კაპანაძე, „ამ მონეტაზე აღბეჭდილი „მეფეთა მეფის“ ტიტული და „მესიის მახვილის“ ეპითეტი იმდენად უახლოებს ამ მონეტას XII საუკუნის ნიმუშებს, რომ დავით აღმაშენებლისადმი მისი მიკუთვნება სავსებით დამაჯერებელია“<sup>80</sup>. ჩვენი აზრით, „მესიის მახვილის“ ეპითეტი, რომელსაც ატარებდნენ დემეტრე და მისი მომდევნო მეფეები, მაგრამ, რომელიც აღარ გვხვდება მონღოლთა ბატონობის ხანაში, პირველად სწორედ დავით აღმაშენებელს უნდა მიეღო.

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმა მიზნად ისახავდა ქართული მონეტების აღმოსავლურთან დაახლოებას, რადგან ქართული ფული იჭრებოდა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ საერთაშორისო ვაჭრობაში საბრუნავადაც. არაბულწარწერიანი ქართული მონეტების მოქრა უტყუარი მოწმობაა საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდისა და მისი ფართო მონაწილეობისა მახლობელი აღმოსავლეთის საქარავნო ვაჭრობაში. დავით აღმაშენებლის, დემეტრეს თუ გიორგი III-ის მონეტებზე გაკეთებული არაბული წარწერები (ისევე, როგორც მეჩეთში წარმოთქმულ ჭუტბაში სულთნისა და ხალიფას მოხსენიება) სულაც არ ნიშნავდა მათს დამოკიდებულებას თურქ-სელჩუკიან სულთნებზე ან: და ბაღდადის ხალიფაზე<sup>81</sup> და გამიზნული იყო იმისათვის, რომ ქართულ

<sup>78</sup> М и н о р с к ы V. დასახ. ნაშრომი, გვ 33—34.

<sup>79</sup> ივ. ჭავჭავაძის მიხედვით. დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

<sup>80</sup> დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 58; ამავე მონეტის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. Капанадзе Д. Г. Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия. — Эпиграфика Востока, 1958, XII.

<sup>81</sup> არაბთა სახალიფოს ტერიტორია იმ დროს საკუთრივ ბაღდადიდან და მისი სანაპირო იყო შემოღარგული და ხალიფასაც მხოლოდ სასულიერო მმართველის ფუნქციები ჰქონდა შენარჩუნებული.

ფულს თავისუფლად შესძლებოდა ბრუნვა მუსლიმანურ აღმოსავლეთში. არაბული წარწერა გზას უხსნიდა ამ ფულს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და მისაღებს ხდიდა მუსლიმანი ვაჭრებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, ამ მონეტებზე ქართველი მეფეები „მესიის მახვილად“ იწოდებოდნენ, რაც თავისთავად უკვე ხაზს უსვამდა მათს სრულ დამოუკიდებლობას.

დავით აღმაშენებლის ამგვარმა ღონისძიებამ კიდევ უფრო მეტად გაათართოვა აღებ-მიცემა საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, გაზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და შორს გაუთქვა მას სახელი.

დავითის მემკვიდრეებიც ხელს უწყობდნენ ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას და ყურადღებამა და მზრუნველობას არ აკლებდნენ ვაჭრებსა და მოვზაურთ, აღ-ფარაქის ცნობით, დავითის მიერ თბილისის მუსლიმანური მოსახლეობისათვის დაწესებული შეღავათები მისი შვილის დემეტრეს მეფობაშიც ძალაში ყოფილა. არაბ ავტორს უნახავს, როგორ შევიდა დემეტრე პარასკევ დღეს საკრებულო მეჩეთში და ხატიბის პირდაპირ მკდომმა მოისმინა მთელი ხუტბა. ლოცვა რომ დამთავრდა და ხალხი დაიშალა, დემეტრე მერე გამოვიდა გარეთ. იმავე დღეს მან ორასი ოქროს დინარი უბოძა მეჩეთს. დემეტრე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ულემებს, სუფიებს და სხვა მუსლიმანთ, მფარველობდა და ხშირად ასაჩუქრებდა მათ<sup>82</sup>.

დავითი და მისი მემკვიდრენი დავრდომილებსა და ავადმყოფებზეც ზრუნავდნენ. ჯერ კიდევ თბილისის აღებამდე დავითმა გელათში „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვთოსახითა სენითა განცილინი, და მოუმზადა ყოველი საკმარი მათი, უნაკლულოდ და ჭხუებით, დაგანურიანა შესავალნი და სალუაწნი მათნი ყოველადე“<sup>83</sup>. საფიქრებელია, რომ ასეთივე დაწესებულება თბილისის დაბრუნების შემდეგ მეფეს დედაქალაქშიც უნდა გაეხსნა. აღ-ფარაქი მოგვითხრობს. რომ მოსულის ეეზირმა, ცნობილმა ქველმოქმედმა ჯემალ ად-დინ ისფაპანელმა შესთავაზა დემეტრეს, თბილისში მუსლიმანი სნეულებისა და უილაჯობისათვის საავადმყოფოს (ბიმარისტანს) ავაგებო. მეფეს უპასუხნია, მე თვითონ ავაგებო, და ალბათ კიდევ შესდგომია საქმეს, მაგრამ მისი სიკვდილის გამო ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა<sup>84</sup>. თუკი ქართველი მეფე თბილისში მუსლიმანთათვის აპირებდა ცალკე საავად-

<sup>82</sup> Minorsky V. Caucasia in the History of Mayyafariqin, გვ. 34.

<sup>83</sup> ქარაღის ცხოვრება, I, გვ. 331.

<sup>84</sup> Minorsky V. Studies in Caucasian History, გვ. 91.

მყოფოს გახსნას, უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანებისათვის უკვე არსებობდა ასეთი დაწესებულება.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ დემეტრეს „ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით“<sup>85</sup>. ამდენად, განსაკუთრებით საინტერესოა XII ს. ისტორიკოსის აბულ-ჰასან ბეიჰაკის<sup>86</sup> ცნობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ 543 წლის საფარის თვეში (1148 წ. იენი-იელისი) მეფე დემეტრე დავითის ძემ, მესიის მახვილად წოდებულმა, თავისი დესპანის ხელით რამდენიმე შეკითხვა გაუგზავნა სულთან სანჯარს. შეკითხვები არაბულ და სირიულ ენებზე ყოფილა დაწერილი. აბულ-ჰასან ბეიჰაკის უბრძანეს პასუხები დაეწერა ამავე ორ ენაზე. მას შეუსრულებია დავალება; შემდეგ შეკითხვებისა და პასუხების ასლები გადაიღეს და სხვადასხვა მხარეს მიმავალ ქარავენებს გაატანეს<sup>87</sup>.

სამწუხაროდ, არც შეკითხვების და არც მათზე გაცემული პასუხების შინაარსი ბეიჰაკის მოტანილი არა აქვს. აკად. ნ. მარი, რომლისთვისაც ბეიჰაკის ეს ცნობა ვ. ბარტოლდს მიუწოდებია, შენიშნავ-

<sup>85</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

<sup>86</sup> აბულ-ჰასან ბეიჰაკი, რომელიც იბნ ფუნდუკის სახელით არის ცნობილი, დაიბადა 499 (1105/1106) და გარდაიცვალა 565 (1169/1170) წელს. ბეიჰაკის ბევრი თხზულება დაუწერია არაბულ და სპარსულ ენებზე, მაგრამ ამჟამად თითქმის ყველა დაკარგულია. XIII ს. არაბი ავტორი იაკუთი ბეიჰაკის ბიოგრაფიაში მის 74 ნაშრომს ასახელებს. აბულ-ჰასან ბეიჰაკის ერთადერთი ნაწარმოები, რომელმაც სრული სახით მოაღწია ჩვენამდე, არის მისი მშობლიური ოლქის ბეიჰაკის ისტორია—„თარიხე ბეიჰაკი“. წიგნში მოცემულია ამ ოლქის დაწვრილებითი აღწერა, გადასახადები, ჩამოთვლილია გამგებლები, სახელმწიფო, კულტურულ თუ რელიგიურ სარბიელზე დაწინაურებული პირნი, რომლებიც ბეიჰაკის ოლქიდან გამოვიდნენ. ცნობილია ამ წყაროს სულ სამი ხელნაწერი—ბრიტანეთის მუზეუმის, ბერლინისა და ტაშკენტის. „ბეიჰაკის ისტორია“ ლონდონისა და ბერლინის ხელნაწერების მიხედვით 1938 წელს თეირანში გამოსცა აჰმედ ბაჰმანიარმა: تاريخ بيهقي تاليف

أبو الحسن علي بن زيد بيهقي معروف بابن فندق، با تصحيح و تعليقات  
أحمد بهمنيار استاد دانشگاه—۱۳۱۷

<sup>87</sup> თარიხე ბეიჰაკი, დასახ., გამოც. გვ. 163: ملك ابخاز ديمطريوس بن داود بن

يعقوب الملقب بحسام المسيح مؤالي چند فرستاده بود بدست رسول خویش بساطان اعظم سنجر بن ملكشاه قدس الله روحه في صفر سنة ثلاث و اربعين وخمسماية، مرا فرمودند تا جواب نوشتم بتازی و سریانی، که ایشان این سؤالها بدین دو لغت نوشته بودند، و از آن سؤالها و جواب من نسخهها باطراف جهان سفر کرده است، و سار بها الر کب

და, რომ მეტად სასურველი იქნებოდა ამ მიწერ-მოწერის აღმოჩენა, რამდენადაც მუსლიმანებთან ქართველთა კულტურული ურთიერთობის შესახებ ქართულ წყაროებში არ გვხვდება ცნობები<sup>88</sup>.

ვ. ბარტოლდი ვარაუდობდა, რომ დემეტრე მეფის შეკითხვები რელიგიურ საკითხებს ეხებოდა<sup>89</sup>. შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ, ამ მიწერ-მოწერის საბოლოო მიზანი მაინც საგარეო სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგება უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ დემეტრე, რომელიც დაინტერესებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებით, მუსლიმანი და ქრისტიანი ქვეშევრდომების ურთიერთობის საკითხზე სწერდა სულთან სანჯარს. რაკი ეს წერილი და პასუხიც არაბულ და სირიულ ენებზე გადაწერეს და სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნეს, საფიქრებელია, რომ ამ ორი ძლიერი სახელმწიფოს მეთაურთა<sup>90</sup> შეთანხმება სავალდებულო ან, ყოველ შემთხვევაში, მისაღები მაინც უნდა ყოფილიყო სხვა, როგორც მუსლიმანური, ისე ქრისტიანული სახელმწიფოებისათვისაც.

ამას გარდა, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს მეფეს დიპლომატიური ურთიერთობა და არაბულსა და სირიულ ენებზე მიწერ-მოწერა ჰქონია მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მუსლიმან მბრძანებლებთან, ხოლო მათი წერილების ასლები სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნებოდა გასაცნობად.

მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში თბილისში მუსლიმანთა ბატონობამ განაპირობა ქალაქში მუსლიმანური მოსახლეობის სიჭარბე. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქრისტიანული, კერძოდ, ქართული მოსახლეობა ქალაქში არავითარ როლს არ თამა-

<sup>88</sup> M a r p H. Я. Древнегрузинские описаны. ТР, IV, СПб., 1902, с. 25. აკად. ივ. ჭავჭავაძის კულტურული რიგის მოვლენად მიიჩნევა დემეტრე მეფის სულთან სანჯართან მიმწერას (ივ. ჭავჭავაძის კარტველი ერის ისტორია, II, გვ. 306). ლენინგრადში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია სულთან სანჯარის დივანის წერილთა კრებული (ხელნაწერი С 816). ამ წერილების დიდი ნაწილი მოამედ ელ-დოველე მონთაჟებ აღდინ ბედი ათაბეგ ჭუვეინის მიერ არის დაწერილი. 1951 წ. მოამედ ყაზვინიმ და აბას ეკბალმა თეირანში გამოსცეს ეს კრებული სათაურით: كتاب عبد الكتب ხელნაწერში და არც ბეჭდურ გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო მიმწერა არ აღმოჩნდა, თუმცა ეს ძნელი მოსალოდნელი იყო, რადგან კრებულში ჭუვეინის მიერ შედგენილი წერილებია შესული. დემეტრეს შეკითხვებზე კი პასუხები ბეიჰაკიმ დაწერა.

<sup>89</sup> Barthold V. Baihaki, El, I, გვ. 592.

<sup>90</sup> სულთან სანჯარის ხელისუფლება ამ დროს დასავლეთ ირანზე არ ვრცელდებოდა და ფაქტიურად ხორასნით შემოიფარგლებოდა, მაგრამ იგი დიდი სელჩუკების უკანასკნელი წარმომადგენელია და უთუოდ პატივით სარგებლობდა თურქ-სელჩუკთანა სხვა დინასტიების წარმომადგენელთა შორის.

შობდა. ჩვენ გვგონია, რომ ქალაქის მოსახლეობის ძირითად მასას აქ სწორედ ქართველები შეადგენდნენ, მუსლიმანები კი ვაჭართა ზედ-ფენაში სჭარბობდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ შორისაც იქნებოდნენ ქართველები, სოპხები და ებრაელებიც. ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლისაგან შეწუხებული თბილისელი ვაჭრები სულთანთან წავიდნენ საჩივლელად, არ ნიშნავს მათს აუცილებელ მუსლიმანობას. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, რაკი მოქალაქენი მუსლიმან მბრძანებელს სთხოვენ შემწეობას, ქალაქის მოსახლეობას მხოლოდ მუსლიმანები შეადგენდნენ. ცნობილია, რომ XI საუკუნეში, როცა ქალაქს მუსლიმანთა მხრით ემუქრებოდა ჯანსაყდელი, იგივე მოქალაქენი ბიგრატ IV-ს სთავაზობდნენ თბილისს. თბილისელი მოქალაქენი პირველ რიგში თავის საკუთარ ინტერესებსა და პრივილეგიებს იცავდნენ და შექმნილი ვითარების მიხედვით ხან საქართველოს მეფეს მიმართავდნენ შემწეობისათვის, ხანაც მუსლიმან მბრძანებლებს, ე. ი. იმას, ვისი მფარველობაც მეტ უშიშროებას უზრუნველყოფდა მათთვის. ერთი სიტყვით, მუსლიმანი დიდვაჭრები დიდ როლს თამაშობდნენ თბილისის ეკონომიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ქრისტიანული მოსახლეობა უფრო მრავალრიცხოვანი იყო აქ. შემდეგში, როცა თბილისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი გახდა და სამეფო კარიცა და სახელმწიფო დაწესებულებებიც იქ გადავიდა, ქართული მოსახლეობის როლი და მნიშვნელობა ქალაქში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა<sup>91</sup>. თბილისი ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა, გაფართოვდა სავაჭრო კავშირი მეზობელ ქვეყნებთან; ვაჭრობის გაფართოებამ და ქალაქის მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია მოთხოვნილების გაზრდა ხელოსანთა ნაწარმზე, რის შედეგადაც სახელოსნო წარმოება კიდევ უფრო მაღალ დონეზე დადგა.

საინტერესო ცნობები მოიპოვება ამ ხანის თბილისის შესახებ XII—XIII სს. სპარსულ გეოგრაფიულ წყაროებში.

XII ს. მეორე ნახევრის ავტორი ნ ა ჯ ი ბ ჰ ა მ ა დ ა ნ ე ლ ი<sup>92</sup> მო-

91 ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 27.

92 ნაჯიბ ჰამადანელის კალამს ეკუთვნის კოსმოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის თხზულება — „აჯაიბ ალ-მახლუკათ ვა და რაიბ ალ-მავჯუჟ-დათ“ („ქმნილებათა საკვირველებანი და არსებულის იშვი-ათობანი“). ცნობილია ამ თხზულების სულ რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაგან საუკეთესო და უძველესი ნუსხა პარიზისაა. უკანასკნელ დრომდე ამ ნაშრომის ავტორად მოჰამედ იბნ შაჰმედ იბნ აჰმედ ას-სალმანი ატ-ტუსის სთვლიდნენ; ნ. მიკლუხო-მაკლაიმ ამ ნაწარმოებისა და XIII ს. ანონიმური გეოგრაფიული თხზულების სათანადო ადგილების ურთიერთშეჭერებით დაადგინა, რომ „აჯაიბ ალ-მახლუკათ“-ის ავტორია ნაჯიბ ჰამადანელი (М и к л у х о-М а к л а й Н. Д. Географическое сочинение XIII в. на персидском языке. — Ученые записки ИВ АН. IX, 1954).



გვითხრობს: თბილისი დიდი და სიკეთით აღსავსე ქალაქია და ორი მაგარი ციხე აქვს<sup>93</sup>. ამავე ავტორის ცნობით, თბილისში ორმოცი აბანო ყოფილა<sup>94</sup>. ამ თხზულების ერთი ხელნაწერის (Д 129) მიხედვით, ამ აბანოებში წყალი ბუნებრივად იყო თბილი, მეორე ხელნაწერში კი წერია, ერთ აბანოს რომ დაანთებენ, ყველა თბებოდა<sup>95</sup>. შესაძლებელია, აქ იმაზე იყოს მითითება, რომ თბილისში ყველა აბანო ბუნებრივად ცხელ წყალზე კი არ იყო აგებული, არამედ ზოგიერთში წყალი ნელოვნურადაც თბებოდა. ნაჭიბ ჰამადანელი ხაზს უსვამს თბილისელ ქალთა სილამაზეს და აღნიშნავს, ისინი ღუქნებში მუშაობენ და სახეს არ იფარავენო.

XIII ს. დამდეგის გეოგრაფიულ თხზულებაში „აჭაიბ აღ-დ-უნი-ა“<sup>96</sup> ილ-ცემულია თბილისის აღწერილობა, რაც სხვა აღმოსავ-

с. 186—188). თავისი თხზულება მან ვრაცი სელჩუკიან გამგებელს თორღულ იზ არს-ლანს (1175—1194) მიუძღვნა. ლენინგრადში, აღმოსავლეთმოდენობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ამ თხზულების ორი ხელნაწერი (Д 129 და А 453. ხელნაწერთა აღწერილობა იხ. М и л х у о-М а к л а й Н. Д. Описание персидских и таджикских рукописей, М.—Л., 1955, с. 23—29). როგორც ჩანს, ეს ხელნაწერები თხზულების სხვადასხვა რედაქციებიდან არის გადაწერილი, რის გამოც მათ შორის ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებებია, როგორც თვით ნაშრომის აღწავლობის, ისე შინაარსშიც. ორივე ხელნაწერი ნაკლებია. ამასთან, ხელნაწერი Д 129-ის ბევრი ფურცელი ჰოსაგან არის დაკმეული და ხშირად ტექსტაც დაზიანებულია, „აჭაიბ აღ-მახლუკათ“ კომპილაციური თხზულებაა. იგი დაყუარა კარბად (როქნ) და თავებად (ბაბ). მეო ხე კარში ანბანის რიგზე მოცემულია მსოფლიოს ქალაქებისა და ციხეების აღწერა.

<sup>93</sup> აჭაიბ აღ-მახლუკათ. ხელნაწ. Д 129, ფ. 83ა; მეორე ხელნაწერში შენა, ქალქს ორი მაგარი კედელი (و ا ر س) აქვსო (А 453, ფ. 128 ა).

<sup>94</sup> აჭაიბ აღ-მახლუკათ, ხელნაწ. Д 129, ფ. 83ა.

<sup>95</sup> ხელნაწ. А 453 ფ. 128 ა.

<sup>96</sup> აღმოსავლეთმოდენობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში ლენინგრადში დაცულია სპარსული ხელნაწერი А 253, რომელშიც ორი სხვადასხვა თხზულება არის ერთად აკონსული (ხელნაწერი აღწერილი აქვს ნ. მიკულხო-მაკლაის. იხ. მისი Описание персидских и таджикских рукописей, №№ 15, 27, აგრეთვე, Географическое сочинение XIII в., с. 175—177)- ამ ხელნაწერის 16—86ა ფურცლები უკირავს XIV ს. სპარსულ გეოგრაფიულ თხზულებას „სოვარ აღ-აკალიმე საბ'ე“ („შვიდი კლიმატის გამოსახვა“). ჩვენთვის საინტერესოა მეორე თხზულება— „აჭაიბ აღ-დ-უნი-ა“ („სამყაროს საკვირველებანი“). თხზულების დასაწყისი დაკარგულია. ამიტომ ავტორი უცნობია. ნ. მიკულხო-მაკლაიმ დაადგინა, რომ მას XII—XIII სს. მიწაზე უნდა ეცხოვრა, თხზულება კი XIII ს. 20-იან წლებშია შედგენილი (М и л х у о-М а к л а й Н. Д. Географическое сочинение XIII в., с. 180—185). როგორც თხზულებიდან ჩანს, ავტორს ბევრი უმოგზაურია. ის ყოფილა ირანში, არაბეთის ვრაციში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, ჰიანსა და მექაში,

ლურ წყაროთა აღწერილობებთან შედარებით გაცილებით უფრო ვრცელია და მრავალმხრივ ცნობებს შეიცავს.

თხზულების ავტორი ტყვედ ყოფილა საქართველოში 1210 წელს და, როგორც ჩანს, თბილისშიც მოხდენია ყოფნა. ამდენად, მისი თხზულება ძვირფასი წყაროა XIII ს. პირველი მეოთხედის თბილისის ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად. ამ წყაროს ღირებულება მით უფრო იზრდება, რომ თამარ მეფისა და ლაშა გიორგის დროინდელი თბილისის ეკონომიკური ისტორიისათვის მცირე ცნობებია შემორჩენილი.

ავტორი მოგვითხრობს, რომ თბილისი დიდი და კარგად გამაგრებული ქალაქია. იგი ძნელად მისადგომ ხეობაში მდებარეობს. მდინარე მტკვარი ქალაქს შუაზე ჩაუდიოდა და ორ ნაწილად ჰყოფდა. მდინარეზე ერთმალაინი დიდი ხიდი იყო გადებული, რომელიც ქალაქის ორ ნაწილს ერთმანეთთან აერთებდა<sup>97</sup>. ქალაქის ძირითადი ნაწილი, სავაჭრო-სახელოსნო უბნები, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ყოფილა გაშლილი. ამიტომაცაა, რომ ანონიმური ავტორი წერს, ქალაქის პირდაპირ, მდინარის მეორე ნაპირზე კეთილმოწყობილი ციხე-სიმაგრე (معمارة) დგას, სადაც მეფეთა სასახლეებია აშენებული. ციხეს ბევრი გოდოლი (منظر) ჰქონია დატანებული. მდინარე ციხეს ახლოს ჩაუდიოდა, ისე რომ, რასაც სარკმლებიდან ყრიდნენ, პირდაპირ წყალში ცვიოდა<sup>98</sup>.

ინდოეთში. ნაშრომის პირველ ნაწილში (ფ. 87a—188a) შეკრებლია წერტილწერილი მოთხრობები (პეპიასებები) სხვადასხვა საკვირველებათა შესახებ. მეორე ნაწილში (ფ. 188b—228b) ანბანის რიგზე აღწერილია მსოფლიოს ქვეყნები და ქალაქები. თხზულების შედგენის დროს ავტორს გამოუყენებია თავის წინამორბედ გეოგრაფთა და ისტორიკოსთა ნაშრომები. კერძოდ, მისი ერთ-ერთი მთავარი წყაროა ნაჯიბ ჰამდანელის თხზულება. ამასთან ერთად, მას თავის თხზულებაში შეტანილი აქვს საკუთარი დაკვირვებები და მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალა. განსაკუთრებით საინტერესოა ანონიმური ავტორის მიერ სხვადასხვა ქალაქებში წარმოებულ საქონლის ჩამოთვლა. „აჯაიბ ად-დუნია“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა XIII ს. დანჯერის მასლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ეკონომიკური მდგომარეობისა და ამ ქვეყნების ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად. 1954 წ. ნ. მიკულუხო-მაკლაიმ დაბეჭდა რუსულ თარგმანი ნაწილებებისა ამიერკავკასიის (ირანის აზერბაიჯანის ჩათვლით) ქალაქების შესახებ (Миклухо-Маклаи. II. Д. I. დასახ. ნაშრომი, გვ. 196—210).

<sup>97</sup> თბილისის ამ ხიდს XVIII ს. შუაზოგილი ისტორიკოსი, ხორეზმშაჰ ჯელალ ად-დინის კანცელარიის მდივანი და მისი ყველა ლაშქრობის მონაწილე, მოაპმედ ნესაიცი ახსენებს. იგი მოგვითხრობს, რომ თბილისი ციხისაგან მდინარით იყო გამოყოფილი. ქალაქის ორ ნაწილს ძელის ხიდი აერთებდა, რომელიც ჯელალ ად-დინის ლაშქრის მოახლოებისთანავე ქართველებს დაუწვავთ (Mohammed Nesaui. Histoire du Sultan Djelal ed-din Mankobirti prince du Kharezm. Traduit de l'Arabe par O. Houdas, Paris, 1895, გვ. 203).

<sup>98</sup> აჯაიბ ად-დუნია, ხელნაწ. A. 253, ფ. 198—199a.

შემდეგ ირანელი ავტორი თბილისის პოლიტიკური ისტორიიდანაც იძლევა ცნობას და აღნიშნავს, თბილისი არანის ქალაქია და მუსლიმანებს ეკუთვნოდა, მაგრამ ახლა უკვე დაახლოებით ას ათი წელია, რაც ქართველები ფლობენ<sup>99</sup>. მისი სიტყვით, თბილისის მოსახლეობას შეადგენენ მუსლიმანები, რომლებიც უცხოელთა მიმართ მეგობრულად იყვნენ განწყობილი<sup>100</sup>. ქალაქში ბევრი მეჩეთი ყოფილა და სალოცავადაც კარგად მოუწოდებდნენ მუსლიმანებს.

თბილისში ბევრი წისქვილი იყო, რომლებიც წყალში ჩაშვებულ ტივებზე იდგა და ჭაჭვებით იყო დამაგრებული<sup>101</sup>. საინტერესო ცნობა მოგვცემა ჩვენს ავტორს თბილისის აბანოების შესახებაც. ის მოგვითხრობს, რომ მის დროს ქალაქში 65 აბანო იყო, რომლებშიც წყალი უცეცხლოდ იყო თბილი. ამავე დროს აქ აბანოს საფასურს (ა.კ.) არ იხდიდნენ<sup>102</sup>.

ამგვარად, XIII ს. პირველ მეოთხედში თბილისში უკვე 65 აბანო ყოფილა. თუ ამ ცნობას შევადარებთ ნაჯიბ ჰამადანელის მიერ დასახელებულ რაოდენობას, ვნახავთ, რომ სულ რაღაც 30—40 წლის მანძილზე აბანოების რიცხვი ქალაქში 25-ით გაზარდილა. ეს კი უტყუარი მოწმობაა თბილისის მოსახლეობის ზრდისა და ქალაქის კეთილმოწყობისა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ XIII ს. ირანელი ავტორი, რომელიც პირადად ყოფილა თბილისში და აბანოებიც უნახავს, მოგვითხრობს, აქ აბანოს მიზღს არ იხდიანო. ცხადია, რომ ასეთი რამ ცალკეულ პირთა მიერ ვერ იქნებოდა შემოღებული. დედაქალაქში აბანოს საფასურის გაუქმება, ჩვენი აზრით, მხოლოდ მეფეს შეეძლო. როგორც ჩანს, თბილისში იმ დროს, გარდა კერძო აბანოებისა, საზოგადოებრი-

---

<sup>99</sup> ამგვარად, თხზულების დაწერის თარიღი გამოდის 625 (1227/28) წელი. მაგრამ ნ. მიკულუხო-მაკლაი შენიშნავს, ეს თარიღი არ არის სწორი, რადგან თვითონ ავტორსაც 110 წელი მიახლოებით აქვს აღნიშნული და თანაც 623 (1226) წელს თბილისი რამდენიმე წლით ხორეზმშაჰმა ჯვალად აღდინმა დაიპყრო. მისი აზრით, თხზულებაში მოხსენიებული ყველაზე გვიანდელი თარიღია 617 (1120/1221) წელი (М и к л у х о-М а к л а й Н. Д. Географическое сочинение XIII в., с.184—185).

<sup>100</sup> იმნ ჰაუკალიც აღნიშნავს, თბილისში უშიშროება და სტუმართმოყვარეობა სუფევს უცხოელთათვის და მეგობრულად ექცევიან ყველა მოსულსო (СМОМПК, 38, გვ. 89).

<sup>101</sup> თბილისის მცურავი წისქვილების შესახებ იმნ ჰაუკალსაც მოგვცემა ცნობა. (СМОМПК, 38, გვ. 89). ჩვენი ავტორი სხვა ადგილზეც მოგვითხრობს თბილისის წისქვილების შესახებ. ანდალუზიის ერთ-ერთი ქალაქის ხიდის აღწერისას, რომლის ქვეშ წისქვილები ნავებზე იყო დადგმული, ის ამბობს, ბაღდადსა და თბილისშიც ასევეაო (ფ. 1116).

<sup>102</sup> აქაიბ ად-დუნი, დასახ. ხელნაწერი, ფ. 199ა.

ვი აზანოებიც არსებობდა. შესაძლებელია, აქ დავით აღმაშენებლის მიერ მუსლიმანთათვის დაწესებულ შეღავათებზე იყოს საუბარი. საკლებით დასაშვებია, რომ უფასოდ სარგებლობა შეიძლებოდა იმავე ის-მაილის აბანოთი, რომელშიც ალ-ფარიკის ცნობით, ქართველებს, სომხებსა და ებრაელებს ეკრძალებოდათ შესვლა.

აღმოსავლური ფეოდალური ქალაქი ნახევრადაგარარული ხასიათის მატარებელი იყო. მოქალაქენი თავიანთ ძირითად საქმიანობასთან ერთად (ხელოსნობა, ვაჭრობა) სოფლის მეურნეობასაც მისდევდნენ. მათი ბაღები, ბოსტნები და ვენახები გაშენებული იყო როგორც შიგ ქალაქში, ისე მის გარეთაც. ჩვენი ავტორის ცნობით, თბილისში სუკეთით აღსაესე ბევრი ბაღი ყოფილა გაშენებული და მათ მოსარწყავად წყალსაწევი დიდბორბლიანი მოწყობილობები („დულაბები“) იყო დადგმული.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ხიდთან ბევრი სავაჭრო ადგილი (აگرار) ყოფილა გამართული. ეს „ბაზარვაჰი“ ჩვენ აქ გვესმის, როგორც სავაჭრო დაწესებულებათა მთელი კომპლექსი — ბაზარი, ქარვასლები, დუქნები. თბილისის ამ ბაზარს, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ფართობი სჭერია. 1934 წელს ბალნეოლოგიური კურორტის შენობის საძირკვლის გათხრისას აღმოჩნდა დიდძალი მთელი და დამტვრეული მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი. ვარაუდობენ, რომ აქ ჭურჭლეულის გასასყიდი ადგილი უნდა ყოფილიყო<sup>103</sup>. ალბათ ამ ადგილზე ზემოხსენებული ბაზრის მეჭურჭლეთა რიგი იყო გამართული.

სამწუხაროდ, ჩვენს ავტორს არ მოეპოვება ცნობა თბილისში დუქნების რაოდენობის შესახებ, თუმცა კი ისიცა და ნაჯიბ ჰამადანელიც ახსენებენ ქალაქის დუქნებს. მაგრამ წყაროებში დაცულია ცნობები სხვა ქალაქების შესახებ, საიდანაც ვგებულობთ, რომ აღებული ხანის მახლობელი აღმოსავლეთის დიდ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში ათასობით დუქანი იყო გამართული. ასე, მაგალითად, ჩვენი ავტორის ცნობით, ქალაქ ისფაჰანში ყველა დარგის ხელოსანთა თორმეტი ათასი დუქანი ყოფილა<sup>104</sup>. XIV ს. გეოგრაფი და ისტორიკოსი ჰამდალაჰ ყაზვინი მოგვითხრობს, რომ ღურის მეღიქთა ბატონობის დროს (1148—1215) ჰერათში თორმეტი ათასი დუქანი და ექვსი ათასი ქარვასლა იყო<sup>105</sup>.

<sup>103</sup> გ. ლომთათიძე. არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში — მასალები საქართველოს არქეოლოგიისათვის, 1, თბ., 1955, გვ. 128—129.

<sup>104</sup> აჭაიბ ად-დუნი, ფ. 199a.

<sup>105</sup> The Geographical part of the Nuzhat-al-Qulub, composed by Hamd-Allah Mustawfi of Qazwin, ed. by G. Le Strange.—GMS, XIII, 1, Leyden-London, 1915, გვ. 152.

წყაროების ცნობები ამ შემთხვევაში შეიძლება გადაჭარბებულად იყოს, მაგრამ მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისშიც, რომელიც დამზადებული და გასასყიდად გამოტანილი საქონლის მრავალფეროვნებით არ ჩამოუვარდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის სხვა დიდ ქალაქებს, რამდენიმე ათასი დუქანი იქნებოდა. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს ჩვენი წყაროს ცნობაც, ხიდან მრავალი სავაჭრო ადგილა გამართული.

საქართველოს ქალაქების დიდი ნაწილი, მათ შორის, პირველ რიგში, თბილისი, სავაჭრო მაგისტრალებზე იყო განლაგებული, რომელთაგან ბევრს საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ამას გარდა, როგორც ცნობილია, XIII ს-ის 20-იანი წლებისათვის საქართველოს სახელმწიფო ამიერკავკასიის ფარგლებს სცილდებოდა და უშუალოდ ან ყმადნაფიცი ქვეყნების მეშვეობით ექსპლოატაციას უწყევდა სხვა მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალებსაც<sup>106</sup>. საქართველოს ქალაქებს შვიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიასთან, არაბეთთან, ეგვიპტესთან, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან. თბილისში ბევრი ქარავანი შემოდის აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რომელთაც მრავალი სხვადასხვა სახის საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა წყაროების საფუძველზე დადგენილია, რა და რა სახის საქონელი შემოდის საქართველოში XI—XIII საუკუნეებში, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ისე ბიზანტიიდან. აქ გვხვდება, კერძოდ, სხვადასხვა სახის ძვირფასი ქსოვილები, მატყლი, სურნელოვანი ნივთიერებანი და ნელსაცხებლები, ზარდახშები, ძვირფასი თვალმარგალიტი, სადაფი, ბროლი და სხვ.<sup>107</sup>

ამას გარდა, განვითარებული იყო საშინაო ვაჭრობაც. ივ. ჭავჭავაძის სიტყვით, „საქართველოში არ მოიძებნებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არა ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც კი არ გაყიდულიყოს“<sup>108</sup>. კერძოდ, აქ ყიდულობდნენ და ყიდდნენ — ცხენს, უნაგირს, ლაგამს, სამოსელს, სახნისს, ქვებს, ქალამანს, სამშენებლო მასალას და სხვ.

საქართველოს ქალაქების საგარეო ვაჭრობაში მიმოქცეულ საქონელში უპირატესად ცნობილია ისეთი საგნები, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდათ ჩვენში. ისეთ საქონელზე კი, რომელიც შეიძლებოდა აქედან გაეტანათ, წყაროებში შედარებით მცირე ცნობები მოიპოვება. XIII ს. სპარსული ანონიმური წყარო შესაძლებლობას იძლევა ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ეს ხარვეზი.

106 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია მე-13—14 სს.—თსუ შრომები, VI, 1937, გვ. 289.

107 ივ. ჭავჭავაძის შვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 30—31.

108 იქვე, გვ. 31.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორი დიდ ინტერესს იჩენს ამა თუ იმ ქალაქში დამზადებული და გაყიდული საქონლის მიმართ, რამაც საფუძველი მისცა ნ. მიკლუხო-მაკლაის გამოთქვა ვარაუდი მისი შესაძლებელი კავშირის შესახებ ვაჭრობასთან<sup>109</sup>. თითქმის ყოველი ქალაქის აღწერას ანონიმური ავტორი ამთავრებს სიტყვებით: **جاں ع ما** „იქაური საქონელია“, რასაც მოსდევს საქონლის ჩამოთვლა<sup>110</sup>. ამ გამოთქმაში, ჩვენი აზრით, პირველ რიგში იგულისხმება ამა თუ იმ ქალაქში დამზადებული და მის ბაზრებში გაყიდული საქონელი, უფრო ვიწროდ, შეიძლება იგულისხმებოდეს აგრეთვე მხოლოდ ის საქონელი, რომელიც სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში გაქონდა ან შეიძლებოდა გაეტანათ. თხზულებიდან ეს პირდაპირ არ ჩანს. X ს. თხზულების „ჰოდუდ ალ-ალემის“ ავტორი, მაგალითად, პირდაპირ უთითებს ხოლმე, ესა და ეს საქონელი იქიდან მოდისო (**از جاں خيز**)<sup>111</sup>. ჩვენი ავტორის თხზულებაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დაკავსკენათ, რომ იგი იმ საგნებს ჩამოთვლის, რომლებიც საუკეთესოა მის მიერ აღწერილ ქალაქში დამზადებულ და გასასყიდად გამოტანილ საქონელში და შეიძლება ექსპორტის საგანი გახდეს.

„აჯაიბ ად-დუნიაში“ ჩამოთვლილია თბილისის შემდეგი საქონელი: უნაგირები, სპილოს ძვლით შემკული ლაგმები, კაპარკები (**كپك**), ხილიფები<sup>112</sup> (**قنق**). როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის დამდეგს თბილისში მაღალ დონეზე მდგარა ტყავის ნაკეთობათა — უნაგირებს, ლაგმების, კაპარკების, ხილიფების წარმოება. საამისო მასალაც აქვე უნდა დავმზადებინათ ცალკე ხელოსნებს<sup>113</sup>. ამას გარდა, თბილისის შორეულ სავაჭრო კავშირებზე მიუთითებს აქაურ ხელოსანთა მიერ გამოყენებული სპილოს ძვალი (**جس**) რომელიც, შესაძლებელია, ინდოეთიდან ყოფილიყო შემოტანილი.

109 Миклухо-Маклай Н. Д. Географическое сочинение XIII в., с. 184.

110 ამავე გამოთქმას ხმარობს ნაჯიბ ჰამადანელიც, რომლის თხზულება „აჯაიბ ად-დუნიას“ ერთ-ერთი წყაროა.

111 Худуд ал-Алем. Рукопись Туманского, с введением и указателем В. Бартольда, Л., 1930.

112 კაპარკი — „ისრის ქარქაში“, ხილიფა — „შვილდის ჩასადებელი“ (სს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1884, გვ. 40, 396).

113 XIII ს. თბილისში იმდენად მაღალ დონეზე მდგარა ტყავის წარმოება, რომ მატენადარანის ერთი სომხური ხელნაწერის ცნობით, აქედან ტყავი გაქონდათ ერევნიდან 35 კილომეტრით დაშორებულ საღმოსავეანქის მონასტერში გადაწერილი წიგნების ყდებისათვის (Аракелян Б. Н. Развитие ремесел и товарного производства в Армении в XI—XIII вв. — Советская археология, XXVI, 1956, с. 147).

შემდეგ ჩვენი ავტორი ჩამოთვლის თაფლს, ნაირ-ნაირ მოხატულ ტკბილეულს (حلويات), ცვილს და ბროწეულს.

საქართველო ოდითგანვე ცნობილია მეფუტკრეობით და თაფლი-სა და ცვილის დიდი რაოდენობით წარმოებით. თბილისიკ აღრევე იყო განთქმული თაფლის სიიავით. ჯერ კიდევ X ს. ავტორი იზნ ჰა-უკალი აღნიშნავდა, რომ თბილისში 20 რითლი თაფლი ერთ დირჰე-მად იყიდებოდა<sup>114</sup>. თაფლიცა და ცვილიც რუსეთიდან შეჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებში. განსაკუთრებით ბევრი შეჰქონდათ ცვილი, რომელსაც განათებისთვის იყენებდნენ<sup>115</sup>. ამიტომ, საეგვებით შესაძლე-ბელია, რომ თბილისის თაფლი და ცვილიც ყოფილიყო ექსპორტის სა-განი.

ირანელი ავტორის თხზულებაში შემდეგ მოდის ძვირფასი ბეწ-ვეული, კერძოდ, თახვისა (ساج) და წავის (სიტყვასიტყვით, „წყლის ძაღლის“ عسل) ბეწვი. თახვზე მონადირენი საქართველოში ჯერ კიდევ X ს. ძეგლში, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში არიან მო-ხსენიებული<sup>116</sup>. საქართველოში გავრცელებულ ცხოველებს შორის ვა-ხუშტი თახვსა და წაფსაც ასახელებს<sup>117</sup>. ამგვარად, უნდა ვივარაუ-დოთ, რომ ამ ცხოველებზე ნადირობა ადგილობრივადაც წარმოებდა და ჩრდილოეთიდანაც შემოჰქონდათ დაუმუშავებელი ტყავები. ცნო-ბილია, რომ აზერბაიჯანის ქალაქებში, კერძოდ, შემახასა და თავრიზში დამუშავებული ძვირფასი ბეწვეული ჩრდილოეთის ქვეყნებიდან იყო შემოტანილი. ეს ნაწარმი შემდეგ ქვეყნის შიგნითაც იყიდებოდა და მის გარეთაც გადიოდა<sup>118</sup>. ასე რომ, თბილისშიც შეიძლებოდა დარუ-ბანდის გზით შემოეტანათ დასამუშავებელი ძვირფასი ბეწვი. თბილი-სელი ხელოსნები ისე ყოფილან დახელოვნებული თავიანთ საქმეში, რომ ირანელ ავტორს საგანგებოდ აქვს აღნიშნული მათ მიერ დამუ-შავებული საუკეთესო ბეწვეული.

ანონიმური ავტორი თბილისის საქონელში ახსენებს აგრეთვე მო-ნა ვაყებსა და ქალებს. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მრავალრიცხოვან ძლევა მოსილ ლაშქრობათა შედეგად ტყვედ წამოყვა-ნილ პირებზეა საუბარი. ამას გარდა, მონები შეიძლებოდა შემო-

<sup>114</sup> СМОМПК, 38, გვ. 89.

<sup>115</sup> მაკლისი, МИТТ, 1, გვ. 202; Фехнер М. В. Торговля русского госу-дарства со странами Востока в XVI веке. М., 1952, с. 75.

<sup>116</sup> ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, თბ., 1946, გვ. 92.

<sup>117</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 30.

<sup>118</sup> Али-заде А. А. Социально-экономическая и политическая исто-рия Азербайджана в XIII—XIV вв., Баку, 1956, с. 53—54.

ეყვანათ დარუბანდიდანაც, სადაც მთელს მახლობელ აღმოსავლეთში განთქმული მონათა ბაზარი იყო. ჩვენი ავტორი დარუბანლის (ბაბ ალ-აბეაბის) საქონელში საგანგებოდ ახსენებს მონა ვაყებსა და ლამაზ მონა ქალებს<sup>119</sup>.

ბოლოს, ჩვენს ავტორს თბილისის საქონელში ჩამოთვლილი აქვს მინა, ფიალები და კარგი ბროლის ნაწარმი.

1948—49 წწ. თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის ზონაში წარმოებული გათხრების დროს უხვად აღმოჩნდა საკმაოდ სუფთა და თეთრი მინის ნაწარმი. ვარაუდობენ, რომ აქვე ახლოს უნდა ყოფილიყო მინის საწარმოც. არქეოლოგი გ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ აქაური „მინის ქურჭელი საკმაოდ მაღალხარისხოვანია და, ჩანს, სპარტიუმერიო ქურჭლის ჩახით არის დასპეციალებული“<sup>120</sup>. რაკი თბილისში აღმოჩენილ მინის ქურჭელს არქეოლოგები ზუსტად ათარილებენ XII—XIII საუკუნეებით, სავსებით დასაშვებია, რომ ჩვენი ავტორი ამ სახელოსნოში დამზადებულ ნაწარმსაც გულისხმობდეს.

ცნობილია, რომ მომდევნო საუკუნეებში ირანში მოსკოვის სახელმწიფოდან შექმნდათ დასავლეთევროპული მინის ნაწარმი<sup>121</sup>. ამიტომ შეიძლება დაეუშვათ, რომ თბილისური მინის მაღალხარისხოვანი ნაქეთობაც იგაეტანათ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამავე არქეოლოგიური გათხრების დროს თბილისში აღმოჩნდა დიდი სახელოსნოს ნაშთები, ქურჭლის გამოსაწვავი ქურები. სახელოსნოს მიდამოებში დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული მოჭიქული კერამიკის ნამტკრევები. ამ ნამტკრევებში აღსანიშნავია ფაიანსის თხელი და ფაქიზი, ორივე მხრივ სხვადასხვაფერად მოჭიქული ქურჭელი. არქეოლოგ გ. ლომთათიძის სიტყვით, ნამტკრევებში გამოიკნობა პატარა ფიალები თუ თასები, ლამბაქები, თეფშები<sup>122</sup>. ასევე საყურადღებოა სახელოსნოს მიდამოებში აღმოსავლური კერამიკის ყველაზე ძვირფასი სახეობის — ლუსტროვანი ფაიანსის ნამტკრევების აღმოჩენა. გ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ ნამტკრევები უფრო ფინჯნების და თასების თუ ფიალების უნდა იყოს. მისივე ვარაუდით, ჩვეულებრივი და ლუსტროვანი ფაიანსის დამამზადებელი სახელოსნოც იქვე ახლოს უნდა ყოფილიყო<sup>123</sup>. ამგვარად, როგორც ვხედავთ, თბილისში მთელი უბანი ყოფილა, სადაც ქურჭლის მკეთებელი ხელოსნები სა-

119 აქაიბ აღ-დუ ნია, დასახ. ხელნაწერი, ფ. 196ა.

120 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, 83, 160.

121 Фехнер М. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

122 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

123 იქვე.



ხლობდნენ. აქ მზადდებოდა როგორც მაღალხარისხოვანი ფაიანსის ნაკეთობანი, ისე მოკიქული ჭურჭელი (ჯამები, თეფშები, საწვავები, სამარილები) და სამშენებლო კერამიკაც (ცისფრად და მწვანედ მოკიქული კრამიტი და შორენკეცები, შორენკეცული მოზაიკის დეტალები)<sup>124</sup>.

ამის გარდა, თბილისელ ხელოსნებს ქალაქის სხვა უბნებშიც ჰქონიათ გამართული სახელოსნოები, სადაც მაღალხარისხოვანი ჭურჭელი მზადდებოდა. 1956—57 წწ. თბილისში ერეკლე II-ს მოედანზე მოთავსებულ ბაღში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრის შედეგად აღმოჩნდა ოთხი სხვადასხვა ხანის ფენა, რომელთაგან მესამე IX—XIV სს. თარიღდება. ეს ფენა თიხის ჭურჭლის დასამზადებელი სახელოსნოს ნაშთებს შეიცავს. აქ მოპოვებულ ნივთებს შორის, არქეოლოგ ი. გელიშვილის ცნობით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აქამდე უცნობი, IX—X სს. მოკიქული და მინის ნაწარმის უნაკალური ნიმუშები.

ამრიგად, არქეოლოგიური გათხრების მონაცემები და სპარსული წყარო ერთხმად ადასტურებენ, რომ აღებული ხანის თბილისში კერამიკული და მინის წარმოება მაღალ დონეზე იდგა.

ჩვენს წყაროში თბილისურ საქონელში აღნიშნულია აგრეთვე კარგი ბროლის ნაწარმი. XII—XIII სს. საქართველოში კარგად იცნობდნენ ბროლის ნაკეთობებს. ამას მოწმობს თუნდაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ბროლი ყველა სხვა ძვირფას ქვაზე ხშირად არის ნახსენები<sup>125</sup>. ცნობილია, რომ XII საუკუნეში ბროლი საქართველოში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ<sup>126</sup>. ამას გარდა, ვახუშტის ცნობით, ჩვენში ადგილობრივადაც მოიპოვებოდა თეთრი და წითელი ბროლი<sup>127</sup>. პროფ. ნ. ქოიავა აღნიშნავს, რომ საქართველოში „ბროლი ძველი დროიდანვე შემოჰქონდათ ჩინეთიდან და ინდოეთიდან, სადაც ის იმუშავდებოდა ქვის სათლელ სახელოსნოებში“<sup>128</sup>. მაგრამ სპარსულ წყაროში მოხსენიებული ბროლის ნაწარმი აქაურ ხელოსანთა მიერ უნდა იყოს გათლილ-დამუშავებული და ამიტომაც არის ის თბილისური საქონლის სიაში შეტანილი. როგორც ჩანს, თბილისელი ოსტატები ამ საქმეშიც დიდად ყოფილან დახელოვნებული.

124 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150—159.

125 ნ. ქოიავა. ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის ეპოქაში. — „ენიშკის მოამბე“, 111, 1938, გვ. 85—87.

126 ივ. ჭავჭავაძის ცნობილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 30—31.

127 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 44, 66, 109.

128 ნ. ქოიავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ამგვარად, აღმოსავლური წყაროს ცნობით, XIII ს. დამდეგს თბილისში მაღალ დონეზე იდგა ტყავის, სპილოს ძვლით შემკულ ტყავის ნაკეთობათა და ძვირფასი ბეწვეულის წარმოება. განსაკუთრებით განვითარებული იყო აგრეთვე კერამიკული წარმოება. რა თქმა უნდა, ამას გარდა სახელოსნო წარმოების სხვა დარგებიც იქნებოდა განვითარებული. კერძოდ ქსოვილებისა და ტანსაცმლის დამზადება, ფეხსაცმლის კერვა, ოქრომკედლობა და მრავალი სხვა. სახელოსნო წარმოების ეს დარგები ქვეყნის შინაგანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამზადებდნენ თავიანთ ნაწარმს, ხოლო განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ნაკეთობანი კი სხვა ქვეყნებშიც გადიოდა.

წყაროები არ გვაწვდიან ცნობებს საწარმოო პროცესის ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ნაჩიბ ჰამადანელსა და „აჯაიბ აღ-დუნის“ ავტორს მოეპოვებათ ცნობა, რომელიც შუქს ჰფენს ერთ საინტერესო საკითხს.

ნაჩიბ ჰამადანელი მოგვითხრობს, თბილისში ქალები ლამაზი და მშვენივით აღსაყვანი არიან, დუქნებში მუშაობენ და სახეს არ იფარავენ<sup>129</sup>. XIII ს. ანონიმური ავტორიც აღნიშნავს, რომ აქაური ქალები თავდახურულნი არიან, დუქნებში სხედან და სახეს არ იფარავენ, გარდა მუსლიმანებისა<sup>130</sup>.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ნაჩიბ ჰამადანელის ნაშრომი ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო „აჯაიბ აღ-დუნის“ შედგენის დროს. რაკი ანონიმური ავტორი, რომელიც პირადად ყოფილა თბილისში და, რა თქმა უნდა, აქაური ბაზარიც უნახავს, იმეორებს ნაჩიბ ჰამადანელის სიტყვებს, მის ცნობასაც მეტი დამაჯერებლობა ენიჭება.

ამგვარად, ირკვევა, რომ თბილისის სახელოსნო წარმოებაში ქალებიც იყვნენ ჩაბმული. ცნობილია, რომ ფეოდალურ ქალაქში ბაზარი იყო არა მარტო სავაჭრო, არამედ წარმოების ადგილიც, სადაც ცალ-ცალკე რიგებსა და დუქნებში სხვადასხვა ხელობის ოსტატები საქმობდნენ. ქალების დუქნებში ჯდომა თუ მუშაობა პირდაპირ მიუთითებს მათს მონაწილეობაზე საწარმოო პროცესში. პირველ რიგში ქალთა შრომა გამოყენებული იქნებოდა საფეიქრო წარმოებაში და ზოგიერთ სხვა დარგში. აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალებს თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდათ მოპოვებული ძაფსართავ და საფეიქრო წარმოებაში<sup>131</sup>.

არანაკლებ საინტერესოა წყაროების მითითება იმის შესახებაც, რომ დუქნებში მომუშავე ქალები სახეს არ იფარავდნენ. ეს ცნობა,

<sup>129</sup> აჯაიბ აღ-დუნის წყარო, ხელნაწ. № 129, ფ. 83ა; ხელნაწ. № 453-ში წერია, იქაური ქალებს ქუდები ხურავთ და დუქნებში სხედანო (ფ. 128ა).

<sup>130</sup> აჯაიბ აღ-დუნის, ციტ. ხელნაწერი, ფ. 199ა.

<sup>131</sup> История народов Узбекистана, I. Ташкент, 1950, с. 244.

კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას თბილისში ქრისტიანული, კერძოდ, ქართული მოსახლეობის ზრდისა და საქალაქო ცხოვრებაში მისი ფართო მონაწილეობის შესახებ.

X საუკუნის ავტორი ისთახრი წერდა, მთელს არანში ბარდავზე, დარუბანდსა და თბილისზე დიდი ქალაქი არ არისო. მისივე სიტყვით, ერაცსა და ხორასანნი, რეისა და ისფაჰანის გამოკლებით, ბარდავზე უფრო დიდი, მწვენიერი და აყვავებული ქალაქი არ არსებობდა. ამავე დროს ის აღნიშნავს, რომ თბილისი დარუბანდზე ნაკლები იყო<sup>132</sup>.

ამგვარად, ისთახრის მიხედვით, X საუკუნეში თბილისი, მართალია, დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ის ბარდავსა და დარუბანდზე ნაკლები იყო. ამასვე მოწმობს ისთახრის მიერ მოცემული აღწერა ამ სამი ქალაქისა. მას შემდეგ, რაც თბილისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი გახდა, იგი ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა და XIII საუკუნისათვის, ჩვენი წყაროების მიხედვით, ის უკვე ამიერკავკასიის ერთ-ერთ უპირველეს ეკონომიკურ ცენტრად ჩანს და გაცილებით მაღლა დგას ბარდავსა და დარუბანდზე<sup>133</sup>. სახელოსნო წარმოების განვითარების დონით, აქაურ ხელოსანთა მიერ დამზადებული და ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი საქონლის მრავალფეროვნებით, შორეული სავაჭრო კავშირებით თბილისი იდგა მახლობელი აღმოსავლეთის ისეთი მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების რიგში, როგორებიც იყო ბალდაღი, ისფაჰანი, თავრიზი.

ამიერკავკასიის ქალაქების, მათ შორის თბილისის, ეკონომიკური ძლიერება აქ გამავალი დიდი საქარავენო-სატრანზიტო გზით იყო გახპირობებული. მონღოლთა ბატონობის ხანაში აქ გზაჰ სამხრეთით გადაინაცვლა, რამაც ამიერკავკასიის ბევრი სავაჭრო ცენტრის დაცემა გამოიწვია<sup>134</sup>.

<sup>132</sup> ისთახრი. ჰოდუდ აღ-ალეში, ჰამდალაჰ ყაზვინი, სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი შენიშვნებითა და სძიებლებითურთ ვ. ფუთურიძისა, თბ., 1937, სპ. ტექსტი, გვ. 2—3, 4; ქართ. თარგმანი, გვ. 2, 4; СЛОМПК, 29, გვ. 9, 13, 17.

<sup>133</sup> რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამიერკავკასიის სხვა ქალაქები ეკონომიკურად ჩამორჩენილი იყვნენ. ნაჯიბ ჰამადანელისა და ანონიმური გეოგრაფის თხზულებებში არაერთი ცნობა მოიპოვება, საიდანაც ჩანს, რომ აღებული ხანის ამიერკავკასიის ბევრ ქალაქში დიდად იყო განვითარებული ხელოსნობა და ვაჭრობა (ამის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, ქალაქები, ვაჭრობა და ხელოსნობა X—XII საუკუნეებში.—ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 150—151).

<sup>134</sup> წინამდებარე ნაშრომი ვადაცემული იყო დასაბუქდად, როცა გამოქვეყნდა ვ. კოპალიანის წერილი — „თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1121—1122 წლებში“ (თბილისი, 1500, საიუბილეო კრებული. თსუ გაზოც., 1953, გვ. 47—63). ამ ნაშრომის დამოწმება ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

Резюме

В статье на основе сведений восточных авторов (Мунеджима-баши, ал-Фарики, Абул-Хасана Бейхаки, Наджиба Хамадани, анонимного географа XIII в. и др.) изучены некоторые вопросы политической и экономической истории г. Тбилиси XI—XIII вв. В частности, путем сопоставления данных восточных и грузинских источников установлен ряд интересных, ранее неизвестных фактов из политической истории города. Особое внимание уделено изучению экономического положения Тбилиси. На основе анализа сведений персидских географических сочинений второй половины XII—нач. XIII вв. («Аджаиб ал-махлукат» Наджиба Хамадани, «Аджаиб ад-дуниа» анонимного автора) и грузинских источников, а также археологического материала, автор приходит к заключению, что после освобождения Тбилиси от власти турков-сельджуков в 1122 г., город переживает политический и культурный расцвет; высокого развития достигли многие отрасли ремесленного производства, расширилось участие Тбилиси в международной торговле. В данную эпоху Тбилиси был одним из первых политических и экономических центров всего Закавказья и стоял в ряду таких крупных торгово-ремесленных городов Ближнего Востока, какими были Багдад, Исфахан, Тебриз.

## ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარხმ ალამ-არაიმ ამინი“\*

სპარსული საისტორიო თხზულებების მნიშვნელობა შუა და მა-  
ხლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის  
შესასწავლად საყოველთაოდ ცნობილია. XI საუკუნიდან მოკიდებუ-  
ლი, როცა ახალმა სპარსულმა ენამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი აღმო-  
სავლეთის ქვეყნების სახელმწიფოებრივსა და კულტურულ ცხოვრე-  
ბაში, ამ ენაზე შეიქმნა მდიდარი მხატვრული, საისტორიო და გეოგ-  
რაფიკული ლიტერატურა. სპარსულ ენაზე იწერებოდა ნაწარმოებეა  
არა მარტო საკუთრივ ირანში, არამედ თურქეთში, ავღანეთში, ინდო-  
ეთში, აზერბაიჯანსა და შუა აზიაში<sup>1</sup>.

ვ. ბარტოლდი თემურიანთა ხანის შესახებ შენიშნავდა, რომ ამ  
პერიოდის ისტორიაზე მომუშავე მკვლევარი გაჭირვებას განიცდის არა  
მასალის სიმცირის, არამედ მისი სიჭარბის გამო<sup>2</sup>. მართლაც, სპარ-  
სულენოვანი ისტორიოგრაფია XV საუკუნეში წარმოდგენილია ისეთი  
ავტორებით, როგორებიც არიან ნიზამ ად-დინ შამი, შერეფ ად-დინ ალი  
იეზდი, მუინ ად-დინ ნათანზი, ჰაფეზე აბრუ, ფასიჰი ხაფი, აბდ არ-  
რეზაყ სამარყანდი, მირხონდი, ფადლალაჰ იბნ რუზბეჰან ხუნჯი, ხონ-  
დემირიზ და სხვ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ისტო-  
რიკოსები ძირითადად აღმოსავლეთ ირანში, თემურისა და მის მემკვი-  
დრეთა კარზე მოღვაწეობდნენ და თავიანთ ნაწარმოებებში ნაკლებად  
ეხებიან დასავლეთ ირანს, სადაც XV ს-ის მეორე ნახევარში ჭერ ყა-

\* პირველად დაიბეჭდა 1962 წელს („კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კვებუ-  
ლი“, II, თბ., 1962, გვ. 275—288).

<sup>1</sup> შდრ. Петрушевский И. П. Иранские источники по истории  
Азербайджана. — ССИА, I, Баку, 1949, с. 299.

<sup>2</sup> Бартольд В. В. Новый источник по истории Тимуридов. — Записки  
ИВАН, т. V, 1935, с. 8; იხ. აგრეთვე. Бартольд В. В. Мир-Али-Шир и  
политическая жизнь. — В сб: „Мир-Али-Шир“, Л., 1928, с. 100. ვ. ბარტოლდის  
ეს სტუციები პროფ. ი. პეტრუშევსკის გამოცემულ აქვს XVI—XVII სს-ის მიმართაც  
(Петрушевский И. П. დასახ. ნაშრომი, გვ. 300).

<sup>3</sup> უკანასკნელი ორი ავტორი XVI ს-ის პირველ მეოთხედშიც მოღვაწეობდა.

რა-ყოიუხლუს, ხოლო შეჰდეგ აყ-ყოიუნლუს თურქმანები გაბატონდნენ<sup>4</sup>. შედარებით უფრო ვრცელი ცნობები მოიპოვება XV ს-ის მეორე ნახევრის ირანის, კერძოდ, აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შესახებ მიზ-ხონდისა და ხონდემირის თხზულებებში<sup>5</sup>, მაგრამ ძირითად წყაროს თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის უკანასკნელ დრომდე წარმოადგენდა XVII ს-ის თურქი ისტორიკოსის აჰმედ იბნ ლუთფულაბის (მუნეჯიმ-ბაშის) საისტორიო ნაწარმოები, ფერიდუნ-ბეის მიერ შეკრებილი ოფიციალური საბუთები და იტალიელი ელჩებისა და მოგზაურთა თხზულებები<sup>6</sup>.

ამჟამად მეცნიერებისათვის უკვე ცნობილია სპარსულ ენაზე შედგენილი რამდენიმე საისტორიო თხზულება, რომლებშიც საგანგებოდ არის აღწერილი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ისტორია. სამწუხაროდ, არც ერთი ამ თხზულების ტექსტი ჯერ გამოცემული არ არის და არც მათი ხელნაწერები მოიპოვება ისარ კავშირის სიძველეთსაცავებში<sup>7</sup>.

ერთ-ერთი ასეთი თხზულებაა ახალაღმოჩენილი საისტორიო ნაწარმოები აბუ ბექრ თეჰრანისა — „თარიხე დიარბეჟრიე“, რომელშიც უზუნ-ჰასანის წინაპრებისა და საკუთრივ მისი მეფობის ამბებია მოთხრობილი. ეს თხზულება შედგენილი ყოფილა 1470 წლას ახლო ხანებში, მაგრამ ერთადერთი ცნობილი ხელნაწერი, საწუხაროდ, ბოლონაკლულია და თხრობა 1466 წ. ამბებზე წყდება. ამჟამად „თარიხე დიარბეჟრიეს“ ამ ხელნაწერს გამოსაცემად ამზადებს თურქი მეცნიერი ფ. სიუმერი<sup>8</sup>.

აბუ ბექრ თეჰრანის თხზულების პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს ფადლალაჰ იბნ რუზბეჰან ზუნჯის „თარიხე ალა-მ-არაიე ამინი“, რომელშიც აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ისტორიაა მოთხრობილი სულთან იაყუბის მეფობის წლებში. ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის კალამს ეკუთვნის რამდენიმე საისტორიო და საღვთისმეტყველო ნაწარმოები, რომელთა შორის „თარიხე ამინის“ ერთ-ერთი პირველი ადგილი

<sup>4</sup> Бартольд В. В. Мир-Али-Шир и политическая жизнь, с. 111; Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. Л., 1958, с. 236—237.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 214; ინგლისელი ორიენტალისტი ედ. ბროუნი შენიშნავს, რომ აღწერა ყარა-ყოიუნლუს და აყ-ყოიუნლუს დინასტიებისა, რომელიც მირხონდსა და ზონდემირს აქვთ მოცემული, შეტწილად ნაკლოვანი და არაერთნაირია (Browne E. G. A literary history of Persia, vol. III, Cambridge, 1928, გვ. 407).

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, с. 214.

<sup>8</sup> Minorsky V. Persia in A. D. 1478—1490, London, 1957, გვ. VII, 16, 18, 20, 126.

უპირავს<sup>9</sup>. 1957 წელს ცნობილმა ორიენტალისტმა ვ. მინორსკიმ ლონდონში გამოაქვეყნა ამ საისტორიო ნაწარმოების შემოკლებული ინვლისური თარგმანი შესავალი წერილითა და კომენტარებით<sup>10</sup>.

ცნობები ფაღალაპ იბნ რუზბეჰანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძირითადად მისსავე ნაწარმოებებშია გაბნეული. ამ ცნობებს ავსებს ზოგიერთი სხვა ავტორის (შამს ად-დინ მუჰამედ სახავის, ჰაჯი ხალიფას, ჰასან ნისარის<sup>11</sup>, ჰასან რუმლუს) მონაცემები<sup>12</sup>.

აბულ-ხეირ ფაღალაპ ბ. რუზბეჰან ბ. ფაღალაპ ალ-ხუნჯი ალ-ისფაჰანი, მეტსახელად ალ-ამინი, წარმოშობით ხუნჯელი<sup>13</sup> ყოფილა, დაბადებულა შირაზში, მაგრამ დიდხანს ცხოვრობდა ისფაჰანში, რას გამოც მისი მეორე ნისბა — ალ-ისფაჰანი ფართოდ იყო გავრცელებული. იგი აგრეთვე ცნობილი იყო ხოჯა მოლას ან, მოგვიანებით, ხოჯა მოულანა ისფაჰანის სახელითაც<sup>14</sup>.

ფაღალაპის დაბადების თარიღი არ არის ზუსტად დადგენილი. მ. სალიეს აზრით, იგი XV ს-ის 60-იან წლებში უნდა დაბადებულიყო, ხოლო ვ. მინორსკი ვარაუდობს, რომ იბნ რუზბეჰანი 860 (1455/56) ან 862 (1458/59) წელს დაიბადა<sup>15</sup>.

<sup>9</sup> ეს საისტორიო თხზულება ნაწილობრივ უკვე გამოყენებულია მკვლევართა მიერ XV ს-ის მეორე ნახევრის ირანისა და აზერბაიჯანის ისტორიის საკითხების კვლევისას. იხ. მაგ., H i n z W. Irans Aufstieg zum Nationalstaat im fünfzehnten Jahrhundert, Berlin, 1936; M i n o r s k y V. The Aq-qoyunlu and land-reforms.— BSOAS, 1955, XVII, 3; Э ф е н д и е в О. А., Образование Азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, Баку, 1961; რ. ე . ე ნ ა ძ ე. თამაზ ილხანთა სახელმწიფოში. — „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960 და სხვ.

<sup>10</sup> M i n o r s k y V. Persia in A. D. 1478—1490. An abridged translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarikh-i alam-ara-yi Amini, London, 1957, გვ. VII+136 (ქვემოთ თხზულების ტექსტი დამოწმებული იქნება როგორც „თარიხე ამინი“).

<sup>11</sup> ჰასან ნისარის „თუჰერეს“ შესახებ იხ. Б о л д ы р е в А. Н. Тезкире Хасана Нисори как новый источник для изучения культурной жизни Средней Азии XVI века. — ТОВЭ, III, Л., 1940.

<sup>12</sup> ზემოხსენებულ ავტორთა თხზულებებში გაბნეული ცნობები იბნ რუზბეჰანის შესახებ შესწავლილი აქვთ მ. სალიეს და ვ. მინორსკის (С а л ь е М. А., Малоизвестный источник по истории Узбекистана—„Мухманнамен Бухара“. — Труды Института востоковедения АН УЗССР, вып. III, Ташкент, 1954; M i n o r s k y V. Persia in A. D. 1478—1490). ცნობები ფაღალაპის ბიოგრაფიისათვის ჩვენ ძირითადად ამ გამოკვლევებიდან გვაქვს ამოკრებული.

<sup>13</sup> ხუნჯი პატარა ქალაქია ფარსის სამხრეთ ნაწილში.

<sup>14</sup> S t o r e y C. A. Persian literature. A bio-bibliographical survey. sect. II, fasc. 2. London, 1936, გვ. 300; С а л ь е М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 108; M i n o r s k y V. დასახ. ნაშრ., გვ. 1.

<sup>15</sup> С а л ь е М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 108; M i n o r s k y V. დასახ. ნაშრ., გვ. 126, 127.

დაწყებითი განათლება ფადლაღაჰს ისფაჰანში მიუღია, შემდეგ კი ორჯერ იმოგზაურა არაბეთში, მოინახულა მუსლიმანთა წმინდა აუღილები და გაიღრმავა ცოდნა მუსლიმანურ თეოლოგიაში. ირანში დაბრუნების შემდეგ ფადლაღაჰი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს მბრძანებელ სულთან იაყუბს ეახლა აზერბაიჯანში (1486 ან 1487 წელს) და განუცხადა თავისი სურვილი — შეედგინა მისი მეფობის აღწერა, რომელსაც უნდა დაეჩრდილა ისეთი თხზულებები, როგორც იყო ათა მალიქ ჭუვეინის „თარიხე ჯაჰან-გოშა“ და სხვა საისტორიო ნაწარმოებები. იაყუბმა მოიწონა ეს გეგმა და ფადლაღაჰი დარჩა სამეფო კარზე, სადაც ოთხ წელზე მეტი ხანი დაჰყო. სულთან იაყუბი რომ გარდაიცვალა (1490 წ. 24. XII), ფადლაღაჰს თავისი საისტორიო ნაწარმოების პირველი ტომიც არ ჰქონდა ჯერ დამთავრებული. ფადლაღაჰი იაყუბის ვაჟისა და მემკვიდრის ბაისუნყურის სამსახურში დარჩა და მასვე მიუძღვნა „თარიხე აღამ-არაიე ამინის“ პირველი ტომი. ფადლაღაჰს განზრახული ჰქონია მომდევნო ტომში ბაისუნყურის მეფობა აღეწერა, მაგრამ ეს ტომი, როგორც ჩანს, საერთოდ აღარ დაუწერია, რადგან 1492 წლის მაისში ბაისუნყური ტახტიდან გადააყენეს. ამის შემდეგ იბნ რუზბეჰანმა მიატოვა თეთრბატკნიან თურქმანთა სამეფო კარი და ცენტრალურ ირანში დაბრუნდა. სავარაუდებელია, რომ იგი კვლავ ისფაჰანში დასახლდა და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა<sup>16</sup>.

ფადლაღაჰ იბნ რუზბეჰანი ბავშვობიდანვე მკაცრი სუნიტური სულისკვეთების ატმოსფეროში იზრდებოდა<sup>17</sup>. ამას გარდა, 1482 წელს მედინაში იგი ისმენდა ორთოდოქსალური სუნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, შაფიიტი იმამის მუჰამედ სახავის ლექციებს, რამაც, როგორც ჩანს, წარუშლელი კვალი დაამჩნია მის რელიგიურ შეხედულებებში<sup>18</sup>. იბნ რუზბეჰანი სიკვდილამდე შეუთრეგებელ სუნიტად დარჩა და ამან თავისი ასახვა ჰპოვა მის თხზულებებშიც. ამიტომ, ირანში სეფიანთა გამარჯვების შემდეგ, როცა დაიწყო სუნიტების მასიური ხოცვა-ჟლეტა, ფადლაღაჰს თავის ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა. მან ჯერ ზორასანს მიაშურა და უქანასკნელი თემურიანი მბრძან-

<sup>16</sup> Салъе М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 109; Мипорскы V. დასახ. ნაშრ., გვ. 3.

<sup>17</sup> ვ. მინორსკი შენიშნავს, რომ იბნ რუზბეჰანის მშობლიური ქალაქის ხუნჯის მცხოვრებნი XVIII ს-ის დამდეგსაც კი მებრძოლი სუნიტები იყვნენ (Мипорскы V. დასახ. ნაშრ., გვ. 1).

<sup>18</sup> Салъе М. А. Малоизвестный источник по истории Узбекистана, с. 108.



ნებლის სულთან ჰუსეინის კარზე იმყოფებოდა ერთ ხანს<sup>19</sup>. მას შემდეგ, რაც ხორასნის სასულთნო მომთაბარე ოზბეგებმა გაანადგურეს (1507 წ.), ფადლალაბი გადავიდა მათი მბრძანებლის შეიბანი-ხანის სამსახურში. ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ (1510 წ.) იგი ერთ ხანს ჩამოცილებული ყოფილა საქმეებს და სამარყანდში იმყოფებოდა. როცა 1512 წელს შეიბანი-ხანის ძმისწულმა უბაიდულამ დაიკავა მავერანნაპრი, მან კვლავ ბუხარაში მიიწვია ფადლალაბი, რომელიც მისი ერთ-ერთი დაახლოებული პირი და მრჩეველი გახდა<sup>20</sup>. ამავე დროს იგი ლიტერატურულ მოღვაწეობასაც განაგრძობდა. კერძოდ, 1514 წლის ივნისში მან დაამთავრა შედგენა იურიდიულ-ეთიკური ტრაქტატისა — „სულუქ ალ-მულუქ“, რომელიც რეაქციული სუნიტური სულისკვეთებით არის გაყენებული<sup>21</sup>. გარდაიცვალა იბნ რუზბეჰანი 927 წ. ჯუმადა I-ის 5 რიცხვში (1521 წ. 13 აპრილს)<sup>22</sup>. ჰასან რუმულუ მისი გარდაცვალების ადგილად ბუხარას ასახელებს<sup>23</sup>. ჰასან ნოსარის ცნობით კი, ფადლალაბი უბაიდულა-ხანის პერათზე ლაშქრობის დროს მომკვდარა და იქვე დაუმარხავთ პერათის ხიაბანზე<sup>24</sup>.

ფადლალაბ იბნ რუზბეჰანს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩენია სპარსულ, არაბულ და ჩაღატაურ თურქულ ენებზე. იგი ავტორია პოეტური ნაწარმოებებისა<sup>25</sup>, საისტორიო თხზულებების და სპეციალური ტრაქტატებისა მუსლიმანური ღვთისმეტყველებისა და სამართლის დარგში. სამწუხაროდ, მისი ზოგიერთი ნა-

---

19 სულთან აბუ-საიდის (1451—1469) სიკვდილის შემდეგ თემურიანთა სახელმწიფო ფაქტობრივად დაიშალა ორ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, რომელთაც თემურიანთა დინასტიის ორი სხვადასხვა შტო განაგებდა. ხორასნის სასულთნოში, რომლის ცენტრი პერათი იყო, გარდა ხორასნისა, შედიოდა სისთანი, მახანდარანი, გურგანი და ხორეზმი. შუა აზიის სასულთნოს ცენტრი იყო სამარყანდი (История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, с. 239).

<sup>20</sup> С а л њ е М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 110.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 111; Minor sky V. Persia in A. D. 1478—1490. გვ. 8.

<sup>22</sup> A Chronicle of the early Safawis being the Ahsanu't-tawarikh of Hasan-i Rumlu, ed. by C. S e d d o n. Baroda, 1931, გვ. 174.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> С а л њ е М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 110.

<sup>25</sup> ფერიდუნ-ბეის მიერ შეკრებილ ოფიციალურ საბუთებს შორის აღმოჩნდა ფადლალაბ იბნ რუზბეჰანის ორი პოემა, რომლებითაც ავტორი ულოცავს ოსმალეთის სულთანს სელიმს შაჰ-ისმაილ I-ზე გამარჯვებას 1514 წელს (Browne E. G. A history of Persian literature. IV. Cambridge, 1930, გვ. 79—81; Minor sky V. დასახ. ნაშრ., გვ. 4—5).

წარმოები დღეს მხოლოდ სათაურით არის ცნობილი<sup>26</sup>. იმ თხზულებათაგან, რომლების ხელნაწერებმაც მოაღწიეს ჩვენამდე, გარდა უკვე დასახელებული „თარიხე ამინისა“, აღსანიშნავია „მეჰმან-ნამეიე ბუხარა“, რომელიც ავტორს 1059 წელს შეუდგენია შეიბანი-ხანის კარზე ყოფნის დროს<sup>27</sup>. ეს ნაწარმოები ძვირფას წყაროს წარმოადგენს XV ს-ის დასასრულისა და XVI ს-ის დამდეგის უზბეკეთის ისტორიის შესასწავლად. კერძოდ, „მეჰმან-ნამეიე ბუხარა“ საყურადღებო ცნობებს შეიცავს მომთაბარეთა ყოფისა და ადათ-წესების შესახებ, შეიბანი-ხანის ლაშქრობათა შესახებ ყაზახების წინააღმდეგ 1508—1509 წლებში და სხვ. ამ თხზულებაში დაცული ცნობების მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რომ ფაღალაჰი პირადად მონაწილეობდა წიგნში აღწერილ მოვლენათა დიდ ნაწილში და საკუთარი თვალით ნანახი ამბები აქვს მოთხრობილი<sup>28</sup>.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ სპარსულენოვანი წყაროები აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ისტორიისათვის მცირეა, ხოლო რაც არის, იშვიათი ხელნაწერების სახით არის შემორჩენილი. ამიტომ ყოველი ახალი წყაროს გამოვლინებასა და გამოცემას (თუნდაც შემოკლებული თარგმანის სახით) დიდი მნიშვნელობა აქვს აღებული ხანის ირანისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესწავლისათვის. კერძოდ, პროფ. ვ. მინორსკის მიერ გამოცემული ინგლისური თარგმანი თეთრბატნიან თურქმანთა სახელმწიფოს ისტორიის ერთ-ერთი თვალ-

---

26 იბნ რუხბეჰანის იმ თხზულებათა შესახებ, რომელთა ხელნაწერები ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი, იხ. Storey C. A. Persian literature, sect. II, fasc. 2, გვ. 300; Салъе М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 110—111; Minor sky V. დასახ. ნაშრ., გვ. 5.

27 ცნობილია „მეჰმან-ნამეიე ბუხარას“ ორი ხელნაწერი — სტამბულისა და ტამბენტის. ეს უკანასკნელი ნუსხა, რომლის წერა 915 წ. ჯამადა 1-ში (1509 წ. აგვისტო-სექტემბერში) დამთავრდა, ფაღალაჰის ავტოგრაფს წარმოადგენს, ხოლო სტამბულის ნუსხა ამ ავტოგრაფიდან არის გადაწერილი იმავე წლის ჯამადა II თვეში (1509 წ. სექტემბერ-ოქტომბერში) ვინმე ალი ალ-პერევის მიერ (Салъе М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 113—114) ხელნაწერთა აღწერა იხ. Тауег F. Les Mss persans historiques des Bibliothèques de Stamboul. — „Archiv orientální“, vol. III, № 3, 1931, 533; Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, т. I. Ташкент, 1952, № 137.

<sup>28</sup> Салъе М. А. დასახ. ნაშრ., გვ. 114, 117, Мукминова Р. Г. О некоторых источниках по истории Узбекистана начала XVI в. — Труды Института востоковедения АН УзССР, вып. III, Ташкент, 1954, с. 131.

საჩინო წყაროს — „თარიხე ალამ-არაიე ამინისა“<sup>29</sup> უთუოდ დიდ საქ-სახურს გაუწევს ამ პერიოდის ისტორიის მკვლევართ.

ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის თხზულებას წამძღვარებული აქვს ვრცელი შესავალი, რომელშიც ავტორი გადმოგვცემს თავის შეხედუ-ლებებს ისტორიასა და ისტორიკოსებზე. ისტორიკოსებს ფადლალაჰი რვა ჯგუფად ჰყოფს და აღნიშნავს, რომ თითოეული მათგანი თავს საკუთარ საგანს სწავლობს. პირველ ჯგუფს შეადგენენ ავტორებო, რომლებიც წერენ მსოფლიო ისტორიას ადამის დროიდან. მათ წარმო-მადგენლებად ფადლალაჰს მიაჩნია ტაბარი, იბნ ალ-ჯაუზი, ჰაფეზე აბრუ. ავტორის აზრით, რაშიდ ად-დინიც წააგავს ამ ისტორიკოსებს თავისი ჩანაფიქრით, მაგრამ ცალკე დგას მისი განხორციელების მე-თოდით. მომდევნო (მე-3, 4, 5) ჯგუფებს შეადგენენ წინასწარმეტყველ-თა ცხოვრების აღმწერნი, წინასწარმეტყველის შესახებ ამბების შექ-რებნი და წინასწარმეტყველის მიმდევართა ცხოვრების აღმწერნი. ცალკე (მუხხუთე) ჯგუფში ათავსებს ფადლალაჰი მემატიანეებს, რომ-ლებიც წლების მიხედვით გადმოგვცემენ ამბებს ჰიჯრიდან თავიანთ დრომდე (იბნ ალ-ასირი); შემდეგ მოდიან ისლამის გამოჩენილ მოღვა-წეთა, სულთნების, ჰადისების მცოდნეთა და სხვათა ანბანური ლექსა-კონების შემდგენელნი (იბნ ხალიჯანი) და ისტორიკოსები, რომლებიც მუსლიმან სწავლულთა შესახებ წერენ თხზულებებს. უკანასკნელ, მერვე ჯგუფში არიან ის ავტორები, რომელთა ნაწარმოებებში ცალკე-ული დინასტიების ისტორიაა გადმოცემული. მათ შორის ფადლალაჰი ასახელებს ჯუვეინის, ვასაფს, მუინ ად-დინ იეზდის და შერაფ ად-დინ ალი იეზდისა.<sup>30</sup>

ისტორიკოსთა ამავე რიგს ეკუთვნის ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანიც, რომლის თხზულებაში სულთან იაყუბის მეფობის ისტორია არის მო-თხრობილი. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ფადლალაჰი ოთხ წელზე მეტ ხანს იმყოფებოდა თეთრბატანიან თურქმანთა სამეფო კარზე და თვითმხილველი და თანადამხდურია მის მიერ აღწერილი ამბების დიდი ნაწილისა. ამდენად, „თარიხე ალამ-არაიე ამინი“ ძვირფას ცნო-

<sup>29</sup> თარგმანი შესრულებულია „თარიხე ამინის“ ორივე ცნობილი ხელნაწერის მიხედვით (სტამბულისა და პარიზის). სტამბულის ფატიჰის ბიბლიოთეკის ხელნა-წერი (ვ. მინორსკის გამოცემაში A ნუსხა) 1520 წ. არის გადაწერილი კარგი ნასთა-ლიკით იუსუფ მერვის მიერ. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერი (B) 1545 წელს გადაუწერიათ თურქული გაკრული, ადგილ-ადგილ ძნელად გასარჩევი ხელით. ხელნაწერთა აღწერა იხ. Tauer F. Les Manuscrits persans historiques des Bibliothèques de Stamboul, № 432; Blochet E. Catalogue des Manuscrits persans de la Bibliothèque Nationale, t. I, № 473.

<sup>30</sup> თარიხე ამინი, გვ. 2—13.

ბებს შეიცავს XV საუკუნის მეორე ნახევრის ირანის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის.

„თარიხე ამინი“ 1478 წლის ამბების თხრობით იწყება და მოულოდნელად წყდება 1490 წლის 24 დეკემბერზე, სულთან იაყუბის გარდაცვალებით. იბნ რუზბეჰანი მოგვითხრობს, რომ 881 (1476/7) წელს საქართველოში ლაშქრობის შემდეგ უზუნ-ჰასანი შეუძლოდ შეიქნა და მალე გარდაიცვალა (1478 წ.). ფადლალაჰის ცნობით, მას ხუთი ვაჟი დარჩა (სულთან ხალილი, ყიას ად-დინ მაყსუდი, იაყუბი, იუსუფ-ბაჰადური და მისიჰ-მირზა)<sup>31</sup>, რომელთაგან უზუნ-ჰასანმა მესამე შეილი, იაყუბი დანიშნა ტახტის მემკვიდრედ. მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ უფროსმა შვილმა ხალილმა მიიტაცა ტახტი, მოაკვლევინა მაყსუდი და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს მბრძანებელი გახდა<sup>32</sup>, იაყუბი კი მან დიარბექრის გამგებლად დანიშნა<sup>33</sup>. ფადლალაჰი ვრცლად აღწერს თეთრბატნიან თურქმანთა სახელმწიფოში გამართულ ფე-

<sup>31</sup> თარიხე ამინი, გვ. 25. საერთოდ, უზუნ-ჰასანს სულ შვიდი ვაჟი ჰყოლია, მაგრამ უიღურულ მოჰამედი და ზეინალ-მირზა იმ დროს უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები (იხ. ბუღაყ ყაზვინი. ჭავჭავი აღ-ახბარ, ლენინგრადის საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, ღორნის კატალოგი № 288, ფ. 272ა). საინტერესოა აღინიშნოს, რომ უზუნ-ჰასანის ორი ვაჟი, სულთან ხალილი და იაყუბი, მოხსენიებულია ქართულ წყაროებშიც.

<sup>32</sup> ქართული წყაროც აღნიშნავს, რომ „ქმნა ღმერთმან და მოკულა ყაენი უზუნ-ასან და მიიღო პატრონობა ძემან მისმან სულთანმან, და ძმა მისი იალუბ ეშურეზოდა მიღებად პატრონობასა“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. II. თბ., 1959, გვ. 479). „ქართლის ცხოვრების“ საკუთარ სახელთა სამიხებელში იაყუბის შესახებ წერია, რომ „იგი უზუნ-ასანის ძმა და ასანბეგის შვილი“ (იქვე, გვ. 662—იალუბ ყაენი; იხ. აგრეთვე გვ. 687—უზუნ-ასანი). სინამდვილეში უზუნ-ჰასანი და ჰასან-ბეგი, როგორც ეს ქართული წყაროს ტექსტიდანაც ჩანს, ერთი და იგივე პირია. მემტრანის სიტყვები: „და ძმა მისი იალუბ ეშურეზოდა მიღებად პატრონობასა“ ნიშნავს, რომ იაყუბი ძმა სულთან ხალილისა და არა უზუნ-ჰასანის, რომელიც, როგორც ვიცით, იაყუბის მამა იყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უზუნ-ასანი და ასანბეგი ცალ-ცალკე არის შეტანილი ამავე სამიხებელში, რამაც შეიძლება შეეძლონ შეიყვანოს მკითხველი. გარდა ამისა, ასან-ბეგი (უზუნ-ჰასანი) გაიგივებულია შამთამაზის მიერ შაჰის დაპყრობასთან დაკავშირებით მოხსენიებულ ასან-ბეგთან, დავით მაჰმადის მამასთან (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 353, 504. შტრ. გვ. 639). ჰუსეინ-ბეგი (იგივე ასან-ბეგი) და მისი ძე დერვიშ მოჰამედ-ხანი XVI ს-ის პირველი ნახევრის აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწენი არიან. ჰუსეინ-ბეგი შაჰის დემოკრატული სამთავროს მბრძანებელი იყო და დროდადრო ხარკს უხდიდა შაჰ-ისმალ I-ს. მისი მემკვიდრე დერვიშ მოჰამედი (1524—1551) შაჰის უკანასკნელი დემოკრატული გამგებელია. 1551 წ. ეს ოლქი საბოლოოდ შეუერთდა სეფიანთა სახელმწიფოს (Петрушевский И. П. Азербайджан в XVI—XVII веках.— ССИА. I, გვ. 268; История Азербайджана, I. Баку, 1958, с. 233).

<sup>33</sup> თარიხე ამინი, გვ. 26.

ოდალურ ბრძოლებს: უზუნ-ჰასანის ძმისწულების მურადისა და იბრაჰიმის აჯანყებებს სულთან ხალილის წინააღმდეგ<sup>34</sup>, ხალილსა და იაყუბს შორის ტახტისათვის გაჩაღებულ სასტიკ ბრძოლას, რაც საბოლოოდ იაყუბის გამარჯვებით დამთავრდა<sup>35</sup>, ერაყის გამგებელ ბაიანდურ-ბეგის აჯანყებას იაყუბის წინააღმდეგ<sup>36</sup> და სხვ.

თეთრბატკიან თურქმანთა სახელმწიფო ჯერ კიდევ უზუნ-ჰასანს დროს დაადგა ეკონომიკური დაქვეითების გზას. გლეხთა მდგომარეობის გაუარესებამ სოფლის მეურნეობის დაცემა გამოიწვია. უზუნ-ჰასანს ესმოდა, რომ სოფლის მეურნეობის დაცემა-დაქვეითების მთავარი მიზეზი უზომო გადასახადები იყო, ამიტომ მან საგადასახადო რეფორმა გაატარა. შედეგნილ იქნა სპეციალური საგადასახადო დებულება — „კანუნ-ნამე“, რომლითაც ზუსტად იყო განსაზღვრული ასაკებზე გადასახადთა ოდენობა. ამ რეფორმის შედეგად გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის მდგომარეობა, როგორც ჩანს, რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ „კანუნ-ნამეს“ მოქმედება არ აღმოაჩნდა ხანგრძლივი. უზუნ-ჰასანის სიკვდილის შემდეგ საფინანსო მოხელენი აღარ იცავდნენ მის მიერ დაწესებულ ნორმებს<sup>37</sup>.

საგადასახადო საქმის მოწესრიგების ახალ ცდას ადგილი ჰქონდა სულთან იაყუბის დროსაც. იაყუბმა ტახტზე ასვლისთანავე სცადა მოსახლეობის მიმხედვით მდგომარეობის შემსუბუქება. მისი ბრძანებით, 70 ათასი თუმანი გადასახადი, რაც ფადლალაჰის სიტყვით, ჯერ კიდევ წინანდელი მბრძანებლების, განსაკუთრებით ყარა-ყოიუნლუს ხელმწიფეთა დროიდან იყო დარჩენილი, ერთბაშად ჩამოაწერეს ხალხს<sup>38</sup>. 1489 წელს იაყუბის ლალამ და მრჩეველმა ყადი სეიფ ად-დინ ისამ განიზრახა ახალი საფინანსო რეფორმების გატარება, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა სასულიერო და სამხედრო არისტოკრატიისათვის ბოძებული სოიურღალების გაუქმების ხარჯზე. იბნ რუზბეჰანის თხზულებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლება სასოიურღალო იმუნიტეტის გაუქმებით კონტროლი დაეწესებინა სახელმწიფო შემოსავალსა და ლაშქარზე, ხოლო სამხედრო და სასულიერო ფეოდალები გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ რეფორმის გატარებას<sup>39</sup>. 1490 წელს იაყუბი მოულოდ-

34 თარიხე ამინი, გვ. 28—32.

35 იქვე, გვ. 32—37.

36 იქვე, გვ. 46—49.

37 Minor sky V. The Aq-qoyunlu and land-reforms, გვ. 449—440; История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, გვ. 238.

38 თარიხე ამინი, გვ. 41.

39 იქვე, გვ. 91—96; იხ. აგრეთვე, Minor sky V. დსახ. ნაშრ., გვ. 451—458.

ნელად გარდაიცვალა საწამლავისაგან და ყადი ისას რეფორმის გატარების ცდაც მარცხით დამთავრდა<sup>40</sup>.

XV ს-ის მეორე ნახევარში ირანსა და აზერბაიჯანში გაძლიერდა არდებილის ფეოდალური სამთავრო, რომელსაც შეიხ სეფი აღ-დინის (1252—1334) შთამომავალი სეფიანები განაგებდნენ. სეფიანები თავიანთი სამფლობელოს ტერიტორიის გაფართოებაზეც ზრუნავდნენ და, გარდა ამისა, „საღვთო ომის“ საბაბით ხშირად აწყობდნენ მძარცველურ თავდასხმებს მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებზე. საქართველოში, დაღესტანსა და ჩერქეზეთში ლაშქრობის დროს არდებილის შეიხებს — ჯუნეიდსა და ჰაიდარს შირვანზე ედოთ გზა. შირვანშაჰებს თავიანთთვის სახიფათოდ მიაჩნდათ ეს ლაშქრობები და არც არდებილს სამთავროს გაძლიერება მოსწონდათ მაინცდამაინც. ამიტომ შეიხა ჰაიდარი, რომელიც ნომინალურად სულთან იაყუბის ვასალად ითვლებოდა, წინასწარ იღებდა ხოლმე ნებართვას აყ-ყოიუნლუს მბრძანებლისაგან ლაშქრობის მოწყობაზე და ნადავლის ნაწილსაც თავრიზში აგზავნიდა<sup>41</sup>. 1488 წლის გაზაფხულზე ჰაიდარმა შირვანზე გავლას ნებართვა მიიღო იაყუბისაგან და უკანასკნელად გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ. ამჯერად გაიმართა ბრძოლა შირვანშაჰისა და ყიზილბაშთა რაზმებს შორის. ამ ბრძოლაში იაყუბმა, რომელიც დიდი ხანია ფიქრობდა საშიში მეზობლის თავიდან მოშორებაზე, შირვანშაჰის მხარე დაიჭირა და ლაშქარი მიაშველა მას. 893 წ. რაჯაბის 29-ს (1488 წ. 9 ივლისს) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ყიზილბაშები დამარცხდნენ, შეიხი ჰაიდარი კი მოიკლა. სეფიანთა მიმართ აშკარად მტრულად განწყობილი იზნ რუზბეჰანი საყურადღებო ცნობებს იძლევა არდებილის შეიხების, კერძოდ, ჰაიდარის შესახებ და განსაკუთრებით ვრცლად და ცოცხლად აღწერს მის უკანასკნელ ლაშქრობას შირვანში<sup>42</sup>.

თეთრბატკიან თურქმანთა სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანასთან. განსაკუთრებით გაცხოველებული ხასიათი ჰქონდა ამ ურთიერთობას უზუნ-ჰასანის დროს, როცა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფადიშაჰის დედა სარა-ხათუნი<sup>43</sup>. ფადლალაჰ იზნ რუზბეჰანის თხზულებაში დატული ცნობებიდან ჩანს, რომ ეს ურთი-

40 თარიხე ამინი, გვ. 457—458.

41 Эфендиев О. А. Образование Азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, с. 74.

42 თარიხე ამინი, გვ. 61—82.

43 Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV в.— ССИА, I, с. 172—173; История Азербайджана, I, с. 205.

ერთობა სულთან იაყუბის დროსაც გრძელდებოდა. მის დროს აყ-ყო-იუნლუს სამეფო კარზე ხშირად ჩამოდიოდნენ ელჩები რუმიდან, ეგვიპტიდან, ინდოეთიდან, ხორასნის, აჰვაზის, გილანისა და დეილემის გამგებელთაგან და სხვ. ამავე დროს იაყუბის ელჩებიც ხშირად იგზავნებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში<sup>44</sup>. ფაღალაპის სიტყვით, ქვეყნად არ იყო ისეთი მბრძანებელი, რომელსაც მორჩილება ან კეთილგანწყობილება არ გამოეთქვა იაყუბისათვის<sup>45</sup>.

იაყუბის მეფობაში ოსმალებს ომი არა ჰქონიათ ოსმალებთან, მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენიმე ლაშქრობა მოეწყო ქერმანის, გილანისა და მახანდარანის დასამორჩილებლად<sup>46</sup>. საინტერესო ცნობები მოეპოვება იზნ რუზბეჰანს ეგვიპტის მამლუქი მბრძანებლის ყაით-ბეას მრავალრიცხოვანი ლაშქრის განადგურების შესახებ თეთრბატენიან თურქმანთა მიერ რუჰასთან ბრძოლაში (1480 წ.)<sup>47</sup>.

სულთან იაყუბის რაზმებმა ორგზის ილაშქრეს საქართველოშიც. პირველად (1486 წ.) პირადად იაყუბის სარდლობით მათ აიღეს ახალციხე და აწყური, მეორედ კი თბილისიც დაიკავეს 1489 წ. თებერვალში<sup>48</sup>. ამ ლაშქრობათა შესახებ ქართულ წყაროებშიც არის დაცული საკმაოდ ვრცელი ცნობები<sup>49</sup>. ივ. ჭავჭავიძე იფრთხილად ეკიდებოდა ქართული წყაროების მონათხრობს, რადგან ამ შემოსევების შესახებ ცნობები სხვაგან არ მოიპოვება და ამის გამო მათი სიმართლის გამორკვევა შეუძლებელია<sup>50</sup>. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ საცხებით სანდო ცნობებია დაცული თურქმანთა შემოსევების შესახებ საქართველოში XV ს-ის 80-იან წლებში. „თარიხე ამინს“ ცნობები ადასტურებს, ადგილ-ადგილ ასწორებს, აზუსტებს ან საყურადღებო წვრილმანებით ავსებს ქართული წყაროების მონაცემებს და შუქს ჰფენს ირან-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს XV ს-ის მეორე ნახევარში<sup>51</sup>.

44 თარიხე ამინი, გვ. 29, 53—54, 55, 59, 85, 98, 100—101.

45 იქვე, გვ. 101.

46 იქვე, გვ. 41—43, 56—58, 82—83.

47 იქვე, გვ. 44—46.

48 იქვე, გვ. 50—53, 88—91.

49 ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ტფ., 1913, გვ. 19—23, 236; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 343—345, 481—485.

50 ივ. ჭავჭავიძე. ქართველი ერის ისტორია, IV. თბ., 1948, გვ. 147, 150; შდრ. Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par Brosset M. II, I. SPb., 1856, გვ. 14, შენ. 1.

51 ეს ცნობები დაწვრილებით არის განხილული ჩვენს წერილში — საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს-ის მეორე ნახევარში (იხილეთ ისტორიის ინსტიტუტის შრომების VII ტომში)\*.

\* ნაშრომი გამოქვეყნდა 1964 წელს.

ფადლალაპ იბნ რუზბეჰანის თხზულებას ზოგიერთი აშკარა ნაკლიც გააჩნია, რაც შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ მას 'აკმაოდ არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. იაყუბის სამეფო კარის ხშირი მოძრაობის გამო ფადლალაპი, როგორც თვითონ გვაუწყებს, არც თუ იშვიათად მოგზაურობის დროს წერდა თავის ნაწარმოებს, როცა მას არ შეეძლო საჭირო წიგნების შოვნა. ვასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იაყუბის გარდაცვალებამ და თხზულებას ხელახლა მისი ვაჟის ბაისუნყურისათვის მიძღვნამ აუცილებელი გახადა სასწრაფოდ ზოგიერთი ცვლილების შეტანა ნაშრომში და კვლავ დაამჩნია მის აგებულებას.

განსაკუთრებით თვალში საცემია ის გარემოება, რომ ავტორი ზოგჯერ ზერელედ ეკიდება აღწერილი მოვლენების ღაფარობას, რის გამოც თხზულებაში მოცემული ქრონოლოგია ყოველთვის არ არის საკმარისი და სანდო. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს იაყუბის მეფობის ადრინდელი ხანის (1478—1486) აღწერაში. აქ ავტორი მეტწილად არათარიღებს ამ ამბებს, რაც მას თვითმხილველთა და თანადამხდურთაგან მოუსმენია. მომდევნო წლების ისტორიის თხრობის დროს ფადლალაპი უკვე საკუთარი თვლით ნანახ ამბებს აღწერს, მაგრამ აქაც ყოველთვის როდი ექცევა სათანადო ყურადღება მოვლენათა თანამიმდევრობას<sup>52</sup>. გარდა ამისა, ავტორი ზოგჯერ ახსენებს წიგნის სხვა ადგილას მოსახსენიებელ ფაქტს, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ავიწყდება ეს და იმ ამბის შესახებ წიგნში აღარაფერია თქმული<sup>53</sup>. საერთოდ, როგორც ვ. მინორსკი შენიშნავს, იბნ რუზბეჰანის ნაშრომი არ ტოვებს საბოლოოდ დამთავრებული ნაწარმოებში შთაბეჭდილებას<sup>54</sup>. შესაძლებელია, ავტორის გადაწყვეტილი ჰქონდა თხზულების მეორე ტომის დასრულების შემდეგ საბოლოო რედაქცია გაეკეთებინა მთელი ნაშრომისათვის, მაგრამ სეფიანთა დინასტიის გამარჯვების შემდეგ, როცა მას ირანიდან გაქცევა მოუხდა, ველარ შეძლო განზრახულის შესრულება.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ფადლალაპ იბნ რუზბეჰანის „თარხე ალამ-არაიე ამინი“, როგორც ეს ზემოთ მოტანილი მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, საუკეთესო წყაროა XV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ირანისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის. იგი შეიცავს პირველხარისხოვან მასალას (ავტორის პირად დაკვირვებებს და თვითმხილველთა მონათხრობს) ქვეყნის სოციალურ-ეკონომი-

<sup>52</sup> Minor sky V. Persia in A. D. 1478—1480, გვ. 15—16, 122.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 83, 122.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 16, 122.



კური და პოლიტიკური ცხოვრების დასახასიათებლად. ვ. მინორსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაღლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარიხე ამინა“ შესანიშნავი ნაწარმოებია, რომელიც ღირსია, რომ განსაკუთრებული ადგილი დაიკვიროს სპარსულ ისტორიოგრაფიასა და მწერლობაში<sup>55</sup>.

## «ТАРИХЕ АЛАМ-АРАЙЕ АМИНИ» ФАДЛАЛЛАХА ИБН РУЗБИХАНА

### Резюме

Общезвестно значение персидских исторических сочинений для изучения истории стран Среднего и Ближнего Востока и Закавказья. На персидском языке создавалась как историческая, так и художественная и географическая литература, и не только в Иране, но и в Турции, Афганистане, Индии, Азербайджане и Средней Азии.

Персоязычная историография в XV веке представлена такими авторами, как Низам ад-дин Шами, Шереф ад-дин Али Йезди, Муин ад-дин Натанзи, Хафиз-и Аbru, Фасихи Хафи, Абд ар-реза Самарканди, Мирхонд, Фадлаллах ибн Рузбихан Хунджи, Хондемир и др., но вышеназванные историки подвизались в основном в Восточном Иране, при дворе Тимура и его наследников; они мало касались Западного Ирана, где во второй половине XV века стали господствовать сначала туркмены Кара-Койунлу, а потом — Ак-Койунлу.

История государства Ак-Койунлу при царствовании султана Якуба описана в сочинении Фадлаллаха ибн Рузбихана «Тарихе алам-арайе амини». Биографические сведения об авторе разбросаны в его же сочинениях. Родился он в Ширазе, долго жил в Исфахане, где получил начальное образование; дважды путешествовал по Аравии, посетил святые места мусульман, укрепил свои знания в исламской теологии. По возвращении в Иран Фадлаллах ибн Рузбихан предстал перед султаном Якубом и выразил желание описать его царствование. Он получил согласие султана и остался при дворе, но через четыре года Якуб скончался и ибн Рузбихан посвятил первый том своего сочинения сыну и наследнику Якуба Байсункуру. После смещения Байсункура Фадлаллах ибн Рузбихан навсегда оставил государство Ак-Койунлу, вновь поселился в Исфахане и занялся литературной деятельностью.

Историческое сочинение «Тарихе алам-арайе амини» может оказать большую услугу изучающим историю государства Ак-Койунлу, несмотря на его очевидные недостатки. Вероятно, они вызваны тем, что из-за частого перемещения двора Якуба

<sup>55</sup> M i n o r s k y V. Persia in A. D. 1478—1490, გვ. 15

историку нередко приходилось сочинять в пути, не имея нужных книг. Иногда он грешит неточными датировками событий. Вообще весь труд оставляет впечатление незавершенности. Возможно, ибн Рузбихан собирался сделать общую редакцию сочинения по завершении второго тома, но после победы династии Сефевидов он был вынужден бежать из Ирана и не смог выполнить задуманное.

Несмотря на упомянутые погрешности, сочинение Рузбихана является первосортным источником для изучения истории Ирана и соседних стран последней четверти XV в., содержит ценнейшие сведения о социально-экономической и политической жизни страны и достойно занять особое место в персидской историографии.

## ქართული და აზერბაიჯანელი ხალხების ერთობლივი ბრძოლის ისტორიიდან\*

ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორია აღსავსეა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მაგალითებით. ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები გაჭირვების ქამს ხშირად მხარდამხარ გამოსულან საკუთარი თუ მეზობლის მიწა-წყლის დასაცავად და ერთად უბრძოლიათ მომხდური მტრის წინააღმდეგ.

წინამდებარე წერილში აღმოსავლური წყაროების მონაცემების საფუძველზე ყარა-ყოიუნლუს თურქმანთა ლაშქართან აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ბრძოლის ერთი ეპიზოდია მოთხრობილი.

\* \* \*

XIV საუკუნის უკანასკნელი ოცეული მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში თემურ-ლენგის სისხლიანი ურდოების მრავალგზის შემოსევით აღინიშნა. მოკლე ხანში მტერმა რამდენიმეჯერ დალაშქრა დასახლებული ქვეყნები და ყველგან ნგრევა-განადგურება, შიში და ძრწოლა დათესა. ირანს თემური მოევლინა არა მარტო როგორც უცხოელი დამპყრობელი, არამედ როგორც პირსისხლიანი ჯალათი და სახალხო მოძრაობათა ჩამშობი და ამავე დროს, როგორც მონღოლურ სახელმწიფოებრივ ტრადიციათა აღმდგენელი<sup>1</sup>. არანაკლები ზიანი მიაყენა თემურ-ლენგის ლაშქრობა-თარეშმა ამიერკავკასიის ქვეყნებს. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ყველაზე მძიმე საქართველოსათვის (ისევე როგორც მთელი კავკასიისათვის) თემურის ლაშქრობათა პოლიტიკური შედეგები იყო. სამასწლოვანი ბრძოლა „ველურ“ მომთაბარეთა წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს საქართველოს (კავკასიის) დამარცხებით დამთავრდა“<sup>2</sup>.

\* პირველად დაიბეჭდა 1964 წელს (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 377—383) ოდნავ შეცვლილი სათაურით.

<sup>1</sup> Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, М., 1958, с. 231.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. — „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 126.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1393 წელს თემურ-ლენგმა თავის უფროს ვაჟს მირანშაჰს უბოძა „ჰულაგუ-ხანის ტახტი“ და მისივე კუთვნილი ულუსი ირანში, რომელიც, შერეფ ად-დინ ალი იეზდის სიტყვით, მოიცავდა ტერიტორიას ბაქოს დერბენდიდან ბალდადამდე და ჰამადანიდან რუმამდე<sup>3</sup>. (სინამდვილეში ილხანთა სახელმწიფო ირანში გაცილებით უფრო მეტ ფართობს მოიცავდა). მაგრამ მალე თემურმა ჩამოართვა მირანშაჰს<sup>4</sup> მიცემული ქვეყნები და ლაშქარი და მისსავე ვაჟს ომარ მირზას გადასცა<sup>5</sup>. მირანშაჰისათვის თემურს დაუტოვებია საგამგებლოდ არანი, მულანი, სომხეთი და საქართველო<sup>6</sup>.

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ მის მიერ სახელდახელოდ შეკონწიჭებული უზარმაზარი სახელმწიფოც სწრაფად დაიშალა. თემურიან უფლისწულთა შორის გაჩაღებულმა შინაომმა ბოლო მოუღო მათ ძლიერებას და ხელი შეუწყო დაპყრობილ ქვეყნებში განმათავისუფლებელი ბრძოლის გაჩაღებას. თემურის ურდოების თარეშმა და ქვეყნის გაპარტახებამ ვერ გატეხა ამიერკავკასიის ხალხთა მეზობლი სული. მალე ისინი კვლავ მომძლავრდნენ სამხედრო თვალსაზრისით და აქტიური

<sup>3</sup> შერეფ ად-დინ ალი. ზაფარ-ნამე, ტ. I, თეირანი, 1957, გვ. 557:

حضرت صاحب قران تختگاه آذربایجان و حکومت آن ممالک از در بند باکو تا بغداد، و از همدان تا روم، بامیرزاده میرانشاه تفویض فرموده بود  
عاطفت پادشاهانه ممالک آذربایجان و ری و در بند  
باکو و شروانات و گیلانات با توابع و مضافات تا روم نامزد امیرزاده میرانشاه فرمود

შდრ. ბერი ეგნატაშვილი: „და მაშინ განუყო ძეთა თუსთა თემნი და ქუეყანანი: რომელსაჲ მისცა ინდოეთი, რომელსაჲ ხორასანი და რომელსაჲ ადრბაგანი“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 339; იხ. აგრეთვე, გვ. 472).

<sup>4</sup> მირანშაჰს შეშლილობის აშკარა ნიშნები გამოაჩნდა, რაც უაზრო სისასტიკესა და თავრიზის მთელი რიგი ნაგებობების დაქცევაში გამოიხატა (К л а в н и о. Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд, 1403—1416, СПб., 1881, С. 170, Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV веке, Сборник статей по истории Азербайджана. I. Баку, 1949, с. 153).

<sup>5</sup> შერეფ ად-დინ ალი, ზაფარ-ნამე, II, გვ. 402—403.

<sup>6</sup> მ ი ა ხ რ დ ი. როუზთ ას-საფა, ბოშუე, 1261 (1845), ტ. VI, გვ. 239; Notices et extraits des Manuscrits de la Bibliothèque du roi et autres Bibliothèques, Publiés par l'Institut Royal de France, t. XIV, Paris, 1843, გვ. 52 (საქართველოს მოხსენება მირანშაჰის სამფლობელოებში შეიძლება მხოლოდ მას ვასალურ დამოკიდებულებას ნაშნავდეს, რადგან ქართული წყაროს ცნობით, სამფლობელოთა გაყოფის შემდეგ აგრძელდა შესასწავს ძეთა მისთა (თემურ-სა—რ. კ.) ქართლად მოსვლა, რანეთუ იყო უკოლორთას შანა შტრაი და კლომა“. — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 339; იხ. აგრეთვე, გვ. 472).

პოლიტიკის გატარების გზასაც დაადგინენ. კერძოდ, საქართველომ, როგორც ჩანს, მალე უარყო თემურიანთა მიმართ ვასალური დამოკიდებულებაც და ამიერკავკასიიდან მათ გასაღდენად აქტიური ღონისძიებებიც განახორციელა.

XV ს-ის ისტორიკოსი მირხონდი მოგვითხრობს, რომ 808/1405 წლის ზაფხულში, როცა დასავლეთ ირანის მბრძანებელი, თემურის შვილიშვილი ომარ მირზა ჰამადანში ქეიფსა და დროსტარებაში იყო, მას აცნობეს, ქართველებმა თავიანთი საზღვრები გადმოლახეს, ნახჭევანი და განჯა დაარბიეს, ხოლო მცხოვრებნი გაძარცვეს და დახოცეს<sup>7</sup>. (ჩვენი აზრით, აქ თემურიანთა რაზმების გაყვლეთა და მათი ალალის გაძარცვა უნდა იგულისხმებოდეს, რადგან სწორედ მათ ებრძოდნენ ამიერკავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები). ბასთამ ჯაგირმა, რომელიც არდებილის გამგებელი იყო, არაერთაირი ზომა არ მიიღო ქართველების უკუსაქეველ და შირვანს შეაფარა თავი. ისტორიკოსის სიტყვით, ომარ მირზამ ყური არ ათხოვა ამირების რჩევას და ომარ თაბანი, თუქელ ბარლასი და სხვა სარდლები გაგზავნა ქართველთა წინააღმდეგ<sup>8</sup>. მცირე ხნის შემდეგ ომარს ამბავი მოუვიდა, რომ მის მიერ გაგზავნილი ამირები ქართველებს დაემარცხებინათ, გაექციათ და მარანდამდე<sup>9</sup> გადაერეკათ<sup>10</sup>.

მიუხედავად თემურიანთა ლაშქარზე ბრწყინვალე გამარჯვებისა, ქართველებს, როგორც ჩანს, მაინც დაუტოვებიათ განჯა და ნახჭევანი და თავის ქვეყანაში დაბრუნებულან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მალე განჯა და ყარაბაღის ნაწილი დაიკავა შირვანშაჰმა იბრაჰიმმა, რომელიც დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელოს მბრძანებელი იყო და მთელი აზერბაიჯანის გაერთიანებაზე ოცნებობდა<sup>11</sup>. აზერბაიჯანის ამირების ნაწილი იბრაჰიმს მიუვიდა. მასვე მიემხრო შაქის მმართველი სიდი აჰმედიც. მირხონდის სიტყვით, საქართველოს მეფემაც ელჩები

<sup>7</sup> მ ი რ ხ ო ნ დ ი. VI, გვ. 240: درین اثنا خیر آمد که کرگیان پای جاسارت از حد خود بیرون نماند و نینجوان و کنجه غارتیده اند دست بخون و مال مردم دراز کرده اند

<sup>8</sup> ი ქ ვ ე.

<sup>9</sup> მარანდი ქალაქია ირანის აზერბაიჯანში, ურმიის ტბის მახლობლად.

<sup>10</sup> მ ი რ ხ ო ნ დ ი. VI, გვ. 241: لشکر کرج بر عمریان و امرا میرزا عمر غالب آمدند و ایشانرا تا مرند رسانند

<sup>11</sup> შირვანშაჰ იბრაჰიმს, რომელიც პირველსავე შემოსევის დროს დამარცხდნა თემურ-ლენგს, დამოუკიდებლობა ჰქონდა მისი ვებელი და მხოლოდ თემურის სახელზე ფულის მოჭრა და ხუტბის წაყოფა ევალებოდა.

ახლა და მორჩილება აღუთქვა შირვანშაჰს<sup>12</sup>. ჩვენი აზრით, ისტორიკოსის სიტყვები ამ შემთხვევაში ისე უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს მეფე გიორგი VII, ერთი მხრივ, ცნობდა შირვანშაჰის უფლებას მის მიერ ახლად დაკავებულ ტერიტორიაზე და პრეტენზიას არ აცხადებდა მათზე მიუხედავად იმისა, რომ მცირე ხნის წინ თვითონ ეჭირა განჯა და ნახჭევანი, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ერთგვარ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დებდა შირვანის მბრძანებელთან და დახმარებას აღუთქვამდა მას საჭიროების შემთხვევაში<sup>13</sup>.

მალე ვითარება ირანსა და ამიერკავკასიაში კვლავ შეიცვალა. ევლიტიდან დაბრუნდნენ თემურის მიერ რამდენიმეჯერ დამარცხებული და განდევნილი სულთანი აჰმედ ჯალაირი და მისი მოკავშირე, ყარა-ყოიუნლუს თურქმანთა გაერთიანების მეთაური ყარა-იუსუფი, რომელთაც გააჩაღეს ბრძოლა თემურის შემკვიდრებთან. მირანშაჰი ამ ბრძოლაში დაიღუპა (1408 წ.), მაგრამ მალე მოკავშირეთა შორისაც იჩინა თავი წინააღმდეგობამ და უელლმა, რომელმაც იმსხვერპლა აჰმედ ჯალაირი და 1410 წელს წააჩრდილეს ყარა-ყოიუნლუს ანუ შაბატკინან თურქმანთა სახელმწიფო. მისი მბრძანებელი ყარა-იუსუფი თვითონ სამხრეთ აზერბაიჯანს განაგებდა, სხვა ოლქები<sup>14</sup> კი თავის ვაყებს დაუტოვა.

ყარა-იუსუფს შირვანზეც ეჭირა თვალი, სადაც იმ დროს კვლავ შეიხ იბრაჰიმი მეფობდა. ყარა-ყოიუნლუს მბრძანებელმა რამდენიმეჯერ მოსთხოვა კიდევ შირვანშაჰს დამორჩილება. თურქმანთა მხრით დაპყრობის საშიშროების წინაშე დამდგარმა იბრაჰიმმა დახმარებისათვის მიმართა თავის მოკავშირეებს — საქართველოს მეფესა და შაჰის მმართველს.

საქართველოს და აზერბაიჯანის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ყარა-იუსუფის წინააღმდეგ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების გაერთიანებული ლაშქრის ბრძოლის ამბებს<sup>15</sup>, მაგრამ, უნდა აღინიშნოს,

<sup>12</sup> მ ი რ ხ ო ნ დ ი. VI, გვ. 242: ملك كرجستان نیز ایلچیان پیش خدمتش  
درستاده دم از اطاعت و انقیاد زاده

<sup>13</sup> შდრ. Сборник статей по истории Азербайджана, I, გვ. 154, შენ. 9 (რედაქციის შენიშვნა); А л и - З а д е А. А. Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV веков, Баку, 1957, с. 394.

<sup>14</sup> ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა აზერბაიჯანი მდ. მტკვრის სამხრეთით, სომხეთი, ქურთისტანი და არაბეთის ერაყი.

<sup>15</sup> ი. ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი IV.—„ჩვენი მეცნიერება“, № 4—5, ტფილისი, 1923, გვ. 78; ი. ანუ ლ ა ძ ე. მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფე კონსტანტინეს შესახებ.—„ენციკლის მომხმე“. V—VI, ტბ., 1940,

რომ ეს მოვლენა რამდენადმე ცალმხრივად, წყაროთა მხოლოდ ერთი რიგის მონაცემების გათვალისწინებით არის გაშუქებული<sup>16</sup>. ამავე დროს, არსებულ გამოკვლევებში არაფერია თქმული იმის შესახებ, თუ რატომ შეიწყალა ყარა-იუსუფმა დამარცხებული ზირვანელები, მათ დასახმარებლად მისული ქართველები კი სასტიკად დასაჯა.

შავბატკნიან თურქმანებსა და ზირვან-შაქ-საქართველოს გაერთიანებულ ლაშქარს შორის მომხდარი ზრძოლის შესახებ, გარდა მათეოს განძასარელისა, მეტნაკლებად ვრცელი ცნობები მოეპოვებათ აზდ არ-რეზაყ სამარყანდის, მირზონდს, ზონდემირს, იაჰია ყაზეინის, შერეფ-ხან ბითლისის, ჰასან რუმლუს, მუნეჯიმ-ბაშის.

815 წლის შა'ბანის თვის 12 რიცხვს (1412 წლის 17 ნოემბერს)<sup>17</sup> ყარა-იუსუფი თავრიზიდან დაიძრა და ყარაბაღს მივიდა. მან ელჩი გაუგზავნა ზირვანშაჰს და კიდევ ერთხელ მოსთხოვა, უზრძოლველად დანებებოდა. შეიხ იბრაჰიმში, ქართველთა მეფე კონსტანტინე<sup>18</sup> და შაქის მმართველი სიდი აჰმედი გაერთიანდნენ და უარი შეუთვალეს ყარა-ყოიუნლუს მბრძანებელს დამორჩილებაზე<sup>19</sup>.

ივ. ჭავჭავიძე ილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჭანაშვილი. საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 248; ვ. კოპალიანი. ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1962, გვ. 226; Петрушевский И. П. Великий патриот ширваншах Ибрагим, Баку, 1942, с. 33—36; Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV в., с. 160—164; История Азербайджана, I, Баку, 1958, с. 203—204; Ибрагимов Дж. Феодалыные государства на территории Азербайджана XV века, Баку, 1962, с. 29.

<sup>16</sup> კერძოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის გამოყენებული აღმოსავლური წყაროების ცნობები. „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში ივ. ჭავჭავიძე ილი აღნიშნული აქვს: „1411 წ. კონსტანტინე მეფისა და ლაშქრის ყარა-იუსუფის ხელში ტყვედ ჩავარდნა და გამარჯვებული მტრისაგან მათი დასოცვა“ (ივ. ჭავჭავიძე ილი. დასახ. ნაშრ., გვ. 78). სავარაუდებელია, რომ ეს ცნობა ავტორის რომელიმე აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული, წყაროდან ჰქონდეს ამოღებული, რადგან ქართულ წყაროში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ „დაჯდა მეფედ ძე ბაგრატიისა კონსტანტინე, და იმეფა შუდ წელს და მოკლეს ჩალადან“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 472). სამწუხაროდ, არც აქ და არც საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელიც 1943 წ. გამოიცა, ივ. ჭავჭავიძე ილის დასახელებული არა აქვს მის შიერ გამოყენებული სპარსული წყარო.

<sup>17</sup> აზდ არ-რეზაყ სამარყანდი, მათლა'ეს-სა'დინ ვა შაქმა' აღ-ბაჰრეა, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, ახალი სპარსული სერია, № 88, ფ. 204 ბ; შ. შათის გამოც., ტ. 1, ლაპორი, 1360(1941), გვ. 242; Notices et extraits... XIV, გვ. 235.

<sup>18</sup> მუნეჯიმ-ბაში შეტდომით კონსტანტინეს ნაცვლად ალექსანდრე ბაგრატიის ძეს იხსენიებს (M in o r s k y V. A History of Sharvan and Darband, Cambridge, 1958, გვ. 131).

<sup>19</sup> იქვე; შერეფ-ხან ბითლისი. შერეფ-ნამე, ტ. II, სპ., 1862, გვ. 79.

მოკავშირეთა ლაშქარი მტკვარს მიადგა და მდინარის მარცხენა ნაპირზე დაბანაკდა. ლაშქრის რაოდენობის შესახებ წყაროებში არ მოიპოვება ზუსტი ცნობა. ვიცით მხოლოდ, რომ კონსტანტინეს ორი ათასი რჩეული ქართველი მხედარი ჰყოლია თან<sup>20</sup>. თვითონ შირვანშაჰს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი უნდა ჰყოლოდა, რადგან ოქსის აწარმოებდა, ქართველები კი საშველად იყვნენ მისული. მარაულაც, ჰასან რუმლუ აღნიშნავს, შეიხ იბრაჰიმმა დიდი სპა და ურიცხვი ჯარი შემოიკრიბა, საქართველოს მეფე კონსტანტინესა და შაჰის მმართველთან ერთად ყარა-იუსუფის წინააღმდეგობის სარტყელი შემოიკრა წელზე და საბრძოლველად დაიძრაო<sup>21</sup>.

მაგრამ ყარა-იუსუფს იბრაჰიმზე გაცილებით უფრო მეტი მეომარი ჰყავდა. საქმე ის არის, რომ სოიურღალების დარჩევებით მან თქმის მთლიანად გადაიბირა სამხრეთ აზერბაიჯანის მომთარაბე არისტოკრატია; ფეოდალური ლაშქარი კი სწორედ მათი რაზმებისაგან შედგებოდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ფართო მასები შირვანშაჰს უკერძოდნენ მხარს, რიცხობრივი უპირატესობა ბრძოლის ველზე მაინც ყარა-იუსუფის მხარეზე იყო<sup>22</sup>.

ყარა-იუსუფის ლაშქარი მტკვარის მარჯვენა ნაპირზე დადგა მოწინააღმდეგის პირისპირ. ერთ ღამეს ყარა-იუსუფის ამირებმა თავიანთი რაზმებით მტკვარი<sup>23</sup> გადალახეს და მძინარე ბანაკში შეიჭრნენ. მირზონდის სიტყვით, შირვანელები გაიქცნენ და მხოლოდ ქართველებმა გაუწიეს მტერს მედგარი წინააღმდეგობა. ყარა-იუსუფმა რომ ეს დაინახა, თვითონაც თავს დაესხა თავგანწირულად მეგრძოლ ქართველ მეომრებს. ამ უკანასკნელთაც მედგრად შეუტოიეს და შუაში მოიქციეს ყარა-ყოიუნლუს მბრძანებელი, მაგრამ ძალები შეტად არათანაბარი იყო და ქართველები იძლივნენ<sup>24</sup>.

მეორე სპარსულენოვანი ისტორიკოსი ჰასან რუმლუც აღნიშნავს, შირვანშაჰმა იბრაჰიმმა რომ ყარა-იუსუფის ძლევამოსილი ლაშქარი იხილა, თავისი მოუფიქრებელი საქციელი ინანა, ქართველები კი კონს-

---

<sup>20</sup> შ ი რ ხ ო ნ დ ი. VI, გვ. 295; ხ ო ნ დ ე მ ი რ ი. ჰაბიბ ას-სიარ, თეირანი, 1957, ტ. III, გვ. 603.

<sup>21</sup> ჰ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ. აჰსან ათ-თავარიზ, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგი, № 287, ფ. 18 ბ.

<sup>22</sup> П е т р у ш е в с к и й И. П. Государства Азербайджана в XV в., с. 160.

<sup>23</sup> აბღ არ-რეზაყ სამარყანდი მდ. არაქსის ასახელებს (დასახ. ხელნაწერი, ფ. 204 ბ, დასახ. გამოც., I, გვ. 242; Notices et extraits... XIV, გვ. 235).

<sup>24</sup> შ ი რ ხ ო ნ დ ი. VI, გვ. 295.



ტანტიხეს მეთაურობით ბრძოლის ველზე გამოვიდნენ და მტერს შე-  
ებნენ<sup>25</sup>.

გამარჯვება ყარა-იუსუფს დარჩა. ზრძოლაში ბევრი ქართველი ჯე-  
ომარი მოიკლა. შირვანშაჰი თავისი ძმითა და ვაჟიშვილებით, შაჰის  
მმართველი სიდი აჰმედი და მრავალი აზერბაიჯანელი მოლაშქრე ტყვედ  
ჩაცვივდნენ. მეფე კონსტანტინეც თურქმანებს ჩაუყარდა ხელში ცო-  
ცხლად დარჩენილ ქართველებთან ერთად<sup>26</sup>.

მირზონდი აღნიშნავს, რაკი შირვანის ლაშქარმა ამ ბრძოლაში წი-  
ნააღმდეგობა არ გასწია, ყარა-იუსუფმა ზრძანა, შირვანელ მეომარ-  
თათვის არაფერი ევნოთ; ტყვედ ჩაცვნილი ქართველები კი ერთია-  
ნად გაჟლიტეს<sup>27</sup>. კონსტანტინე სხვა დიდებულ ტყვეებთან ერთად ყა-  
რა-იუსუფის მეჭლისში მიიყვანეს და, რადგან სახეზე ურჩობა შეამჩ-  
ნიეს, ყარა-იუსუფმა და მისმა ვაჟმა ფირ ბუდაყმა საკუთარი ხელით  
აკუწეს იგი<sup>28</sup>. აზდ არ-რეზაყ სამარყანდის ცნობით, კონსტანტინესთან  
ერთად თურქმანებს დაუხოციათ მისი ძმებიც და სამასი ქართველი  
აზნაური<sup>29</sup>. ეს ბრძოლა მოხდა 1412 წლის ნოემბრის თვის მეორე ნა-  
ხევარში<sup>30</sup>.

25 ქასან რუმლუ. დასახ. ხელნაწერი, ფ. 19ა.

26 აზდ არ-რეზაყ სამარყანდი. დასახ. ხელნაწერი, ფ. 204 ბ; დასახ. გა-  
მოც. გვ. 242; მირზონდი. VI, გვ. 295; ხონდე მირი. III, გვ. 604; იაკაა  
ყაზეინი. ლობ ათ-თავრიხ, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, ახა-  
ლი სპარსული სერია, № 239, ფ. 163ა; ქასან რუმლუ, დასახ. ხელნაწერი,  
ფ. 19ა; მუნეჯიშ-ბაში, დასახ. გამოც., გვ. 131.

27 მირზონდი. VI, გვ. 295; ქასან რუმლუ მოვეითობოს, რაკი შირვანელე-  
ბი სუსტად იბრძოდნენ, მათ არაფერი ავნო ყარა-იუსუფმა, დატყვევებული ქართვე-  
ლები კი დახოცეს (დასახ. ხელნაწერი, ფ. 19ა).

28 მირზონდი. VI, გვ. 295; შესაძლებელია ამავე წყაროს ეყარებოდა  
ივ. ჯავახიშვილი, როცა წერდა: „ქართველები თავანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ  
გამარჯვება მაინც თურქმანებს დარჩათ, რომელთაც თვით კონსტანტინე მეფე და  
ქართველი გამორჩენილი სარდლები ტყვედ იგდეს ხელში. ტყვეობაშიც მათ თავი  
ღირსებით ექირათ და ამით განრისხებულმა თურქმანების მეთაურმა საქართველოს  
მეფე თავისი ხელით მოჰკლა, ხოლო ქართველი სარდლები თავის მახლობლებს და-  
აბოცინა“ (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია. საქარ-  
თველოს ისტორია, გვ. 248).

29 აზდ არ-რეზაყ სამარყანდი. დასახ. გამოც., გვ. 242; ჩვენს მიერ  
გამოყენებულ ხელნაწერსა და ფრანგულ თარგმანში კონსტანტინეს ერთი ძმა იხსენ-  
იება მოკლულად (დასახ. ხელნაწერი, ფ. 204 ბ; Notices et extraits... XIV გვ.  
235). ასეთივე ცნობა მოეპოვება შერეფ-ზანსაც (შერეფ-ნამე, II, გვ. 73)

30 ივ. ჯავახიშვილს კონსტანტინეს დაღუპვის თარიღად მიაჩნია 1411 წ., ალექ-  
სანდრე I კი, მისი აზრით, 1412 წ. თებერვალ-მარტში უნდა გამოეგებულყო (ივ.  
ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, დასახ. გამოც., გვ. 66, 78). ს. კა-  
კაბაძის გამოანგარიშებით, კონსტანტინე 1412 წ. მომკვდა, ხოლო ალექსანდრე  
1412 წ. სექტემბერში ასულა ტახტზე (ს. კაკაბაძე. გენეალოგია დიდის ალექსანდ-

გამარჯვებულმა ყარა-იუსუფმა დაარბია შირვანი და დიდი ნადავლით დატვირთული დაბრუნდა თავრიზში<sup>31</sup>.

შავბატკნიან თურქმანთა წინააღმდეგ აზერბაიჯანელებისა და ქართველთა ბრძოლა ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია ამიერკავკასიის ხალხთა ერობლივი ბრძოლას ისტორიისა.

## ИЗ ИСТОРИИ СОВМЕСТНОЙ БОРЬБЫ ГРУЗИНСКОГО И АЗЕРБАЙДЖАНСКОГО НАРОДОВ

### Резюме

В статье изучены сведения восточных авторов XV—XVIII веков (Абд ар-Резака Самарканди, Мирхонда, Хондемира, Яхья Казвини, Хасана Румлу, Шереф-хана Бидлиси, Мунаджима-баши), касающиеся одного эпизода совместной борьбы азербайджанского и грузинского народов против туркменов Кара-Койунлу во главе с Кара-Юсуфом (в ноябре 1412 г.).

---

ჩე მეფისა, ტფილისი, 1913; ს. კაკაბაძე. დიდის ალექსანდრეს გამეფების თარიღი ტფილისი, 1913).

აღმოსავლური წყაროები, როგორც ენახეთ, ყარა-იუსუფის ბრძოლას იბრაჰიმთან 815 (1412 წ. 13. IV—1413 წ. 2. IV) წლით ათარიღებენ (ჰასან რუმლუს გამოკლებით, რომელიც 817 წ. ამბებში მოგვითხრობს ამ ბრძოლის შესახებ), ხოლო აბდ არ-რეზაყ სამარყანდის ყარა-იუსუფის გალაშქრების დღეც აქვს დასახელებული: 815 წლის შა'ბანის 12.

<sup>31</sup> როგორც აღვნიშნეთ, ყარა-იუსუფმა რიგითი შირვანელი მეომრები გაათავისუფლა, შირვანშაჰი და სხვა დიდებული ტყვეები კი თავრიზს წაიყვანა ბორკილდადებული. რამდენიმე ხნის შემდეგ მან დიდი გამოსასყიდის გადახდით გაათავისუფლა იბრაჰიმი, მისი ძმა შეიხ ბაჰლული და სხვა ტყვეები (მირხონდი, VI, გვ. 295—296; ხონდემირი, III, გვ. 604; იაკობ ყაზვინი. დასახ. ხელნაწერი, ფ. 163ა; ჰასან რუმლუ, დასახ. ხელნაწერი, ფ. 19 ბ; მუნეჯიმ-ბაში, დასახ. გამოც., გვ. 31; იხ. აგრეთვე, Петрушевский И. П. Великий патриот ширваншах Ибрагим, с. 35—36; Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV в., с. 161).

„ქართლის ცხოვრების“ ბადაკემთიებული ბაბრძელების  
წყაროების საკითხისათვის\*

ვახტანგ VI-ის თაოსნობით საქართველოში ფართოდ გაშლილი კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქციის შექმნა, მისი შეესება-გაგრძელება. „ქართული ფეოდალური კულტურის დიდი მოამაგე ვახტანგ VI თანაბრად ზრუნავდა სახარებაზე, „ვეფხისტყაოსანზე“ და „ქართლის ცხოვრებაზე“. საღმრთო წერილის ბეჭდვა, „ქართლის ცხოვრების“ რედაქცია-გაგრძელება და „ვეფხისტყაოსნის“ „საღმრთოდ“ თარგმნა ქართული ეროვნული კულტურის ამ სამი სვეტის შემაგრება-შემტკიცების ცდა იყო“<sup>1</sup>.

გონიერ სახელმწიფო მოღვაწესა და მწიგნობარს ვახტანგ VI-ს კარგად ესმოდა საკუთარი ქვეყნის წარსულის შესწავლის მნიშვნელობა ეროვნული გრძნობის გაღრმავება-განმტკიცებისათვის და საისტორიო წყაროების როლი ამ დიდ სამამულო შვილო საქმეში. ამიტომ მან იმთავითვე სათანადო ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „უკმა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ განრყენილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე უამთა ვითარებისაგან არღა-რა წერებულ იყო“<sup>2</sup>. ვახტანგმა შეკრიბა „მეცნიერნი კაცნი“ და დაავალა მათ როგორც „ქართლის ცხოვრების“ არსებული ტექსტის შეესება-გამართვა, ისე მომდევნო ხანის ისტორიის აღწერაც. „აქედან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ დროს ისტორიოგრაფიას, როგორც იდეოლოგიურ იარაღს“<sup>3</sup>.

კომისიის წევრებმა დიდი მუშაობა გასწიეს და, „რომელი განრ-

---

\* პირველად დაიბეჭდა 1968 წელს (კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა II“, თბ., 1968, გვ. 166—180).

1 ნ. ბერძენიშვილი. შესავალი წერილი კრებულისა „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1966, გვ. 8.

2 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთატყარამეტე საუკუნემდის, I, მ. ბროსეს გამოც., სპბ., 1849, გვ. 15.

3 ნ. ბერძენიშვილი. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ხაზი, თბ., 1964, გვ. 7.

ყვნილ იყო, განმარტეს<sup>4</sup>. გარდა ამისა, მათ მოიძიეს ბევრი ქართული და უცხოური წყარო, გაითვალისწინეს მომხდარი ამბების თვალით მნახველთა და მონაწილეთა მონათხრობი და შექმნეს XIV—XVII სს. საქართველოს ისტორიის შემცველი თხზულება, რომელსაც მოგვანებით, ბეჭდურ გამოცემებში, „ახალი ქართლის ცხოვრება“ ეწოდა<sup>5</sup>.

როგორც ცნობილია, მეცნიერმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ შრავალი შეუსაბამობა და ფაქტიური შეცდომა ნახა კომისიის ნაშრომში და, ვინაიდან ამ თხზულებას იმდროინდელ საქართველოში ვახტანგის სახელს უკავშირებდნენ, საქვეყნოდ გამოაცხადა: „თუმცა ბრძანებია მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისიო“<sup>6</sup>. ვახუშტის აუცილებლად მოუჩნევია ახლად შეედგინა XIV—XVIII სს. საქართველოს ისტორია, რომელშიც სცადა გაესწორებინა კომისიის მიერ დაშვებული შეცდომები<sup>7</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების შევსება-გადაკეთების საქმეში ვახუშტის მიმდევრებიც გაბოუხნდნენ. იმავე XVIII საუკუნეში შეიქმნა კიდევ რამდენიმე გადაკეთებული გაგრძელება „ქართლის ცხოვრებისა“<sup>8</sup>. ამ გაგრძელებათაგან ჩვენ ამჟამად გვიინტერესებს ის ისტორიო ნაწარმოები, რომელშიც 1454—1605 წწ. ისტორია არას გადმოცემული (დასაწყისი: „ქორონიკონსა რმბ:დაჯდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატი...“). ივ. ჭავჭავაძის ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების“ მეორე გადაკეთებულ გაგრძელებად მიაჩნდა<sup>9</sup>, ხოლო ს. ყა-

4 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთატხრამეტე საუკუნემდის, I, გვ. 8.

5 ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჭავჭავაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940; ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 326—442.

6 ვახუშტი ბაგრატიონი. უწყებულება მკითხველთათვის, — ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთატხრამეტე საუკუნემდის, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპ., 1854, გვ. 2.

7 „ხოლო ჩვენი შრომა ესე ამის-თვის იყო, ვინად-გან მეფის ვახტანგის სახელით აღწერათ და ვიხილეთ ესე-ოდენი წინა-აღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი გან-ეასწორენით და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ მსოფთა მხილველ-მან ამის-მან შეურაცხება რაიმე“ (იქვე, გვ. 10).

8 ივ. ჭავჭავაძის წიგნი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 352-361; კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 305 შმდ.

9 ივ. ჭავჭავაძის წიგნი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 352. „ქართული ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში ივ. ჭავჭავაძის ავრთიანებს პირველ („დაჯდა მეფედ ადარნასე“) და მეორე გადაკეთებულ გაგრძელებებს და „ქართლის ცხოვრების“ პირველ შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებას უწოდებს მას, ხოლო მეორე გაგრძელებად ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ მიაჩნია.

უხჩიშვილმა 1959 წლის გამოცემაში მას პირობითად „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესამე ტექსტი უწოდა<sup>10</sup>.

მართალია, ჯერ კიდევ თანამედროვეებმა აღნიშნეს ვახტანგის კომისიის ნაშრომის ბევრი ნაკლი, მაგრამ ეს სარულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ საერთოდ ყველაფერი დასაწუნი იყო. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „სწავლულ“ ავტორების სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ, როგორც ეტყობა, უმთავრესი საისტორიო თხზულებები, საქარუველოს წარსულის დამსურათებელნი, როგორც ადგილობრივი, ისე სპაოსული, სომხური და ბერძნულიც, შეუკრებიან, ამასთანავე უსარგებლიათ ქორონიკონებითაც. ორსავე შემთხვევაში მომავალ მკვლევართგზა გაუკაფეს და თითქმის მთელი მასალა შეუკრავეს“<sup>11</sup>. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „რომ იქ ბევრი რამ კარგად იყო აღწერილი, იმით მტკიცდება, რომ თვით ვახუშტიც იმეორებს იმავე ცნობებს, რომლებიც ბერი ეგნატაშვილის ნაშრომში მოიპოვება“<sup>12</sup>. ამიტომაც იყო, რომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებელს კომისიის ნაშრომი აუღია საფუძვლად<sup>13</sup> და ზოგიერთი ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაუღია<sup>14</sup>. მაგრამ, ამასთან ერთად, ანონიმ ავტორს უფრო სრულად გამოუყენებია კომისიის წევრთათვის ცნობილი წყაროება, ახალი წყაროებიც მოუშველებია და იქიდან ამოკრებილი მასალით შეუსია და განუვრცია თხრობა.

10 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 024. 477—540. ეს არის რიგით შესამე გამოცემა გადაკეთებული გაგრძელებისა. იგი პირველად დაისტამბა ბროსე-ჩუბინაშვილის გამოცემაში (ქართლის ცხოვრება, დასაბამითან მეთხრამეტე საუკუნედის, I, გვ. 476—477; II, გვ. 259—306), ხოლო მეორედ ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ დამატების სახით (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 892—972).

11 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 325.

12 ს. ყაუხჩიშვილი. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის შედგენილობა. — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 037.

13 ე. თაყაიშვილს პირველი და მეორე გადაკეთებული გაგრძელებაც ვახტანგისეულად მიანდა. იგი ვარაუდობდა, რომ მხოლოდ აქა-იქ იყო ტექსტი გადაკეთებული ვახუშტის მითითებით (Т а к а й ш в и л и Е. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. I, 1906, с. 132). ივ. ჯავახიშვილის აზრით კი, „აქ თავიდან ბოლომდე ყველაფერი ხელმოერედ არის გადაკეთებული“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352).

ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრების“ გადამკეთებელს საფუძვლად ჰქონდა აღებული ვახტანგისეული კომისიის მიერ შედგენილი ისტორია XIV—XVII საუკუნეებისა (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 028).

14 რამდენიმე საამისო პარალელური წყვილი იხ. ს. ყაუხჩიშვილის დასახ. ნაშრომში, გვ. 028—030.

ამჯერად ჩვენ მიზნად არა გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ გაგზავნისა და გადაკეთებული გაგრძელების (ან, სხვაგვარი ტერმინოლოგიით, ახალი „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. პირველი და მესამე ტექსტების, A<sub>1</sub>-სა და A<sub>3</sub>-ის) დეტალური შეჯერება (ასეთი სამუშაოს ჩატარება უთუოდ საყურადღებო მასალას შესძენს ქართულ წყაროთმცოდნეობას „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებელთა მუშაობის მეთოდის შესასწავლად და მათ მიერ გამოყენებული წყაროების გამოსავლენად). წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ჩართულ რამდენიმე ცნობას აუ-ყოიუნლუს ანუ თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს (1468—1501) მბრძანებლების უზუნ-ჰასანისა (ჰასან-ბეგის) და იაყუბის შესახებ.

„მეცნიერნი კაცნი“ მოგვითხრობენ, რომ საქართველოში შემოსევის შემდეგ უზუნ-ჰასანს „შეეძვა... სენი სასიკუდინე“, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ „პირიანა ღმერთმან და მოკულა ყაენი“<sup>15</sup>. ამავე წყაროს ცნობით, „მას უკანის დაჯდა ყაენად ასანბეგის შვილი იალუბეგ“<sup>16</sup>. ასეთივე ცნობები მოეპოვება ვახუშტისაჲ<sup>17</sup>.

ამგვარად, ვახტანგის კომისიას უზუნ-ჰასანის საქართველოში მხოლოდ ერთი შემოსევა აქვს მოხსენიებული და ისიც უთარილოდ<sup>18</sup>. უზუნ-ჰასანის შემდეგ ამ თხზულებაში აუ-ყოიუნლუს სახელმწიფოს მბრძანებლად დასახელებულია იაყუბი.

ცნობები უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევათა შესახებ მოიპოვება როგორც აღმოსავლურ, ისე ევროპულ წყაროებში. ამ წყაროთა მონაცემებით დასტურდება თურქმანთა სამი ლაშქრობა ჩვენს ქვეყანაში<sup>19</sup>. აღსანიშნავია, რომ გადაკეთებულ გაგრძელებაშიც სწორედ სამი შემოსევა იხსენიება. მართალია, ქრონოლოგია ამ შემოსევებისა (1456, 1462 და 1476 წწ.) არ არის ზუსტი და ზოგჯერ მოვლენათა

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 341.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> ვახუშტი მოკლედ აღნიშნავს, რომ „შეეძვა სენი სასიკუდინო უზუნ-ასანს“, და შემდგომად „მცირედისა მოკულა უზუნ-ასან და დაჯდა მის წილ ასან-ბეგის რე იაყუბ ყაენად“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, II, გვ. 12).

<sup>18</sup> ვახუშტიც ერთ შემოსევას იხსენიებს და 1488 წლით ათარილებს ამ ამბავს (იქვე).

<sup>19</sup> რ. კიკნაძე. საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1964, გვ. 118—122.

თანამიმდევრობაც დარღვეული ჩანს<sup>20</sup>, მაგრამ მაინც „მეცნიერ კაცთა“ ნაშრომთან შედარებით უფრო ვრცელი მასალაა მოტანილი. აქვე ავტორს ჩართული აქვს ცნობა აწყურის ღეთისმშობლის ხატის თურქ-მანთაგან დატყვევების და გატაცების შესახებ<sup>21</sup> და მხოლოდ ამის შემდეგ იხსენიება უზუნ-ჰასანის ავად გახდომა და სიკვდილი: „იპრიანა ღმერთმან და იწყინა ამოწყურეტა საქრისტიანოსა. შეეღვა ყაენსა 'ყენი სასიკუდინე, ქმნა ღმერთმან და მოკუდა ყაენი უზუნ-ასან და მიიღო პატრონობა ძემან მისმან სულთანმან, და ძმა მისი იალუბ ეშურებოდა ზილებად პატრონობასა“<sup>22</sup>.

როგორც უკვე ვნახეთ, „მეცნიერ კაცთა“ კომისიას და ვახუშტის იაყუბი მიაჩნიათ უზუნ-ჰასანის მომდევნო ფადიშაჰად, გადაკეთებული გავრძელების ავტორი კი ასახელებს უზუნ-ჰასანის ვაჟს სულთანს, რომელსაც მისივე ძმა იაყუბი ეცილებოდა ტახტს. რომელია ამ ორი ცნობიდან მართალი?

იაყუბის მეფობის ისტორიისათვის საუკეთესო წყაროს წარმოდგენს ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარიხე-ე ალამ-არაიე ამინი“, რომელიც XV საუკუნის 90-იან წლებშია შედგენილი ირანში. ავტორი ოთხ წელიწადზე მეტ ხანს იმყოფებოდა სულთან იაყუბის კარზე და თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ბევრი ამბისა<sup>23</sup>. ფადლალაჰს აღნიშნული აქვს, რომ უზუნ-ჰასანს გარდაცვალების შემდეგ (1478 წ.) ხუთი ვაჟი დარჩა: სულთან ხალილი, ყიას ად-დინ მაყსუდი, იაყუბი, იუსუფ-ბაჰადური და მასიჰ-მირზა. უზუნ-ჰასანს სიცოცხლეშივე მესამე ვაჟი იაყუბი დაუნიშნავს ტახტის მემკვიდრედ, მაგრამ მამის

---

20 მაგალითად, ცნობილია, რომ უკანასკნელი შემოსევის დროს (1477 წ.) თურქმანებმა თბილისი და გორი აიღეს, ჩვენს წყაროში კი სამცხის დარბევახუა საუბარი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 478).

21 „იაყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა თუსსა და ტყუე ჰყვეს ხატი აწყურისა ღმრთისმშობელი, და წარიყვანეს ქუეყანასა მათსა. და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479).

22 იქვე.

23 იბნ რუზბეჰანის და მისი თხზულების შესახებ დაწერ. იხ. Minorsky V. Persia in A. D. 1478—1490. An abridged translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarikh-i 'Alam-ara-yi Amiri. London. 1937, გვ. 5—17; რ. კიკნაძე. ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარიხე ალამ-არაიე ამინი“. — „კავკასიურ-ბასილად-მოსაელერი კრებულე“, II. თბ., 1962.

სიკვდილის შემდეგ სულთან ხალილმა მოაკვლევინა მაცხუდი და მიიტაცა ტახტი<sup>24</sup>.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაწყვეთბლის მიერ დამატებით შეტანილი ცნობა სულთან ხალილის გამეფების შესახებ ზუსტია და სხვა წყაროებითაც დასტურდება.

არანაკლებ საყურადღებოა გადაწყვეთბლის მიერ ჩართული ცნობები კონსტანტინესა და ყვარყვარე ათაბაგის ძის მზეჭაბუკის თეთრბატკნიან თურქმანთა სასახლის კარზე ყოფნის შესახებ. სულთან ხალილი და „მკითხველნი სჯულისანი თათრისანი“ გაუტყლომანებლან ათაბაგზობდნენ მათ, მაგრამ აღმოსავლური ენების კარგი მცოდნე და მუსლიმანურ ღვთისმეტყველებაში განსწავლული მზეჭაბუკი მათივე წიგნებით ეპაექრებოდა თურმე და ამარცხებდა კიდევ მათ, ხოლო, როდესაც მორკინლობაზე მიდგა საქმე, ერთი თურქმანი გმირი, რომელიც „ჰმატდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთ, ანუ უფროსცა“, „აღიყვანა და უპატიოდ მიწასა ზედა დასცა“. სულ მალე სულთან ხალილმა შეიწყალა და საქართველოში გამოისტუმრა კონსტანტინე და მზეჭაბუკი<sup>25</sup>.

სულთან ხალილმა მხოლოდ ნახევარ წელს გაძლო ტახტზე. მასა და იაყუბს შორის გაიმართა სასტიკი ბრძოლა ტახტისათვის. ბაიანდურისა და მოვსილუს ტომთა ლაშქრის დახმარებით იაყუბმა ხოსთან დაამარცხა ხალილი, რომელიც ამ ბრძოლაში მოიკლა<sup>26</sup>. აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს ტახტი იაყუბმა დაიკავა იმავე 1478 წელს<sup>27</sup>. გადაკეთებული გაგრძელების ავტორმა ეს ამბავიც იცის: „მას უკანის მძლე ექნა სულტანსა იალუბ, დაიპყრა პატრონობა განზრახვითა ეშმაკისათა“<sup>28</sup>.

მეფე ბაგრატის გარდაცვალების ამბის თხრობაში გადაწყვეთბელითიქმის სიტყვასიტყვით მისდევს „მეცნიერ კაცთა“ ნაწრომს:

---

24 თარხი-ე აზინი, გვ. 25; რ. კიკნაძე. ფადლაჰ იბნ რუზბეჰანის „თარხი-ე აღამ-არაიე აზინი“, გვ. 232.

25 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479.

26 თარხი-ე აზინი, გვ. 32—37.

27 იქვე, გვ. 35.

28 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479.



A<sub>1</sub>

ამას შინა გამოხდა ხანი და სოფელმან თვის ბეგარა არ დაიკლო და მიიცვალა მეფე ბაგრატ რაქას, იყო გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა. აღიღეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 342)

A<sub>3</sub>

ამას შიგან გამოხდა ხანი და სოფელმან მისი ბეგარა არ დაიკლო. მიიცვალა მეფე ბაგრატ რაქასა, და იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა; აღიღეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 480).

ტექსტის მსგავსება აქ (ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც) იმდენად აშკარაა, რომ, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს არა საერთო წყაროს გამოყენებასთან, არამედ მზა ტექსტის პირდაპირ გადმოწერასთან.

ამის შემდეგ გადამკეთებელს კვლავ საყურადღებო კორექტივი შეაქვს კომისიის ნაშრომის ცნობაში:

A<sub>1</sub>

ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა ბაგრატისა დაჰდა მის წილად ძე მისი კონსტანტინე, ქრისტეს აქათ ჩუჟა... და მეფობდა ძეფობითა კეთილითა, და არლარა იყო წყენა თათართაგან. მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილობდეს კახნიცა. არა სადა იყო წყენა ქრისტიანეთა; იყო მოსუენება და დაწყნარება.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 343).

A<sub>3</sub>

ქორონიკონსა რვე:დაჰდა ეფედ ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრის შვილი კონსტანტინე და მეფობდა კეთილითა მეფობითა: არლარა იყო წყენა თათართაგან; მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი და აფხაზნი. მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა; არა სადათ იყო წყენა ქრისტიანეთა; იყო მოსუენება და დაწყნარება.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 480).

როგორც ვხედავთ, ტექსტის დიდ მსგავსებასთან ერთად, აქ პრინციპული ხასიათის განსხვავებასაც აქვს ადგილი. კომისიის ნაშრომში კონსტანტინე ბაგრატის ძედ არის გამოცხადებული, ხოლო გადამკეთებელს იგი ალექსანდრე I-ის შვილიშვილად. დიმიტრის ძედ მიიჩნია. ამას გარდა, ეს ორი წყარო კონსტანტინეს გამეფების სხვადასხვა თარიღს იძლევა.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ჩანაშვილისეულ ნუსხაში კონსტანტინეს სახელის გასწვრივ არშიაზე გაკეთებულია შენიშვნა: „ეს გიორგი მეფის ძე იყო და არა ბაგრატიანი“. კ. გრიგოლის აზრით, ამ შენიშვნის ავტორი (ისევე როგორც ხელნაწერში არსებული სხვა კრიტიკული შენიშვნებისა) „უფრო ვახუშტის სამეცნიერო სკოლასთან ახლომდგომი პიროვნება უნდა იყოს“<sup>29</sup>. მართლაც, ვახუშტი ბაგრატიონი „უწყებულებაში მკითხველთათვის“ აღნიშნა: „არამედ ესე მეფე კონსტანტინე არს ძე გიორგი მეფისა და მამა დავით მეფისა და გიორგისა“<sup>30</sup>, ხოლო კონსტანტინეს ტახტზე ასვლის ამბავს რომ მოგვითხრობს, ვახუშტი წერს: „ქს ჩუჟა, ქრ. რწ, ინდიკტიონსა ბ. შემდგომად მეფისა გიორგისა დაჟდა ძე მისი კონსტანტინე“<sup>31</sup>.

ამგვარად, წყაროებში კონსტანტინეს მამისშვილობისა და გამეფების თარიღის სამი სხვადასხვა ვერსია გვხვდება (ბაგრატიის ძე, გიორგის ძე, დიმიტრის ძე; 1461, 1469, 1478 წ.<sup>32</sup>). ივ. ჭავჭავაძისეილმა კონსტანტინეს მიერ გაცემული სიგელ-გუჯარებისა და სხვა დამატებითი მასალის შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებელს ამ შემთხვევაშიც სწორი ცნობები აქვს მოტანილი: კონსტანტინე ალექსანდრე I-ის ვაჟის დიმიტრის ძე იყო და 1478 წელს დაიკავა ტახტი<sup>33</sup>.

შემდეგ გადამკეთებელი კვლავ უბრუნდება თურქმანთა მიერ გატაცებული აწყურის ღვთისმშობლის ხატის თავგადასაქვალს და ვრცლად გადმოგვცემს მისი სასწაულმოქმედებისა და კვლავ სამცხეში დაბრუნების ამბავს<sup>34</sup>.

იწყობის სამცხეში ლაშქრობა და ახალციხისა და აწყურის აღება<sup>35</sup> გადამკეთებელს კომისიის ნაშრომის მიხედვით აქვს აღწერილი,

29 კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 146.

30 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთათხარამეტე საუკუნემდის, II, გვ. 7.

31 იქვე, გვ. 11.

32 ასეთივე თარიღი მოაპოვება „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთ გადაკეთებულ გაგრძელებაში, რომელსაც „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“ ან, პირობითაჲ, „პარიზის ქრონიკა“ ეწოდება; „ქქსა რჟე დაჟდა მეფეთ კონსტანტილ“ (ცხოვრებაჲ საქართველოჲსა. მ. ბროსეს გამოც., პარიზი, 1834, გვ. 3).

33 ივ. ჭავჭავაძისეილი. ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 127—130.

34 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 480—481.

35 ვახუშტის ცნობით, თურქმანებს ამ ლაშქრობის დროს ჭერ ახალქალაქი აღლიათ, ხოლო შემდეგ ახალციხე და აწყური: „ხოლო წელსა ქს ჩუჟე, ქრ. რწ მოვიდა იაყუბ ყუეჩი, გამოვლო ამოცი და მოადგა ახალ-ქალაქს და ათხრებდა გოჟმონთა ქიეყანათა მოწყვეტოთა და ტყვე-ყოფოთა: აჰან მანუჩარ ვერ წინ-აღუდგა დ: ვერღა-რისჟე აწებდა საათ მისთა. გარსა მცდელობდა შავრებასა ცხე-ქვეყანისა: არამედ ყუენან მცირეს ხანსა შინა შეჴუსრა ახალ-ქალაქი და გამოოყვანა მენა

მაგრამ ამჟერადაც საინტერესო დეტალებით ავსებს თხრობას და, რაც მთავარია, თარიღებსაც აღნიშნავს<sup>36</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა, ჩვენი აზრით, გადამკეთებლის მიერ დამატებით მოტანილი ცნობები თურქმანთაგან აწყურის ციხის აღების შესახებ.

„მეცნიერ კაცთა“ ნაშრომში ეს ამბავი მოკლედ არის გადმოცემული: „და მერმე აიყარნეს და მოადგნენ ციხესა და ქალაქსა აწყურისასა. ეზრახნეს ციხოვანთა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა, ამას ზედა გამოვიდნენ და მიენდგნენ“<sup>37</sup>.

გადამკეთებელი იმეორებს კომისიის ნაშრომის პირველ ფრაზას („მერმე აიყარნეს და მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწყურისასა“<sup>38</sup>) და უმატებს: „და მოწუეს აწყური და მოაოკრეს ქალაქი, და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსვლა ინებეს“<sup>39</sup>. ვახუშტის სიტყვით, „მაშინ მოქალაქეთა ვერა-რისა შემწისა მპოველთა ითხოვეს ზავი ყეენისა-გან, რათა არა ტყვე-ჰყვეს და არცა შემუსროს ეკლესია, მისცენ ქალაქი ყეენსა“<sup>40</sup>. გადამკეთებელს კი კვლავ „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ფრაზა გამოუყენებია უცვლელად (და, ჩვენი აზრით, არასწორად): „მაშინ ეზრახნეს ციხოვანთა და უქადეს მშვიდობა და არა-დაქცევა საყდრისა და ციხისა. ამას ზედა გამოენდგნენ“<sup>41</sup>.

ამრიგად, ჩვენი ავტორი ერთგვარ წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრით, იგი აღნიშნავს, თურქმანებმა ციხის ბრძოლით აღება ვერ შეძლეს და წასვლა დააპირესო, მეორე მხრით კი უმატებს, მომხდურნი მეციხოვნეებს შეუთანხმდნენ და უვნებლობა აღუთქვესო. ჩვენი აზრით, ცნობათა ასეთი შეუთანხმებლობა გადამკეთებლის უყურადღებობით უნდა იყოს გამოწვეული. მან უცვლელად გადმოიტანა კომისიის ნაშრომიდან გამზადებული ფრაზა და ანგარიში აღარ გაუწია, რომ ეს ფრაზა ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე ჩამატებულ ცნობას. ჩვენს ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს გადამკეთებლის მიერ ჩართული შემდეგი თხრობაც: იგი აღნიშნავს, რომ „შესტეენ მკველნი იგი ციხისანი და მაწყურელი და მას თანა სხუანიცა ჩინებულნი გა-

---

მესხნი წარჩინებულნი და ტყვენი მრავალნი მუნ-მყოფნი სრულიად. მერმე მოსწვა ქალაქი და მუნიდ-გან მოადგა ახალ-ციხეს“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, II, გვ. 156). საინტერესოა აღნიშნოს, რომ ფაქტობრივად არ იხსენიებს ახალქალაქის აღებას.

36 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482—484.

37 იქვე, გვ. 343.

38 იქვე, გვ. 482.

39 იქვე.

40 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, II, გვ. 156.

41 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482.

ნიზრახნეს, აღიხუნეს კლიტენი ციხისანი და თჳნიერ თხოვნისა და ბრძოლისა უღმრთოსა მას მთავარს მიართვეს<sup>42</sup>. როგორც ვხედავთ, ამჯერად გადამკეთებელი სავსებით ეთანხმება ვახუშტის და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეციხოვნეებმა „თჳნიერ თხოვნისა“ ჩააბარეს აწყურის ციხე მტერს. ვახტანგის კომისიისა და ვახუშტისგან განსხვავებით, გადამკეთებელს მოეპოვება აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ მაწყვერელი ეპისკოპოსიც აწყურში იმყოფებოდა თურქმანთა შემოსევის დროს და სწორედ მან გადასცა ციხე მტერს.

ცნობები თეთრბატკიან თურქმანთა სამცხეში ლაშქრობის შესახებ სპარსულ წყაროებშიც მოიპოვება. კერძოდ, ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანი დაწვრილებით აღწერს აწყურის (ან, როგორც ის უწოდებს, „ხათუნის“) ციხის აღებას. ირანელი ავტორის სიტყვით, ეს ციხე ისეთი მტკიცე ყოფილა, რომ მანამდე ვერც ერთ ხელმწიფეს ვერ მოეხერხებინა მისი აღება. ამ ციხეს ქართველ დედოფალთა განძის შესანახად იყენებდნენ თურმე. კერძოდ, იმ დროს ყვარყვარე ათაბაგის მეუღლის ქონება და ძვირფასეულობა ყოფილა აწყურში დაცული. ფადლალაჰის ცნობით, ციხეში მყოფმა მთავარმა მღვდელმა (ტექსტშია — „ყალი“). იმ უწმინდურთა შეიხმა და მოძღვარმა, კაცი გამოუგზავნა იაყუბს და უენებლობა ითხოვა იმ პირობით, რომ ციხესაც და მთელ ქონებასაც ჩააბარებდა. მეორე დღეს იგი გამოვიდა ციხიდან, იაყუბს ეახლა და მორჩილება განუცხადა<sup>43</sup>.

ასეთივე ცნობა მოეპოვება XVI ს-ის ავტორს ჰასან რუმლუსაც, რომელიც ამ შემთხვევაში იბნ რუზბეჰანის თხზულებით უნდა საჩვენებლობდეს<sup>44</sup>. ჰასან რუმლუ შედარებით უფრო მოკლედ გადმოგვცემს თურქმანთა მიერ აწყურის ციხის აღებას. იგი მოგვითხრობს: „უავგუსტოესი დროები აწყურის ციხისაკენ<sup>45</sup> იკამართნენ. მაშინ ყვარყვარეს დედამ, რომელიც ამ ციხე-სიმაგრეში იყო, ერთი მღვდელი<sup>46</sup> გამოგზავნა იაყუბ ფადიშაჰთან და უენებლობა ითხოვა. ხელმწიფემ აღარ დასაჯა ისინი, ციხის ქონება კი აიღო“<sup>47</sup>.

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გავრძელების ცნობები უფრო ეთანხმება იბნ რუზბეჰანის ცნობებს, ჰასან რუმლუს თხრობა კი რამდენადმე განსხვავდება მათგან (ეს უკა-

<sup>42</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 482. (ხაზგასმა ჩვენია).

<sup>43</sup> თარხიზ აზინი, გვ. 52; რ. კოკნაძე. საქართველო-ირანის ურთიერთობას ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 125.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 126, შენ. 71.

<sup>45</sup> იბნ რუზბეჰანის მსგავსად ჰასან რუმლუც „ხათუნის ციხეს“ იხსენიებს.

<sup>46</sup> სპარსულ ტექსტშია — „ქეში“ (کشیش).

<sup>47</sup> ჰასან რუმლუს ცნობაში საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. ფუთურიძემ, 1966, გვ. 18 (მუჭ. სპარსული ტექსტი, გვ. 7).

ნასკნელი ყვარყვარეს დედას იხსენიებს. ფადლალაჰი და გადამკეთებელი კი მაწყვერელ ეპისკოპოსს). ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გადამკეთებლის მიერ დამატებით მოტანილი ცნობები მაწყვერელი ეპისკოპოსის გამცემლობის შესახებ სავსებით დასტურდება სპარსული წყაროებითაც.

ამ შემოსევის დროს თურქმანებმა მეორედ ჩაიგდეს ხელთ აწყურის ხატი, რომელიც ყვარყვარე ათაბაგის ბრძანებით აწყურის ციხეში „საქურქლესა შინა“ იყო დაცული. იაყუბს ძალიან გაუტკირდა თურმე „შემკობილება ხატისა მის და პატროსნება თულთა“; მან საკუთარი ხელით „განძარცუა შემკობილება ხატისა“, შემდეგ კი ცეცხლში ჩააგდებინა იგი<sup>48</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გადამკეთებლის მიხედვით, იაყუბს ამ შემოსევის დროს სამცხის ათაბაგად ყვარყვარე ყოფილა. სპარსული წყაროებიც ყვარყვარეს (عقرب) ასახელებენ, ხოლო ვახუშტის აზრით, შემოსევა მანუჩარის ათაბაგობაში მომხდარა<sup>49</sup>. ამჟამად ჩვენს ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ დადასტურებულია, რომ ამ შემთხვევაში გადამკეთებლის ცნობა უფრო ზუსტია<sup>50</sup>, ხოლო მანუჩარი (იგი ყვარყვარე II-ის მეექვსე შვილი იყო) საერთოდ არც ყოფილა ათაბაგად<sup>51</sup>.

ასე თანდათანობით, უხმაუროდ ასწორებს და სასარგებლო ცნობებით ავსებს უცნობი გადამკეთებელი ვახტანგის კომისიის ნაშრომს. რა თქმა უნდა, მის მიერ დამატებით მოტანილი ყველა ცნობა არ შესაბამება სინამდვილეს და თანაბრად მისაღები არ არის თანამედროვე მკვლევრისათვის<sup>52</sup>, მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა,

48 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482; შემდეგ მოთხრობილია ვინმე „არაპართლ-მადიდებელი ქრისტიანის“ მიერ ხატის გადარჩენისა და წაღების და, ბოლოს, კვლავ, სასწაულებრივად დაბრუნების ამბავი (იქვე, გვ. 492—483).

49 ქართლის ცხოვრება, დასაბამითან მეთცხრაშეტე საუკუნემდის, I, გვ. 155—156.

50 ი. ე. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 147; ქრ. შ ა რ ა - შ ი ძ ე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. თბ., 1961, გვ. 133—136.

51 იქვე, გვ. 136.

52 მაგ. ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი შენიშნავს, რომ არადეთის ბრძოლის ამბავი გადაკეთებულ გაგრძელებაში უზუნ-ჰასანის მიერ აწყურის ხატის უკან დაბრუნებასთან არის დაკავშირებული და „სასწაულებრივ-საარაკო ცნობებით არის უხვად შეპკული“. შევს. — გადაკ. გაგრძელების მოთხრობა ისე უხვად არის დაუჭერებელი ამბებით შემკული, რომ თანამედროვე მკითხველს უფრო არაქად ან თქმულებად ეჩვენება, ვიდრე ისტორიული მოვლენის აღწერილობად“ (ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 138, 139). სხვა ადგილას ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი შენიშნავდა, რომ ჩამდენადაც აწყურის ხატის დაბრუნების ამბავი ვახუშტის მარტივად და ბუნებრივად აქვს მოთხრობილი, იმდენად სასწაულებრივი ბურუსით აქვს მოკული „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებელს (იქვე, გვ. 147).

ხშირ შემთხვევაში გადამკეთებლის მიერ დამატებით მოტანილი მასალა სხვა წყაროებითაც დასტურდება, დიდ ნდობას იმსახურებს და შეიძლება გამოყენებულ იქნას ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად.

დასასრულს, შევეხებით „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებლის მიერ ჩართულ კიდევ ერთ ცნობას, რომელსაც, ჩვენს აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების დასადგენად. გადამკეთებელი აღნიშნავს, რომ აწყურის ღვთისმშობლის ხატის ხელმეორედ სამცხეს დაბრუნებინა შემდეგ „მიავილინა ყოვლად-წმიდამან დედოფალმან რისხვა საშინელი სახლსა ზედა იაღუბისასა, და ნათესავესა მისსა, და ყოველსა გუარსა მისსა. და მცირესა ჟამსა სრულიად დაემკუნეს და მოისპნეს და აღოკრდეს. რამეთუ იაღუბს უღმრთოსა ესევეითარი სიკუდილი ეუფლა, რომლითა კელითა იკადრა წმიდისა ამის ხატისა მახვლისა შეხება, მითვე ხელითა განზავა სასმელი მაკუდინებელი, რეცა-თუ კეთილსავეონებელ უჩნდა შეცთომილსა მსჯავრთა მით მადმრთოთა, და შეტუა მან, და მოუძღვნა მისგან დედასა თჳსსა და ძმასა; და მიიღეს მათცა, რამეთუ არა ეგებოდა ურჩება მათგან. და ვითარცა სუეს, ერთბაშად მოსწყდეს ერთსა შინა ჟამსა სიკუდილითა საღმობიერიითა. და მათთანა სხუანიცა მთავარნი და წარჩინებულნი სახლისა მათისანი მოისრნეს, რომელნიმე მახვლითა და სხუანი სიკუდილითა უცნაურითა. და მერთგან სრულიად დაემხუა მთავრობა მათი, უკეთუ ცოდვათა ჩუენთა სამხილებლად მიშუებითა ღმრთისათა მოივლინნეს და სახლი ღმრთისა და წმიდანი ზამახურებელნი დათარგუნნეს. არამედ ყოვლად-წმიდამან ღვთისმშობელმან შეურაცხება ხატისა თჳსისა არა თავს-იღვა და ესევეითარი რძახვა მიუეცილნა, ვითარმედ ნათესავე მათი ვიდრე დღეს-აქამომდეცა არღარა სადა იპოვების“<sup>53</sup>.

მსგავსი ცნობა არ მოპოვება არც კომისიის ნაშრომში და არც ვახუშტის თხზულებაში.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა ქართული თუ უცხოური წყაროების საკითხს ბევრი მკვლევარი შეხებია და არაერთი საგულანხმო მოსაზრებაც არის გამოთქმული<sup>54</sup>. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ

<sup>53</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 486.

<sup>54</sup> ი. ვ. ჭავჭავაძის შვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 320—327, 353—361; ს. კაკაბაძე. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. — საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1925, გვ. 206—208; კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 268—270, 308; ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში. თბ., 1958, გვ. 26—28; ს. ყაუხჩიშვილი. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის შედგენილობა, გვ. 037—038; დ. კაციაძე. ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის

უცხოური (კერძოდ, სპარსული) წყაროების ძიების დროს მკვლევარო ძირითადად თემურ-ლენგის შემოსევების აღწერა ანდა XVI—XVII საუკუნეთა ამბები აინტერესებდათ, ხოლო საკუთრივ XV საუკუნის ისტორიის უცხოური წყაროების საკითხი ყურადღების გარეშე რჩებოდა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ XVII—XVIII საუკუნეთა ქართველი ისტორიკოსები უპირატესად უცხოურ წყაროებს იყენებდნენ<sup>55</sup>. საფიქრებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებელსაც უცხოური წყაროდან ამოეკრება მასალა თეთრბატკნიან თურქმანთა დინასტიის შესახებ.

ცნობები იაყუბისა და მისი მახლობლების უეცარი სიკვდილის შესახებ მოიპოვება სპარსულ, სომხურ და იტალიურ წყაროებში. განვიხილოთ ცალ-ცალკე ამ თხზულებათა მონაცემები.

ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანი, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს იაყუბის მეფობის ამბებს, ჟამიანობის რამდენიმე შემთხვევას ახსენებს აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს დედაქალაქ თავრიზში (1488, 1490 წწ.), რასაც ღიდი სიკვდილიანობა გამოუწვევია<sup>56</sup>.

იბნ რუზბეჰანის სიტყვით, 1490 წლის ზაფხული იაყუბმა უჯანში გაატარა, სადაც აღადგენინა ყაზან-ხანის დროინდელი ციხე-სიმაგრე, რომელიც ჟამთა ვითარებისაგან დანგრეულიყო<sup>57</sup>. ცოტათი რომ აგრილდა, მან იგადაწყვიტა, ზამთარი თავრიზში გაეტარებინა, მაგრამ შაჰზადეები და დედა ყარაბაღს წასვლას ურჩევდნენ. ამ დროს ხმა დაირბა, ჭირის ეპიდემიამ ისევ იფეთქაო თავრიზის მიდამოებში. ამბის შესატყობად გაიგზავნა იაყუბის ძმა იუსუფი. მან დაადგინა, რომ თითქოს მხოლოდ ერთი შემთხვევა ყოფილიყო დაავადებისა თავრიზის მახლობელ სოფელში, საიდანაც მოსახლეობა ბაღებში გახიზნულიყო. გულდამშვიდებული უფლისწული უკან გამობრუნდა, მაგრამ გზაში შეიტყო, რომ რამდენიმე წვრილი მოხელე ემსხვერპლა ჟამიანობას. ამის გამო იაყუბმა შეცვალა თავისი გეგმა და იუსუფი და დედამისი სას-

სპარსული წყაროები. — „აღმოსავლური კრებული“, I, ტბ., 1960, გვ. 160—165; დ. კაკობაძე. ფ. გორგიჯანიძის თხზულების და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა XVI—XVII საუკუნეების სპარსული წყაროები. — საქ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1960, № 2, გვ. 132—144; დ. კაკობაძე. „ახალი ქართლის ცხოვრების“ XVII საუკუნის ქართული წყაროები. — საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, VI, 2, ტბ., 1962, გვ. 105—121.

55 ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 27.

56 თარხ-ე ამინი, გვ. 87, 107—108.

57 იქვე, გვ. 99—100.

წრათოდ ყარაბაღს გაემგზავრნენ. მალე სულთანიც იქ მივიდა. ყარაბაღში იმ ზაფხულს ძლიერი გვალვა ყოფილიყო, რამაც, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მძიმე სენის გავრცელებას. საზამთრო სადგომის მოსამზადებლად გაგზავნილი მუშები ზედიზედ იხოცებოდნენ. ბოლოს დედოფალიც ავად გახდა და გარდაიცვალა 895 წლის ზულ-ჰიჯას თვის მეორე ნახევარში (1490 წლის ნოემბერი). ცოტა ხნის შემდეგ იუსუფსაც მოერია სენი, ხოლო 896 წლის საფარის თვის 11-ს (1490 წ. 24 დეკემბერს) იაყუბიც გარდაიცვალა<sup>58</sup>.

დაახლოებით ასეთსავე ცნობებს გვაწვდის XVI საუკუნის ირანელი ავტორი აჰმედ იბნ მოჰამედ ალ-ყაფარი ალ-ყაზვინი. ისტორიკოსის მამა, მოჰამედ ყაფარი რეის ყადი ყოფილა, ხოლო თვითონ აჰმედი ყაზვინის ყადი იყო. მან 1552 წელს შეადგინა და შაჰ-თამაზ I-ს მოუძღვნა ისტორიული ანეგდოტების კრებული — „ნეგარისთანი“ („სურათების გალერეა“). მეორე მისი ნაწარმოები, რომელიც აგრეთვე შაჰ თამაზს მიუძღვნა, არის მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულება — *رآ ناسخ جهان* („ნოსახ-ე ჯაჰან-არა“ — „ქვეყნის შემამკობლის ნუსხები“)<sup>59</sup>. მისი წერა ავტორს 972 (1564/5) წელს დაუმთავრებია. „ჯაჰან-არა“ სამი „ნუსხისაგან“ შედგება, რომელთაგან, პირველში მოთხრობილია წინასწარმეტყველთა, მოჰამედისა და თორმეტი იმამის ამბები, მეორეში — ისლამის პერიოდის დინასტიების ისტორია, ხოლო მესამე ნუსხა მთლიანად დათმობილი აქვს სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიას (1565 წლამდე)<sup>60</sup>.

„ჯაჰან-არას“ მეორე ნუსხის ბოლო თავში აჰმედ ყაფარი გადმოგვცემს აყ-ყოყუნლუს დინასტიის ფაღიშაჰების ისტორიას და იაყუბის გარდაცვალებასაც ეხება. იგი აღნიშნავს, რომ იაყუბის ურდო ზამთრის გასატარებლად სულთანბუღს (ყარაბაღში) დადგა. მოულოდნელად სულთნის დედა ავად გახდა და გარდაიცვალა [8]95 წლის ზულ-ჰიჯას თვის 28-ში (1490 წლის 5 ნოემბერს). იუსუფი და იაყუბიც შეუძლოდ ყოფილან უკვე, ამიტომ მათ დაუმალეს ეს ამბავი. მალე იუსუფიც მომკვდარა (896 წ. მოჰარამის 10-ში — 1490 წ. 23 ნოემბერს). მისი სიკვდილიც არ გააგებინეს იაყუბს, რადგან იგი დღითიდღე უარე-

<sup>58</sup> თარხ-ე ამინი, გვ. 107—111.

<sup>59</sup> თხზულება არ არის გამოცემული. სსრ კავშირის წიგნსაცავებში მისი ხელნაწერები არ მოიპოვება. „ჯაჰან-არას“ ხელნაწერთა შესახებ იხ. Storey Ch. Persian literature, a bibliographical survey, sect. II, fasc. I, London, 1935, გვ. 116.

<sup>60</sup> „ჯაჰან-არას“ შინაარსის შესახებ დაწერილებით იხ. Rieuch. Catalogue of the Persian manuscripts in British Museum, I, London, 1879. გვ. 111—115.



სად ხდებოდა. ბოლოს, 1490 წლის 24 დეკემბერს, მწუხრის ეპაშ, იაყუბიც გარდაიცვალა<sup>61</sup>.

ამგვარად, იბნ რუზბეჰანის და ყადი აჰმედ ყაფარის ცნობით, იაყუბი და მისი ახლობლები ავადმყოფობით დახოცილან. ხონდემირა, იაჰია ყაზვინი (XVI ს) და ოსმალ ოსტორიკოსი მუნეჯიმ-ბაში (XVII ს.) მხოლოდ აღნიშნავენ იაყუბის სიკვდილის ფაქტს, მიზეზს კი საერთოდ არ ასახელებენ<sup>62</sup>.

ვ. მინორსკის სიტყვით, პირველი ოსტორიკოსი, ვისაც მოეპოვება ცნობა იაყუბის მოწამელის შესახებ, არის XVI საუკუნის ავტორი მოსლექ ად-დინ ალ-ლარი ალ-ანსარი. იგი დაიბადა სპარსეთის ყურის ჩრდილო ნაპირზე მდებარე ოლქის ლარისთანის მთავარ ქალაქ ლარში. განათლება, როგორც ჩანს, მიიღო თავრიზში მირ ყიას ად-დინ შირაზისა და მირ ქემალ ად-დინ ჰოსეინის ხელმძღვანელობით. შემდეგ მოსლექ ად-დინი ინდოეთში წავიდა, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს დიდ მოლოლთა სახელმწიფოს მბრძანებლის ჰომაიუნის (1530—1556) კარზე. ჰომაიუნის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში დაწყებული არეულობის გამო იგი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა ინდოეთი; ჯერ მექა მოინახულა, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლს ეწვია. აქ მას, როგორც ჩანს, სათანადო პატივისცემით არ შეხვდნენ, გასამრჩელოც იცოტავა და გადასახლდა დიარბექრში, ამიდში, სადაც ისქანდერ-ფაშამ თავისი შვილების მასწავლებლად მიიწვია, მეტი კი ხოსროვ ფაშას მედრესეს მუდარისადაც დანიშნეს. სამოც წელს გადაცილებული მოსლექ ად-დინი ამიდში გარდაიცვალა 979 წ. ზულ ჰიჯას თვეში (1572 წ. აპრილი-მაისი)<sup>63</sup>.

მოსლექ ად-დინ ლარი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო. მას დაწერილი აქვს ბევრი განმარტება და კომენტარი ასტრონომიულ ტრაქტატებზე, საღვთისმეტყველო თხზულებებზე და მუსლიმანური სამართლის ძეგლებზე. მასვე ეკუთვნის მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოები — *مرآة الادوار و مرآة الاخبار* („მირათ ალ-ადვარა“)

61 აჰმედ ყაფარი. ნოსახ-ე ჯაჰან-არა.—ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი, Or. 141, ფ. 193ა (ამ ხელნაწერის მიკროფილში ბრიტანეთის მუზეუმიდან ინგლისელი ქართველოლოგის დავით ლანგის შემწევობით მივიღეთ, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვხსენებთ).

62 Minorsky V. Persia in A. D. 1478—1490, გვ. 128.

63 Rieucah. Catalogue of the Persian manuscripts in British Museum.— I, გვ. 116; Storey Ch. Persian literature, a bio-bibliographical survey, sect. II, fasc. I, გვ. 115—117.

მირკათ აღ-ახბარ“ — „ეპოქების სარკე და ამბავთა კიბე“<sup>64</sup>. თხზულება შესავლიბ („მოყადამე“) და ათი კარისაგან („ბაბ“) შედგება. მეცხრე კარში მოთხრობილია თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ისტორია.

ქვემოთ მოგვყავს სპარსული ტექსტი (ლენინგრადული ხელნაწერების მიხედვით) და ქართული თარგმანი მოსლექ აღ-დინის ცნობისა იაყუბისა და მისი მახლობლების მოწამვლის შესახებ<sup>65</sup>.

آخر بنا بر آنکه<sup>66</sup> ملدش میل به<sup>67</sup>  
بسر خود خورد یوسف بیگ داشت  
جهت وی طعامی مسموم کرد<sup>68</sup> و چون  
آن طعام حاضر گردانید سلطان مادر و  
برادر را<sup>70</sup> چشائید همه<sup>71</sup> از آن خوردند  
و روح به قابض ارواح سپردند ای برادر  
مادر دهرار خورد خونت مرزج<sup>69</sup> چون  
ترا خون برادر همچو شیر مادر است  
تابوت ایشانرا در یک روز بر آوردند

ბოლოს, იმის გამო, რომ დედამისის უმცროსი შვილი იუსუფბეგი უნდოდა [ხელმწიფედ], საჭმელი მოუწამლა [იაყუბს]. როდესაც ის საჭმელი მოამზადა, სულთანმა დედას და ძმას გაასინჯვინა. ყველამ იგემა და სული სიკვდილის ანგელოზს მიაბარეს.

ჰე, ძმაო, თუ საწუთროს დედამ შენს სისხლი დალია, ნუ გეწყინება, ჩადგან თვითონ შენთვის ძმის სისხლი დედის რძესავით ტკბილია.

სამივეს კუბო ერთ დღეს გაასვენე

მოსლექ აღ-დინ ლარის თხზულება თურქულად თარგმნა და შეავსო სა'დ აღ-დინმა, რომელსაც იაყუბის დედის მიერ მოწამვლის ამბავიც უცვლელად გადაუტანია თარგმანში<sup>72</sup>.

64 თხზულება არ არის გამოცემული. ხელნაწერთა შესახებ იხ. Storey Ch. დასახ. ნაშრომი, გვ. 117. ორი ხელნაწერი არის აგრეთვე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

Персидские и таджикские рукописи Института народов Азии АН СССР (Краткий алфавитный каталог), часть I, М., 1964, с. 539, № 3996, 3997.

65 სსრკ მეცნ. აკად. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწ. В 662, ფ. 211 ა; С 427, ფ. 238 ბ.

66 С 427: بنابر آنکه

67 С 427-ში გამოტოვებულია.

68 В 662: حرد

69 С 427: ساخت

70 С 427 უმატებს: از آن

71 В 662: هو

72 Minor sky V. Persia in A. D. 1478—1490, გვ. 128.

XVII ს-ის სომეხ ისტორიკოსებს არაქელ დავრიეციისა და ზაქარია სარკავაგს სრულიად განსხვავებული ცნობები მოეპოვებათ ამ-ვე საკითხზე. კერძოდ, არაქელი მოგვითხრობს, რომ იაყუბის დამ, რომელიც არღებილის შეიხის ჰეიდარის ცოლი იყო, ქმართან ერთად გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა იაყუბი, რათა ტახტი ჰეიდარს დაემკვიდრებინა. მათ ლხინში მიიწვიეს იაყუბი და მოწამლული კერძი მიართვეს. სულათნმა რაღაც იეჭვა და თვითონ რომ შექამა, დასა და სი-ძესაც დააძალა. მათაც გასინჯეს და სამივე ერთდროულად დაიხოცა<sup>73</sup>.

თითქმის ზუსტად ასეთსავე ვერსიას იმეორებს ზაქარია ხარკავაგიც. ოღონდ უმატებს, იაყუბს მემკვიდრე არა ჰყავდა, რომ მის შემდეგ ტახტი დაეკავებინა, ამიტომაც გადაწყვიტეს მისი მოკვლა<sup>74</sup>.

ამ შემთხვევაში სომხური წყაროების ცნობები ნდობას არ იწა-ზურებს, რადგან, მართალია, იაყუბის და ცოლად ჰყავდა არღებილის შეიხის<sup>75</sup>, მაგრამ ჰეიდარი ჯერ კიდევ 1488 წლის ივლისში დარღუა თეთრბატკნიან თურქმანთა და იაყუბის სიმამრის შირვანშაჰ ფაროხ იასარის გაერთიანებულ ლაშქართან ბრძოლაში<sup>76</sup>. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იაყუბი არ ყოფილა უშვილო. მისი ორი ვაჟი — ბაისონყური და მურადი, ერთ ხანს სულთნებადაც იყვნენ მამის სიკვდილას შემდეგ.

XV—XVI სს. იტალიელი ელჩებისა და მოგზაურთა თხზულებებ-ში კიდევ ერთი განსხვავებული ვერსია გვხვდება.

კატერინო ზენო მოკლედ იტყობინება, იაყუბი (Giacuppo) მოიკლა მისი ცოლის ხრიკების წყალობით, რომელიც კარგი საქციელის ქალი არ იყო<sup>77</sup>.

ანჯოლელოსა და XVI საუკუნის ანონიმურ ვაჭარს უფრო ვრცე-ლი აღწერილობა მოეპოვებათ ამ ამბისა. მათი ცნობით, იაყუბის ცო-ლი, ერთ-ერთი ირანელი წარჩინებულის ასული, ავბორცი დედაკაცი ყოფილა. იგი სასახლის ერთ დიდებულს გაუმიჯნურდა თურმე და გა-

<sup>73</sup> Livre d'histoires par vartabied Arakel de Tauriz. Brosset M., Col-lection d'historiens Armeniens, I, SPb., 1874, გვ. 542.

<sup>74</sup> Memoires historiques: sur les sofis par le diacre Zakaria. Collection d'historiens Armeniens, II, SPb., 1876, გვ. 5.

<sup>75</sup> ამას ფარსადან გორგიჯანიძეც აღნიშნავს: უზუნ-ქასანმა „თავისი ქალი თავის უმას შ[ე]იხ სეფის ნათესავს სულთან ჰაიდ[არ]ს მისცა და დიდი პატივი მი-[ა]ქყრა“. (ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც. — „საისტორიო მოამ-ბე“, II, ტფ., 1925, გვ. 210).

<sup>76</sup> თარხ-ე ამინი, გვ. 81; ჰასან რუმლუ. ასან ათ-თავარიხ. ლენინგრადის სახ. სეჯარო ბიბლ. ხელნაწერთა განყ.-ბა, დორნის კატალოგი № 287, ფ. 156 ა.

<sup>77</sup> Caterino Zeno. Travels in Persia. A narrative of Italian travels in Persia in the XV and XVI centuries. Transl. by Ch. Grey. London, 1849, გვ. 43.

დაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ქმარი, რათა შემდეგ შეეყვარებულს გაპყლოდა ცოლად და, როგორც სულთნის ახლო ნათესავი, ტანტზეკ დაესვა იგი. როდესაც იაყუბი თავის რვა-ცხრა წლის შვილთან ერთად აბანოში შევიდა, ცოლმა, რაკი იცოდა მისი ჩვეულება, რომ აბანოში შემდეგ რამე უნდა დაეღია, საწამლავი შეუმზადა. აბანოდან გამოსული იაყუბი რომ პარამხანაში შევიდა, ცოლი წინ შეეგება მოწამლული ღვინით სავსე ოქროს თასით. ბოროტი განზრახვა რომ დაემალა, იგი ჩვეულებრივზე უფრო ალერსიანად შეხვდა ქმარს, მაგრამ ისეთი ფერწასული იყო, რომ იაყუბს ეკვი გაუჩნდა. მან უბრძანა ცოლს, თვითონ გაესინჯა სასმელი. თავზარდაცემული ქალი იძულებული გახდა, ცოტა მოეხევა. დანარჩენი იაყუბმა და მისმა ვაჟმა დალიეს. საწამლავი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ შუალამისას სამივე დაიხოცა<sup>78</sup>.

ამგვარად, XV—XVII საუკუნეთა წყაროებში იაყუბისა და მისი ოჯახის წევრთა მოწამელის სამი სხვადასხვა ვერსია გვხვდება: სპარსული წყარო სულთნის მოწამელას დედამისს მიაწერს, სომხური წყაროები დასა და სიძეს, ხოლო იტალიური წყაროები — ცოლს.

სომეხ და იტალიელ ავტორთა მონათხრობი იმდენად განსხვავდება „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ცნობებისაგან, რომ ქართველი ავტორის მიერ ამ წყაროების გამოყენება სავსებით გამორიცხული ჩანს. სამაგიეროდ, მოსლექ ად-დინ ლარისა ჯა გადამკეთებლის ნაამბობში, როგორც დაერწმუნდით, ბევრი რამ არის საერთო, თუმცა კი ზოგიერთი სხვაობა აქაც შეინიშნება. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ ქართველმა ავტორმა წყაროში ამოკითხული ამბავი თავისებურად, თავისი მიზნის შესაფერისად გადააკეთა და ისე შეიტანა თავის თხზულებაში. რამდენადაც იგი ყოველნაირად ცდილობს აწყურის ღვთისმშობლის ხატის განდიდებას, იაყუბისა და მისი სახლეულის უეცარი დახოცვაც ამ ხატის სასწაულმოქმედებას დაუკავშირა. როგორც ჩანს, დედის მიერ შვილის მოწამვლა საკმაოდ ეფექტური არ ეჩვენა გადამკეთებელს; ამიტომ, მან სკკუთარი ხელით შეაზავებინა საწამლავი იაყუბს.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ ყველა წყაროში აღნიშნულა, რომ იაყუბმა ეკვი აიღო და თავის მომწამლელსაც გაასინჯა საწა-

---

<sup>78</sup> Giovan Maria Angioiello. A short narrative of the life and acts of king Ussun Gassano. A narrative of Italian travels in Persia, გვ. 98—99; The travels of a merchant in Persia, იქვე, გვ. 183—184. ჩვენი აზრით, იტალიელი ავტორების ცნობა იაყუბთან ერთად მისი რვა-ცხრა წლის ვაჟის მოწამელის შესახებ ზუსტი არ უნდა იყოს. სკკუბის აზრს, რომ იაყუბის უფროსი ვაჟი ბაიონწყარი 1481 წელს დაიბადა და 1490 წელს სწორედ ცხრა წლისა იქნებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ბაიონწყარი სულთანად იყო ორი წლის განმავლობაში (1490—1492).

ლავი. ქართველი ავტორიც აღნიშნავს, რომ „მიუძღუანა მისგან დედასა თვისსა და ძმასა; და მიიღეს მათცა; და შესუეს, რამეთუ არა ეგებოდა ურჩება მათგან“.

თუ პირველ შემთხვევაში (უცხოური წყაროების მიხედვით) საე-სებით გასაგები იყო, რატომ შესთავაზა იაყუბმა დედას (დას, ცოლ:) მოწამლული სასმელი (ან საჭმელი) და რატომ ვერ გაბედა მან უარის თქმა, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ამას არავითარი გამართლება არა აქვს. ჩვენი აზრით, ცნობათა ასეთი შეუ-თანხმებლობა ადასტურებს იმას, რომ ქართველ ავტორს სწორედ მოსლექ ად-დინის მიერ მოყვანილი ვერსია უნდა ჰქონდეს გამოყენე-ბული, ოღონდ თავისებურად, რამდენადმე უყურადღებოდ გადაუქ-თებია იგი.

იაყუბის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა ხელისუფლებისათვის უზუნ-პასანის ნაშიერთა შორის. მომთაბარე ფეოდალთა ძლიერ დაჭგუფებებს ზედიზედ აპყავდათ ტახტზე სხვა-დასხვა პრეტენდენტები, რათა მათი სახელით თვითონ განეგოთ ქვე-ყანა. ამ ბრძოლას შეეწირა სულთნის ოჯახის ბევრი წარმომადგენე-ლი<sup>79</sup> და კიდევ უფრო მეტი დიდი თუ მცირე ფეოდალი.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებელს არც ეს მოვლენები გამოჰპარკვია. „და მათ თანა სხუანიცა მთავარნი და წარ-ჩინებულნი სახლისა მათისანი მოისრნეს, რომელიმე მახვლითა და სხუანი სიკუდილითა უცნაურითა“<sup>80</sup>, — აღნიშნავს ქართველი ავტო-რი და იქვე დასძენს: „ყოვლად-წმიდამან ღვთისმშობელმან შეურაც-ხება ხატისა თვისისა არა თავს-იდვა და ესევითარი რისხვა მიუვლინა, ვითარმედ ნათესავი მათი, ფიძრე ღღეს-აქამომდეცა არღარა სადა იპოვებისო“<sup>81</sup>. ამგვარად, გადამკეთებელი თეთრბატნიან თურქმანთა სახელმწიფოს მთელი სამეფო დინასტიის გადაშენებასაც აწყურავს ხატსა და ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის ყოვლისშემძლეობას უკავში-რებს. მაგრამ, თუ მთელ ამ თხრობას ჩამოვაცილებთ ხატის ამბავს, ისე-

79 წყაროების მონაცემების მიხედვით, 1490—1501 წწ. ხელისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ იაყუბის ძმა მასიჰ-მირზა. მისი შვილები ბაისონიური და მე-რადი და მისივე ძმისწლები ალი, მაჰმუდი, როსთემი, აჰმედი, ალყანდი და მოჰ-მედი (დაწვრ. იხ. აჰმედ ე ყ ა ფ ა რ ი. ნოსახ-ე ქაჰან — არაა. დასახ. ბელაწერი. ფ. 193 ბ—196 ა; A chronicle of the early Safawis being the Ahsanut-tawarikh of Hasan-i Rumlu, ed. by Ch. S e d d o n (persian text), Baroda, 1931, გვ. 1—22; იხ. აგრეთვე, Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV веке. — Сборник статей по истории Азербайджана, I, Баку, 1949, გვ. 176—179).

80 აღვლილი შესაძლებელია „უცნაურ სიკვდილში“ კვლავ ეამიანობა იფულისხმე-ბოდეს.

81 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 486.

ვე როგორც წინა შემთხვევებშიც, დაგვრჩება საკმაოდ სარწმუნო ცნობები, რომელთა მსგავსიც XV—XVI საუკუნეთა სპარსულ საისტორიო ნაწარმოებებშიც მოიპოვება.

რასაკვირველია, ძნელია გადაჭრით თქმა, უშუალოდ გამოიყენა თუ არა ქართველმა ავტორმა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული სპარსული თხზულებები (მხედველობაში გვაქვს ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის და მოსლექ ად-დინ ლარის საისტორიო ნაწარმოებები), მაგრამ ეს გარემოება, რომ გადამკეთებლის მიერ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში დამატებით ჩართული ცნობების ერთი ნაწილი სხვა წყაროებთანაც დასტურდება, გვავალებს უფრო მეტი ყურადღებითა და ნდობით მოვეყიდოთ მის ნაშრომ-ნამოღვაწარს.

## К ВОПРОСУ ОБ ИСТОЧНИКАХ ПЕРЕДЕЛАННОГО ПРОДОЛЖЕНИЯ «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

### Резюме

В статье изучены некоторые сведения, относящиеся к правителям государства Ак-Койунлу Узун-Хасану и Якубу, включенные в переделанное продолжение «Картлис цховреба». На основе сравнительного анализа сочинений таких авторов, как Фадлаллах ибн Рузбихан, Мослех ад-дин Лари и др., описывающих те же события, в работе доказывается, что сведения, включенные автором в переделанное продолжение, часто подтверждаются другими источниками, что обязывает исследователей с большим вниманием и доверием относиться к этому историческому сочинению, чем это было принято в грузинской историографии.

## НЕКОТОРЫЕ СВЕДЕНИЯ ГРУЗИНСКИХ ИСТОРИКОВ О ТИМУРЕ\*

Грузинские источники пока еще мало привлекались учеными при исследовании истории стран Востока. Вместе с тем, они содержат обширный и большей частью достоверный материал для изучения многих вопросов политической и социально-экономической истории народов Востока (Имеем в виду, в первую очередь, произведения анонимного историка XIV в., историка XVII в. Парсадана Горгиджанидзе, продолжения «Картлис цховреба» и некоторые другие сочинения).

В последней четверти XIV — начале XV вв. многие страны Передней Азии были опустошены и завоеваны войсками Тимура. Грузия также пережила ужасы многократных разорительных походов тимуровских орд. Наряду с восточными, преимущественно персоязычными, источниками подробный рассказ об этих событиях сохранили и грузинские исторические сочинения. При этом, в них повествуется не только об опустошении Грузии, но имеются также ценные сведения для изучения эпохи Тимура в целом.

В настоящей статье мы не ставим целью дать более или менее полный свод сведений грузинских источников о тимуровых завоеваниях. Мы рассматриваем лишь некоторые из этих сведений, касающиеся первого периода деятельности Тимура.

Придворные историки, описывающие жизнь и деяния великого завоевателя, ничего не говорят об его детстве и молодости. Это и понятно. Официозная историография предпочитала обходить молчанием многие факты из биографии всячески восхваляемого ею государя<sup>1</sup>. Лишь в сочинениях Ибн Арабшаха и Клавихо, а также в русских летописях имеются любопытные

\* პირველად დაიბეჭდა 1971 წელს („Грузинское источниковедение, III“, მიძღვნილი მეცნიერების დამსახურებელი მოღვაწის პროფესორ ვარლამ ღონღუას დაბადების 75 წლისთავისადმი, თბ., 1971, გვ. 196—205).

<sup>1</sup> Бартольд В. В. Улугбек и его время. Сочинения, т. II, ч. 2, М., 1964, с. 38; Якубовский А. Ю. Тимур (Опыт краткой характеристики). — «Вопросы истории», 1946, № 8—9, с. 46—47, 53; Строева Л. В. Возникновение государства Тимура. — Ученые записки ЛГУ, серия востоковедческих наук, вып. 3, 1952, с. 69.

<sup>36</sup> ირანის ერაყიდან და აზერბაიჯანიდან ხაზინაში შეტანილი თანხის საერთო ოდენობა ჰამდალამ ყაზვინის ნაჩვენები არა აქვს. ცხრილში მოტანილი თანხები ცალკე ოლქებისა და ქალაქების გადასახადების შეკრებით არის მიღებული და, ამდენად, შესაძლებელია, სრული არ იყოს. ი. პეტრუშევსკის ასეთივე შეკრების შედეგად განსხვავებული რიცხვები მიუღია: ირანის ერაყისათვის — 2 351 600 ან 2 333 600 დინარი, ხოლო აზერბაიჯანისათვის — 2 160 400 ან 2 160 000 დინარი *Петрушевский И. П. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, с. 98; Petrushevsky I. P. The Socio-Economic Condition of Iran under the Il-khans, in „The Cambridge History of Iran“, V, Cambridge, 1968, გვ. 498.*

<sup>37</sup> სპარსულ ტექსტშია „აბხაზ ვა გორჯესთან“ (გვ. 93). „აბხაზ“ აღმოსავლურ წყაროებში უპირატესად დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად იხმარებოდა. მკვრამ, ცნობილია, რომ მონღოლები დასავლეთ საქართველოში არ გადასულან. ამდენად, წყაროში ნაჩვენები თანხა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოდან შეტანილ ხარკს უნდა ნიშნავდეს.

<sup>38</sup> ავტორის ცნობით, გილანის გადასახადების შემოსავალი მის ადგილობრაუ გამგებელს ეკუთვნოდა, მონღოლთა დივანში კი მხოლოდ ორი თუმანი (ანუ 20 ათასი დინარი) შედიოდა (ნოზათ ალ-ყოლუბ, გვ. 162).

<sup>39</sup> ი. პეტრუშევსკის გამოანგარიშებით, ილხანთა ხაზინის შემოსავალი 19.203.800 დინარს უდრდა (*Петрушевский И. П. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, с. 99; Petrushevsky J. P. The Socio-Economic Condition of Iran under the Il-khans, გვ. 498.*)

როგორც ვხედავთ, ჰამდალაჰ ყაზვინი ამ შემთხვევაში წინააღმდეგობაში ვარდება და მისი მონაცემები არ შეეფერება ბისსავე განცხადებას იმის შესახებ, რომ XIV საუკუნის 30-იანი წლების მიწურულისათვის ილხანთა ხაზინის შემოსავალი განახევრებული იყო, ე. ი. მხოლოდ ათას თუმნამდე აღწევდა. მაგრამ ამ წინააღმდეგობასაც თავისი ახსნა მოეძებნება.

ცნობილია, რომ ჰამდალაჰ ყაზვინი სხვადასხვა დროის საგადასახადო დავთრებით სარგებლობდა. ამიტომაც არის მისი მონაცემები მკვლევართა მიერ სანდოდ აღიარებული, მაგრამ საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც მალალ დონეზე იდგა საფინანსო აღრიცხვის საქმე, სხვადასხვა სახის დავთრები არსებობდა.

აბდალაჰ იბნ ქია ალ-მაზანდარანი „რესალეჟე ფალაქია“-ში ჩამოთვლის შვიდი სახის საფინანსო დავთარს და განმარტავს თითოეული მათგანის დანიშნულებას<sup>40</sup>. მათგან მთავარი იყო საგადასახადო წესდება ანუ „დავთარე კანუნი“ (دَوَاتَرِ كَانُونِي). რომლითაც განისაზღვრებოდა, რომელი ქვეყნიდან თუ ოლქიდან რამდენი გადასახადი უნდა შესულიყო სახელმწიფო ხაზინაში<sup>41</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჰამდალაჰ ყაზვინის სწორედ გადასახადთა წინასწარი განაწილების წიგნი ანუ „დავთარე კანუნი“ უნდა ჰქონოდა ხელთ და იქიდან ამოეკრიბა თავისი ცნობები ილხანთა ხაზინის შემოსავლის შესახებ<sup>42</sup>. ეს დავთარი, ერთხელ რომ შედგებოდა, ათეული წლების იგანჯვლოებაში მოქმედებდა, ხაზინის ფაქტიური შემოსავალი კი აღირიცხებოდა სხვა წიგნში (بِطْرَاجِ الْحَسَابِ). ამგვარად, იმის გამო, რომ ჰამდალაჰი თავის ცნობებს კრებდა გადასახადთა განაწილების დავთრიდან და არა წლიური შემოსავლის აღრიცხვის წიგნიდან, მისი მონაცემები ცალკე ქვეყნების შემოსავლიანობის შესახებ ეწინააღმდეგება მის საკუთარ იგანცხადებას ილხანთა ხაზინის შემოსავლის ერთიორად შემცირების თაობაზე.

როგორც ვხედავთ, ჰამდალაჰ ყაზვინის მონაცემები სხვადასხვა ქვეყნიდან ილხანთა ხაზინაში შეტანილი გადასახადების შესახებ XIV საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს კი არა, უფრო ადრეულ ხანას ეხება. „ნოზჰათ ალ-ყოლუბ“-ში ნაჩვენებია 120 თუმანი და 2 000

<sup>40</sup> Die Resala-ye Falakiyya, გვ. 80—82, 104, 111—112, 122—123, 128, 135, 172. იხ. აგრეთვე, H i n z W. Das Rechnungswesen orientalischer Reichsfinanzämter im Mittelalter.— «Der Islam», Bd. 29, hft. 2, გვ. 113—137.

<sup>41</sup> Die Resala-ye Falakiyya, გვ. 172; H i n z W. Das Rechnungswesen orientalischer Reichsfinanzämter im Mittelalter, გვ. 134—135.

<sup>42</sup> ზღრ. Петрушевский И. П. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, с. 97—99.

დინარი საქართველოს, როგორც ჩანს, ყაზანისა და ოლჯეითუს დროს შექმონდა მონღოლთა ხაზინაში<sup>43</sup>. ხოლო, რაკი ვიცით, რომ 1336—1340 წლებში, ფეოდალური შინაომებისა და აჯანყებების ხანაში, ხაზინაში იმის ნახევარიც კი აღარ გროვდებოდა, რაც ყაზან-ხანის დროს შედიოდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში საქართველო ხარკს აღარ უხდიდა მონღოლებს. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ აბუ საიდი უძეოდ გარდაიცვალა 1335 წელს და ტახტზე დასვეს მისი შორეული ნათესავი არფა-ხანი. სახელმწიფოში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ტახტის მამიებელთა შორის. ერთმანეთის მოწინააღმდეგე ფეოდალურ დაჯგუფებებს ზედიზედ აპყავდათ ილხანის ტახტზე თავიანთი მარიონეტები (მუსახანი, მოჰამედ-ხანი, სათი-ბეგი, სოლეიმან-ხანი...<sup>44</sup>), რომელთაც არავითარი რეალური ხელისუფლება არ გააჩნდათ. ცხადია, ასეთ ვითარებაში საქართველო ხარკს აღარ მისცემდა მონღოლებს. ამდენად, სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ვახუშტის სიტყვები, რომ გიორგი ბრწყინვალემ „განახსნა თათარნი საქართველოსაგან“.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ის თანხა, რაც საქართველოდან ილხანთა ხაზინაში შედიოდა, ქვეყნის სახელმწიფო შემოსავლად არის მიჩნეული<sup>45</sup>. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ჰამდალამ ყაზვინიზ მიერ დასახელებული 120 თუმანი და ორი ათასი დინარი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, მონღოლთათვის მიცემული ხარკი იყო<sup>46</sup>. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო შემოსავალს აღებულ ხანაში, ის გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ილხანთა ზოგი-

---

<sup>43</sup> ემყარება რა ჰამდალამ ყაზვინიზ ცნობას მის დროს ილხანთა შემოსავლის განახევრების შესახებ, დ. ლანგი ფიქრობს, რომ 120 თუმანსა და 2 ათას დინარს საქართველო 1330 წლის შემდგომ ხანაში უხდიდა მონღოლებს, ყაზან-ხანის დროს კი ორჯერ მეტა შექმონდა მათ ხაზინაში (L a n g D. M. Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, გვ. 85). მაგრამ, როგორც ენახეთ, თვითონ ჰამდალამს მონაცემები საწინააღმდეგოს მტყუვლებენ.

<sup>44</sup> Tarikh-i Shaikh Uwais, გვ. 58—72.

<sup>45</sup> იხ. მაგალითად, ნ. ასათიანი. საქართველო-შარჯანის პოლიტიკური ერთობა XII საუკუნეში.—კრებ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, თსუ შრომები, ტ. 156, 1968, გვ. 8, შენ. 2.

<sup>46</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია XIII—XIV სს., გვ. 63; Бердзенишвили Н. А. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), с. 81; ნ. ბერძენიშვილი. XI—XIII სს. საქართველოს ისტორიიდან.—„საქართველოს ისტორიის საკითხები“, VII, თბ., 1974, გვ. 112.

ერთი ვასალს თავისი საკუთარი სამემოსავლო ბიუჯეტიც ჰქონდა<sup>47</sup>. ცხადია, ასეთი ბიუჯეტი საქართველოს მეფეებსაც ექნებოდათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰამდალაპ ყაზვინის მიერ დასახელებული თანხა ალბათ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ხარკი უნდა ყოფილიყო<sup>48</sup>, დასავლეთი საქართველო კი ხარკს არ უხდიდა ილხანებს<sup>49</sup> და, ცხადია, მისი შემოსავალი მონღოლთა საგადასახადო დაეთრებში არც იქნებოდა რეგისტრირებული. ამგვარად, მთლიანად საქართველოს შემოსავალი XIV საუკუნის პირველ ნახევარში, ჩვენი აზრით, ბევრად აღემატებოდა 120 თუმანსა და 2 ათას დინარს.

ილხანთა სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენილობის ჩვენების დროს ჰამდალაპ ყაზვინი, როგორც უკვე ითქვა, ყოველი ცალკე ქვეყნისათვის ასახელებს მონღოლთა ბატონობის წინა ხანის შემოსავლის ოდენობასაც და საგანგებოდ განმარტავს, რომელ პერიოდს განეკუთვნება მოტანილი ცნობა.

მაგალითად, არაბეთის ერაცის სახელმწიფო გადასახადები ხალიჟა ნასირის დროს (1180—1225) 3 000 თუმანს<sup>50</sup> უდრიდა და ჰამდალაპ ყაზვინის თვითონ უნახავს დავთარი<sup>51</sup>.

ირანის ერაცის სახელმწიფო გადასახადები 2 500 თუმანს აღემატებოდა ჰამდალაპის ჰაბის მამის, ამინ აღ-დინის დავთრის მიხედვით<sup>52</sup>. უფრო ხშირად კი ავტორი სელჩუკიანთა დროის შემოსავლის ოდენობას ასახელებს<sup>53</sup>.

საქართველოს შესახებ ჰამდალაპ ყაზვინი აღნიშნავს, იქაური მეფეების დროს საღივანო გადასახადები დაახლოებით 500 თუმანს უდრიდაო. ეს ხუთასი თუმანი (ან ბარტოლდისეული გადაანგარიშებუა, 3 750 000, სწორი ანგარიშით კი 2,5 მლნ. შანეთი 1911 წ. კურსით)

---

47 Бартольд В. В. Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. — Соч., т. II, ч. 1, М., 1963, с. 722; Петрушевский И. П. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, с. 99.

48 დ. ლანგის აზრითაც, დასახელებული თანხა აღმოსავლეთ საქართველოდან შედიოდა ილხანთა ხაზინაში (Lang D. M. Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, გვ. 85).

49 ნ. ბერძენიშვილს სამონღოლო ხარკზე საუბრის დროს დასმული აქვს კითხვა — „ლიხთ-იქითი იხდიდა?“ (ნ. ბერძენიშვილი. XI—XIII სს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 112).

50 წინარე ხანის შემოსავლის ოდენობა ჰამდალაპს ილხანურ თუმანებსა და დანარებზე აქვს გადაყვანილი, რაც მას, როგორც გამოცდილ ფინანსისტს, არ უნდა გაკირებოდა (იხ. Петрушевский И. П. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, с. 97).

51 ჰამდალაპ ყაზვინი. ნოჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 29.

52 იქვე, გვ. 48.

53 Бартольд В. В. Персидская надпись, с. 322.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიჩნეულია დამოუკიდებლობის პერიოდის, თამარის დროის, ე. წ. „ოქროს ხანის“ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლად<sup>54</sup>.

თამარის ეპოქის საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო იყო. მას ბევრი ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყანა ჰყავდა<sup>55</sup>. მართალია, ივ. ჯავახიშვილი ვერაუდობდა, რომ 500 თუშანი საკუთრივ საქართველოს ფულადი შემოსავალი იყო, უყმადნაფიცებოდ<sup>56</sup> (როგორც ჩანს, მეცნიერს ჰამდალაპ ყაზვინის მიერ დასახელებული თანხა მაინცა და მაინც არ ებეჯრებოდა საქართველოს მთელი შემოსავლისათვის). მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ამ თანხაში ყმადნაფიცი ქვეყნებიდან მრღებული ხარკი არ იგულისხმება (ჰამდალაპი საკმაოდ გაურკვეველად ამბობს, იქაური მეფეების დროს).

საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი XII საუკუნეში სხვადასხვა, „შინათ და გარეთ“<sup>57</sup> წყაროებისგან შედგებოდა. შინაგანი წყაროები იყო საკუთარი მეურნეობის შემოსავალი და ქვეშევრდომებზე გაწერილი გადასახადები. საგარეო შემოსავალს შეადგენდა ყმადნაფიცთაგან მიღებული ხარკი და სამხედრო ნადავლი<sup>58</sup>.

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჰამდალაპ ყაზვინის მიერ დასახელებული 500 თუშანი, ე. ი. სულ ოთხჯერ მეტი იმაზე, რასაც XIV საუკუნის დამდეგს დაპყრობილ-დამცრობილი ქვეყანა (ან უფრო

<sup>54</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია, XI-XV საუკუნეები, გვ. 96; Капанадзе Д. Г. Грузинская нумизматика, Тбилиси, 1955, с. 88—89; ე. დონდუა. ჰამდალაპ ყაზვინის ერთი ცნობის გამო, გვ. 143; ვ. გაბაშვილი. საქართველოს საეპოქო ურთიერთობანი XII საუკუნეში.— თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 206; დ. კაციტაძე. XIV საუკუნის საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან.— თსუ შრომები, ტ. 121, გვ. 253; კ. გრიგოლია. ქართული რენესანსი რუსთაველის ეპოქისა.— კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბ., 1968, გვ. 38; ნ. ბერძენიშვილი. XI—XIII სს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 112.

<sup>55</sup> დაწვრილებით იხ. მ. ბერძენიშვილი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს.— კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966.

<sup>56</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, გვ. 96; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, დამატება პირველი: შიკლე მიმოხილვა XI—XII სს. ისტორიისა, გვ. 394.

<sup>57</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., თბ., 1944, გვ. 22.

<sup>58</sup> კ. გრიგოლია. ქართული რენესანსი რუსთაველის ეპოქისა, გვ. 33; მ. ბერძენიშვილი. საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 134—135, 146—147; ნ. ბერძენიშვილი. XI—XIII სს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 112—115.



ზუსტად, მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი) აძლევდა ხარკად მონ-  
ლოლებს, არ შეიძლება იყოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად მძლავ-  
რი საქართველოს მთელი შემოსავალი თამარის მეფობის ხანაში.

როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ჰამდალაჰ ყაზვინი თავი-  
სი თხზულების შედგენის დროს აღმოსავლური საგადასახადო დავთ-  
რებით სარგებლობდა. აქედან კრებდა ის ცნობებს სხვადასხვა ქვეყ-  
ნების შემოსავლიანობის შესახებ როგორც წინარე, ისე მონღოლთა  
ბატონობის ხანაში. ჯერ კიდევ ვ. ბარტოლდმა შენიშნა, რაც შეეხება  
საქართველოს შემოსავალს წინარე ხანის მეფეთა დროს, საექვოა, რომ  
ჰამდალაჰ ყაზვინის რაიმე დოკუმენტური წყაროებით ესარგებლაო<sup>60</sup>.  
მართლაც, ჩვენი ავტორი ვერცერთ აღმოსავლურ საგადასახადო წიგნ-  
ში ვერ ნახავდა ცნობას დამოუკიდებელი საქართველოს შემოსავლის  
შესახებ, რადგან ამ წიგნებში შესაბამისი აღმოსავლური სახელმწი-  
ფოს დივანის შემოსავალი აღირიცხებოდა მხოლოდ. საქართველოს  
შემოსავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხედებოდა ამ დავთრებში,  
თუ ის ხარკის სახით შევიდოდა რომელიმე აღმოსავლური ქვეყნის ხა-  
ზინაში.

ჰამდალაჰ ყაზვინი თავის თხზულებაში არაერთხელ იხსენიებს  
„მალიქშაჰის რესალეს“ (مالک شاه رساله), რომელიც, როგორც ჩანს,  
სელჩუკიანთა სახელმწიფოს ოფიციალურ აღწერას წარმოადგენდა<sup>61</sup>.  
აქედან უნდა ამოეკრიბა ჰამდალაჰს ცნობები სხვადასხვა ქვეყნებისა  
შემოსავლიანობის შესახებ სელჩუკიანთა დროს<sup>61</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ „მალიქშაჰის რესალედან“ ამოიღო  
ჰამდალაჰმა ცნობა საქართველოს შემოსავლის შესახებ „იქაური მეფე-  
ების“ დროს.

1080 წელს საქართველოში თურქთა ახალი შემოსევა („დიდი  
თურქობა“) დაიწყო. მტერმა ააოხრა ქვეყნის დიდი ნაწილი და უამ-  
რავი ხალხი გაჟლიტა. მეფე გიორგი II-მ გადაწყვიტა დამორჩილე-  
ბოდა თურქებს და სულთან მალიქშაჰს ეახლა ისფაჰანში. მალიქშა-  
ჰი მეფეს მშვიდობას შეჰპირდა და წყალობაც უყო, „გარნა ხარაჯა  
ითხოვა სამეფოსა მისსა, რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა“<sup>62</sup>.

<sup>60</sup> Бартольд В. В. Персидская надпись, с. 327. როგორც ჩანს, ვ. ბარ-  
ტოლდსაც დამოუკიდებლობის ხანის საქართველოს სახელმწიფო შემოსავლად მიაჩნდა  
500 თუმანი, ამდენად მისი უკუი, ერთი შეხედვით, საფუძვლად იყო.

<sup>61</sup> Бартольд В. В. К истории Мерва. — Соч., т. II, ч. I, с. 187.

<sup>62</sup> Петрушевский И. П. Земледелие и аграрные отношения в Ира-  
не XIII—XIV веков, с. 96.

<sup>63</sup> ქართლის ცხოვრება, მარიაშ დედოფლის ვარიანტი. ი. თაყაიშვილის  
გამოს., ტფ., 1906, გვ. 285; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II,  
გვ. 161—162.

სწორედ ეს სათურქო ხარკი უნდა იყოს ჰამდალაჰ ყაზვინის მიერ დასახელებული 500 თუმანი. საამისო ცნობა ავტორს შეეძლო იმავე „მალქშაჰის რესალეში“ ამოეკითხა. ეს თანხა არ მოგვეჩვენება დიდი, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე წყაროს მიხედვით, სელჩუკიანთა სახელმწიფოს შემოსავალი 21 500 სელჩუკურ ოქროს თუმანს აღემატებოდა; სელჩუკური ოქროს დინარი კი, ჰამდალაჰის სიტყვით, ილხანურ ორ დინარსა და ორ დანგს (ე. ი. დირჰემს) უდრიდა<sup>63</sup>. ხოლო სელჩუკიანთა მთელი შემოსავალი მონღოლურ თუმნებში, ვ. ბარტოლდის დაანგარიშებით, 50 000 თუმანს აღემატებოდა<sup>64</sup>.

ამგვარად, „ნოზხათ ალ-ყოლუბ“-ში დასახელებული 500 თუმანი არის არა დამოუკიდებლობის ხანის საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი, არამედ სათურქო ხარკი, რომელიც საქართველოს მალქშაჰის ხაზინაში შეჰქონდა XI საუკუნის 80-იანი წლებიდან.

## ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XIV ВЕКА

(К толкованию одного сообщения Хамдаллаха Казвини)

### Резюме

В статье на основе научных публикаций последнего времени, а также личных научных наблюдений и исследовательской работы, проведенной автором, уточнено время исчезновения в Грузии института татарской дани. Доказано также, что упоминающиеся в сочинении Хамдаллаха Казвини «Нозхат ал-ყოლუბ» 500 туманов не государственный доход независимой Грузии, а турецкая дань, которую Грузия вносила в казну Маликшаха с 80-х годов XI века.

<sup>63</sup> ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზხათ ალ-ყოლუბ, გვ. 27.

<sup>64</sup> Бартольд В. В. Персидская надпись, с. 325.

## საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან\*

მონღოლებმა რომ ამიერკავკასიის ქვეყნები დაიპყრეს XIII საუკუნის პირველ ნახევარში, მათ ამ მხარეში თავიანთი მმართველობის სისტემა შემოიღეს. რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ (1245 წ.), როდესაც ტახტის ერთი მემკვიდრე, დავით ლაშა გიორგის ძე, რუმის იყო საკანში დატყვევებული, ხოლო მეორე, დავით რუსუდანის ძე, მონღოლთა დიდ ყაენთან გაგზენეს შეფედ დასამტკიცებლად და არაფერი იხმოდა მის შესახებ, XIV ს-ის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის სიტყვით, „გაკდეს ქართველნი უნუგუშონისმცემლოდ და უმეფოდ“<sup>1</sup>. სწორედ ამ დროს მონღოლებმა თავიანთი ადმინისტრაციული წყობის დანერგვა სცადეს საქართველოში დაღუმენებად დაყვეს ქვეყანა. ღუმანი (ანუ თუმანი, თუმენი) ისეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომლის მოსახლეობას ათი ათასი ან ერთი ღუმანი (ძველი ქართულით, ერთი ბევრი) შეომრის. გამოყვანა ევალებოდა. რა თქმა უნდა, ეს დაყოფა არ იყო ზუსტი. როგორც ამიერკავკასიაში, ისე სხვა ქვეყნებშიც მას საფუძვლად ედო არა მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები, არამედ ადგილობრივი, ტრადიციული პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა<sup>2</sup>.

უნიკალური ცნობა საქართველოს დაღუმენებად დაყოფის შესახებ ჟამთააღმწერლის თხზულებაშია დაცული.

ჟამთააღმწერლის თხზულება ჩვენამდე ორი რედაქციით არის მოღწეული. ძველი რედაქცია ტექსტისა დაცულია ე. წ. „მცხეთური ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარე ნუსხებსა (მარიამისეული, 1697

\* პირველად დაიბეჭდა 1983 წელს („ახლოაღმოსავლური კრებული“, თბ., 1983, გვ. 89—100).

1. ჟამთააღმწერელი.—წიგნში: ქართლის ცხოვრება, 11. თბ., 1959, გვ. 207.

2 მ. ლორთქიფანიძე. რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ გამო.—„მაცნე“, 1964, № 6, გვ. 319; პ. ინგოროყვა. შოთა რუსთველი.—თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978, გვ. 100.

წლისა, მაჩაბლისეული)<sup>3</sup> და თეიმურაზისეულ ნუსხაში, რომლის მხოლოდ პირველი ნაწილია რედაქტირებული ვახტანგის კომისიის მიერ. მეორე რედაქცია ტექსტისა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებშია დაცული<sup>4</sup>.

ძველი რედაქციის ტექსტი ეამთააღმწერლის თხზულებისა 1906 წელს მარიამისეული ნუსხის მიხედვით გამოსცა ე. თაყაიშვილმა<sup>5</sup>. ვახტანგისეული რედაქციის ტექსტი სამი ხელნაწერის საფუძველზე დაბეჭდა მ. ბროსემ<sup>6</sup>. უკანასკნელი გამოცემა თხზულებისა, „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში რომ არის შესული, ორივე რედაქციის ნუსხების საფუძველზე განახორციელა ს. ყაუხჩიშვილმა<sup>7</sup>.

ეამთააღმწერლის თხზულების ძველი ტექსტი საკმაოდ შერყენილია გადამწერთა მიერ. ამ ტექსტის შემცველი ყველა ნუსხა ერთი არქეტიპიდან და, როგორც ჩანს, ერთი დედნიდან მომდინარეობს და ერთნაირად არის დამახინჯებული. ამდენად, მხოლოდ ამ ნუსხების ჩვენებათა საფუძველზე ყოველთვის ვერ ხერხდება ტექსტის გაუგებარი თუ დამახინჯებული ადგილების გარკვევა და აღდგენა.

საქართველოს დუშნებად დანაწილების შესახებ თხრობაც საკმაოდ არის დამახინჯებული „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებში. კერძოდ, მარიამისეულ ნუსხაში ნათქვამია, რომ „თვთუღლი ერისმთავარი თვთოსა ნოინსა შეუდგა და განაჩინეს თათართა ბაჰერისა მთავარნი, რომელსა დუშნისა თავად უწოდეს და გამოარჩიეს მთავარნი, ხოლო არა ნიკთა მქონებელი სამკროთა და რა სახელ უდევს სპა ერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა ტბილისითგან და აღმართა, ვითარ მთა მთამდე შამახისა“<sup>8</sup>. შემდეგ ტექსტი საკმაოდ კარგად არის გამართული და დასახელებული არიან შანშე, რომელსაც ჩააბარეს „მამული მისი და ავაგისი“, ე. ი. ჩრდილოეთ სომხეთი, ვარამი, რომელსაც მისცეს „ყოველი სომხითი“, ე. ი. ქვემო ქართლი, გრა-

3 იმის გამო, რომ ამ ნუსხების ტექსტი „მცხეთური ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობს, საურმაგე კაკაბაძემ „მცხეთური რედაქციის ნუსხები“ უწოდა მათ (ს. კაკაბაძე. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 49).

4 კ. გრიგოლიამ გამოარკვია, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბებულ ტექსტს ეწოდებოდა (კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 285).

5 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 436—478.

6 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, I, მ. ბროსეს გამოც., სპბ., 1849, გვ. 339—447.

7 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, II, გვ. 151—325.

8 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 629.

გოლ სურამელი (მას ჩაბარდა შიდა ქაროლი), გამრეკელ თორელი, რომლის საგამგებლო ვახდა ჭავახეთი, სამცხე და მიმდებარე ტერიტორია არზრუმამდე. დასაველეთ საქართველო, ამავე ცნობის მიხედვით, ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს ჩააბარეს<sup>9</sup>.

რაგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლის თხზულების ძველ რედაქციაში ექვსი ქართველი ღუმნისთავია დასახელებული. ამავე დროს, აღკარაა, რომ ცნობის დასაწყისში ტექსტი შერყენილია. კერძოდ, იქ აღლია სახელი იმ კაცისა, ვისაც „სახელ უდევს სპა ერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა“.

რამდენადაც ძველი რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებით ყოველთვის ვერ ხერხდება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტის ამა თუ იმ ადგილის აღდგენა, ამ საქმისათვის შეიძლება მოვიშველიოთ ვახტანგისეულ ხელნაწერთა ჩვენებანი. ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიას, რომელიც XVIII ს-ის დამდეგს მუშაობდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის რედაქტირებასა და შევსებაზე, ხელთ ჰქონია ისეთი ნუსხებიც, რომელთაც ვერ მოაღწიეს ჩვენამდე. ამდენად, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხების ჩვენებან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტის აღდგენის საქმეში. მაგრამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არის მეცნიერ რედაქტორების ხელიდან გამოსული ტექსტი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ დამახინჯებული და გაუგებარი ადგილების გასასწორებლად და გასამართავად. ძველი რედაქციის ტექსტის რომელიმე გასაგები ადგილის ვახტანგისეული ნუსხის „უკეთესი“ წაკითხვით შეცვლა დაუშვებელია<sup>10</sup>.

სწორედ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხების საფუძველზე ხდება შესაძლებელი ვარკვევა იმისა, თუ ვინ იყო პირველი ღუმნისთავი, ვისაც ჩააბარეს „სპა ერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა“. ეს პროვინება ეგარსლან ბაკურციხელი<sup>11</sup>, ჟამთააღმწერლის დახასიათებით, „კაცი ღრმად მოუბარი ხოლო არა ნიჭთა მქონებელი სამკროთა“<sup>12</sup>.

9 ქართლის ცხოვრება, მაგრამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 623—624.

10 ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტის გამოცემის მეთოდის საკითხისათვის იხ. რ. კიკნაძე. რამდენიმე დაკვირვება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტზე. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 2; რ. კიკნაძე. ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი. — ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976; К и к н а д з е Р. К. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсади Гортиджанидзе и „Картლის цховრება“, Тбилиси, 1980, с. 107—112.

11 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთაბრამეტე საუკუნეში, გვ. 371.

12 ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 523. ეგარსლან ბაკურციხელის შესახებ დაწერ. იხ. რ. კიკნაძე. რამდენიმე დაკვირვება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტზე.

ვახტანგისეული რედაქციის მიერ შემოთავაზებულ ამ ვარიანტს მხარს უჭერს XVII ს-ის ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“, რომელიც ისფაჰანშია დაწერილი<sup>13</sup>. გორგიჯანიძის თხზულების ე. წ. მეორე ნაწილი (თამარის გამეფებიდან XIII ს-ის მიწურულამდე) „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არის შედგენილი. როგორც ირკვევა, გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონია ისეთი ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“, რომელშიც ზოგიერთი ადგილი საკმაოდ დამახინჯებული იყო. ერთი ხელნაწერის ამარა დარჩენილ ისტორიკოსს ვერ მოუხერხებია დამახინჯებული ადგილების სწორად წაკითხვა, რის გამოც ბევრი შეცდომაც დაუშვია. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ გორგიჯანიძის ნუსხა რიგ შემთხვევებში უფრო სწორი, უფრო სრული და უკეთ გამართული ყოფილა, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული ნუსხებია და ის ნუსხებიც, ვახტანგის კომისიას რომ ჰქონდა ხელთ. ამგვარად, გორგიჯანიძემ შემოგვინახა საყურადღებო მასალა თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებათა ტექსტების აღსადგენად.

როგორც ითქვა, გორგიჯანიძესაც მოეპოვება ცნობა საქართველოს დუმნებად დანაწილების შესახებ XIII ს-ის 40-იან წლებში და პირველ დუმნისთავად ისიც ეგარსლან ბაკურციხელს ასახელებს<sup>14</sup>. მართალია, გორგიჯანიძის ტექსტიც არ არის ამ ადგილას სათანადოდ გამართული. მას გამოტოვებული აქვს ეგარსლანისათვის მიცემული ტერიტორიის დასახელება, არ იხსენიება მომდევნო დუმნისთავი შანშე და სხვ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გორგიჯანიძეს დასახელებული ჰყავს ჟამთააღმწერლის თხზულების ძველი რედაქციის ტექსტში გამოტოვებული ეგარსლან ბაკურციხელი.

ამგვარად, ჟამთააღმწერლის თხზულების ძველი ტექსტის, მისი ვახტანგისეული რედაქციისა და გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მიხედვით ირკვევა, რომ მონღოლებმა საქართველო შვიდ დუმნად დაყვეს და შვიდი ქართველი ერისთავი დაუყენეს მათ სთავეში.

როდესაც ივ. ჯავახიშვილი წიგნით ამ საკითხს „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნში და საბუნებოდ განიხილა ჟამთააღმწერლის ზემოთ მოტანილი ცნობა, გამრეკელ თორელის კუთვნილი სამფლობელოს დასახელებისას („გამრეკელ თორელსა... კელთ უღვა ჯავახეთი,

13 თხზულების წერა ფ. გორგიჯანიძემ 1694 წელს დაამთავრა და თბრობაც ამავე წლამდე მოყვანილი (იხ. რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანია“, თბ., 1975, გვ. 22—23).

14 ფ. გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. 2140, ფ. 53.

სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე“) სქოლიოში ფრთხილად შენიშნა: „შესაძლებელია აქ ყუარყუარე ციხისჯვარელ-ჯაყელის სამფლობელოც იყოს, რომლის სახელი იქნებ გადაწერიან იყოს გავრცობილი“<sup>15</sup>. მეტი დასაბუთება ამ ვარაუდისა მეცნიერს არ მოუცია, მაგრამ მოგვიანებით გამოსულ ნაშრომებში უკვე კატეგორიულად ათის თქმული, რომ მონღოლებმა საქართველო რვა დუმნად დაყვეს და მკახუთე დუმნად დასახლებულია ჭავახეთი (დუმნისთავი გამრეკელ თორელი), ხოლო მეექვსედ — სამცხე და მესხეთის დანარჩენი თემები (დუმნისთავი ციხისჯვარელ-ჯაყელი).

ამის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა შეხედულება საქართველოს რვა დუმნად დაყოფის შესახებ. ეს შეხედულება გაიზიარა ყველამ, ვინც კი შეეხო ამ საკითხს<sup>16</sup>. რვა დუმანი იხსენიება საქართველოს ისტორიის სასკოლო და დამხმარე სახელმძღვანელოებსა და რვატომეულშიც.

ამავე დროს არსებობს საკმაო მასალა, რომელიც დაყინებით მაგანიშნებს, რომ საქართველოში მონღოლებს ცხრა დუმანი უნდა შეეკმნათ. კერძოდ, ფარსადან გორგიჯანიძეს აქვს შემონახული პირდაპირი ცნობა საქართველოს ცხრა დუმნის შესახებ. მართალია, გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ შესაბამისი ნაწილი ეამთაღმწერლის თხზულების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ ხშირად მას მოეპოვება ისეთი მასალაც, რომელიც შემორჩენილი არ არის „ქართ-

15 ივ. ჭავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 124.

16 იხ. მაგ., ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XI—XVIII საუკუნეებში. — საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 105; სხვა ჩანაწერში, რომელიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ მონღოლებმა ექვს თუ შვიდ დუმნად დაყვეს საქართველო (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 102); დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.) თბ., 1962, გვ. 187—183; პ. ინგოროყვა. რუსთველიანა.—თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 104; პ. ინგოროყვა. შოთა რუსთველი, გვ. 99—101, 107. (პ. ინგოროყვას აზრით, საქართველო დაყოფილ იქნა ცხრა ოლქად: აქედან საქართველოში იყო რვა ოლქი. ერთი კი შირვანის ავტონომიურ სამეფოში. ეამთაღმწერლის მხედვად, მესხეთი პ. ინგოროყვასაც ერთ დუმნად მიიჩნია, ანისი და დეინი კი ცალ-ცალკე დუმნებად); ი. სიხარულიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 85—86. მ. ბროსეს საერთოდ არა აქვს ნახსენები დუმნების რაოდენობა (მ. ბროსე. საქართველოს ისტორია, ნაწ. პირველი, ტფ., 1895, გვ. 190).

ლის ცხოვრების“ ამჟამად ცნობილ ნუსხებში<sup>17</sup>. სწორედ ასეთი საკმარის ვრცელი ნაწყვეტი აქვს ჩართული გორგიჯანიძეს მულიდების (ასასინების) მიერ ჩალათა ნოინის მოკვლის ამბის თხრობის შემდეგის გადმოგვცემს:

აჲა მართველთაგან ჟაიაადინისაგან გიორგი მჟვის შვილის  
ღავითის თხოვნა

მისწერეს წინგნი: შევეკრებულვართ თათართაგან სრულ ქართველთ მეფენი, თავადნი და ერისთავებიო, დიდნი და პატარანიო, ვითაც რუსუდან დედოფალმანო თავისის შვილის გაბატონებისათვის თორმეტის წლის ყმაწვილი მოსაკლავად გამოიმეტა და ჰგმო ღმერთო, ფიცი ძმისა, მეფის გიორგის და სწვალა ასული ტყველის ძრახვითა, გარდა(ა)გდებინა ძმისწული ყმაწვილი დავით ზღვაშიგან. და ზღვამ სამართალი აღირსა და დაცულ-დაფარული მშრალზედ გაიყვანა. ოა თქვენ მაშინც გუნება არმოწყალებით იქენით და ჯურღმულს<sup>18</sup> საკანსშიგ ჩა(ა)გდებინეთ. და ღმერთმან რუსუდანს გარდა(ა)ხდევინა. თავისავე სიციცხლეში შვილი ჩინეთს დაეკარგა და თვითანაც შვილის ნაღვლით მიიკვალა, და შევიქენით უპატრონოთ. და ცხრათ გაგვეყვას ჩანგიზიანთა და თითოსთითო ნოინი<sup>19</sup> თავად გვიჩინეს, და თითო თუმანი, რომ თურქთ ენით რომ ბევრსა ჰქვიან... სალაშქროთ ეს ბეგარათ დაგვადვა<sup>20</sup>.

ამის შემდეგ ქართველები სთხოვდნენ სულთან ყიას აღ-დინს, „წყალობა გვიყავ და ჩვენის მეფის ძეო ჩვენზედა მეფეთა ჰქენითო“, რადგან „სხვათა ნათესავთ არ მორჩილებენ ქართველნიო“. ამ თხოვნაზე სულთანს უარი უპასუხნია<sup>21</sup>.

როგორც ვხედავთ, გორგიჯანიძე პირდაპირ აღნიშნავს, რომ მონღოლებმა საქართველო ცხრა ადმინისტრაციულ ოლქად გაყვეს და თითოეულს ათი ათასი მეომრის გამოყვანა შეაწერეს. მართალია, მსგავსი თხრობა ქამთაღმწერლის თხზულების დღეისათვის ცნობილ

17 ამის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის. — კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის თხზულების ერთი ადგილი. შევსებისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 4; რ. კიკნაძე. ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 2.

18 ტექსტში — ჩორმალანს.

19 ტექსტში — ნოინს.

20 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 54—55.

21 იქვე, ფ. 55.



ტექსტში არ მოიპოვება, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეკვი შევიტანოთ მის სისწორეში და გორგიჯანიძეს მივაწეროთ მიპი შეთხზვა.

კიდევ უფრო მეტად საინტერესო ცნობა აქვს გორგიჯანიძეს ამავე საკითხზე ცოტა უფრო ადრე, იმ ადგილას, სადაც ქვეყნის დუმნებად დაყოფაზეა საუბარი. ჩვენი ავტორი მოგვითხრობს, რომ რუსულანის გარდაცვალების შემდეგ, „შეიქნა სამეფო საქართველოს უპატრონო... და ვისაც ნამეტნავი ძალა აქონდა, თავის მამულის სიახლენი თავისთვის დაიჭირა. და თითო მთავარი საქართველოსანი თითოზ ნოინჰა<sup>22</sup> თავისთვის დაიჭირეს და თითო ბევრის თავად, რომელსა დუმანი ჰქვიან თურქთ ენით ბევრსა, და საქართველოს დოყუზ თუმან გურჯისტანს ეძახიან, მთავრათ დაჰდგინეს“<sup>23</sup>. ამას მოჰდევს დუმნისთავების სახელდებით ჩამოთვლა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგივე გამოთქმა—„დოღუზ თუმან გურჯისტან“ (თურქ. „საქართველოს ცხრა დუმანი“) რამდენიმეჯერ გვხვდება ძველი ოღუზური საგმირო ეპოსის „დედე ქორქუთის წიგნის“ მეცხრე სიმღერაში<sup>24</sup>, („სიმღერა ამირანზე, ბექილის შვილზე“), რომელიც, როგორც ვარაუდობენ, „ამირანიანის“ გავლენით უნდა იყოს შექმნილი<sup>25</sup>.

მონღოლთა მიერ საქართველოს ცხრა დუმნად დაყოფის ფაქტზე მიგვანიშნებს ისიც, რომ როდესაც 1254 წელს არღუნ ამირმა აღწერა ჩაატარა ამიერკავკასიაში, „გამოკდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მკედარი თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“<sup>26</sup>. ესმთაღმწერლისავე ცნობით, მონღოლები რომ პირველად „მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, იწყეს დარბევად ქუეყანა გაგისა. ცა ესე ვარამ გაგელმან და ივანე ათაბაგმან, და აცნობეს მეფესა ლაშას უცქოსა ჩათესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა, ოკრებად სომხითისა, ხოლო მეფემან მოუწოდა სპათა თვსთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი ათასი მკედარი. და წარემართნეს თათართა კერს, გაგისა ბოლოსა მდგომთა“<sup>27</sup>. აქედან ჩანს, რომ ოთხმოცდაათი ათა-

22 ტექსტში — ნონიმ.

23 ფ. გორგიჯანიძე. დასახ. ხელნაწერი, ფ. 53

24 Книга моего деда Коркута. Огузский героический эпос. Перевод В. В. Бартольда, М.—Л., 1962, с. 83, 84, 85. სემოთ მოტანილი გამოთქმა („დოღუზ თუმან გურჯისტან“) განმარტებული არ არის არც თარგმანში და არც ტექსტის პუბლიკაციებში.

25 Жирмунский В. М. Огузский героический эпос и «Книга Коркута». — В кн.: Книга моего деда Коркута, М.—Л., 1962.

26 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 235.

27 იქვე, გვ. 164.

სი მხედარი ერთგვარად მუდმივი რიცხვი ყოფილა XIII ს-ის საქართველოს სახელმწიფო ლაშქრისა. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონღოლთა მიერ ჭევეყნის დუმნებად დაყოფისა და სალაშქროვ გამოსაყვანი მეომრების რიცხვის განსაზღვრის დროს, პირველ რიგში, მხედველობაში იყო მიღებული ადგილობრივი ტრადიციული დაყოფა და რაოდენობა ლაშქრისა.

როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლისა და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობათა საფუძველზე ირკვევა, რომ მონღოლებს საქართველოში შეუქმნიათ ცხრა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ანუ დუმანი და არა რვა დუმანი, როგორც აქამდე იყო მიღებული ისტორიოგრაფიაში. ახლა ისღა რჩება დასადგენი, თუ რომელი იყო მეცხრე დუმანი და ვის ანდვის დამპყრობლებმა მისი მეთაურობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეცხრე დუმანი („მეცხრე“ სავსებით პირობითია. თუ გავითვალსწინებთ, რომ დუმნებმა ჩამოთვალა აღმოსავლეთიდან იწყებოდა, პირველი გამოვა) უნდა ყოფილიყო ჰერეთი, ხოლო დუმნისთავი — ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი.

რა საფუძველი არსებობს ასეთი ვარაუდისთვის?

როგორც უკვე ითქვა, ჟამთააღმწერლის ცნობით, ევარსლან ბაკურციხელს მონღოლებმა „კელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახისისა“<sup>28</sup>. ამ საზღვრებში, დასახლებული ოლქების იგარდა, ბევრი სხვა თემიც შედიოდა<sup>29</sup> და ერთი დუმნისთავის, ე. ი. ისეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის, რომელსაც ათი ათასი მეომარი უნდა გამოეყვანა, უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა. საფიქრებელია, რომ წყაროს ტექსტი გადაწვერთა მიერ არის გადასხვაფერებული და გამოტოვებულია ჰერეთის ცალკე დუმნად გამოყოფის ამბავი.

თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის დროს მონღოლები ძირითადად ითვალისწინებდნენ აქ უკვე არსებული პოლიტიკური ერთეულების შედგენილობას და დუმნების სათავეში ადგილობრივ ერისთავებს აყენებდნენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცალკე დუმანი უნდა ყოფილიყო ჰერეთი — საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი პროვინცია და მნიშვნელოვანი სანაპირო სავრისთავო, ხოლო მის სათავეში შოთა კუპრი უნდა დაეყენებინათ.

საკითხმა იმის შესახებ, თუ საქართველოში ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შემოღებისას მონღოლებმა რატომ არ დანიშნეს შოთა კუპრი ერთ-ერთი დუმნის უფროსად, ადრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207—208.

<sup>29</sup> ი. სიხარულიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, გვ. 86.

3. ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ ყველა ოლქში უმაღლეს ხელისუფლად დაამტკიცეს ამ დუმანში შემავალი საერისთავოების ერთ-ერთი ერისთავი<sup>30</sup>. ეს წესი მონღოლებმა დაარღვიეს მხოლოდ ჰერეთის ერისთავის შოთა კუპრის მიმართ<sup>31</sup>. შოთა თითქოს მიუღებელი იყო დამპყრობელთათვის იმის გამო, რომ ბოლომდე იბრძოდა მათ წინააღმდეგ და აგრეთვე როგორც რუსუდანის მიერ გაგზავნილი დელეგაციის წევრმა მონაწილეობა მიიღო საზავო მოლაპარაკებაში<sup>32</sup>.

მ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში მონღოლებმა ანგარიში არ გაუწიეს ადგილობრივ სისტემას და იმ დროს, როცა სახეზე იყო ჰერეთის ერისთავი, ჰერეთი საგამგებლოდ სხვას გადასცეს<sup>33</sup>.

უნდა ითქვას, რომ არ არსებობს არავითარი მასალა, რაც მოწმობდეს შოთას მიმართ დამპყრობელთა განსაკუთრებულ არაქეთილგანწყობილებას ან ადგილობრივი სისტემისათვის ანგარიშგაუწველობას. შოთა კუპრი, რომელიც რამდენიმეჯერ იხსენიება ჟამთააღმწერელთან, არაფრით ჰგავს ისეთ ადამიანს, ვისაც სამფლობელო ჩამოართვეს და სხვას გადასცეს, ან ვინც საგანგებოდ დაამცირეს და თავისზე დაბალი რანგის მოხელეს დაუმორჩილეს. შოთა კუპრი ყოველთვის იხსენიება სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, ის ან მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებებს ასრულებს, ან აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შოთა კუპრის სახელი ოთხჯერ გვხვდება ჟამთააღმწერელთან:

1. როდესაც დასავლეთ საქართველოში გადასულმა მეფე რუსუდანმა მონღოლებთან შეთანხმება გადაწყვიტა, მან მოციქულებად გაგზავნა შანშე, ავაგ, ვარამ და შოთა კუპრი<sup>34</sup>.

2. რუსუდანი რომ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა თავის ვაჟთან ერთად, მას მიეგებნენ შანშე, ავაგ, ეგარსლან, შოთა კუპრა, ვარამ გაგელი, გრიგოლ სურამელი, ყვარყვარე ციხისჯვარელი და სხვა დიდებულნი<sup>35</sup>.

30 პ. ინგოროყვა. შოთა რუსთაველი, გვ. 100.

31 იქვე, გვ. 101.

32 ამის შესახებ იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 192; პ. ინგოროყვა. შოთა რუსთაველი, გვ. 97. პ. ინგოროყვას აზრით, „მრავლისმეტყველოა ის ფაქტი, რომ დელეგაციის ოთხ წევრთაგან მონღოლებმა სამი დაამტკიცეს „დუმნის მოვრებად“ (ავაგ მხარგრძელი, შანშე მხარგრძელი და ვარამ გაგელი), ხოლო შოთა რუსთაველის დამტკიცებისაგან თავი შეიკავეს (პ. ინგოროყვა. შოთა რუსთაველი, გვ. 102). სამწუხაროდ, უფრო გასაგებად არ არის განმარტებული, ვერძოდ, რაზე მეტყველებს ეს ფაქტი.

33 მ. ლორთქიფანიძე. რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთაველიანას“ და ეპილოგის“ გამო, გვ. 320.

34 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 192.

35 იქვე, გვ. 195.

3. ეგარსლან ბაკურციხელთან, ცოტნე დადიანთან, ვარამ გაგელთან, გამრეკელ თორელთან, ყვარყვარე ციხისჯვარელთან, სარგის თმოგველთან ერთად შოთა კუპრი დასახელებულია კობტასთავის შეთქმულების მონაწილედ<sup>36</sup>.

4. დავით ლაშას ძე რომ საქართველოში მოიყვანეს რუმიდან, მას მიეგებნენ შანშე, მძის ძე ზაქარია ამირსპასალარი, ყვარყვარე ციხისჯვარელი, გრიგოლ სურამელი, გამრეკელ თორელი, შოთა კუპრი და და სხვა მთავრები<sup>37</sup>.

როგორც ვხედავთ, შოთა კუპრი ყოველთვის იხსენიება იმ ქართველ მთავრებთან ერთად, ვისაც მონღოლებმა დუმნისთავობა დააველეს (ეგარსლან ბაკურციხელი, შანშე მხარგრძელი, ვარამ გაგელი, გრიგოლ სურამელი, გამრეკელ თორელი, ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელი, ცოტნე დადიანი). შოთა აშკარად მათი რანგის დიდებულია. ის არ არის შერისხული და არც სამფლობელო აქვს ჩამორთმეული. შოთა კუპრი ჰერეთის ერისთავია ანუ, მონღოლთა მიერ შემოღებული ნომენკლატურით — ჰერეთის დუმნისთავი.

დასასრულ შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ საქართველო „დოლუზ თუმან გურჯისტან“ იყო, ე. ი. ცხრა დუმნად იყო დაყოფილ, რაც უკვე ექვს აღარ იწვევს, ყველაზე უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ მეცხრე (ან, უფრო ზუსტად, პირველი) დუმანი ყოფილიყო ჰერეთი, ხოლო დუმნისთავი შოთა კუპრი.

## ИЗ ИСТОРИИ МОНГОЛЬСКОГО ВЛАДЫЧЕСТВА В ГРУЗИИ

### Резюме

На основании анализа сведений грузинских исторических источников в статье показано, что в 40-х годах XIII в. монгольские завоеватели разделили Грузию не на 8 туменей, как это принято считать в современной грузинской историографии, а образовали 9 военно-административных округов, что подтверждается встречающимся в историческом сочинении Парсадана Горгиджанидзе (XVII в.) и огузском героическом эпосе «Китаби дэдэм коркут» («Книга моего деда Коркута») выражением — «докуз туман Гурджистан» («девять туменей Грузии»).

В работе высказано также предположение, что девятым туменем (и.лн, точнее, первым, т. к. перечисление туменей начиналось с Востока) мог быть Эрети, а его начальником известный деятель XIII века Шота Купри.

<sup>36</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 215.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 219.

## წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია

### ვლადიმერ ფუთურიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა\*

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის მ-ლწევებში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის მის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გამოჩენილ ქართველ ირანისტ ვლადიმერ სარდიონის ძე ფუთურიძეს. მისი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობა საუკუნეების მიმუშია მეცნიერების უანგარო სამსახურისა.

ვლადიმერ ფუთურიძე დაიბადა 1893 წლის 29 აპრილს ქუთაისში, ხელოსნის ოჯახში. ბავშვობის წლები მან მშობლიურ ქალაქში გაატარა და საშუალო განათლებაც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. ვლადიმერ ფუთურიძე მოწაფეობისას დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისადმი. იგი აქტიურად მონაწილეობდა გიმნაზიის ლიტერატურული წრის საქმიანობაში, კითხულობდა მოხსენებებს ქართული მწერლობის საკითხებზე. 1912 წელს ვლადიმერმა დაამთავრა გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად მიაშურა პეტერბურგს, სადაც უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

XX საუკუნის დასვლეს პეტერბურგი სააღმოსავლეთმცოდნეო მეცნიერების ერთ-ერთი აღიარებული ცენტრი იყო მსოფლიოში. იქაური უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ორიენტალისტები — ნ. მედნიკოვი, ი. სმირნოვი, ვ. ყუუკოვსკი, ბ. ტურაევი, პ. კოკოვკოვი, ნ. მარი, ვ. ბარტოლდი, ე. კრაჩკოვსკი, ა. შვიდტი და სხვები, რომლებიც ცოდნასა და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ახალგაზრდობის აღსაზრდელად. ვლადიმერ ფუთურიძე გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას, ისმენდა ნ. მარის, ვ. ყუუკოვსკის, ვ. ბარტოლდის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. აღონცისა და სხვათა ლექციებს, მონაწილეობას იღებდა ივანე ჯავახიშვილის სემინარებში, სადაც მუშავდებოდა ქართული და სპარსული საისტორიო წყაროები.

\* პირველად დაიბეჭდა 1972 წელს („აღმოსავლური ფილოლოგია“, 11, 1972, გვ. 17—26).

1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქართულ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ამ წრის მიზანი, მისი ხელმძღვანელის განცხადებით, ის იყო, რომ „მისი წევრები საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესწავლას თვითონაც შესწევდნენ და შეძლებისდაგვარად ისეთი საქმის განხორციელებაც ეკისრათ, რომელსაც ქართულ ფართო საზოგადოებასთვისაც მნიშვნელობა ექნებოდა და სარგებლობას მოუტანდა“. გარდა ამისა, სამეცნიერო წრის ერთ-ერთი მიზანი იყო ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა, სადაც მოცემული იქნებოდა „ყველა იმ თხზულებებისა, თუ წიგნების სრული ნუსხა, რაც კი რამ საქართველოსა და ქართველთა შესახებ დაწერილა“.

ამ მიზნების შესაბამისად ქართველი სტუდენტები ამზადებდნენ სამეცნიერო მოხსენებებს, რომელთა წაკითხვა და განხილვა ქართულ ენაზე ხდებოდა. დიდი მუშაობა ტარდებოდა აგრეთვე ბიბლიოგრაფიის შესადგენად. ვლადიმერ ფუთურიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში. 1916 და 1917 წლებში იგი არჩეული იყო წრის გამგეობის თავმჯდომარედ. მანვე მოაწაზა და ერთ-ერთ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება — „მასალები დასავლეთ საქართველოს ხახელმწიფო წყობილების ისტორიისათვის XV—XVIII საუკუნეებში“.

სამეცნიერო წრის წევრებმა რამდენიმე წლის მუყაითი შრომის შედეგად შეადგინეს და 1916 წელს (ე. ი. სწორედ იმ დროს, როცა წრეს ვ. ფუთურიძე თავმჯდომარეობდა) პეტროგრადში გამოაქვეყნეს „ქართული ბიბლიოგრაფიის“ პირველი ტომი, რომელშიც აღრიცხული იყო 1852—1910 წლების ქართულ პრესაში დაბეჭდილი მასალები შეკრებილი დარგების მიხედვით: ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია, ხალხური სიტყვიერება, ძველი ლიტერატურა. წიგნის წინასიტყვაობაში ბიბლიოგრაფიის შემდგენელ სტუდენტთა შორის დასახელებული არიან ჩვენი სასიქადულო მეცნიერები — ვლადიმერ ფუთურიძე, ვუკოლ ბერიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები.

აღმოსავლურ ფაკულტეტზე სწავლის წლებში ვ. ფუთურიძე გაეცნო და დაუმეგობრდა იური მარს და მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქართველ სტუდენტთათვის სპარსული ენის ქრესტომათიის შესადგენად მასალის შერჩევაში.

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით 1912—1917 წლებში ვლადიმერ ფუთურიძემ გაიარა აღმოსავლურ ფაკულტეტის სრული კურსი ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განსრით; სწავლობდა ქართულ, სომხურ, სპარსულ, არაბულ, აფხაზურ, გერმანულ ენებს (ბერძნული და ლათინური გიმნაზიაში ჰქონდა

ნასწავლი), მოიხმინა და ჩათვალა ენათმეცნიერების შესავალი, აღმოსავლეთის ისტორია, აღმოსავლური ხელოვნების ისტორია, ძველი ფილოსოფიის ისტორია, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, სომხეთის ისტორია და გეოგრაფია, ირანის ისტორიული გეოგრაფია, ბიზანტიის ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, სომხური ლიტერატურის ისტორია და სხვა საგნები.

1914 წლის ზაფხულს ვ. ფუთურიძე გაემგზავრა გერმანიაში — კენიგსბერგს, სადაც თითქმის სამი თვე დაჰყო. იქ იგი ვარჯიშობდა გერმანულ ენაში და ეცნობოდა ახალ სამეცნიერო ლიტერატურას. მისი გერმანიაში ყოფნის დროს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ვლადიმერმა დიდი გაკვირვებით მოახერხა რუსეთში დაბრუნება.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ფუთურიძე საქართველოში ჩამოვიდა და თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთგულად და უმწიკვლოდ ემსახურებოდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეს. 1917—1919 წლებში იგი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ქუთაისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, 1920 წელს თბილისში გადმოვიდა და ერთხანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იმუშავა მთავარი ბიბლიოთეკარის მოადგილედ. აქ მან დიდი შრომა გასწია სომხური წიგნების აღწერასა და კატალოგის შედგენაზე. 1921—1926 წლებში ვ. ფუთურიძე კვლავ პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდა, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის ქალთა საოსტატო სემინარიაში; მუშაობდა აგრეთვე შრომის სახალხო კომისარიატის გამომცემლობაში და განათლების მუშაკთა პროფკავშირის მეცნიერ მუშაკთა სექციის მდივნად. ყველა ამ სამუშაოს ვლადიმერ ფუთურიძე მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით ასრულებდა, მაგრამ სულიერ კმაყოფილებას ვერ გრძნობდა. იგი სულ სხვა, უფრო მძიმე, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო საქმისთვის იყო მოწოდებული.

1930 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილმა ირანისტმა ი. მარმა. ვლადიმერ ფუთურიძისა და იური მარის მეგობრობა, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო. ის დიდად აფასებდა ვ. ფუთურიძის განსწავლულობას და კარგად ესმოდა, რაოდენ სასარგებლო იქნებოდა ინსტიტუტისათვის ასეთი ერთდროული მქონე მუშაკი. ი. მარის რეკომენდაციით იმავე 1930 წელს ვ. ფუთურიძე მეცნიერ თანამშრომლად მიიწვიეს კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტში, რომელიც მალე კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტად გადაკეთდა. ვ. ფუთურიძის ცხოვრებაში დაძაბული და ნაყოფიერი მეცნიერული მო-

ღვაწეობის პერიოდი დაიწყო. ამერიიდან მას შესაძლებლობა მიეცა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის მოეხმარებინა.

1933 წელს ვ. ფუთურიძე შუა აზიაში — აწხაბადსა და ბუხარაში მიავლინეს. მივლინების მიზანი იყო სასაუბრო სპარსულის დაუფლება. სპარსულ ხელნაწერთა გაცნობა და აღმოსავლური კალიგრაფიის საფუძვლების შესწავლა. შედარებით მოკლე დროში მეცნიერმა სრულყოფილად ათვისა სპარსულ ხელნაწერებში გამოყენებული სხვადასხვა ხელი (ნასხი, ნასთალიკი, შიქსთე), რამაც, ი. მაჩისი ზიტყვით, მას შესაძლებლობა მისცა თავისუფლად გარკვეულიყო სპარსულ სიგელებსა და საბუთებში. ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომმა ჩიღრმაგებამ ვ. ფუთურიძეს სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის წამყვანი სპეციალისტის სახელი მოუხვეჭა.

1935 წელს კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მახლობელი აღმოსავლეთის სექტორი, სადაც თანამშრომლობდნენ ი. მარი, ვ. ფუთურიძე, მ. ხუბუა, კ. ღმირნოვი და სხვები. მომდევნო, 1936 წლიდან ვ. ფუთურიძემ მუშაობა განაგრძო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა განყოფილებაში, ხოლო შემდეგ გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც თითქმის ოცი წელი დაჰყო.

1935 წლიდან ვლადიმერ ფუთურიძე მუშაობდა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასწავლიდა სპარსულ ენას, ირანის ისტორიას, პალეოგრაფიას, ატარებდა სპეცსემინარებს; სპარსულ ენას ასწავლიდა მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტებსაც. ვ. ფუთურიძემ მოამზადა ნატიფი გემოვნებითა და დიდი პედაგოგიური ტაქტით შედგენილი რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო-ქრესტომათია სპარსული ენის შემსწავლელთათვის. ამ წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს თბილისის უნივერსიტეტში სპარსული ენის სწავლების საქმეში. მათზე აღიზარდა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა თაობები. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ფუთურიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად საქართველოში მოღვაწე ირანისტთა დიდი ნაწილი მისი მის მოწაფეთა აღზრდილნი არიან.

1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. ვ. ფუთურიძე ინსტიტუტის გახსნის პირველი დღიდანვე მიწვეულ იქნა სპარსული ფილოლოგიის განყოფილების გამგედ. ეს ახალი უჭრედი სპარსული ლიტერატურის, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა



და ლექსიკოგრაფიის დარგში კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი კერა გახდა.

სამეცნიერო ხარისხების მოპოვებაზე არ უზრუნია საკუთარი თავის მიმართ დიდად მომთხოვნსა და ბუნებით მოკრძალებულ მკვლევარს. მაგრამ ორივე ხარისხი — მეცნიერებათა კანდიდატისა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორისაც — მას დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭა.

1963 წელს ვლადიმერ ფუთურიძეს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა. აქაც იჩინა თავი მისმა კრძალულობამ და თავდაპირველმა ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ 7 მაისს შედარებით ვიწრო წრეში, მაგრამ იშვიათი გულთაღობით და სიყვარულით აღნიშნა ეს თარიღი. გამოჩენილი ირანისტის იუბილეს გულთბილად გამოეხმაურა ირანის პრესაც. ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა იმ დღეს. მადლიერი მეგობრები, კოლეგები, მოწაფეები ულოცავდნენ მზკოვან მკვლევარს ღირსშესანიშნავ თარიღს, ჯანმრთელობას და მხეგრძელობას უსურვებდნენ მას.

1966 წლის 23 აპრილს ვლადიმერ ფუთურიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. შეწყდა მაჯისცემა დიდი აღამიანის, დიდი მეცნიერის, დიდი მოღვაწისა, ვინც დაძაბული შემოქმედებითი შრომით აღბეჭდილი მთელი სიცოცხლე ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის კეთილდღეობაზე ზრუნვას შეაღია.

ვლადიმერ ფუთურიძე ფართო დიპაზონისა და მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების მქონე მკვლევარი იყო. მას თანაბრად მიუწვდებოდა ხელი ირან-საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას, სპარსული საისტორიო მწერლობისა და მხატვრული ლიტერატურის, სპარსული პალეოგრაფიის, დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. თავისი ნაშრომებით მან საგრძნობი წვლილი შეიტანა თითოეული ამ დარგის განვითარებაში.

ქართული საისტორიო მეცნიერების დიდ მოჭირანახულეს ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ მარტოდენ ქართული წყაროების მიხედვით საქართველოს ისტორიის მეცნიერულად გამართვა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ კვლევა-ძიების დროს იგი ფართოდ იყენებდა უცხოური წყაროების მონაცემებსაც. მაგრამ, დიდი მეცნიერის აზრით, ეს არ კმაროდა. მას აუცილებლად მიაჩნდა ჩვენი მახლობელი თუ შორეული მეზობლების საისტორიო მწერლობის ძეგლთა გულდანამით შესწავლა და საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის შესახებ ცნობათა თარგმნა-კომენტირება, რომ ეს წყაროები ქართველოლოგთა ფართო წრისათვის მისაწვდომი გამხდარიყო. ამ საპატიო ამოცანის შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილისა და იური მარის რჩევით, ვლადიმერ ფუთურიძემ ქართველ მეცნიერთაგან პირველმა

მოჰკიდა ხელი სპარსული საისტორიო და გეოგრაფიული თხზულებების შესწავლას. წლების მანძილზე მან თარგმნა და სპარსულ ტექსტთან ერთად შენიშვნებითურთ გამოაქვეყნა X საუკუნის არაბი გეოგრაფის ისთახრის (მისი თხზულება ადრევე ითარგმნა სპარსულად), იმავე საუკუნის ანონიმური გეოგრაფიული თხზულების „ჰუდუდ ალ-‘ალა-მის“, XIV საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ჰამდალაჰ ყაზვინის, XVI საუკუნის ავტორის ჰასან რუმლუს, XVII ს-ის ისტორიკოსთა ისქანდერ მუნშის, ჰაჯი მეჰდი-კული კაჯარისა და მუჰამედ ტაჰირის ცნობები საქართველოს შესახებ. ამ გამოცემებმა საშუალება მისცეს ქართველ ისტორიკოსებს უფრო ღრმად შეესწავლათ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის მრავალი საყურადღებო საკითხი.

1960 წლიდან, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან აკად. გ. წერეთლის მეთაურობით შეიქმნა საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია, ვლადიმერ ფუთურიძე, როგორც ამ კომისიის მთავარი რედაქციის წევრი, სპარსული წყაროების სერიას განაგებდა. მან თავისი მოწაფეებიც ჩააბა სპარსული საისტორიო წყაროების თარგმნა-კომენტირების საქმეში.

საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროების ძიებამ ვ. ფუთურიძე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში მიიყვანა (ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). იქაური სპარსული კოლექციები რვაასამდე ნუსხას ითვლის. მათ შორის გვხვდება საისტორიო, გეოგრაფიული, ასტრონომიული, სამედიცინო თხზულებებო. ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, მხატვრული ნაწარმოებები. ვ. ფუთურიძემ შეისწავლა და აღწერა ზოგიერთი კოლექცია. მან გამოაქვეყნა რამდენიმე უნიკალური ნუსხა, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მეცნიერებისათვის, მათ შორის არის XI საუკუნის ანონიმური საისტორიო თხზულება „თარიხ-ი სისტან“ ჯალალ ად-დინ რუჰი „მესნევი“, ჰაჯი მეჰდი-კული კაჯარის „ლუბ ალ-ლუბაბ“, მირზა იუსუფ ყარაბაღის „თარიხ-ი საჭი“.

XIX საუკუნის აზერბაიჯანის გამოჩენილი მოღვაწე, ტომით სომეხი მირზა იუსუფ ნერსესოვ-ყარაბაღი ცნობილია როგორც პედაგოგი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე. მას შედგენილი ჰქონდა აგრეთვე ისტორიული ნაწარმოებიც, მაგრამ არც ეს ნაშრომი ჩანდა სადმე და არც მისი სათაური იცოდნენ. ვლადიმერ ფუთურიძემ მიაკვლია მირზა იუსუფის „ისტორიის“ ავტოგრაფს, შეისწავლა ხელნაწერი და საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა მას (1951 წ.). ამ ნაშ-

რომში მოცემულია მირზა იუსუფის ცხოვრება-მოღვაწეობის ნარკვე-ვი და მისი თხზულების, როგორც კავკასიის ხალხთა ისტორიის წყაროს, დახასიათება. „თარიხ-ი საფის“ აღმოჩენითა და შესწავლით ვ. ფუთურიძემ დიდი სამსახური გაუწია აზერბაიჯანის მეცნიერებას, რადგან XIX ს-ის აზერბაიჯანული ისტორიოგრაფია სულ რამდენიმე ნაშრომით არის წარმოდგენილი.

საქართველოს სიძველეთსაცავების ქართული საბუთების კოლექციებზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ვლადიმერ ფუთურიძემ დიურაროდენობით გამოავლინა ქართული დოკუმენტები, აშოებზე გაკეთებული სპარსული მინაწერებით. კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ქალაქლის ერთ ფურცელზე დაწერილი იყო ერთი შინაარსის ორი დამოუკიდებელი — ქართული და სპარსული — საბუთი. 1955 წელს მეცნიერმა გამოსცა ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების სქელტანიანი კრებული, რომელშიც XVI—XVIII საუკუნეთა 192 ორენოვანი დოკუმენტია გამოქვეყნებული. წიგნში მოცემულია თითოეული საბუთის აღწერა, დოკუმენტის ქართული და სპარსული ტექსტები, სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი. გამოქვეყნებულ დოკუმენტებს შორის არის ყმის, მამულის, თანამდებობის წყალობის სიგელები, სათარხნის წიგნები, ბრძანებები და ბრძანებულებანი, ნასყიდობის წიგნები და სხვა სახის დოკუმენტური მასალა.

წიგნს წამძღვარებული აქვს გამოკვლევა, რომელშიც ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის, სპარსული დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული. კერძოდ, ვ. ფუთურიძემ გამოარკვია, რომ ისეთი უჩვეულო მოვლენა, როგორც არის ორენოვანი საბუთები, ირან-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ხასიათით იყო გაპირობებული. ამ საბუთებში ასახულია სეფიანი შაჰების ცდა, აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტები დაენერგათ საქართველოში. ამ მიზანს ემსახურებოდა სპარსულ ტექსტში მოხსენიებული აღმოსავლური სოციალურ-ეკონომიკური ტერმინები: რაიათი, თიული, თიულდარი, სოიურღალი, ბაჟ უ ხარაჯ და ა. შ. ამ ტერმინებს საერთო არაფერი აქვთ ქართულ ფეოდალურ სინამდვილესთან და მხოლოდ ტექნიკურ დანიშნულებას ასრულებენ სპარსულ ტექსტში. ავტორი აღნიშნავს, რომ „ქართული „მამულის“ „თიულად“ გადმოცემაში და, საერთოდ, მთელი ტექსტის სპარსული სათიულო სიგელის წესით აგებაში უნდა გამოიხატებოდეს ირანის მთავრობას ცდა ქართული მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისა, მისი ყიზილბაშური სათიულო წესით შეცვლის მიზნით. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის მოშლით და ყიზილბაშური წესის დამკვიდრებით ირანის მთავრობას იმედი ჰქონდა საბოლოოდ და-

ემორჩილებინა ქართლ-კახეთი და მისი სრული ინკორპორაცია მოეხდინა“ (გვ. IX). ვ. ფუთურძის დაკვირვებით, მას შემდეგ რაც „შაჰის მიერ დააჯანტებული მუსლიმანი ზეფივბისათვისაც ცხადი გაჩნდა, რომ მათ შეეძლოთ ფეხი მოეცილებინათ საქართველოს ტახტზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეეხებოდნენ მიწისმფლობელობის ქართულ წესს და ყიზილბაშური „თიულის“ დამკვიდრების ცდით არ აამხედრებდნენ თავის წინააღმდეგ ქართველობას, ... ორენოვანი საბუთების სპარსულ ნაწილში... სისტემატურად მეორდება „საქართველოს დასტურლამა-ლის“ ხსენება, რომლის მიხედვითაც უნდა შეასრულონ გლეხებმა თავისი ვალდებულებანი „თიულით“ შეწყნარებული პირის წინაშე“ (გვ. IX).

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებამ და უკანასკნელი წლების წარმატებებმა არქეოგრაფიული სამუშაოების გაფართოებაც მოითხოვა — როგორც უკვე გამოცემული წყაროების ხელახალი პუბლიკაცია, ისე, განსაკუთრებით, ახალი წყაროების შესწავლა-გამოცემა. კერძოდ, გადაუდებლად დაისვა აღმოსავლური, მეტადრე სპარსული ისტორიული საბუთების გამოცემის საკითხი. ამ რთული საქმის შესრულება თავს იღო ვლადიმერ ფუთურძემ.

თბილისის სიძველეთსაცავებში სპარსული დოკუმენტების მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი მასალის შემცველი კოლექციები მოიპოვება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და რესპუბლიკის ცენტრალურ საისტორიო არქივში თავმოყრილია ორი ათასამდე სპარსული საბუთი, რომელთა შორის არის ირანის შაჰების ფირმანები და ჰოქმები, ამიერკავკასიის ნახევრადამოუკიდებელი სახანოების გამგებელთა და ქართლ-კახეთის მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის თალაღები და ბრძანებულებანი, ნასყიდობის წიგნები, არზები, სხვადასხვა სახის გარიგებანი, ხელშეკრულებები, ხელწერილები და სხვა საბუთები.

ვლადიმერ ფუთურძემ რამდენიმე წელიწადს იმუშავა სპარსული საბუთების კოლექციებზე. გადაარჩია, განსაზღვრა და აღწერა ყოველი დოკუმენტი. მან შეადგინა დაწერილებითი საინვენტარო სია, რომელშიც მოცემულია თითოეული საბუთის აღწერილობა და მოკლე შინაარსი. ძნელად გასარჩევი შექასთეთი ან შექასთენარევი ნასთალიკით, ხშირად დიაკრიტული ნიშნების ვარეშე ნაწერი სპარსული საბუთების ამოკითხვა და ტექსტის სწორად გაგება საგანგებო დახელოვნებას საჭიროებს და ღრმა განსწავლულობასა და გამოცდილებასთან ერთად დიდ მოთმინებასაც მოითხოვს. ვლადიმერ ფუთურძემ შეასანიშნავად გაართვა თავი ამ მძიმე საქმეს. 1961, 1962 და 1965 წლებში მან გამოსცა პირველი სამი ნაკვეთი სერიისა — „სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში“. ამ სერიის პუბლიკაცია მეცნიერს რამდენიმე ტომად ჰქონდა განზრახული. პირველი ტომი ეთ-

მობოდა ირანის შაჰების მიერ გამოცემულ ბრძანებებს. გამოქვეყნებულ სამ ნაკვეთში მოთავსებულია სეფიანი შაჰების ფირმანები და ჰოქმები, მეოთხეში კი ნადირშაჰისა და კაჯარი შაჰების ფირმანები უნდა დაბეჭდილიყო.

დასახელებულ სამ კრებულში ირანის სეფიანი შაჰების (თაჰმასპ I-ის, აბას I-ის, სეფი I-ის, აბას II-ის, ჯულიმანის, სულთან-ჰუსეინისა და თაჰმასპ II-ის) 111 ფირმანი და ჰოქმია გამოცემული. მათგან 69 საბუთი პირველად ქვეყნდება (22 დოკუმენტი დაბეჭდა მაკარ ხუბუაჰ 1949 წელს გამოცემულ კრებულში. ვ. ფუთურიძე; ეს ფირმანები გამეორებული აქვს საკუთარი, განსხვავებული წაკითხვითა და თარგმანით). ყოველი საბუთის სპარსულ ტექსტს ახლავს დიდი ოსტატობითა და სიზუსტით შესრულებული ქართული თარგმანი და დოკუმენტის აღწერა. აქვე მოტანილია ბეჭდების წარწერებისა და საბუთების „ზურგზე“ გაკეთებული სპარსული მინაწერების ტექსტი და თარგმანიც. წიგნებს დართული აქვს ყველა გამოცემული საბუთის ფაქსიმოლე, რაც კიდევ უფრო ზრდის პუბლიკაციის მეცნიერულ ღირებულებას.

სპარსული ისტორიული საბუთების სამსავე ნაკვეთს წამძღვარებელი აქვს გამომცემლის წინასიტყვაობა ქართულსა და რუსულ ენებზე. ამ მცირე ზომის, მაგრამ მეტად ტევად გამოკვლევებში მოცემულია ყველა აუცილებელი ცნობა გამოქვეყნებული დოკუმენტების შესახებ. პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაში ავტორი გადმოგვცემს საქართველოს წიგნსაცავების სპარსული საბუთების კოლექციების შექმნის მოკლე ისტორიას, გვაცნობს მათ შედგენილობას და საყურადღებო დაკვირვებებს წარმოადგენს ლეონთა ხანის ფირმანებისა და ჰოქმების პალეოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ. აქვე მოცემულია სპარსული საბუთების როგორც საინტორიო წყაროს მოკლე, მაგრამ არსებითი დახასიათება. ვ. ფუთურიძე აღნიშნავს, რომ „ამ საბუთებში მკვლევარი იპოვის ბევრ საყურადღებო ცნობას ჩვენი სამშობლოს და მეზობელ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცხოვრების შესახებ XVI—XIX საუკუნეებში“ (გვ. 08).

სეფიანთა ხანის სპარსული ფირმანები და ჰოქმები უძვირფასეს მასალას შეიცავს ამიერკავკასიის ქვეყნებისა და ირანის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, აგრეთვე სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის საკითხების შესასწავლად. ამ საბუთების, ისევე როგორც ქართულ-სპარსული ორენოვანი დოკუმენტების გამოქვეყნებით საინტორიო მეცნიერებამ მიიღო ახალი სანდო მასალა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მრავალი საყურადღებო საკითხის გარკვევა. ამიტომაც არის, რომ ვლადიმერ ფუთურიძის პუბლიკაციებმა ცხოვე-

ლი გამომხატვება ჰპოვეს და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, ხოლო მათში მოტანილი მდიდარი დოკუმენტური მასალა საფუძვლად დაედო არაერთ სერიოზულ გამოკვლევას.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვლადიმერ ფუთურიძემ ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაშიც. მან საგანგებოდ შეისწავლა ფარსადან გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი და გამოარკვია, რომ ქართველ ავტორს თავისი ნაშრომის წყაროდ გამოუყენებია XIV საუკუნის ირანელი ლექსიკოგრაფის აბუ ნასრ ფარაბის არაბულ-სპარსული გალექსილი ლექსიკონი. 1941 წელს ვ. ფუთურიძემ გამოსცა გორგიჯანიძის ლექსიკონი და წაუმძღვარა გამოკვლევა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. წინასიტყვაობაში მოცემულია ფარსადანის მოღვაწეობის მოკლე დახასიათება, აღწერილია ხელნაწერი, რომელშიც ლექსიკონთან ერთად გორგიჯანიძის სხვა ნაშრომებიც არის აკინძული. აქვე ლექსიკოგრაფიის საყურადღებო აკითხვებიც არის განხილული. ვ. ფუთურიძის დასკვნით, „ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონის მნიშვნელობა არ ამოიწურება იმ ფაქტით, რომ მასში წარმოდგენილია ოდენობით არა დიდი, მაგრამ ფრიად საგულბო სხმო ლექსიკური მასალა მატერიალური კულტურის, ყოფაცხოვრების და სხვ. დარგიდან; ის საინტერესოა აგრეთვე ქართულ-ირანული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლისათვისაც“ (გვ. XIII). აქვე უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე აღმოსავლური ტერმინების განმარტება-ლექსიკონები, რომლებიც ქართულ-სპარსული ორენოვანი და სპარსული ისტორიული საბუთების გამოცემებს აქვს დართული. ამ ლექსიკონებში ზუსტად და მკაფიოდ არის ახსნილი საბუთების ტექსტში ნახმარი აღმოსავლური სიტყვები.

მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებთან უხსოვარი დროიდან მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გამო ქართულ ენაში უხვად იჭრებოდა უცხოური სიტყვები. ზოგიერთი ასეთი სიტყვა მკვიდრად შეისისხლხორცა ენამ, ზოგი კი მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთსა და გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციაში მოქმედებდა და ახლა შესაბამისი პერიოდის საისტორიო და ლიტერატურულ ძეგლებშია გვხვდება (არცთუ იშვიათად, შერყვნილი სახით). განსაკუთრებით ბევრია თანამედროვე მკითხველისათვის, ხშირად სპეციალისტებისთვისაც, გაუგებარი სიტყვები ისტორიულ საბუთებში. ვლადიმერ ფუთურიძემ გულდასმით შეისწავლა ქართული ისტორიული საბუთების ენა, ამრკრიბა და განმარტა უცხოური სიტყვები. ასე შედგა ქართულ ისტორიულ საბუთებში ხმარებული აღმოსავლური სიტყვების ვრცელი ლექსიკონი, რომელიც, მართალია, ჯერ გამოცემული არ არის, მაგრამ უკვე დიდი პოპულარო-

ბით სარგებლობს სპეციალისტთა შორის. ამ სამუშაოა ჩატარების დროს ვ. ფუთურიძეს მეტად გამოადგა ადრე მიღებული დიდი გამოცდილება, როცა ნიკო მარის მასალების მიხედვით დასაბეჭდად გაამზადა „ვისრამიანში“, „ამირან-დარეჯანიანა“ და „რუსუდანიანში“ ნახმარი იშვიათი და ნახესხები სიტყვების ლექსიკონი.

რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა ვლადიმერ ფუთურიძემ სამშობლოს მოწყვეტილ და ირანში გადახვეწილ ქართველ მოღვაწეებს. ავტორის სიტყვით, „XVI—XVII სს. ჩვენ ვხედავთ ერანში მრავალ ქართველს სამხედრო, ადმინისტრაციულ და სხვა სამოქალაქო სამსახურის თანამდებობაზე, რომელთაც ისტორიაში დარჩათ გამოჩენილი მხედართმთავრების, ჭკვიანი და ენერგიული ადმინისტრატორომ მართველების და მსაჯულების სახელები“ („ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ ასპარეზზე“, 1947 წ., გვ. 287). „მაგრამ ქართველი ერის წარმომადგენლები ირანში მართო სამხედრო საქმესა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში კი არ იღებდნენ მონაწილეობას, არამედ მათ ამ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაშიც ეჭირათ გარკვეული ადგილი და თავისი წვლილი შექმნდათ მის საგანძურში“ (იქვე, გვ. 288). ვ. ფუთურიძის ნაშრომების წყალობით, ქართველმა მკითხველმა გაიცნო სახელები და საქმენი ისეთ საინტერესო მოღვაწეთა, როგორებიც არიან მხატვარი სიოლშ-ბეგი, პოეტები ქაიხოსრო-ხანი (მას თოფანგჩიალასის თანამდებობაც სჭერია), ზეინალ-ბეგი, ზურაბ-ბეგი, ფაზლ ალი-ბეგი, შერმაზან-ბეგი, ალი-ხან-ბეგი, სარდალი როსტომ-ხან სააკაძე და სხვები.

ქართულ-აღმოსავლურ ისტორიულ და ლიტერატურულ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული ვ. ფუთურიძის ნაშრომებში: „სამეწიფო წარწერა გრემში“ (1940 წ., აკაკი შანიძესთან თანაავტორობით), „არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ“ (1943 წ.), „ვისრამიანის ორი ადგილის განმარტებისათვის“ (1959 წ.), „ერევნის ხანების წერილები ქართველი მეფეებისადმი“ (1960 წ.) და სხვ.

ვ. ფუთურიძეს გამოსაცემად გამზადებული დარჩა XI საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სელჩუკიანი სულთნების ალფ-არსლანისა და მალიქშაჰის ვაზირის ნიზამ ალ-მულქის თხზულების „სიასეთ-ნამეს“ ქართული თარგმანი, აგრეთვე ნიზამ ალ-დინ შამსა, მუნ ალ-დინ ნათანზის, მირხონდის (XV ს.), ბიჯანის (XVII ს.), მუჰამედ მაჰდი-ხანის (XVIII ს.), მირზა იუსუფ ყარაბაღის (XIX ს.) და სხვა ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ. ვლადიმერ ფუთურიძემ გამოსაცემად მოამზადა XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის ვრცელი საისტორიო ნაწარმოების სრული

ტექსტი (ამ სტრიქონების ავტორთან ერთად) და რუსულად თარგმნა ამავე თხზულების XVI—XVII საუკუნეთა ისტორიის შემკველი ნაწილი.

„სპარსული ისტორიული საბუთების“ მეოთხე ნაკვეთი მეცნიერის მაგიდაზე დარჩა. მან მხოლოდ ნადირშაჰის ფირმანების გამზადება მოაწყო სატარებლად. გარდაცვალების წინა დღეებში იგი „ქვემოთქაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერის სპარსული მინაწერის აქოკიოხვანზე მუშაობდა. უნდოდა დიდი ქართველი პოეტის იუბილეს აღნიშვნაშიც შეეტანა თავისი წვლილი. აკინძვის დროს ხელნაწერისთვის არეები ჩამოეჭრათ, წარწერა დაზიანებული იყო და გაქირავა მისი აღდგენა, მაგრამ მეცნიერი იმედს არ კარგავდა.

ველარ მოასწრო...

ბევრი შემოქმედებითი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი ვლადიმერ ფუთურიძეს, მაგრამ ხალხის, მეცნიერების წინაშე პირნათლად ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. თავისი შრომებით მან ხელუქმნული ძეგლი აიგო მეცნიერების ისტორიაში, რამდენადაც საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა სწორედ წყაროების გამოცემაა. წყაროების მეცნიერული პუბლიკაცია ქმნის იმ მყარ საფუძველს, რომელზეც შემდეგ ისტორიოგრაფიის შენობა იგება. ამიტომაც არის, რომ ვლადიმერ ფუთურიძის ნაშრომები არ ძველდება, პირიქით, რაც უფრო მეტი სიღრმით მუშავდება საქართველოს ისტორიის საკითხები, მით უფრო იზრდება ინტერესი ვ. ფუთურიძის პუბლიკაციების მიმართ. მათ გვერდს ვერ აუვლის ფეოდალური ხანის საქართველოსა და ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა ისტორიის ვერცერთი მკვლევარი.

უაღრესად გულთბილი, სათნო, კეთილი, ერთნაირად თავაზიანი და ყურადღებიანი უფროსისა თუ უმცროსის მიმართ, თავმდაბალი, მოკრძალებული (მაგრამ, ამავე დროს, პრინციპული), უხვი და უშურველი. ასეთი იყო ვლადიმერ ფუთურიძე. ასეთად დარჩა იგი მისი მახლობლების, მეგობრებისა და პატივისმცემლების გულში.

## ЖИЗНЬ И НАУЧНАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ В. С. ПУТУРИДЗЕ

### Резюме

В. С. Путуридзе один из основоположников грузинского востоковедения. Специалист по грузинско-армянско-персидской филологии, он изучил также арабский, абхазский, немецкий, греческий, латинский языки.



В. С. Путуридзе был исследователем широкого диапазона и многосторонних научных интересов. Он одинаково плодотворно занимался вопросами истории ирано-грузинских культурно-политических отношений, персидской исторической и художественной литературы, персидской палеографии, дипломатики, эпиграфики, лексикографии и своими научными трудами внес весомый вклад в развитие каждой из этих отраслей.

В. С. Путуридзе был выдающимся ученым и человеком. Таким же останется он в памяти своих коллег и учеников.

## ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა\*

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივ სამეცნიერო მემკვიდრეობაში საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიაქცია ყურადღება წყაროთმცოდნეობის საკითხებს. „მკვლევარს წყაროთმცოდნეობითი ინტერესები არასოდეს არ შენელებია“<sup>2</sup>. ეს პრობლემატიკა მუდმივად რჩებოდა მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში, მას მიუძღვნა მეცნიერმა არაერთი ფუძემდებლური ნაშრომი, რომლებშიც ჩამოყალიბებულია საყურადღებო დებულებები როგორც თეორიული, ისე კონკრეტული წყაროთმცოდნეობის დარგში.

წყაროთმცოდნეობით ლიტერატურაში აღნიშნულია ის სიძნელებები, რაც თან ახლავს წყაროთმცოდნეობის თეორიიდან პრაქტიკისაკენ და პირუკუ რეალური გადასვლების გზების ძიებას<sup>3</sup>. უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი წარმატებით ართმევდა თავს ამ სიძნელეს. მის ნაშრომებში გვხვდება არაერთი შესანიშნავი ნიმუში ზოგად წყაროთმცოდნეობით დებულებათა პრაქტიკულ მეცნიერულ მუშაობაში გამოყენებისა.

წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიულ ასპექტს, ანუ ისტორიკოსთა წყაროთმცოდნეობითი ნაღვაწის შესწავლასა და შეფასებას, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისტორიკოსის დამოკიდებულება წყაროსადმი, მისი გამოყენების ფორმები და მეთოდები მეტ-

\* პირველად დაიბეჭდა 1978 წელს („ქართული წყაროთმცოდნეობა“ V, №1, 1978, გვ. 86—98).

<sup>1</sup> წაითხვლია მოხსენებლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე (1976 წ. 7—8. X), რომელიც მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს. იბეჭდება მცირე ცვლილებებით.

<sup>2</sup> ე. დონდუა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (აკად. ი. ჯავახიშვილის დაბადებას 85 წლისთავის გამო).—„საისტორიო ძიებანი“, I, თბ., 1967, გვ. 12.

<sup>3</sup> Сб. «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», М., 1969. От редакции, с. 5.

წილად განსაზღვრავენ მკვლევრის პროფესიული ოსტატობის დონეს<sup>4</sup>. ამასთან ერთად, ამ გამოცდილების შესწავლა და განზოგადება აუცილებელია წყაროთმცოდნეთა ახალი თაობების აღზრდისა და დაოსტატებისათვის, წყაროთმცოდნეობის მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის.

წყაროთმცოდნეობის დარგში ისტორიკოსის მოღვაწეობის შედეგების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ორი მხარე: 1. საკუთრივ წყაროთმცოდნეობითი თემატიკისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. მათში მკვლევარი ცდილობს გააანალიზოს წყაროთა რომელსამე სახეობაზე ან ჯგუფზე საკუთარი მუშაობის გამოცდილება და განსაზღვროს რამდენად, რა პირობებში შეიძლება ამ მეთოდოლოგიის გამოყენება სხვა მეცნიერული პრობლემების გადასაწყვეტად. 2. ისტორიის კონკრეტულ პრობლემებზე დაწერილი ნაშრომების წყაროთმცოდნეობითი ასპექტი—გამოყენებულ წყაროთა წრე, წყაროებისადმი დამოკიდებულება, მათი გამოყენების მეთოდოლოგია და ა. შ. ისტორიკოსის საქმიანობის ამ მხარის შესწავლა გულისხმობს მისი შემოქმედებითი ლაბორატორიის დროულ გაცნობას, ეს კი ყოველთვის არ არის ადვილი, რადგან მეცნიერული ძიების პროცესის უდიდესი ნაწილი, როგორც წესი, გამოქვეყნებული შემაჯამებელი ნაშრომის მიღმა რჩება. ამის გამო წყაროთმცოდნეს ზოგჯერ შეიძლება მოუხდეს მთელი იმ მრავალწლიანი სამუშაოს გამეორება, რაც კონკრეტულ-ისტორიული გამოკვლევის ავტორს ჩაუტარებია თავის დროზე<sup>5</sup>.

მცირე მოცულობის ერთ წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ივ. ჯავახიშვილის წყაროთმცოდნეობითი მოღვაწეობის რამდენადმე სრული დახასიათება. ჩვენ არც გვაქვს ამის პრეტენზია. წერილში მხოლოდ აღნუსხულია ამ დიდი შემოქმედებითი შრომის უმთავრესი მომენტები და ყურადღება გამახვილებულია უპირატესად სპეციალურ წყაროთმცოდნეობით ნაშრომებზე. კერძოდ, მოკლედ არის განხილული ისეთი საკითხები, როგორიც არის ივ. ჯავახიშვილს მოღვაწეობა თეორიული წყაროთმცოდნეობის დარგში, მისი წვლილი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის შექმნაში, მისი შეხედულებანი სანატორიო წყაროების მეცნიერული პუბლიკაციის საკითხებზე.

ძირითადი მეთოდური პრინციპები წყაროთმცოდნეობის დარგში ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის რევოლუციამდელ

<sup>4</sup> Чумаченко Э. Г. В. О. Ключевский — источниковед. М., 1970, с. 5; Шмидт С. О. Современные проблемы источниковедения. — В сб.: «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», с. 7.

<sup>5</sup> Журавлев В. В. Некоторые вопросы конкретного источниковедения истории советского общества в литературе 50—70 годов. — В сб. «Источниковедение отечественной истории, 1975». М., 1976, с. 108.

პერიოდში ჩამოაყალიბა. ეს საკითხები გაზექებულია მის ნაშრომში, რომელიც 1916 წელს გამოიცა მრავლისმეტყველი სათაურით: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი პირველი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. ეს წიგნი, ავტორისავე სიტყვით, იწერებოდა თანდათანობით, „ეჟაშითი-ეჟამად“, 1898 წლიდან, და ძირითადად დასრულებული იყო 1910 წლისათვის<sup>6</sup>. ივ. ჯავახიშვილმა განიზრახა დეტალურად შეესწავლა ძველი ქართული საისტორიო ლიტერატურა მიზნის, წყაროებისა და მეთოდების მხრივ<sup>7</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის პირველი გამოცემიდან უკვე 60 წელზე მეტი ხანი გავიდა, მას არ დაუქარგავს მეცნიერული ღირებულება, ხოლო იქ დაბეჭდილი ბევრი ნარკვევი დღესაც რჩება ერთადერთ განმარტებულ ნაშრომად ცალკეული ძველი ქართული საისტორიო თხზულებების შესახებ.

„ძველი ქართული საისტორიო მწერლობით“ ივ. ჯავახიშვილი წარმოგიდგება როგორც ნოვატორი მკვლევარი, როგორც მოაზროვნე წყაროთმცოდნე. მან წამოაყენა და დაასაბუთა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხები.

საისტორიო მეცნიერების მთავარი საშენი მასალაა წყაროდან ამოკრებილი ფაქტები. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიოგრაფიას დიდი წარმატებები ჰქონდა ფაქტების მოპოვებისა და პირველადი დამუშავების საქმეში<sup>8</sup>. აღებული ხანის ქართველ ისტორიკოსებსაც ფაქტების შეგროვება მიაჩნდათ თავიანთ ძირითად ამოცანად. მაშინ „ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკულს შესწავლას ჯეროვანს უურადღებას არ აქცევდნენ“<sup>9</sup>.

საისტორიო წყაროების კრიტიკა წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. კრიტიკის მიზანია წყაროს წინასწარი შესწავლა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა ისტორიული პროცესის ამა თუ იმ მხარის შემდგომი კვლევის საქმეში<sup>10</sup>. წყაროებზე ივანე ჯავახიშვილის მუშაობის მეთოდის სრულად დახასიათებისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ მან სერიოზული უურადღება მიაქცია

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. მეორე-მესამე შეესწავლილი გამოცემა, თბ., 1945, გვ. 7—8.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>8</sup> Историкография. — СИЭ, т. 6, с. 467 (автор Е. Б. Черняк). ა. ზომინი „ფაქტის წყაროთმცოდნეობას“ უწოდებს ამ პერიოდის წყაროთმცოდნეობას (З и м и н А. А. Трудные вопросы методики источниковедения Древней Руси. — В сб.: «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», с. 429).

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 11.

<sup>10</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „წყაროს კრიტიკა“ ნიშნავს მის შესწავლასა და ანალიზს და არა გაკიცხვა-განქიქებას, როგორც ზოგჯერ ეგონათ ხოლმე.

საისტორიო ძეგლების კრიტიკასა და ანალიზს. სწორედ იმ პერიოდში, როცა ივ. ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, XIX საუკუნის მიწურულსა და XX ს-ის დამდეგს, ბურჟუაზიული მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლების, შ. ლანგლუასა და შ. სენიობოსის, ე. ბერნჰაიმის, ა. ლაბო-დანაილევსკის მიერ შემუშავებულ იქნა წერილობითი წყაროების მეცნიერული ანალიზის მეთოდის, რომელიც ითვალისწინებდა წყაროთა ე. წ. გარეგან და შინაგან კრიტიკას<sup>11</sup>, ივ. ჯავახიშვილმა წარმატებით აითვისა და ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის დროს ფართოდ გამოიყენა ეს კრიტიკული მეთოდი. თუ მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში წყაროების მხოლოდ გარეგან კრიტიკას ეწეოდნენ, ივ. ჯავახიშვილმა შემოიტანა შინაგანი „უმადლესი“ კრიტიკა, ფაქტების კრიტიკა. ასეთი კრიტიკული შესწავლის შედეგად, ნ. ბერძენიშვილის მართებული თქმით, ივ. ჯავახიშვილმა „არაერთი საისტორიო წყარო, რომლის სანდობაში აქამდის ეპვიც არავის შესდიოდა, უღობველი კრიტიკის სინათლეზე გამოიტანა და უკუაგდო, არაერთი პატრიოტული გადმოცემა, ხალხური შემოქმედების ლამაზი ნაყოფი, როგორც ისტორიისათვის უვარკისი წყარო, შეუბრალებლად გასწირა“<sup>12</sup>. იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი წყაროთა შინაგან კრიტიკას, რომ თავის ნაშრომებში ხშირად გამოჰყოფდა საგანგებო პარაგრაფებსაც კი, სადაც საგულდაგულოდ არჩევდა და ანალიზებდა წყაროს უკლებლივ ყველა ცნობას საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ისტორიკოსი მოვალეა გამოიყენოს გამოკვლევაში ყველა არსებული წყარო, რომელშიც მოიპოვება მასალა მის მიერ შერჩეული თემისათვის; იგი მოვალეა გაითვალისწინოს წყაროში შემონახული ყველა ფაქტი, მთელი ერთობლიობა ფაქტებისა. წყაროებიდან ამოკრებილი ცალკეული ფაქტების ანალიზის, მათი ურთიერთშედარებისა და შედგომი სინთეზის შედეგად ხერხდება ისტორიული მოვლენის შეძლებისდაგვარად უტყუარი სურათის აღდგენა.

ივანე ჯავახიშვილის კვლევითი მუშაობის მეთოდისათვის დამახასიათებელია ყველა მისაწვდომი, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროს გამოყენება, საისტორიო წყაროში დამოწმებული ყველა ფაქტის

<sup>11</sup> დაწვრ. იხ. П р о н ш т е й н А. П. Методика исторического источниковедения. Ростов-на-Дону, 1976, с. 7—8. სპეციალისტები დღესაც კამათობენ ამ ტერმინებს გამო, მაგრამ ჭრჭერობით „გარეგანი“ და „შინაგანი“ კრიტიკა ჩნარჩუნებს თავის უფლებებს წყაროთმოდნობით გამოკვლევებში.

<sup>12</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. III, თბ., 1966, გვ. 344.

ფიქსირება და გათვალისწინება. ზოგიერთი მკვლევარი ნებისმიერად ირჩევს წყაროდან მასალას, იღებს მისი მოსაზრების დამადასტურებელ ცნობებს და უყურადღებოდ სტოვებს, ჩქმალავს „ზედმეტ“ ფაქტებს. ივ. ჭავჭავიძე, ჩვეულებრივ, ყველა ცნობა მოჰქონდა წყაროებიდან, კრიტიკული განხილვის შედეგად აღგენდა მათ სანდოობას და მხოლოდ ვარჯის მასალას იყენებდა გამოკვლევაში. ამასთან, განსაკუთრებით გულდასმით და ყოველმხრივ იხილავდა იგი იმ ცნობებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მის საკუთარ ჰიპოთეზას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართულ ისტორიოგრაფიაში აქტუალურად იყო მიჩნეული „ქართლის ცხოვრების“ საკითხი. მაგრამ წყაროთა ყოველმხრივი ანალიზის ნაცვლად მაშინდელ ქართველ ისტორიკოსებს უპირატესად აინტერესებდათ თუ ვინ და როდის შეადგინა „ქართლის ცხოვრება“ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მისი თითოეული ნაწილი თანამედროვის მიერ იყო დაწერილი<sup>13</sup>.

საისტორიო წყაროს შედგენის თარიღის განსაზღვრას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სანდოობის დასადგენად, მაგრამ არა გადამწყვეტი. ივ. ჭავჭავიძის საკმარისად არ მიიჩნდა საისტორიო წყაროს განხილვა და შეფასება მხოლოდ მისი ავტორის თანამედროვეობის თვალსაზრისით. მისი აზრით, „მატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამზადარი არ არის, ან თუ მისი შოამბე ღარწმუნო თანადამზადარი და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს“<sup>14</sup>. მკვლევარი თვლიდა, რომ ავტორის თანამედროვეობასთან ერთად აუცილებლად უნდა გამოჩვენებულიყო მისი პიროვნება, განათლება, აზროვნება და მელაყოება. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ივანე ჭავჭავიძე ჟამთააღმწერლის მიერ გამოყენებული წყაროების ხასიათს, ავტორის წერის წესისა და მეთოდის დადგენას<sup>15</sup>.

13 ივ. ჭავჭავიძე. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 11.

14 ივ. ჭავჭავიძე. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 12. ა. პროშტეინის აზრით, თხრობითი წყაროების შესწავლის დროს ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს, რომ თანამედროვე ავტორის ცნობები შეიძლება ყოველთვის არ იყოს უტყუარი, ზუსტი და სრული. წყაროს შემდგენელს შეიძლებოდა არაზუსტი და არასრული ინფორმაცია ჰქონოდა მიღებული. ის შეიძლებოდა რომელიმე მოვლენის უშუალო მომსწრე და მონაწილეც კი ყოფილიყო, მაგრამ ვერ შეენიშნა ზოგიერთი ფაქტი ან ვერ გაეგო მათი მნიშვნელობა, ხოლო მის მიერ მიღებული ინფორმაცია შეიძლებოდა სწორი არ გამოდგარიყო (Пронштейн А. П. Методика исторического источниковедения, с. 449).

15 ივ. ჭავჭავიძე. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 12.

წყართმცოდნეობა წერილობითი წყაროს უტყუარობის დადგენასთან ერთად გადაშრელ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იდეური მიმართულების განსაზღვრასაც. წყაროს შემდგენელი ყოველთვის გვევლინება ამა თუ იმ კლასის, სოციალური ჯგუფის, პარტიის ინტერესთა გამომხატველად. ამიტომაც წერილობითი წყარო ხშირად ტენდენციურია, მიკერძობებს იჩენს გარკვეული პოლიტიკური ძალებისადმი<sup>16</sup>. ამიტომ საისტორიო წყაროს ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასების დროს პირველ რიგში აუცილებელია მისი კლასობრივი ანალიზი. მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს როგორც შესაბამისი ეპოქის თავისებურებანი, ისე წყაროს შემდგენლის კლასობრივი, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, სოციალური, კულტურული კუთვნილება<sup>17</sup>.

ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის აღრინდელ პერიოდში შეითვისა თანამედროვე წყართმცოდნეობის ეს ძირითადი პრინციპი. წყაროს შესწავლის აუცილებელ წინაპირობად მას მიაჩნდა მისი ავტორის ან შემდგენლის პარტიულობის გამორკვევა. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერს დაღს ასეამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომელობაზე მოქმედებს“<sup>18</sup>. ამ დებულების საილუსტრაციოდ ივ. ჯავახიშვილს სათანადო მაგალითებიც მოჰყავდა: „...მეფეთა პოლიტიკის მომხრე კარის მემატიანე მეფეთა საძრახის საქციელს ან სათაილო ამბებს არ შეიტანდა თავის თხზულებაში, მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურთა მიმართ კი სიძულვილს ვერ დაფარავდა და სხვ.<sup>19</sup>

ამგვარად, დღესაც სავსებით თანამედროვედ უღერს ივ. ჯავახიშვილის მოთხოვნა ისტორიკოსის მედასეობის ან პარტიულობის წინასწარ გამორკვევის შესახებ. სწორედ ასეთი მიდგომით, ამ მეთოდით შეისწავლა მან ყოველი ძველი ქართველი ისტორიკოსის შემოქმედება, რამაც საშუალება მისცა მკვლევარს ძირითადად სწორად შეეფასებინა მათი იდეური მიმართულება და, შესაბამისად, თხრობის ობიექტურობაც.

წყართა კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საისტორიო მეცნიერებაში. ივ. ჯავახიშვილმაც მიაქცია ყურადღება ამ პრობლემას. ბუნებრივია, რომ იგი ძირითადად წერალობით ძეგლებს იკვლევდა. მართალია, ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ

<sup>16</sup> Лурье Я. С. О некоторых принципах критики источников. — В сб.: «Источниковедение отечественной истории». I, М., 1973, с. 78; Пушкарев Л. Н. Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с. 24—26.

<sup>17</sup> Шмидт С. О. Современные проблемы источниковедения, с. 41.

<sup>18</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 12.

<sup>19</sup> იქვე.

არ ჩამოუყალიბებია საისტორიო წყაროთა კლასიფიკაციის პრინციპები და არც სრული კლასიფიკაცია მოუცია, მაგრამ წერილობით ძეგლებს იგი ჰყოფდა ორ დიდ ჯგუფად<sup>20</sup> — თხრობით და დოკუმენტურ წყაროებად. თითოეული ამ ჯგუფის შესწავლას მან სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვნა.

ივ. ჯავახიშვილმა გამოარქვია, რომ მრავალსაუკუნოვან ქართულ საისტორიო მწერლობაში არსებობდა ისტორიულ ნაწარმოებთა ყველა სახეობა, დაწყებული უმარტივესი მათიანეებით, რომლებშიც მხოლოდ ამბავია მოთხრობილი, ისეთ რთულ საისტორიო ნაწარმოებებამდე, როგორც არის გიორგი მერჩულეს, ბასილი ზარზმელის, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების და ვახუშტი ბაგრატიონის შესანიშნავი თხზულებები<sup>21</sup>.

მკვლევარმა საგანგებოდ შეისწავლა საისტორიო ნაწარმოებთა აღმნიშვნელი ტერმინები და მათი ანალიზის საფუძველზე დაადგინა შუა საუკუნეთა ქართულ თხრობით წყაროთა ძირითადი სახეობანი. საისტორიო თხზულების უძველესი სახე იყო მოწამეთა ცხოვრების აღწერა — „მარტილობა“ (მისი ქართული შესატყვისია „წამება“). წმინდანთა თავგადასავლის აღსანიშნავად იხმარებოდა „ცხოვება“ („ცხოვრება“). ეს ტერმინი შემდგომში ჰაერთოდ საისტორიო თხზულებათა აღმნიშვნელ სახელად იქცა და სამოქალაქო ისტორიის ძეგლების მიმართაც იხმარებოდა<sup>22</sup>. შედარებით მარტივ, მხოლოდ მოვლენათა აღმნუსხველ ან სიის მსგავსად შედგენილ საისტორიო ნაწარმოებს „მატიანე“ ეწოდებოდა. მაგრამ ზოგჯერ ამ ტერმინს უფრო ფართო მნიშვნელობითაც იყენებდნენ, საერთოდ „ისტორიის“ აღსანიშნავად (დავითის ისტორიკოსი<sup>23</sup>, ვახუშტი ბაგრატიონი). საისტორიო თხზულების აღსანიშნავად გამოიყენებოდა აგრეთვე „ისტორია“ (თამარის პირველი ისტორიკოსი), „ჰამბავი“ ან „ამბავი“ (ლეონტი მროველი, პაპუნა ორბელიანი)<sup>24</sup>. ვა-

20 მეცნიერი „დარგებს“ უწოდებდა ამ ჯგუფებს (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა-მოცოდნობა ანუ დიპლომატიკა. ტფ., 1926, გვ. 111). ლ. პუშკაროვის კლასიფიკაციით, ამ ტერმინის შესაბამისია „გვარი“ (роды — П у ш к а р е в Л. Н. Классификация русских письменных источников по отечественной истории, с. 8, 206—217).

21 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 14.

22 იქვე.

23 ამის შესახებ დაწერ. იხ. კ. ქეკელიძე. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია. — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV, თბ., 1957, გვ. 191—192; კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დაათურების საკითხისათვის. — ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 221—222, 225.

24 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 15.



ხუშტი ბაგრატიონის მიერ გამოყენებული „ქორონიკონების“ გამო შეცნიერი შენიშნავდა, „აქ ცხადია, ევრეთწოდებული მატრიანებია, კენკლოსები და ქრონოლოგიური მინაწერებია ნაგულისხმევი“-ო<sup>25</sup>.

რაც შეეხება წერილობითი ძეგლების მეორე დიდ ჯგუფს — დოკუმენტურ წყაროებს, ივ. ჯავახიშვილმა ასეთი კლასიფიკაცია მოგვცა: 1. სახელმწიფო სამართლის ძეგლები, 2. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები, 3. კერძო ხასიათის საბუთ-წერილები<sup>26</sup>.

როგორც ვხედავთ, ქართული წერილობითი საისტორიო წყაროების ივ. ჯავახიშვილისეული კლასიფიკაცია ემყარება თვით ძეგლებში შემონახული ტერმინების ანალიზს. ასეთი პრინციპი კლასიფიკაციისა, რა თქმა უნდა, არ არის სრულყოფილი. ამის გამო კლასიფიკაციაც არ არის სრული და რამდენადმე მარტივადაც გამოიყურება. ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს იყო ქართული საისტორიო წყაროების კლასიფიკაციის პირველი, საკმაოდ წარმატებული ცდა.

ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვნად უაღფართოვა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. გარდა იმისა, რომ მან ვაპოიყენა ქართული საისტორიო წერილობითი ძეგლების ყველა სახეობა (ისტორიული თხზულებანი, სიგელ-გუჯრები, ეპისტოლური მასალა, სამართლის ძეგლები, ხელნაწერთა მინაწერები. ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.), მანვე პირველმა დააყენა საკითხი ქართული მდიდარი აგიოგრაფიული ლიტერატურის გამოყენებისა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მკვლევარმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ვისაც ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლა სურს, არც შეუძლია და არც უფლება აქვს ქართულ საეკლესიო საისტორიო ძეგლებს, ქართველ მარტვლთა და წმიდათა ცხოვრებებს გვერდი აუხვიოს და განუხილველი დასტოვოს“<sup>27</sup>. ამიტომაც იყო, რომ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ ერთი მესამედი ივ. ჯავახიშვილმა მარტვილობათა და წმინდანების ცხოვრებათა აღწერის განხილვას დაუთმო და აჩვენა მათი მნიშვნელობა როგორც საისტორიო წყაროებისა. კერძოდ, იაკობ ხუცესის თხზულების ღრმა ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ „შუშანიკის ვრცელი „წამება“ ჯერჯერობით უძველესი ქართული საისტორიო ძეგლია და ვითარცა თანამედროვის, თანადამხდურისა და მონაწილის მიერ შედგენილი, ძვირფას და შინაარსიან საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს“<sup>28</sup>. მეცნიერმა შეისწავლა აგრეთვე ქართული

25 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 16.

26 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 36—54.

27 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 13.

28 იქვე, გვ. 54.

აგიოგრაფიული მწერლობის სხვა შესანიშნავი ძეგლები და ადგილი მიუჩინა მათ საისტორიო წყაროების რიგში. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილმა მხოლოდ თეორიულად კი არ აღიარა აგიოგრაფიული ძეგლების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში, არამედ პრაქტიკულადაც გამოიყენა მათში დაკული მასალა არაერთი საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად. მანვე ხაზი გაუსვა აგრეთვე სასულიერო მწერლობის წარმომადგენელთა დიდ დამსახურებას ქართული საისტორიო აზროვნების განვითარებაში. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით. „ქართული სამოქალაქო ისტორიის ისეთი ძეგლების, როგორც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებია. ნამდვილი დიქსება-მნიშვნელობის გათვალისწინება შეუძლებელია, თუკი თავდაპირველად ბასილი ზარზმელის, მეტადრე-კი გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცესმონაზონისა და ეფრემ მცირის საეკლესიო საისტორიო თხზულებები გულდასმით შესწავლილი არ გვექნება“<sup>29</sup>.

დიდი წვლილი შეიტანა ივ. ჯავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში. ჯერ ერთი, მან გამოავლინა და პირველმა შეაწავლა ორი უძველესი ნუშა კრებულისა—ანასეული და ჰალაშვილისეული. მანვე გამოაქვეყნა ან გამოსაცემად მოამზადა „ქართლის ცხოვრების“ სოფიერთი ნაწარმოების ტექსტი (ლაშა გიორგის დროინდელი მეპატიანის, თამარის მეორე ისტორიკოსისა და ბერი ეგნატაშვილის თხზულებები<sup>30</sup>). საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა მკვლევარმა „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროს, შემადგენლობის, თანდათანობით შეესებებისა და გაგრძელების თაობაზე. კერძოდ, მან დაადგინა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ნახევრადოფიციალური ხასიათის კრებულია, რომელშიც მეფეთა ცენტრალური ხელისუფლების მომხრე ავტორთა თხზულებებია შეტანილი. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ქ“-ის წყალობით ქართული საისტორიო წყაროები ცოტა არ იყოს ცალმხრივად არის შერჩეული და შენახული. ამის გამო ჩვენ მარტო მეფეთა პოლიტიკის მომხრე ისტორიკოსების ცნობები გვაქვს, მათ ზოწინააღმდეგეთა მოთხრობა და საბუთიანობა-კი შენახული არ არის“<sup>31</sup>. „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობის დახასიათების დროს მკვლევარი ითვალისწინებდა, რომ „კრებულმა არა ერთი და ორი სა-

29 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 13.

30 ლაშა-გიორგის დროინდელი მეპატიანე, გამოც. ივ. ჯავახიშვილისა, ტფ., 1927; ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940. ბასილი ეზოსმოდლუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოც. ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1944.

31 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 28.

უცხოვო ქართული საისტორიო თხზულება გადაარჩინა დაღუპვისაგან და ჩვენ დრომდე მოაღწევინა“. მაგრამ ამავე დროს მეცნიერი აღნიშნავდა იმასაც, რომ „ქ“ის შედგენამ ერთგვარი ხელოვნურად შერჩეული საისტორიო თხზულებათა კრებული შექმნა, რომელმაც მართალია ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები გადაგვირჩინა, მხოლოდ თავის მხრივ ცოტა არ იყოს დანარჩენ საისტორიო თხზულებების დაღუპვას მანაც ხელი შეუწყო“<sup>32</sup>.

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი, განსხვავებული ხასიათისა და ღირსების საისტორიო თხზულებების კრებულია. იგი გადაჭრით ილაშქრებდა წყაროების დამოწმების იმ „მკვნე და შეუწყნარებელი ჩვეულების“ წინააღმდეგ, როცა მარტივად „ქართლის ცხოვრებას“ იხსენიებენ კონკრეტული თხზულების დასახელების გარეშე. „მკითხველმა უნდა იცოდეს, — დასძენდა ის, — რომელს მემატიანეს აქვს სახელდობრ ესა თუ ის ცნობა მოყვანილი, რომ ამისდა მიხედვით გაითვალისწინოს, თანამედროვეს ეკუთვნის ის ცნობა თუ არა, მემატიანეა მისი ავტორი, ისტორიკოსი თუ უბრალო კომპილატორი“<sup>33</sup>. თანამედროვე მკვლევართათვისაც მეტად მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის მითითება იმის შესახებ, რომ ხაკმარაზი არ არის უბრალოდ „ქართლის ცხოვრების“ დამოწმება. „ყოველი აზრნაწერისა ან მოყვანილი ცნობის შესახებ უნდა აღნიშნული იყოს, რომელ ქართველ ისტორიკოსს თუ უამთააღმწერელს ეკუთვნის სახელდობრ იგი და რომელი თხზულებითგან არის ამოღებული“<sup>34</sup>.

ივანე ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ყოველი თხზულება შესწავლილი და გამოცემული ყოფილიყო ცალ-ცალკე. იგი პრაქტიკულადაც ასრულებდა ამ საყურადღებო მეთოდურ მითითებას, რასაც მოწმობს როგორც მისი ხეშობით დასახელებული პუბლიკაციები, ისე „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ დაწერილი გამოკვლევები, რომლებშიც დადგენილია (ხშირად პირობითად) ამ ნაშრომთა სათაურები, შედგენის დრო და ავტორების ვინაობა, შესწავლილია მათი მედასეობა, იდეუ-

32 ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 312.

33 იქვე, გვ. 12.

34 იქვე.

რი მიმართულება და სხვა მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი საკითხები. ამავე გამოკვლევებში მოცემულია თხზულებათა ტექსტების კრიტიკული ანალიზი, თვალნათლივ არის ნაჩვენები მათი თავისებურებანი და ღირსება-ნაკლოვანებანი. და თუმცა ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ გასული დროის მანძილზე ახალი მასალების გამოვლენისა და შესწავლის კვალობაზე, ზოგიერთი საკითხი დაზუსტდა, ხოლო ზოგი დასკვნა შეიცვალა, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა შესახებ ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილ გამოკვლევებში წამოყენებული და განმარტებული დებულებები (მათ ავტორთა ვინაობისა და თვით ძეგლების დათარიღების შესახებ) დღემდე მტკიცედ დგას ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>35</sup>. ამიტომაც არის, რომ ეს უძველესი ნაშრომი დღესაც ნიადაგსახმარი წიგნია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ყველა მკვლევრისათვის.

უძველესი ხანიდან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ქვეყანასთან. ამის გამო უცხოელ ავტორთა თხზულებებში საყურადღებო ცნობებია შემონახული ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის. ჯერ კიდევ ძველი ქართველი ისტორიკოსები იყენებდნენ ამ მასალას თავიანთ ნაშრომებში. თანამედროვე მკვლევართაგან ივანე ჯავახიშვილმა პირველმა დააყენა უცხოური წყაროების გეგმიანი შესწავლისა და საქართველოს შესახებ ცნობების სისტემატიზაციის საკითხი. მას განზრახული ჰქონდა თავისი კაპიტალური ნაშრომის — „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ — ერთ წიგნში უცხოური საისტორიო მწერლობის განვითარების მიმოხილვა მოეთავსებინა. ამ მიმოხილვაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დათმობოდა ბერძენ-ბიზანტიელთა, სომეხთა და სპარსთა საისტორიო მწერლობის საკითხებს<sup>36</sup>. ამ გეგმით ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა პირველი წიგნი „ძველი სომეხური საისტორიო მწერლობისა“, რომელშიც შესწავლილია სომეხური აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები და განხილულია ის წყაროები, სადაც ცნობები მოიპოვება სომეხური დამწერლობის შექმნის ისტორიისათვის<sup>37</sup>. სამწუხაროდ, მეცნიერმა ვერ მოასწრო ჩანაფიქრის მთლიანად განხორციელება — ამ წიგნის დასრულება და ბერძენულ-ბიზანტიური და სპარსული წყაროებისადმი მიძღვნილი ნაკვეთების დაწერა. სამაგიეროდ ივ. ჯავახიშვილი მხოლოდ თეორიულად როდი აღიარებდა უცხოური წყა-

35 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ივანე ჯავახიშვილი და „ქართლის ცხოვრება“. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 13.

36 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 7.

37 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი სომეხური საისტორიო მწერლობა, I, ტფ., 1935.

როების გამოყენების საჭიროებას. თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ის ხშირად მიმართავდა უცხოელ ავტორთა ცნობებს. პეტერბურგის სახელგანთქმულ სააღმოსავლეთმცოდნეო სკოლაში მიღებულმა ფართო ისტორიულ-ფილოლოგიურმა განათლებამ და ძველი და ახალი ენების ცოდნამ შესაძლებლობა მისცა მას ქართულსა და რუსულთან ერთად დედნებში ესარგებლა ბერძნული, ლათინური, არაბული, სომხური, სპარსული, სირიული წყაროებით, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით. სხვადასხვა ენებზე არსებული საისტორიო წყაროების კომპლექსურად გამოყენებისა და მათი ცნობების შედარებითი მეთოდით შესწავლის შედეგად მკვლევარმა შეძლო სამეცნიერო ბრუნვაში შემოეტანა ახალი ფაქტიური მასალა და წარმატებით გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება თავისი საკუთარი საგნითა და კვლევის მეთოდით ჩამოყალიბდა XX საუკუნის დამდეგს ივანე ჯავახიშვილის შრომებში.

20—30-იან წლებში ისტორიკოსებმა მიზნად დაისახეს შეესწავლათ და აეთვისებინათ არა მარტო ისტორიული ცოდნის ის მარაგი, რაც ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა, არამედ საისტორიო წყაროთა ანალიზის მეთოდებიც<sup>38</sup>. ქართველმა ისტორიკოსებმა აითვისეს და განაზოგადეს ივ. ჯავახიშვილის მიერ წყაროთა კრიტიკული ანალიზის დარგში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება და შექმნეს წყაროების შესწავლისადმი ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ისტორიკოსები განაგრძობდნენ ნაყოფიერ მუშაობას წყარომცოდნეობის დარგშიც, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი განვითარება ახთანაზრად ხდებოდა: იხვეწებოდა წერილობითი ძეგლების შესწავლისა და პუბლიკაციის მეთოდიკა, იცემოდა მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროები, თანდათანობით გროვდებოდა მდიდარი წყარომცოდნეობათა გამოცდილება. მაგრამ ყველაფერი ეს ემსახურებოდა კონკრეტული წყარომცოდნეობის განვითარების საქმეს. პრაქტიკოსი წყარომცოდნენი ერთგვარი უნდობლობით ეკიდებოდნენ წყარომცოდნეობის თეორიას. თეორიული წყარომცოდნეობის დარგში ივანე ჯავახიშვილის მიერ ესოდენ წარმატებით დაწყებულ საქმიანობას, სამწუხაროდ, არ გამოუჩნდა გამგრძელებელი. შესაძლებელია, ეს იმიტაც აიხსნებოდეს, რომ

---

<sup>38</sup> Медушевская О. М. Теоретические проблемы источниковедения в советской историографии 20-х — начала 30-х годов. — В сб. «Источниковедение. Теоретические и методические проблемы», с. 177—180.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ არასაკმარისად მუშავდებოდა ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხები.

საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, წყაროების გამოცემაა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ე. თაყაიშვილის ღიდ დამსახურებას ამ საქმეში, თუმცა ამავე დროს მხოლოდ წინასწარ პუბლიკაციებზე მიაჩნდა მათი გამოცემები და აუცილებელ საქმედ სთვლიდა ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების მეცნიერულად დადგენილი ტექსტების მომზადებას<sup>39</sup>.

იმის გამო, რომ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მეცნიერულად გამოცემის მხრივ ჩვენ ძალზე ჩამორჩენილები ვართ“<sup>40</sup>, ივ. ჯავახიშვილს გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა ამ ჩამორჩენის დასაძლევად აუცილებელი ზომების მიღება. 1938 წ. 9 მაისს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ივ. ჯავახიშვილი კვლავ შეეხო ამ საკითხს და აღნიშნა: „თუ ჩვენ ესლავე არ შევეუდებით ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას, შემდგომი საკვლევი მუშაობისას პირდაპირ გადაულახავ დაბრკალებას წაეაწყდებით. ჩვენ ორიოდ ძეგლის გარდა არაფერი მოგვეპოვება წესიერად გამოცემული“<sup>41</sup>. კერძოდ, მეცნიერს საჭიროდ მიაჩნდა, რომ შემუშავებული ყოფილიყო წყაროების პუბლიკაციის საერთო გეგმა, მათი გამოცემის ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო წესები და გამოსაცემ ძეგლთა ნუსხა. „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად ივ. ჯავახიშვილმა სერიოზული ყურადღება მიაქცია ყველა საისტორიო თხზულების გამოქვეყნების საკითხს და სიაც შეადგინა გამოსაცემი ძეგლებისა<sup>42</sup>.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე გამომცემლთათვის ივ. ჯავახიშვილის მითითება „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ

<sup>39</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 28; ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. „მრავალთაში“, V, თბ., 1975, გვ. 262—265 (ნაშრომი დაწერილია 1936 წ. 6 თებერვალს. ამავე წლის 10 თებერვალს ივ. ჯავახიშვილი ლენინგრადში სწერდა ვ. დონდუას: „ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების გამოცემა უნდა დააწყოს და ამ პასუხსაგები კრიტიკული გამოცემის ტვირთიც მაწვება. დიდი და აუცილებლად საჭირო საქმეა“. — ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი. წინასიტყვა, კომენტარები და შენიშვნები ე. დონდუასი. „მნათობი“, 1958, № 9, გვ. 138).

<sup>40</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემა შესახებ, გვ. 263.

<sup>41</sup> დ. გვრიტიშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1968, გვ. 63.

<sup>42</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 265—266.

თხზულებათა მეცნიერულად აღდგენილი ტექსტების ცალ-ცალკე გამოცემის შესახებ. ვრცელი გამოცელებით, კომენტარითა და სამეცნიერო აპარატით. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, მისი აზრით, „კრებულის ხელახალი გამოცემის დროს, მიზნად მასში შემავალი ძეგლების პირვანდელი ტექსტის აღდგენა კი არ უნდა გვექონდეს მიჩნეულად, არამედ იმ სახით დაბეჭდვა, როგორადაც ეს კრებული საბოლოოდ ჩამოყალიბდა“<sup>43</sup>. ამ მეტად საყურადღებო მეთოდოლოგიური მითითების შესრულება უთუოდ დაიცავს გამოცემელს მრავალი შეცდომისაგან, რომლებიც შეიძლება გაიპაროს სხვადასხვა რედაქციის ხელნაწერთა მხედვით გამოცემულ შერეულ ტექსტში.

ივ. ჭავჭავაძის საგანგებოდ განიხილა წყაროთა პუბლიკაციის სხვადასხვა სახეები<sup>44</sup>. იგი წინააღმდეგი იყო საისტორიო წყაროს ისეთი გამოცემისა, როცა იბეჭდება ერთი, საუკეთესოდ მიჩნეული ხელნაწერის ტექსტი მისი ყველა შეცდომითა და დამახინჯებული ადგილით (ე. წ. დიპლომატიკური გამოცემა). მეცნიერის აზრით, „ასეთი გამოცემა მართო მცირერიცხოვან მკვლევართათვის არის გამოსადეგო, მაგრამ მათთვისაც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ხელნაწერს მაგივრად გამოყენება შეიძლება“<sup>45</sup>.

წყაროს პუბლიკაციის ყველაზე მისაღებ სახედ ივ. ჭავჭავაძის ტექსტის მეცნიერული რეკონსტრუქცია მიიჩნდა. თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ საისტორიო თხზულებათა ტექსტებში გვიანდელი გადაწერების მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით საკმაოდ დამახინჯებულად მოაღწიეს ჩვენამდე, მათი პირვანდელი სახით აღდგენა ტექსტოლოგის უპირველეს მოვალეობად უნდა ვაღიაროთ. ამიტომაც, ივ. ჭავჭავაძის აზრით, „თითოეული ისტორიკოსის თხზულების გ-

<sup>43</sup> ივ. ჭავჭავაძის ი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 266.

<sup>44</sup> დ. ლიხაჩოვის აზრით, წყაროთა მეცნიერული პუბლიკაციის სამ სახე არსებობს: ტექსტის წინასწარი გამოცემა (აქ იგი განასხვავებს ფაქსიმულურ და დიპლომატიკურ გამოცემებს), კრიტიკული გამოცემა და მეცნიერული რეკონსტრუქცია (Лихачев Д. С. Некоторые новые принципы в методике текстологических исследований древнерусских памятников. — «Известия АН СССР. Отд. литературы и языка». 1955, т. XIV, вып. 5, с. 415; Лихачев Д. С. По поводу статьи В. А. Черныха о развитии методов передачи текста исторических источников. — «Исторический архив». 1956, № 3, с. 190).

<sup>45</sup> ივ. ჭავჭავაძის ი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 264 (უნდა ითქვას, რომ ამ წესით განხორციელებული გამოცემა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველესი, მარიამისეული ნუსხისა, ძალზე დღეგრძელი გამოდგა. მას ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.— იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ., 1906).

მოცემის დროს მიზნად უნდა იყოს დასახული ავტორის ტექსტის იმ სახით აღდგენა, როგორც თვით მას ჰქონდა დაწერილი“<sup>46</sup>. რა თქმა უნდა, მეცნიერი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ტექსტების აღდგენა ძალიან რთული საქმეა და დიდ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად ზუსტი მეთოდის მომარჯვებასაც მოითხოვს.

ივ. ჭავჭავიძეილმა ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა გამოცემის ძირითადი პრინციპებიც ჩამოაყალიბა. მას გაუთვალისწინებელი არ დარჩენია გამოსაცემი წიგნების ფორმატი და გარეკანაც კი. დიდი მეცნიერის ეს საგულისხმო მითითებანი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საისტორიო წყაროთა პუბლიკაციის თანამედროვე წესების შედგენის დროს.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ 1936 წელს ივანე ჭავჭავიძეილმა დასახა ქართული საისტორიო წყაროების გამოცემის ფართო პროგრამა და მისი შესრულების კონკრეტული რეკომენდაციებიც მოგვცა. სამწუხაროდ, ეს პროგრამა ჯერაც არ არის მთლიანად განხორციელებული. გამოიცა მხოლოდ აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები (ოთხ ტომად, პროფ. ი. აბულაძის რედაქციით), „ქართლის ცხოვრება“ გაგრძელებებითურთ (ორ ტომად) და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების სრული ტექსტი (აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით) და ზოგიერთი სხვა საისტორიო ძეგლი. ქართველ მეცნიერთა წინაშე დასმულია ძალიან რთული და საპატიო ამოცანა: ივანე ჭავჭავიძეილის მიერ შედგენილი გეგმის შესაბამისად გამოსაცემად მოამზადონ ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების მეცნიერულად დადგენილი ტექსტები. ამ საქმიანობას ივ. ჭავჭავიძეილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად უძღვება საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა 1974 წელს.

ყველა ქართული საისტორიო წყაროს მეცნიერული პუბლიკაციის შესახებ ივ. ჭავჭავიძეილის დანასაქმის შესრულება, გამოჩენილ ქართველ წყაროთმცოდნეთა გამოცდილების განზოგადება და თეორიული წყაროთმცოდნეობის დარგში მუშაობის გაგრძელება საუკეთესო წვლილი იქნება დიდი ქართველი ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

<sup>46</sup> ტექსტების მეცნიერული რეკონსტრუქციის შესახებ დაწერილებით იხ. З н и и А. А. О приемах научной реконструкции исторических источников X—XVII вв. — «Исторический архив». 1956, № 6; Лихачев Д. С. К вопросу о реконструкции древнерусских текстов. — «Исторический архив». 1957, № 6; Азбелев С. Н. Текстология как вспомогательная историческая дисциплина. — «История СССР», 1966, № 4.



## И. А. ДЖАВАХИШВИЛИ И ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ ИСТОРИИ ГРУЗИИ

### Резюме

И. А. Джавахишвили еще в студенческие годы заинтересовался вопросами источниковедения истории Грузии. Эта проблематика и в дальнейшем оставалась в кругу исследовательских интересов ученого, ей он посвятил ряд основополагающих трудов.

В работе на основе изучения специальных источниковедческих трудов И. А. Джавахишвили рассмотрены такие вопросы, как деятельность ученого в области теоретического источниковедения, внутренняя критика источников, их классификация, привлечение памятников агиографической литературы в качестве источников при изучении истории Грузии, вклад в исследование «Картлис цховреба», составление плана-программы публикации грузинских исторических сочинений. Отмечено, что источниковедение истории Грузии как самостоятельная наука, имеющая собственный предмет и метод исследования, сложилась в начале XX века в трудах И. А. Джавахишвили.

---

## ივანე ჯავახიშვილის არქეოგრაფიული საქმიანობა\*

ივანე ჯავახიშვილის ფართო სამეცნიერო მოღვაწეობაში ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს წყაროთმცოდნეობითი პრობლემების დამუშავებას. საკმარისია ითქვას, რომ მის შრომებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. მის სახელთანვეა დაკავშირებული არაერთი სპეციალური ისტორიული დისციპლინის შექმნაც. მნიშვნელოვანა წვლილი შეიტანა ივ. ჯავახიშვილმა, კერძოდ, ქართული არქეოგრაფიის განვითარებაში.

არქეოგრაფია სპეციალური წყაროთმცოდნეობითი დისციპლინაა, რომელიც გარკვეული კუთხით სწავლობს ყველა წერილობით ძეგლს. თავისი საქმიანობის პროცესში არქეოგრაფიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებთან, იყენებს მათ მონაცემებს და მათ მიერ შემუშავებულ მეთოდებს. ესენია, პირველ რიგში, თვითონ ისტორია, წყაროთმცოდნეობა, რომლის ორგანულ ნაწილსაც შეადგენს არქეოგრაფია, აგრეთვე პალეოგრაფია, ტექსტოლოგია, კოდიკოლოგია, ფილიგრანოლოგია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, არქივმცოდნეობა, ფილოლოგიური დისციპლინები და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ არქეოგრაფიის საგნის განსაზღვრის საკითხში ისევე როგორც ბევრი სხვა სპეციალური დისციპლინის საგნისაც, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღესაც გრძელდება კამათი. ეს საესეპო ბუნებრივი ჩანს და გაპირობებულია, პირველ რიგში, მეცნიერების შესაბამისი დარგის ზრდითა და წინსვლით. ჭერ ერთი, რამდენადაც საზოგადოების განვითარება სულ უფრო პასუხსაგებ და რთულ ამოცანებს უსახავს ისტორიულ მეცნიერებას, შესაბამისად რთულდება მისი შემადგენელი სპეციალური დისციპლინების ამოცანებიც, რაც თავისთავად იჩენს თავს მათს განსაზღვრებაშიც. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, სანამ ესა თუ ის მეცნიერი საგანგებოდ არ იკვლევს დეფინიციის საკითხებს, მისთვის ყველაფერი ბოლომდე გარკვეულია ნებისმიერი დისციპლინის საგანსა და ამოცანებში. მას

\* წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1987 წელს. იბეჭდება პირველად.

შეუძლია ადვილად გამოიტანოს განაჩენი, მარტივად გადაწყვიტოს, რომელი მეცნიერებაა მთავარი და რომელი — მეორეხარისხოვანი, წამყვანი თუ დაშვარე. მაგრამ როგორც კი ის ჩაუფიქრდება და ჩაულრმავდება ამ საკითხებს, მაშინვე ბუნებრივად გაუჩნდება უფრო საფუძვლიანი მოსაზრებები, ექვები თითქოს უკვე გარკვეული დასკვნების მიმართ, ახალი წინადადებანი, თავს იჩენს მანამდე უცნობი ასპექტები და ა. შ. ყველაფერი ეს თავისთავად ხელს უწყობს შესაბამისი განსაზღვრებების დაზუსტებას და სრულყოფას.

ასეთი ვითარებაა დღეს, კერძოდ, არქეოგრაფიის დარგშიც.

აღსანიშნავია, რომ ივ. ჭავჭავიძის დროს მეცნიერებათა დიფერენციაცია არ იყო ჭერ ისე გაღრმავებული, როგორც დღეს არის ღა არც შესაბამისი სამეცნიერო ტერმინოლოგია იყო შემუშავებული. უკვე არსებობდა ცნებები, მაგრამ ჭერ არ იყო შემოსული მათი გამომხატველი შესაბამისი ტერმინები. მაგალითად, როგორც უკვე ითქვა, ივ. ჭავჭავიძის სამართლიანად ითვლება ქართული მეცნიერული წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლად, თუმცა ეს ტერმინი მას საერთოდ არ უხმარია. ასევე, არქეოგრაფიულ საქმიანობას დიდი ადგილი ეჭირა მეცნიერის მოღვაწეობაში, მის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, მაგრამ თვითონ ტერმინი „არქეოგრაფია“ ჭერ კიდევ არ იყო გავრცელებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ისტორიოგრაფიაში არქეოგრაფიის საგანთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, კერძოდ, ისიც, შეადგენს თუ არა არქეოგრაფიის ფუნქციას წერილობითი ძეგლების გამოვლენა და აღწერა. ზოგი მკვლევრის აზრით, ეს სამუშაო არქეოგრაფიის საგნობრივ სფეროშიც შედის, ზოგი კი ფიქრობს, რომ ეს უფრო არქივმცოდნეობის ამოცანაა. უფრო მისაღები ჩანს კომპრომისული შეხედულება, რომლის მიხედვით, დამწერლობის ცალკეული ძეგლებს გამოვლენა და შესწავლა არქეოგრაფიული საქმიანობაა (შესაბამისად არსებობს ცნებები — „საველე არქეოგრაფია“, რაც უთუოდ „კაბინეტურს“ უპირისპირდება, და „არქეოგრაფიული ექსპედიცია“. ორივე გულისხმობს ინტენსიურ ძიებით სამუშაოს წერილობითი ძეგლების გამოვლენისა და შეგროვების, მათი აღწერის ხაზით). ამავე დროს, არქივების დაკომპლექტება დაწესებულებათა თუ პირადი წარმოშობის დოკუმენტური ფონდებით — საარქივო სამუშაოა.

იგივე შეიძლება ითქვას წერილობითი ძეგლების აღწერის შესახებაც. ისეთი დოკუმენტური მასალის აღწერა, სადაც აღწერის ერთეულია მრავალი საბუთისაგან შემდგარი საქმე, — საარქივო აღწერაა; თუ თოეული საბუთისა თუ ხელნაწერი წიგნის აღწერა კი არქეოგრაფიის ამოცანაა. ასე ნაწილდება ფუნქციები არქეოგრაფიისა და არქივმცოდნეობას შორის (Черных В. А. О предмете археографии и ее

მეწე ვ კრუგუ სმეჟნჳხ ნაუჩნჳხ დისციპლინ. — სს, 1976, № 6, ს. 50). შესაბამისად არსებობს ჩვენს წყაროთმცოდნეობით პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრებული ცნება „არქეოგრაფიული აღწერილობა“, რაც გულისხმობს ხელნაწერის წინასწარ შესწავლასა და დახასიათებას და, რაც ე. წ. გარეგანი კრიტიკის ნაწილს შეადგენს. ასეთი სამუშაოს ჩატარებისათვის არქეოგრაფია ფართოდ სარგებლობს სპეციალური დისციპლინების მონაცემებითაც.

ბუნებრივია, ასეთი განაწილება ფუნქციებისა პირობითია, არ არის დაკანონებული და არ გამორიცხავს საპირისპირო აზრის არსებობას.

წყაროთმცოდნეობის შემადგენელი სხვადასხვა დისციპლინის მიერ ერთმანეთის ამოცანათა ნაწილობრივი დუბლირება არ უნდა მოგვეჩვენოს მოულოდნელი და მიუღებელი. საქმე ის არის, რომ ეს დისციპლინები სხვადასხვა დროს იქმნებოდა წყაროთმცოდნეობის პრაქტიკიდან. ისინი არ ქმნიან ერთიან მწყობრ სისტემას, სადაც ყველაფერი მკაყრად იქნება განლაგებული წინასწარ გამოყოფილ უჯრედებში. მათ ყველას ერთი აქვთ შესწავლის ობიექტი. ეს არის წერილობითი ძეგლი. მაგრამ სხვადასხვა ასპექტით შეისწავლიან მას. ამავე დროს, ზოგიერთი მათგანის ამოცანა ნაწილობრივ ემთხვევა მეორისას, მეცნიერული ძიების მიმართულებაც ზოგჯერ გადაიკვეთება. მეცნიერების განვითარების პროცესში გრძელდება ამ დისციპლინების შემდგომი დიფერენციაცია, ერთი მხრივ, და მათი ინტეგრაცია, მეორე მხრივ. მაგრამ ყველაფერი ეს ხდება წყაროთმცოდნეობის ფარგლებში. ამდენად, ახლა ალბათ არ ღირს ზრუნვა მათ მკაცრად გამიჯვნაზე, მით უმეტეს, რომ ეს შეუძლებელიც არის პრაქტიკული თვალსაზრისით. უნდა შევისწავლოთ ეს დისციპლინები ისე, როგორც მოქმედებენ ისინი ფაქტობრივად, მათი თავისებურებების გათვალისწინებით.

ამგვარად, წერილობითი ძეგლების გამოვლენა-შეგროვება და აღწერა არქეოგრაფიის ამოცანაა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ივ. ჯავახიშვილს არ მოუხდა ფართო საველე-არქეოგრაფიული სამუშაოს გაწევა. ამ საქმეს მის მხარდამხარ წარმატებით უძღვებოდნენ სხვები. მთ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ე. თაყაიშვილი, რომელიც ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოს ატარებდა ქართული წერილობითი ძეგლების, წარწერების და სხვა სიძველეთა გამოვლენისა და შეკრების საზიო. ბუნებრივად მოხდა წრომის განაწილება და ამან საშუალება მისცა ივ. ჯავახიშვილს მთლიანად მეცნიერული კვლევისთვის დაეთმო თავისი დრო. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილმა შეძლო „კაბინეტური“ მუშაობის პირობებშიც არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლის აღმოჩენით გაემდიდრებინა ჩვენი ისტორიოგრაფია.

როგორც ცნობილია, პეტერბურგის უნივერსიტეტის დანთავრების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაიგზავნა ჯერმანიის, იქიდან დაბრუნებული კი, 1902 წელს ნ. მართან ერთად გაემგზავრა სინას მთაზე იქაური ქართული ხელნაწერების შეწავლისა და აღწერის მიზნით. მკვლევარებმა სამი თვის მანძილზე დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს. ივ. ჯავახიშვილმა, კერძოდ, აღწერა 44 ძველი ხელნაწერი. სამუშაოდ, ეს აღწერილობა (ისევე როგორც ნ. მარსაც) დიდი დავვიანებით გამოქვეყნდა, მეცნიერის ვადაცვლების შემდეგ (1947 წ.).

საფიქრებელია, რომ ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი სამუშაოს დაწყებამდე წინასწარ შეთანხმდებოდნენ ხელნაწერთა აღწერის ძირითად წესებსა და პრინციპებზე.

ივ. ჯავახიშვილს სინურ ხელნაწერთა აღწერა შემდეგი წესის მიხედვით აქვს შესრულებული: საწერი მასალა, ზომები, გარეგანი, ხელნაწერის სისრულე, ფურცელნაკლებობა, ფურცელთა რაოდენობა, პანინაჟი, ხელი, მელანი. შემდეგ მოცემულია ხელნაწერის წინასწარი (თუ სხვადასხვა ნაწარმოებია შეტანილი) და მინაწერები. ნაწევრებია დასაწყისი და დასასრული ფრაზები.

მოგვიანებით, ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის შეადგინა ხელნაწერთა აღწერის წესები. აქ ის განიხილავს ხელნაწერთა აღწერის გარეგანსა და შინაგან მხარეს.

იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი ძეგლების აღწერა ჩვენში, ჩვეულებრივ, იმ კრებულების მიხედვით კეთდება, რომლებშიც ისინი არიან მოთავსებული. ამის გამო ხშირია გამეორებები, რადგან ერთი და იგივე ძეგლი სხვადასხვა კრებულში შეიძლება შეგვხვდეს. ხელნაწერის კრებულებრივ აღწერას ივ. ჯავახიშვილი ექსტენსიურ წესს უწოდებდა, რადგან მასზე ბევრი დრო და შრომა იხარჯება. ხელნაწერთა ყოველი აღწერის მთავარ მიზანს, მისი აზრით, თვით ძეგლთა ტექსტების თავდასახვლისა და შედარებით ღირსების გამოკვლევა შეადგენს. ამ მთავარ მიზანთან შედარებით კრებულის ისტორია ერთ-ერთ კერძო საკითხად უნდა ჩაითვალოს.

ივ. ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა, რომ ყოველ აღმწერგელს ჯერ ხელნაწერის გარეგანი აღწერილობა მოეცა: წიგნი დაკავშულია თუ არა, მასალა და მისი შეკრულობა-აქინძელობა გამოერკვია. განესაზღვრა ხელნაწერის ფურცლების აწინაფელი და თავდაპირველი რაოდენობა, თუ ნაკლებია, სად რამდენი აკლია. ანდერძის მიხედვით ან სხვა გზით მისი შედგენის თარიღის დადგენა (თუ შესაძლებელია). დასასიათება ხელნაწერის დამწერლობისა საზოგადოდაც და მისი ვანსაკუთრებული თავისებურებების მხრივაც. შემკულია თუ არა ხელნაწერი კამარებით ან სახეებით, ან თუ დასურათებულია, სად — გვერ-

დებისა და ფერის ან უამისობის აღნიშვნით. შემდეგ უნდა მოყვანილ იქნეს ხელნაწერის ანაღრძი, თუ ის შენახულია, და ხელნაწერის ყოველკვარი მინაწერი ხელნაწერის თავგადასავლის შესახებ რაიმე ცნობის შემცველი სათანადო გვერდების აღნიშვნით. მერე უნდა აღინუსხოს ხელნაწერის შინაარსი მხოლოდ სათაურების მოყვანით.

ამის შედეგ ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს პრაქტიკული რეკომენდაციები ხელნაწერთა აღწერაზე მომუშავე პირთათვის.

როგორც ვხედავთ, აქ არსებითად გადმოცემულია ის ძირითადი წესები, რომლებითაც ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში სარგებლობდნენ სინას მთის ხელნაწერების აღწერის დროს. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი წესები საფუძვლად დაედო ამ მიმართულებით ჩვენში ფართოდ გაშლილ საქმიანობას. რა თქმა უნდა, პარალელურად ხდებოდა მათი შემდგომი სრულყოფა და დახვეწა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილს წვლილი უდევს იმ დიდ წარმატებებში, რაც დღეს ჩვენში ძველი ხელნაწერების აღწერისა და შესწავლის დარგშია მოპოვებული.

საყოველთაოდ ცნობილია ივ. ჯავახიშვილის დიდი დამსახურება ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ძირითადი ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში. მის სახელთან არის, კერძოდ, დაკავშირებული კრებულის ორი უძველესი ნუსხის გამოვლენა, აღწერა-დახასიათება და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა. 1913 წელს, საქართველოში შევებულებაში ყოფნის ეამს, ივ. ჯავახიშვილი სოფ. ლამისყანაში, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში გაეცნო „ქართლის ცხოვრების“ საკმაოდ დაზიანებულ ხელნაწერს, რომელიც ამჟამად ანაბეული ნუსხის სახელით არის ცნობილი. ათი წლის შემდეგ, 1923 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წიგნსაცავში მანვე ნახა კრებულის კიდევ ერთი ძველი ხელნაწერი, დღეს რომ ჰალაშვილისეული ნუსხის სახელით ვიცნობთ.

თითქოს ორივე აღმოჩენას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ორივე დასახელებული ხელნაწერის არსებობა ხომ ცნობილი იყო. ჰალაშვილისეული ნუსხა სულაც სახელმწიფო მუზეუმის წიგნსაცავში ინახებოდა, არაერთი ადამიანის ხელში გაუვლია, მაგრამ როცა სპეციალისტი წყაროთმცოდნის ხელში მოხვდა ეს ხელნაწერები, მხოლოდ მაშინ გაირკვა მათი რაობა და რეალური ღირებულება. ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით აღწერა ეს ხელნაწერები, გამოარკვია მათი შედგენილობა, დაათარღლა და აჩვენა მათი მნიშვნელობა მეცნიერებასათვის.

არქეოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა წერილობითი ძეგლების გამოსაცემად მომზადების პრინციპებისა და მეთოდების შემუ-

შავება. ივ. ჯავახიშვილს ამ დარგშიც დიდი დამსახურება მიუძღვია. ის ყოველთვის სათანადო ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების გამოცემას.

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ე. თაყაიშვილის ღვაწლს ამ საქმეში, თუმცა მხოლოდ წინასწარ პუბლიკაციებად მიაჩნდა მათი გამოცემები და საჭიროდ თვლიდა ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების მეცნიერულად დადგენილი ტექსტების მომზადებას. მას აუცილებლად მიაჩნდა, კერძოდ, რომ შემუშავებული ყოფილიყო ქართული ისტორიული წყაროების პუბლიკაციის საერთო გეგმა, მათი გამოცემის ერთიანი წესები და გამოსაცემ ძეგლთა ნუსხა.

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ განიხილა წყაროთა პუბლიკაციის სხვადასხვა ტიპი და ყველაზე მსაღებ სახედ მიიჩნია მეცნიერულად აღდგენილი ტექსტის გამოცემა. თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართული ისტორიული მწერლობის ძეგლთა მძიმე მდგომარეობას, მათი პარკანდელი სახით აღდგენა და გამოსაცემად მომზადება წყარომცოდნე სპეციალისტის უპირველეს მოვალეობად უნდა ვაღიაროთ.

ივ. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა ქართული ისტორიული მწერლობის ძეგლთა გამოცემის ძირითადი პრინციპები. ამავე დროს, მან გავითვალისწინა გამოსაცემი წიგნების ფორმატი და გარეკანიც კი.

ამ წესების შედგენა შედარებით გვიან, 1936 წელს მოხდა, მაგრამ უმთავრესი საკითხები წერილობითი ძეგლების გამოსაცემად მომზადებისა ათეული წლების მანძილზე მუშავდებოდა და იხვეწებოდა. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ყოველ პერიოდში ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა წერილობითი ძეგლების გამოსაცემად მომზადებას. ჯერ კიდევ სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ წლებში მან მოამზადა სინას მთის რამდენიმე ქართული ხელნაწერის ტექსტი, რომლებიც აღწერილობასთან ერთად დაიბეჭდა 1947 წელს. (მათ შორის: იოანე მინჩხის ჰიმნები, „წამებაჲ წმიდისა ბიკტორისი და სტეფანია ნეტარისა დედაკაცისაჲ“, „წამებაჲ წმიდისა იგნატი ანტიოქელ პატრიარქისაჲ“, „მოსაკსენებელი და მართიანე პატროსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ“ და სხვ.). მანვე მოამზადა დასაბეჭდად გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“, ვრცელი და სვინაქსარული ტექსტები (გამოიცა 1946 წ.). ძირითად ტექსტს საფუძვლად დაედო 1074 წელს გადაწერილი ნუსხა. ივ. ჯავახიშვილმა გამოსაცემად მომზადების დროს თხზულება დაყო თავებად და მუხლებად, გამართა ტექსტი ძველი ორთოგრაფიის მიხედვით, ხელნაწერთა მიხედვით გაუწყო კითხვასხვაობანი.

ივ. ჯავახიშვილის სახელთანვეა დაკავშირებული ქართული პალიმფსესტების აღმოჩენა, მათი ტექსტების გაშიფვრა და დათარიღება,

რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად იქნა აღიარებული ქართულ წყაროთმცოდნეობაში.

უნდა ითქვას, რომ ეს ხელნაწერებიც ცნობილი იყო მკვლევართათვის, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა შესაძლებელი მათი დათარიღება, მათი რაობისა და მნიშვნელობის დადგენა, როცა სპეციალისტმა გარკვეული ზიზანდასახულობითა და მეთოდით წაიკითხა და შეისწავლა ისინი. ივ. ჯავახიშვილმა საგანგებო გამოკვლევა გამოაქვეყნა უძველესი ქართული ხელნაწერების შესახებ, რომელსაც დაურთო მას მიერ გაშიფრული ხანმეტი ტექსტების ნიმუშები.

უკვე ითქვა, რომ ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია „ქართლის ცხოვრების“ ორ უცნობ ხელნაწერს. ორივე ზემოთ დასახელებული ხელნაწერი, როგორც ანასეული, ისე ჰალაშვილისაეულის ძველი ნაწილიც, ძველი ციკლის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს შეიცავს. ამავე დროს გამოირკვა, ისიც, რომ ორივე ერთგვარად „არასტანდარტული“ შედგენილობისა იყო და განსხვავდებოდა უკვე ცნობილი მარიამისეული ნუსხისაგან. კერძოდ, სუმბატ დავითისძის, თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებათა ნაცვლად ანასეულ ნუსხაში შეტანილი აღმოჩნდა დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი ლაშას მეფობათა აღწერის შემცველი მოკლე თხზულება (ივ. ჯავახიშვილმა მას პირობით „ლაშა გიორგის დროინდელი მატთანე“ უწოდა), ხოლო ჰალაშვილისეულის ძველ ნაწილში — თამარის მეფობისადმი მიძღვნილი ნაშრომი (ივ. ჯავახიშვილის პირობითი დასათაურებით „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ახალში კი „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების სრული ტექსტი.

ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე სწორად განსაზღვრა დასახელებულ თხზულებათა მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ამიტომ, რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი შინაარსი მ. ბროსეს, ზ. ჭიჭინაძისა და ე. თაყაიშვილის გამოცემების წყალობით ქართველი მკითხველისათვის ცნობილი იყო, მან გამოსაცემად მოამზადა ახლად გამოვლენილი სამი ძეგლის ტექსტი სათანადო სამეცნიერო აპარატით. ეს ტექსტები დაიბეჭდა შესაბამისად 1927, 1940 და 1944 წლებში.

1935 წლის ზაფხულში ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით და მეცნიერული ხელმძღვანელობით განხორციელდა მანამდე არნახული მასშტაბის ექსპედიცია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთდროულად გაიგზავნა 26 კაცი შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შესაყრებად. ექსპედიციის წევრებმა ორი თვის განმავლობაში მოიარეს თითქმის მთელი საქართველო და შეკრიბეს დიდი მოცულობის მასალა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა „წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედია“ უწოდა.



ისტორიული წყაროების კლასიფიკაციას მკვლევარნი სხვადასხვა პრინციპს უდებენ საფუძვლად. არსებობს კლასიფიკაცია პრობლემა-ბის მიხედვით, წარმოშობის, შენახვის ადგილის, წყაროში ინფორმა-ციის კოდირების მეთოდის მიხედვით და ა. შ. შედარებით უფრო მი-ღებულია ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია შემდეგ ტიპებად: წე-რილობითი, ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ენობრივი, ფოტო-კინო-ფონო მასალები. გამოყოფენ აგრეთვე სახვით წყაროე-ბად. ს. შშილტს საუბროდ მიაჩნია ასევე, რომ ნივთიერ, სახვით, ბგე-რით, გეგვით წყაროებთან ერთად გამოიყოს სიტყვიერი წყაროების ტიპი, რომელშიც შევა ფონო-დოკუმენტები, სასაუბრო ენა, ზეპირი შემოქმედების ძეგლები, წერილობითი წყაროები (ეთნოგრაფიულას ჩათვლით).

სწორედ სიტყვიერი წყაროების ტიპს განეკუთვნება ივ. ჯავახიშვი-ლის თაოსნობით შეკრებილი მდიდარი მასალა. ამ მასალამ არსებითად წერილობითი წყაროს სახე მიიღო და ისე მოვიდა მკვლევრებთან. მარ-თალია, მთელი ეს მასალა თანამედროვე მეცნიერთა მიერ არის ფიქ-სირებული, მაგრამ იბეჭდება როგორც წერილობითი ძეგლები. ამი-ტომ მისი გამოსაცემად მომზადების დროს ძალაში შედის არქეოგრა-ფია და მის მიერ შემუშავებული წესები და პრინციპები. ამიტომ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილი წერდა ლენინგრადში ვ. დონდუას: „დღე და ღა-მე ამ ჩამოტანილი მასალების გამოსაცემად დამზადებისათვის ვმუშა-ობო“. ივ. ჯავახიშვილი არქეოგრაფიულად ამუშავებდა და ამზადებდა შინაპრეწველობის მასალებს სასტამბოდ. სამწუხაროდ, მის სიცო-ცხლესი ამ მასალის გამომზეურება ვერ მოხერხდა და მხოლოდ ახლა ხორციელდება ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი გეგმის შესაბა-მისად.

როგორც ვხედავთ, არქეოგრაფიის სამოქმედო ასპარეზი უფრო ფართოა, ვიდრე საკუთრივ წერილობითი ტიპის ისტორიული წყა-როები.

ამგვარად, არქეოგრაფია სპეციალური წყაროთმცოდნეობითა დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის წერილობით ძეგლებს მათი გა-მოვლენის, აღწერისა და გამოსაცემად მომზადების პრინციპებისა და მეთოდების შემუშავების მიზნით და პრაქტიკულადაც ახორციე-ლებს და უძღვება ამ საქმეს. ამ ფუნქციით შედის არქეოგრაფია წყა-როთმცოდნეობის შემადგენლობაში.

როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილმა თვალსაჩინო, არსებითი ხა-სიათის წვლილი შეიტანა ქართული არქეოგრაფიის ყველა დასახელე-ბული ასპექტის განვითარებაში.

## АРХЕОГРАФИЧЕСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

### Резюме

В статье описывается плодотворная археографическая деятельность И. А. Джавахишвили, рассматриваются задачи и функции археографии как специальной источниковедческой дисциплины.

## საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი\*

(ვ. დონდუას დაბადების 90 წლისთავი)

ქართული ისტორიოგრაფიის სახელოვან მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამოჩენილ მკვლევარს — ისტორიკოსსა და ფილოლოგს — ვარლამ დარისპანის ძე დონდუას, რომელმაც თავისი განუმეორებელი წვლილი შეიტანა მრავალი ქართველოლოგიური დისციპლინის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ვარლამ დონდუა დაიბადა 1895 წ. 21 სექტემბერს (3 ოქტომბერს), ქ. ქუთაისში გამრჯე და პატიოსან მშრომელთა მრავალშვილიან ოჯახში. ქუთაისის სახელგანთქმული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ა ერთ ხანს მასწავლებლობდა მშობლიური ქალაქის საშუალო სასწავლებლებში, ოციანი წლებიდან კი თბილისში გადმოვიდა და აქ განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა. ცოდნისმოყვარე ქაბუკმა გიმნაზიაში სწავლის წლებშივე გამოიჩინა მიდრეკილება მეცნიერული მუშაობისადმი. უკვე 1914 წელს, ქუთაისში, „საისტორიო ბიბლიოთეკის“ სერით გამოიცა გერმანელი ორიენტალისტის ა. მიულერის ნაშრომებზე მიხედვით მის მიერ შედგენილი ორი წიგნაკი — „მაჰმადი და მისი მოღვაწეობა“ და „ისლამი და არაბთა სახელმწიფო“. თბილისის სკოლებში მასწავლებლობასთან ერთად ვ. დონდუა შეთავსებით მუშაობდა არქივარიუსად საქართველოს ცენტრალურ არქივში, სადაც ვატაცებით ეცნობოდა საისტორიო მასალებს და ემზადებოდა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

1923—1924 წლებში ვ. დონდუა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის სემინარში. ის აქ დიდი ინტერესით სწავლობდა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას, ეუფლებოდა მეცნიერული კვლევის მეთოდებს. ივ. ჯავახიშვილთან მუშაობამ დიდი გავლენა მოახდინა ვარლამ დონდუას პიროვნების ჩამოყალიბებაზე და საბოლოოდ განსაზღვრა მისი კვლევითი საქმიანობის შემდგომი მიმართულება.

\* პირველად დაიბეჭდა 1935 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 3, გვ. 171—178).

1924 წელს ივ. ჭავჭავაძის რჩევით და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით ვარლამ დონდუა ჩაირიცხა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ლინგვისტურ ფაკულტეტზე. ამის შემდეგ მთელი მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლენინგრადთან. თავის უფროს ძმასთან, გამოჩენილ ენათმეცნიერ კარპეზ დონდუასთან ერთად მან დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის ამ დიდ სამეცნიერო ცენტრში კავკასიისმცოდნეობის განვითარებას.

უნივერსიტეტის დამთავრებისას (1927 წ.) ვ. დონდუამ წარადგინა და საჭაროდ დაიცვა სადიპლომო ნაშრომი, რომელიც ეტიფანე კათალიკოსის ანისის წარწერის (XIII ს-ის პირველი მეოთხედი) შესწავლას მიეძღვნა. დიპლომანტი ხელმძღვანელი აკად. ნიკო მარი, რომელმაც თვითონ აღმოაჩინა ეს წარწერა ანისის ნანგრევებში, აღადგინა და გამოსცა ის 1910 წელს, ვ. დონდუას გამოკვლევის გამო წერდა, რომ დამწეებმა მეცნიერმა „შინაარსით უნიკალურ წარწერას შესწავლილობის მხრივაც უნიკალური ძეგლის მნიშვნელობა მიანიჭა“. ეს ნაშრომი გამოქვეყნდა 1935 წელს (მეორედ გამოიცა 1967 წ.), მაგრამ მას დღესაც არ დაუქარავეს მნიშვნელობა როგორც ეპიგრაფიკული ძეგლის მონაცემების სრულყოფილი ინტერპრეტაციის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.

ლენინგრადის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სადაც მან საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური განათლება მიიღო, ვ. დონდუამ სწავლა განაგრძო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით სპეციალდებოდა კავკასიის, განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიაში. „ჩემი მეცნიერული ზრდისათვის, — წერდა მოგვიანებით ვ. დონდუა, — გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უსახლვროვ გულისხმიერ დამოკიდებულებას ჩემი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების მიმართ, რასაც იჩენდნენ თ. უსპენსკი, ნ. მარი, ი. ორბელი, ივ. ჭავჭავაძე (თბილისი), რომელთანაც მჭიდრო კონტაქტი მქონდა მიწერ-მოწერით“.

1929 წლიდან ვ. დონდუა კითხულობდა ლენინგრადის უნივერსიტეტში კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსს, ხოლო 1932 წლიდან — ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული პალეოგრაფიის კურსებსაც. ამავე დროს შეთავსებით მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (1934—1942), ენისა და აზროვნების ინსტიტუტში (1934—1936) და ცენტრალური საისტორიო არქივის ლენინგრადის განყოფილებაში (1931—1932).

დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, ბლოკადის მძიმე დღეებში, ვ. დონდუა ალყაშემორტყმულ ლენინგრადში განაგრძობდა თავდადებულ საქმიანობას, ლექციებით გამოდიოდა საბზენდრო ნაწილებში, მონაწილეობას ლებულობდა ქალაქის დასაცავ ღონისძიებათა განხორციელებაში. 1942 წ. თებერვალში ლენინგრადიდან ევაკუირებული ვ. დონდუა თბილისში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი<sup>6</sup>), სადაც 1954 წლიდან გარდაცვალებამდე (1969 წ.) ხელმძღვანელობდა წყაროთმცოდნეობის განყოფილებას.

ვარლამ დონდუა ფართო განათლებისა და მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების მკვლევარი იყო. მის ნაშრომებში განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური, კულტურის ისტორიის საკითხები ანტიკურობიდან XVIII საუკუნემდე. თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მან ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის წყაროთმცოდნეობისა და მისი შემადგენელი სპეციალური ისტორიული დისციპლინების — არქეოგრაფიის, დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიის, ტექსტოლოგიის განვითარებაში.

ძველი საქართველოს ისტორიის პრობლემებს მიეძღვნა ვ. დონდუას ნაშრომები „ადრემონათმფლობელური ხანის საქართველო“ და „ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა საქართველოში“, რომლებიც „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოსთვის დაიწერა. ამ ნაკვეთებში ბერძნულ-ლათინური, ქართული, სომხური წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის კომპლექსურად გამოყენების საფუძველზე შესწავლილია პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კულტურის ისტორიის კვლევას. გამოთქმულია ორიგინალური მოსაზრებები, რომლებიც წარმოაჩენენ ავტორის ფართო ერუდიციას, მის კვლევით ინტერესებს.

განსაკუთრებით იზიდავდა ვარლამ დონდუას ქართული ფეოდალური სახელმწიფოს დიდი აღმავლობის პერიოდი — რუსთაველის ეპოქა. ამ ხანის ისტორიას მიუძღვნა მან თავისი რამდენიმე საუკეთესო გამოკვლევა, რომლებშიც დახასიათებულია მთელი მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს სავარაუდო თუ საშინაო პოლიტიკის, შინაგანი ცხოვრების, კულტურის, ისტორიული და სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების ძირითადი საკი-

<sup>6</sup> დღეს ამ ინსტიტუტს ჰქვია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (რედ. შენიშენა).

თხები. ავტორს განსაზღვრული აქვს ეპოქის ჩარჩოებიც, სამართლიანად შენიშნავს, რომ „რუსთაველის ეპოქა, ამ ცნების ჩვეულებრივ გაგებით. უფრო ფართო ქრონოლოგიურ ფარგლებში იშლება, ვიდრე თამარის მეფობა“. ამის შესაბამისად ნაჩვენებია ეპოქის ძირითადი თავისებურებანი.

სათანადოდ აისახა ვ. დონდუას შემოქმედებაში XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხები, მეტადრე საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორია. ამ პრობლემატიკის ნაშრომებიდან შეიძლება დავასახელოთ — „რუსეთთან საქართველოს შეერთების გამო“, „ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან“, „რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ ისტორიულ ტრაქტებზე“, „ვახტანგ VI პოლიტიკური ორიენტაციის ძიებაში“, „დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია“. ამ ნაშრომებში განხილულია ქართველი და რუსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ფაქტები. გამოკვლევაში „დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია“ საგანგებოდ არის შესწავლილი საქართველოს სამეფო კარის ურთიერთობა რუსეთთან პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით, დახასიათებულია „დავითიანი“ როგორც ისტორიული წყარო.

დიდი დრო და ენერგია შეაღია ვ. დონდუამ იოანე ბაგრატიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. მას აღნიშნული აქვს, კერძოდ, რომ იოანეს „კალმასობა“ ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია, რამაც საშუალება მისცა ავტორს ხელოვნურად გაეერთიანებინა მასში, ერთი მხრით, იმ დროს ცნობილი „მეცნიერებანი“, ხოლო, მეორე მხრით, ის ვრცელი მასალა, რომელშიც მეტ-ნაკლებად სრულად აისახა ავტორის დროინდელი საქართველოს ცხოვრება ვ. დონდუას დადგენილი აქვს ტერმინ „კალმასობას“ ეტიმოლოგია და შინაარსი, ამ მოვლენის სოციალური არსი. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ფეოდალური საზოგადოების სინამდვილეში კალმასობა ფრიალ ძველი და ფართოდ გავრცელებული მოვლენა ყოფილა.

ვარლამ დონდუამ სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე გამოიჩინა ცხოველი ინტერესი წყაროთმცოდნეობითი პრობლემებისადმი. ეს პროფესიული ინტერესი, დიდი ცოდნითა და გამოცდილებით შემადგრებელი, მუდმივად თან სდევდა მის საქმიანობას და ვლინდებოდა როგორც ისტორიული წყაროების ცნობათა გულდასმით, ყოველმხრივ ანალიზში, მათი სწორად და სრულად ამტყვევლების უნარში, ისე ისტორიული ტექსტების გამოსაცემად მომზადების ხარისხსა და სპეციალური წყაროთმცოდნეობითი საკითხების მაღალ მეცნიერულ დო-

ნეზე დამუშავებაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვ. დონდუამ პირველმა სცადა წყაროთმცოდნეობის საგნის განსაზღვრა: „წყაროთმცოდნეობას, როგორც საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ დისციპლინას, თავისი დიდი საგანი აქვს: იგი მოწოდებულია შეიმუშაოს ისტორიის წყაროთა (სპეციალურად იგულისხმება — წერილობით ძეგლთა და მათთან ერთად წარწერათა) კრიტიკული შესწავლისა და მოხმარების ხერხები და მეთოდები“. მანვე ხაზი გაუსვა ისტორიული წყაროს ე. წ. გარეგანი და შინაგანი კრიტიკის ამოცანებს, წყაროთმცოდნეობითი კვლევის დიდ მნიშვნელობას და სირთულეს, პროფესიული ცოდნის აუცილებლობას დასახელებულ დარგში სერიოზული მუშაობისათვის და ა. შ. („საისტორიო ძიებანი“, II, გვ. 163—166).

არაერთი საყურადღებო ისტორიული ტექსტი გამოავლინა, შეაწავლა და სათანადო გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა ვ. დონდუამ. მათ შორის შეიძლება დავსახელოთ იონა ხელაშვილის „მოსახსენებელა წიგნი“, „განგებაჲ მსოფლიოთა მღდელთათჳს“, ეპიგრაფიკული მასალა ლენინგრადიდან (გუქა ამილახვრის, სვიმონ, დიმიტრი და სტეფანე ბაგრატიონების ეპიტაფიები) და სხვ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვ. დონდუას დამსახურება ქართული ისტორიული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში. მან პირველი პროფესიული ოსტატობით აამეტყველა რუსულად რამდენიმე ქართული თხრობითი და დოკუმენტური ძეგლი. ჯერ კიდევ 1937 წელს, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავის მზადების დღეებში ივ. ჯავახიშვილმა სათარგმნელად დაუთმო ვ. დონდუას მისი პირველი მიკვლეული და აღდგენილი, ჯერ გამოუცემელი ტექსტი თამარის ე. წ. მეორე ისტორიკოსის თხზულებისა, რომელსაც მანვე პირობით დაარქვა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. თარგმანი დაიბეჭდა ლ. გრადში 1938 წელს ი. ორბელის რედაქტორობით გამოცემულ კრებულში. შემდგომ წლებში ვ. დონდუამ თარგმნა აგრეთვე იონა ბაგრატიონის „კალმასობა“, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, „ბექიაა და აღბუღას სამართალი“ (დაიბეჭდა 1960 წელს ი. დოლიძის თანაავტორობით), „მატიანე ქართლისა“ (თარგმანის ნაწილი დაიბეჭდა მოაკოვში 1960 წელს), „რკონის დაწერილი“ (გამოქვეყნდა 1968 წელს), „ხელმწიფის კარის გარიგება“ და სხვ.

ქართული ისტორიული წყაროების რუსულ ენაზე მთარგმნელ მეცნიერთაგან ვ. დონდუამ პირველმა გადმოსცა თავისი შეხედულებანი თარგმნის პრინციპებზე და განმარტა ზოგიერთი წესი, რომლითაც ხელმძღვანელობდა მუშაობის დროს. აქვე უნდა ითქვას, რომ „ქართული საისტორიო მწერლობის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცე-

მის წესების“ შედგენისას (1977 წ.) პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნა ვ. დონდუას დიდი გამოცდილება ამ დარგში.

თავისი წვლილი შეიტანა ვ. დონდუამ ქართული წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიის დამუშავებაში. მას ეკუთვნის, კერძოდ, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პირველი ისტორიოგრაფიული მიმოხილვა (რომელიც, მართალია, უპირატესად ისტორიული მასალების პუბლიკაციათა ბიბლიოგრაფიას შეიცავს) და ე. თაყაიშვილმა წყაროთმცოდნეობითი საქმიანობის ცრცელი და კვალიფიციური დახასიათება.

ვარლამ დონდუას ძველი ქართული ხელნაწერების მკვლევ. მაგრამ საინტერესო კოლექცია ჰქონდა შეგროვილი. ამ ხელნაწერთაგან შეიძლება დავასახელოთ XIII—XIV საუკუნეთა მიწნასე ეტრატსე ნუსხურით გადაწერილი კრებული, რომელიც შეიცავს „კუროხევას“ (ტექსტი ნაკლულია) და ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლს „განგებამ მსოფლიოთა მღდელთათვის“. მეცნიერის მიერ გამოკვლევითურთ გამზადებული ტექსტი ამ ძეგლისა 1973 წელს გამოქვეყნდა („საისტორიო ძიებანი“, II, გვ. 45—55). ვ. დონდუას გარდაცვალების შემდეგ მის პირად საკუთრებაში მყოფი ხელნაწერები კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცა (მათი აღწერილობა იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 1).

ვ. დონდუას ინიციატივით დაარსდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების ბეჭდური ორგანო „ქართული წყაროთმცოდნეობა“. რომლის პირველი წიგნი მისივე რედაქტორობით გამოიცა 1965 წელს; მეორე წიგნი, ასევე ვ. დონდუას ხელმძღვანელობით მომზადებული, 1968 წლის მიწურულს გამოვიდა დასაავადმყოფოში იხილა უკვე სწულმა რედაქტორმა, ხოლო მომდევნო, მესამე, წიგნი (1971 წ.) უკვე მეცნიერის ხსოვნას მიეძღვნა. სულ დღემდე კრებული: 6 წიგნია გამოცემული\*. განყოფილება ინახავს და აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელსაც ამ კრებულის პირველი წიგნის შედგენითა და გამოცემით სათავე დაუდო ვ. დონდუამ.

წიგნის დიდი მოყვარული იყო ბატონი ვარლამი. კვირაში ერთხელ მაინც ესტუმრებოდა ბუკინისტებს, შეივლიდა წიგნის მაღაზიებში. თუ შეხვდებოდა რაიმე იშვიათ გამოცემას, რომელიც თვითონ უკვე ჰქონდა, მაინც შეიძენდა და რომელსაბე კოლეგას უსახსოვრებდა. განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა ახალგაზრდობისათვის წიგნების ჩუქება. მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდი სიყვარულით და გატაცებით აგროვებდა სამეცნიერო ლიტერატურას და შექმნა მდიდარი

\* დღენათვის გამოცემულია 7 წიგნი (რედ. შენშენა).



ბიბლიოთეკა ქართველოლოგიის დარგში. მის ბიბლიოთეკაში თითო-ეული წიგნი, სქელტანიანი ფოლიანტი იქნება თუ თხელი ბროშურა, საგანგებოდ არის აკონტინირებული და მავარ გარეკანში ჩასმული. ვ. დონდუას გარდაცვალების შემდეგ, მისივე მემკვიდრეთა სურვილის შესაბამისად, წიგნები გადაეცა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, სადაც შეიქმნა მისი სახელობის კაბინეტი სამკითხველო დარბაზით. ამ უთუოდ ბრძნული გადაწყვეტილების შედეგად ვარლამ დონდუას სახელი ნამდვილად უკვდავყოფილია. ის კვლავ კოლექტივში დარჩა, მისი სახელი ყოველდღე იხსენიება ინსტიტუტში. ვ. დონდუას სახელობის კაბინეტის ფონდის შევსება აშემადაც გრძელდება. განსვენებული მეცნიერის მეგობრები და უმცროსი კოლეგები, პატივსმცემლები კაბინეტს უძღვნიან თავიანთ ახალ გამოცემებს.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილება სათუთაო ეკიდება განსვენებული ხელმძღვანელის სამეცნიერო მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეს. შედგენილი და გამოქვეყნებულია მისი შრომების ბიბლიოგრაფია („ქართული წყაროთმცოდნეობა“, III). ამავე დროს მომზადდა და გამოიცა მისივე „საისტორიო ძიებათა“ მეორე და მესამე ნაკვეთები (1973, 1985 წწ.). გამოიცა აგრეთვე ვ. დონდუას მიერ შესრულებული რუსული თარგმანები: იაკობ ცურტაველის „წამება უშანაიკისი“ (1978) და თამარის მეორე ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (1985).

ვ. დონდუამ ადრინდნვე დაუკავშირა თავისი საქმიანობა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს როგორც პედაგოგმა და როგორც სახელმძღვანელოების ავტორმა. ჯერ კიდევ 1920 წელს ქუთაისში გამოიცა ახალგაზრდა ავტორის მიერ შედგენილი „საშუალო საუკუნეთა ისტორია“, რომელიც საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთათვის იყო განკუთვნილი. ამავე დროს ის თანაავტორი იყო საქართველოს ისტორიის რამდენიმე სასკოლო და დახმარე სახელმძღვანელოსი, ივ. ჯავახიშვილთან, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილთან ერთად მონაწილეობდა „სსრკ ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომიანი კოლექტიური გამოცემის შექმნაში. ვ. დონდუა წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ლენინგრადისა (1929—1942, 1946—1950) და თბილისის (1942—1954) უნივერსიტეტებსა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. შესანიშნავი ლექტორი და მკვლევარი ირანული ისტორიის ვარლამი. ისე განიცდიდა და მსმენლებსაც განაიდევინებდა საუკუნეთა სიღრმეში მომხდარ მოვლენებს. თითქოს მათ თვალში ეფარებოდა ის ამბები. ლექციას კითხულობდა დიდი გატაცებით, ძალზე ემოციურად, სრული

ძალისხმევით და, სტუდენტთა შეუწელებელი ყურადღებით განებივრებული, თითქმის არაქათვაპოკლილი ტოვებდა აუდიტორიას.

ვარლამ დონდუას ჰქონდა საკუთარი განუმეორებელი, ღრმად ინტელიგენტური სტილი მეტყველებისა და წერისა. ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული მკითხველის მიმართ და არ აკადრებდა მას გაუმართავ ფრაზას, დაუდევრად შედგენილ წინადადებას ან უთავბოლო მსჯელობას. ამიტომაც იყო, რომ საკუთარი თავის მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული მეცნიერი სხვებსაც ვერ პატიობდა დაუდევრობას და არაკეთილსინდისიერ შრომას, მეტისმეტად განიცდიდა სხვათა ნაჩქარევი ნამუშავევის ხილვას და გაცნობას.

ვარლამ დონდუა აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის მეცნიერი და მოქალაქე იყო. ის ყოველთვის იდგა ქართული ისტორიული გეცნიერების წინა ხაზზე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეცნიერო თუ სხვა კულტურულ ღონისძიებათა ჩატარებაში. ცნობილია, კერძოდ, ის დიდი საქმიანობა, რაც მან კ. დონდუასთან ერთად გასწია ლენინგრადში „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს ჩატარებასთან დაკავშირებით. ასევე საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვ. დონდუას კვალიფიციური გამოსვლები სადისერტაციო ნაშრომების დაცვის დროს ოფიციალური თუ არაოფიციალური ოპონენტის როლში, მისი მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში, სხვადასხვა საბის დისკუსიებში, მისი კრიტიკული რეზენციები, მისივე ნარკვევები XVIII—XX საუკუნეთა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

უღარესად თავზიანი, გულისხმიერი, თავმდაბალი, უფროსისა და უმცროსის მიმართ თანაბრად ყურადღებიანი და ჰუმანიტური ადამიანური სითბოთი აღსავსე, ახალგაზრდობის დიდი მეგობარი და საიმედო მრჩეველი. ასეთი იყო ბატონი ვარლამ დონდუა და, დამსახურებისამებრ, უფროსებისა და უმცროსების მხრითაც საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. მისი დამსახურება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. დისერტაციის დაცვის გარეშე ჰქონდა მინიჭებული ორივე ხარისხი, როგორც მეცნიერებათა კანდიდატისა, ისე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისაც; მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; დაჯილდოებული იყო „სპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ვარლამ დონდუამ, მკვლევარმა და მოქალაქემ, მთელი თავისი დიდი ცოდნა-გამოცდილება და დაუცხრომელი ენერჯია თავისი ქვეყნის წარსულის კვლევას, მეცნიერების სამსახურს, ახალგაზრდობის აღზრ-

დის კეთილშობილურ საქმეს შეაღია. შესანიშნავმა მამულიშვილმა ღირსეულად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიაში, ხოლო საუკუნო განსასვენებელი საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში ჰპოვა.

## ВЫДАЮЩИЙСЯ ИССЛЕДОВАТЕЛЬ ИСТОРИИ ГРУЗИИ

(90 лет со дня рождения В. Д. Дондуа)

Резюме

Среди замечательных деятелей грузинской историографии почетное место принадлежит известному ученому — историку и филологу — Варламу Дариспановичу Дондуа.

Сфера научной деятельности В. Д. Дондуа была обширной; много его работ посвящено проблемам истории древней Грузии. Несколько лучших исследований ученого относятся к периоду наибольшего подъема Грузинского феодального государства; в его трудах нашли отражение вопросы культуры и истории Грузии XVIII века; долго занимался ученый изучением жизни и деятельности царевича Иоанна.

С самого начала научной деятельности В. Д. Дондуа интересовался источниковедческими проблемами, изучал теоретические вопросы этой отрасли, издал несколько источников с исследованиями.

Особая заслуга принадлежит В. Дондуа в деле перевода грузинских исторических источников на русский язык. Им же разработаны принципы научного перевода. Многое сделал ученый в историографии источниковедения, по его инициативе создан печатный орган — «Грузинское источниковедение», выходящий по сей день. Кабинет имени В. Дондуа, созданный в Институте истории и этнографии на основе личной богатейшей библиотеки ученого, постоянно пополняется новыми научными изданиями.

В. Д. Дондуа, выдающийся ученый, неутомимый исследователь, замечательный человек, всегда будет занимать достойное место в истории грузинской науки.

## სიმონ ყაუხჩიშვილი — „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი<sup>1</sup>

აკად. ს. ყაუხჩიშვილის მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის ქართველოლოგიურ ძიებებს, მეტადრე „ქართლის ცხოვრების“ შესწავლასა და გამოცემასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ყოველდღიურ სამეცნიერო საქმიანობაში „ქართლის ცხოვრებას“ სტადანტუალ მოცულობით და მნიშვნელობით იხსენიებენ, როგორც მნიშვნელოვან შინაარსს სდებენ. უპირველეს ყოვლისა, „ქართლის ცხოვრება“ რამდენადმე პირობითი, მაგრამ საყოველთაოდ დამკვიდრებული სათაურია ძველ ქართულ მატრიანეთა კრებულისა, რომელიც ვაკუუმ-ლებებითურთ მთლიანად საქართველოს ისტორიას უძველესი ხანიდან XVIII საუკუნემდე. უფრო ფართო გაგებით, ტერმინს „ქართლის ცხოვრება“ ზოგჯერ იყენებენ მთლიანად ქართული ისტორიული მწერლობის აღსანიშნავად და, კიდევ უფრო ფართოდ — საერთოდ საქართველოს ისტორიის აღსანიშნავად. ამ გაგებით სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ხატოვანი გამოთქმებიც — „გლეხური ქართლის ცხოვრება“, „თავადური ქართლის ცხოვრება“. ს. ყაუხჩიშვილს მიაჩნდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ „იმთავითვე გარკვეული შედგენილობის კრებულს წარმოადგენდა“<sup>2</sup>.

1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დაავალა ფილოლოგიის განყოფილებას და მის გამგეს ს. ყაუხჩიშვილს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შესწავლა და ძეგლის გამოსაცემად მომზადება ყველა ძირითადი ნუსხის მიხედვით.

<sup>1</sup> წაითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე (1985 წ. 28. XII), რომელიც მიეძღვნა ს. ყაუხჩიშვილის დაბადების 90 წლისთავს. იბეჭდება მცირე ცვლილებებით პირველად.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ., 1965; გვ. 05.07, ტ. II, თბ., 1959, გვ. 05 (შემდგ. ქს.).

რამდენად მზად იყო ს. ყაუხჩიშვილი ამ დიდად საპატიო და პესუხსაგები დავალების შესასრულებლად?

პეტერბურგის სახელგანთქმული უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე მას მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური მომზადება, რაც ესოდენ აუცილებელია წყაროთმცოდნეობით პრობლემებზე სერიოზული მუშაობისათვის.

ჯერ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ პეტერბურგის, ათენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში მიღებული მრავალხრივი განათლების წყალობით ს. ყაუხჩიშვილს ჰქონდა ფართო სამეცნიერო თვალსაწიერი, რაც საშუალებას აძლევდა მას თანაბარი წამატებით ეკვლია მსოფლიო ისტორიის, კერძოდ, ანტიკური, ბიზანტიური კულტურისა და ქართველოლოგიის ურთულესი პრობლემები.

მას საშუალება ჰქონდა თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ემუშავა ივ. ჯავახიშვილის გვერდით, ყოფილიყო მისი ერთგული თანაშემწე, უზვად ესარგებლა მისი რჩევა-დარიგებით.

მასვე ნიმუშად ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, სადაც „ქართლის ცხოვრების“ საკითხებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ წიგნის მეორე-მესამე შეესებული გამოცემა ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით და დიდი ზრუნვით განხორციელდა 1945 წელს.

ამავე დროს ს. ყაუხჩიშვილს ჰქონდა საქართველოს ისტორიის ბერძნულ-ლათინურ და ქართულ წყაროებზე მუშაობის საკუთარი დიდი გამოცდილება, რამდენადაც უკვე გამოსული იყო ცნობილი „გეორგიკის“ პირველი ნაკვეთები. მასვე მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებული ისტორიული ტექსტების გამოცემაში. ეს იყო ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება, თამარის მეორე ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“<sup>3</sup>. რაც მთავარია, უკვე გამოცემული იყო „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხის ტექსტი, რომელიც მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით.

ს. ყაუხჩიშვილს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებზე მუშაობის დროს ჰყავდა ერთგული დამხმარენი, კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც მნიშვნელოვნად უმსუბუქებდნენ მას შრომას. მეცნიერი ყოველთვის დიდი მადლობით იხსენიებდა მათ ღვაწლს კონკრეტული შესრულებული სამუშაოს აღნიშვნით.

<sup>3</sup> ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. ივ. ჯავახიშვილის გამოც. თბ., 1927; ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, თბ., 1940; ბასილი ეზოს მოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც.,—ენიქის მოამბე, XIV, თბ., 1944.

ს. ყაუხჩიშვილს გააჩნდა უტყუარი ალღო ისტორიული ტექსტის თითოეული სიტყვის თუ ფრაზის მიმართ, ახასიათებდა უადრესად ფაქიზი დამოკიდებულება, დიდი სიფრთხილე და ზომიერების გრძნობა კონიექტურებისადმი.

მას ჰქონდა უდიდესი შრომისმოყვარეობა და შემოქმედებითი ენერჯია, სრულიად განსაკუთრებული უნარი სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაციისა, ზეგარდმო მინიჭებული დიდი მადლი და კიდევ რალაც, შეუცნობელი, სახელდაურქმეველი, წმინდა ყაუხჩიშვილისეული, რაც ასრულებდა და მთლიანობას ანიჭებდა მეცნიერის პიროვნებას.

ასეთი საქმიანი თვისებების მქონე მკვლევარსა და მოღვაწეს ხვდა წილად ეხელმძღვანელა ჩვენს დროში „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისა და გამოცემის საქმისთვის.

რა იყო უკვე გაკეთებული იმ დროისთვის ამ დარგში?

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემა XIX საუკუნის შუახანებში დაიწყო. 1849—1858 წლებში მარი ბროსემ, დ. ჩუბინაშვილის მონაწილეობით, პეტერბურგში გამოსცა კრებული შვიდ წიგნად ფრანგული თარგმანით, ვრცელი დამატებებითა და შენიშვნებით<sup>4</sup>. ამ გამოცემაში შევიდა XVII—XVIII სს ქართული ისტორიული თხზულებებიც. პუბლიკაციაში „ქართლის ცხოვრების“ ქართულ ტექსტს დათმობილ აქვს პირველი ტომი.

1906 წელს თბილისში ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოიცა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა<sup>5</sup>, რომელსაც 1884 წელს მიაკვლია დ. ბაქრაძემ. ამ გამოცემას წინ უძღოდა ე. თაყაიშვილისავე ვრცელი ნარკვევი მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერთა აღწერილობაში დაიბეჭდა<sup>6</sup>.

დასასრულ, 1942 წელს თბილისშივე გამოქვეყნდა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით მომზადებული ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხისა<sup>7</sup>.

<sup>4</sup> Histoire de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle, trad. par. Brosset M. Spb., 1849—1858; ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის. ნაწ. მეორე, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1906.

<sup>6</sup> Такайшвили Е. С. Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. 1—4, Тифлис, 1906—1912, с. 27—114.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.

დასახელებულ გამოცემათაგან მ. ბროსეს პუბლიკაცია ემყარება მის დროს ცნობილ XVII ს-ის სამ ხელნაწერს — რუმინანცევისეულს (დაცული იყო მოსკოვში, ამჟამად კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია), ფალავანდიშვილისეულს (თბილისში) და თეიმურაზისეულს (პეტერბურგში). ამათგან პირველი ორი შეიცავს ვახტანგისეული რედაქციის ტექსტს (ფალავანდიშვილისეული — „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებასაც), ხოლო თეიმურაზისეულში ტექსტი მხოლოდ სანახევროდ არის რედაქტირებული ვახტანგის კომიისის მიერ.

გამოცემას საფუძვლად დაედო ფალავანდიშვილისეული ნუსხა. დანარჩენი ორიდან ტექსტში ჩართულია განსხვავებული ადგილები, მაგრამ ნაჩვენები არ არის კითხვასხვაობანი. შედეგად მიღებულ იქნა ახალი კომპილაციური ტექსტი, რომელიც არც ერთ ნუსხას არ ემთხვევა.

„ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული და ანასეული ნუსხების პუბლიკაციები ე. წ. დიპლომატიკური ტიპის გამოცემაა. ასეთ გამოცემაში ტექსტი სტამბურად იბეჭდება მისი ყველა თავისებურების შენარჩუნებით. ტექსტი მეცნიერულად წაკითხულია, დაყოფილია სიტყვებად, დასმულია სასვენი ნიშნები. სწორდება მხოლოდ აშკარა კალმის შეცდომები. ე. თაყაიშვილმა, მაგალითად, მარიამისეული ნუსხის საკმაოდ შერყვნილი ტექსტი უცვლელად დაბეჭდა და სქოლიოებში უჩვენა სწორი წაკითხვები მ. ბროსეს გამოცემისა და ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილმა კი საჭიროდ ჩათვალა ანასეული ნუსხის გამოცემაში გაესწორებინა გადამწერის უნებლიე შეცდომები, რაც სქოლიოებშიც არის აღნიშნული და შესავალ წერილში მოტანილია ვრცელი სია<sup>8</sup>. საერთოდ, ამ გამოცემას მოსამზადებელი ხასიათი ჰქონდა. წინასიტყვაობაში რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ნუსხა „მეორე ძველ (ე. ი. მარიამისეულ — რ. კ.) ნუსხასთან ერთად საფუძვლად უნდა დასდებოდა მომავალში როგორც „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შესწავლას, ისე ამ კრებულში შეტანილ ცალკე საისტორიო ძეგლთა ტექსტის დადგენას“<sup>9</sup>.

დასახელებულმა გამოცემებმა დიდი როლი შეასრულეს „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისა და საქართველოს ისტორიის წყაროთა ბაზის შექმნა-განმტკიცების საქმეში და მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი კვლევა-ძიების გაშლას ორივე მიმართულებით. მაგრამ მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილის გამოცემების შემდეგ კრებულის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნუსხა გამოვლინდა ძველი „ქართლის ცხოვრების“ ცაკლისა. ბუნებრივია, რომ ისტორიულ მეცნიერებას ვეღარ დააკმაყო-

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. LII—LXI.

<sup>9</sup> იქვე, გვ. VIII.

ფილებდა თავის დროზე უთუოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ახლა უკვე მოძველებული გამოცემები, რომლებიც ამავე დროს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაც იყო ქცეული.

„ქართლის ცხოვრების“ ნუსხებზე მუშაობდა 1945—1950 წლებში ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილების კოლექტივი. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით. მათ შეაჯერეს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ყველა ნუსხაში<sup>10</sup>, ხოლო ნუსხების საკონტროლო შემოწმება და ტექსტის საბოლოო დადგენა, ლექსიკონი და გამოკვლევა ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის.

თანამედროვე პროფესიული წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი უპირობო მოთხოვნაა, რომ ისტორიული წყაროს ტექსტი ჭერ ზედმოწვევით იქნეს შესწავლილი და შემდეგ გამოიყენოს<sup>11</sup>. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნას კანონის ძალა არა აქვს და, ამდენად, არც სავალდებულოა არის ჭერჭერობით ქცეული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის დროიდან დამკვიდრდა ისტორიული წყაროს ტექსტის ყოველმხრივი შესწავლის მოთხოვნა. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე, რომელიც 1941 წ. 18 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, (ამ ინსტიტუტმა, როგორც ითქვა, ისტორიისა და ენის ინსტიტუტებად გაყოფის შედეგად ერთხანს შეინარჩუნა საერთო ხელმძღვანელობა და სამეცნიერო საბჭო), ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა: „ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსის პირველ მოვალეობად სთვლიდა წინასწარ ღრმა ფილოლოგიურ მუშაობას ტექსტებზე, მათ ამოკითხვასა და დადგენას, სხვადასხვა წარმოშობის ტექსტების შედარებით შესწავლას“ და ა. შ.<sup>12</sup>

მასწავლებლის მიერ ნაანდერძევი ამ გზისთვის ს. ყაუხჩიშვილს არ უღალატია მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე და უდიდეს ყურადღებას აქცევდა ისტორიული ტექსტების წინასწარ გულდასმით კრიტიკულ შესწავლას, რაც შემდგომში საფუძველი ხდებოდა შესაბამისი წყაროს მაღალმეცნიერული პუბლიკაციისა.

ცნობილია, რომ ისტორიული წყაროს მეცნიერული კრიტიკა მისი შესწავლის სხვადასხვა მხარეს გულისხმობს. ეს არის, პირველ რიგში, წერილობითი ძეგლის გარეგან თავისებურებათა (საწერი მასალა, მელანი, ხელი) განსაზღვრა, მისი ნამდვილობის დადგენა, წყაროს ტექს-

<sup>10</sup> ქც, 1, გვ. 06.

<sup>11</sup> Лихачев Д. С. Текстология на материале русской литературы X—XVII веков. Изд. II, Л., 1983, с. 550.

<sup>12</sup> ენიშის მოამბე, XIII, თბ. 1943, გვ. 278.



ტის ამოკითხვა, მისი შედგენის დროის, ადგილის, ავტორის ვინაობის, შექმნის პირობების, დანიშნულების დადგენა, ტექსტის ინტერპრეტაცია, მასი უტყუარობის, სისრულის, სიზუსტის, მეცნიერული მნიშვნელობის, წყაროს ფუნქციური ბუნების გარკვევა და ა. შ.

ასეთ ამოცანებს ისახავს (ან, უკეთ, უნდა ისახავდეს) პროფესიონალი მკვლევარი, როცა ის რომელიმე წერილობითი ძეგლის წყაროთმცოდნეობით შესწავლას შეუდგება.

